ზაალ ნემსაძე

სცენარები

თბილისი
2019

ზაალ ნემსაძე: სცენარები
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი, 2019. გვ 248.

რედაქტორი: **რევაზ მიშველაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რედაქტორ-
გამომცემელი: **ზაურ ნაჭყებია**

ტექნიკური
რედაქტორი: **ლევან ბოჭორიშვილი**

ISBN - 978-9941-8-1116-6

წინათქმა

ზაალ ნემსაძე პროფესიონალი სცენარისტი და პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნე-პუბლიცისტია.

„პროფესიონალს“ აქ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ რაც დრო გადის, სიტყვა პროფესიონალიზმი უფრო და უფრო ფერკმთალდება.

ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში პროფესიონალი სანთლით საძებარი გახდა და, მითუმეტეს, არ გვყავს პროფესიონალი სცენარისტი.

დღეს კონორეჟისორები თვითონ წერენ სცენარებს და თვითონვე იღებენ ფილმებს.

ლიტერატურა რომ ძალიან ეადვილებათ, სწორედ ამის გამოა, რომ მოგვიმრავლდა უმწიფარი, პრიმიტიული, ქუჩური ჟარგონით და დაუხვეწავი დიალოგებით სავსე, უსიუჟეტო და უგერგილო ფილმები.

ამ ფონზე ქართულ მწერლობაში ზაალ ნემსაძის გამოჩენა ჭეშმარიტად სასიამოვნო სიახლედ მიმაჩნია.

უკანასკნელ წლებში დიდი, ღონიერი ნაბიჯებით შემოვიდა ლიტერატურის ასპარეზზე და მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ზაალ ნემსაძემ კარგად იცის ქართული ფოლკლორი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, თანამედროვე მსოფლიო კინემატოგრაფის სპეციფიკა და, რაც მთავარია, აქვს შესაშური თვისება შექმნას დამაინტრიგებელი პასაჟები, კომპოზიციურად გაამთლიანოს ცისა და მიწის ამბები, ატაროს მაყურებელი ჭეშმარიტად საოცრებათა სამყაროში.

ამ გამძლე საყრდეებზეა დაფუძნებული ზაალ ნემსაძის სცენარები.

იმ სცენარებში, რომლებიც რეალისტური ფილმებისთვისაა გათვალისწინებული, ზაალ ნემსაძე უაღრესად დამაჯერებელ კინემატოგრაფიულ ანტურაჟს ჰქმნის. ლამის დეტექტური, მძაფრი სიუჟეტი, მახვილგონივრული, მოულოდნელი ფინა-

ლი, ბუნებრივი, მაღალფარდოვნებას მოკლებული დიალოგები – ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კინოს სჭირდება: აი, რით იპყრობს თქვენს ყურადღებას სცენარის ჭეშმარიტი ოსტატის შემოქმედება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ სცენარების მიხედვით უაღრესად საინტერესო მხატვრულ-რეალისტური, დეტექტური, საბავშვო-ფანტასტიკური, სამეცნიერო-ფანტასტიკური და ზღაპრულ-სათავგადასავლო ფილმების შექმნა შეიძლება.

კიდევ ერთი ძვირფასი თვისება აქვს ზაალ ნემსაძის და ფიქრია ნემსაძის სცენარებს; ისინი მოთხრობასავით ლაღად და საინტერესოდ იკითხება.

ახლა ჯერი კინორეჟისორების ალღოზე და ყურადღებაზეა.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

სამი დის ზღაპარი

– წუხელ სიზმარში ბაბუ ვნახე, – თქვა ტატამ და დებს გადახედა.

– მეც გამომეცხადა ბაბუ, – გაოცდა მარი.

– გზა მასწავლა, – წამოხტა ნაბოლარა ბაბი.

ადრე დამდგარი ზამთრის ცივი შუადღე იყო. წითელი აგურის სახლი, სადაც გოგონები ცხოვრობდნენ, სოფლის დასაწყისში იდგა და თხელი თოვლისგან და ყინვისგან მოწყენილი დიდი, წინა ეზო ჰქონდა, რკინის ღობიანი. ბავშვები ჭის გარშემო, სამზარეულოდან გამოტანილ ბოკონებზე ისხდნენ. უმცროსები ათი წლის ტატას შესცქეროდნენ და მისგან ელოდნენ ღამინდელი ხილვის ახსნას.

ტატა ჩვეულებრივი ბავშვი არ იყო, უფროსებიც კი ანგარიშს უწევდნენ. მკვირცხლი ჭკუა-გონების გამო, ყოვლისმცოდნესაც კი ეძახდნენ. სკოლის მოწაფეებში ხომ იყო და იყო პირველი, თვით მასწავლებელსაც არ ჩამოუვარდებოდა. ყოვლისშემძლე და ბრძენთაბრძენი დირექტორიც კი ამბობდა, ეს გოგო მთელ ჩვენს სოფელს სახელს გაუთქვამსო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, – ეტყოდა ხოლმე დირექტორი სოფლის სტუმარს, – ამ პატარა გოგომ იცის ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული და იტალიური ენები.

– მართლაც საკვირველ ამბავს მეუბნებით, თქვენ ნუ მომიკვდებით, – არ ეჯერა სტუმარს, – რანაირად მოახერხა ეს?

– ბებია კი ჰყავს პოლიგლოტი და ღრმად განსწავლული ქალი, ბაბუა ხომ ბრძენთაბრძენია, მამაც სწორედაც რომ დიდი კაცი გახლდათ და მისი სახელი საქვეყნოდ იყო განთქმული, მაგრამ ამ გოგოს რომ თვითნაბადი ნიჭი არ ჰქონდეს, ამდენს ვერ მოახერხებდა, – ამბობდა დირექტორი მიხეილ არსენის ძე და ახლა ტატას მეორე დას, მარის ქებაზე გადადიოდა: მაგის მომდევნო და, 8 წლის მარიც ნამდვილი ვუნდერკინდია. კითხვა

ისწავლა თუ არა, მაშინვე ბიბლიას მოჰკიდა ხელი და ჩვენი მღვდლის, სპირიდონის დახმარებით, სრულყოფილად შეისწავლა. რწმენა, რომელიც ამ პატარა გოგოს სულში ყოვლად ძლიერი ღმერთის ნებით შევიდა, მარის სასწაულების მოხდენაში ეხმარება, – განაგრძობდა მიხეილი და თუ მოსაუბრეს ინტერესს შეატყობდა, გააგრძელებდა: – რაღა შორს წავიდე, აგერ, ჩემი მავრა, ასთმისგან მაგან არ განკურნა?!

– როგორც მე ვიცი, მაგ ოჯახში მესამე გოგოც იზრდება, – იტყოდა ზოგიერთი სტუმარი.

– ხო, ბაბი შვიდი წლისაა. არა უშავს, კარგად სწავლობს. დირექტორი პატარა ბაბიზე მეტს არაფერს ამბობდა. ეს გოგო თავისუფლად რბენა-ხტომაში იზრდებოდა. თანატოლებთან შედარებით უდავო უპირატესობა ჰქონდა, მისი ძალ-ღონის ჯუფთი იმ არემარეზე, არათუ ბავშვი, უფროსიც არ დადიოდა. ყველა პეპი გრძელიწინდას ეძახდა, რაც ბაბის ძალიან მოსწონდა. პეპის არ იყოს, ტყუილ-უბრალოდ არავის აწყენინებდა. ლამის შუათანა დის სიმაღლე იყო, დაკუნთული სხეულით, წაბლისფერი თმა ჩამოშლოდა და მაღალ შუბლზე ლამაზი სახე გაბუტული ტუჩებით ჰქონდა დამშვენებული. მუდამ საკამათოდ და საჩხუბრად იყო შემართული უსამართლობის წინააღმდეგ. სოფლის ავი, ხბოსხელა ძაღლები ვაჟკაცებსაც რომ შიშით აბაბანებდნენ, ბაბის დანახვაზე ალერსიან წკმუტუნზე და კუდის ქიცინზე გადადიოდნენ.

აბანოზის ხისფერი, გრძელი თმა შვენოდა მაღალ, კოხტა ტატას. სიტყვა და ნაბიჯიც მოზომილი ჰქონდა.

მარი ტატაზე დაბალი იყო: ჩალისფერი გრძელი თმით, თეთრი, თითქოს მოელვარე პირის კანით და თაფლისფერი თვალების გამჭოლი მზერით.

უერთმანეთოდ დები ერთ საათსაც ვერ ძლებდნენ, ტატას სიტყვა ამ სამეულში კანონივით იყო და უმცროსები ახლაც მას შესცქეროდნენ მომლოდინე თვალებით:

– დროის დაკარგვა აღარ შეიძლება, უნდა გავამზადოთ საგზალი, საჭირო ნივთები და წავიდეთ.

– ბებოს რა ვუყოთ? მარტო ცოდო არ არის? – იკითხა მარიამ.

– გამარჯვებული რომ დავბრუნდებით ჩვენებთან ერთად, გვაპატიებს ბებო, – უპასუხა ტატამ.

– მართალი ხარ, – თავი დაუქნია მარიმ, – ახლა სულ ტირის და როცა ყველა ერთად მოვალთ, უკვე ბედნიერებისგან იტირებს.

– თანაც, ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის, მძიმე და ძნელი საქმე. წავალთ, ვიღაცეებს კბილებს და რქებს მივუმტვრევთ, ქვეყანასაც ვნახავთ და ჩვენებსაც გავათავისუფლებთ, – ისე არხეინად წარმოთქვა ჩხუბისთავმა ბაბიმ, თითქოს სოფიო ბებიას ბოსტანში შედიოდა ბოლოკის ამოსაღებად, – რაც მალე წავალთ, მით უკეთესი...

მუხლმოყრილ სოფიოს სანთელი ენთო და ლოცულობდა. გოგონებმა მასთან ერთად ილოცეს. მერე ბებო სადილის თადარიგს შეუდგა, დები კი საძინებელში შეძვრნენ და რუკზაკებში საჭირო ნივთების ჩაწყობა დაიწყეს.

– დღეს ვერ წავალთ, – თქვა უცებ მარიმ.

– რაა? – აიბურძგლა ბაბი.

– მამა სპირიდონი უნდა ვნახოთ, კურთხევა ხომ გვინდა.

– მართალია, – დაეთანხმა ტატა.

– წავიდეთ, რას ელოდებით, – აჩქარდა ბაბი.

მარიმ მამაოს დაურეკა, ვინაიდან მღვდელს რამდენიმე სოფელში ჰყავდა სამწყსო, აუდენცია მეორე დღეს, დილის 10 საათზე შედგა.

ვიდრე ტაძრის სენაკში შევიხედავდეთ, მინდა უმალ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. უეჭველია, შენიშნავდით იმ გარემოებას, რომ ბავშვებს ბაბუ ცალ-ცალკე და ყველას ერთად გამოეცხადა. ეს ბაბუ ორიოდე წლის წინ დაკარგეს. ზაფხულის შუადღეს ერთი კი თქვა, თქვენს მშობლებზე რაღაც ცნობები მომაწოდესო და წავიდა. წავიდა და გაქრა კაცი. ბავშვებს ბებია ზრდიდა, რომელსაც გაუჭირდა გაძვირებულ და სახსარგამოლეულ ქალაქში შვილიშვილების რჩენა და სო-

ფლის სახლს მიაშურა. სკოლაში პედაგოგობდა, კარგი ბაღ-ვენახიც დააყენა ბეჯითი შრომით და ბავშვებსაც მადლიანად ზრდიდა. დილა-საღამოს მთელი ოჯახი ლოცულობდა და ღმერთს დაკარგულების დაბრუნებას სთხოვდა. იმის დროც დადგა, გითხრათ, რა უცნაურ ვითარებაში დაიკარგა გოგონების დედა. გამხდარი, თხელი ტანის, გრძელცხვირა ქალი, რომელსაც ქალაქში ცხოვრება, გართობა და დროსტარება ქმარ-შვილს ერჩივნა. ერთ საღამოს კი, ვიღაცას თუ რაღაცას გაჰყვა ღამის ბარიდან. „ვიღაცას თუ რაღაცას“ იმიტომ მოგახსენეთ, რომ თვითმხილველთა განცხადებით, რაც მკვირცხლი და ყოჩაღი პოლიციელების ოქმშიც დაფიქსირდა, გამტაცებელი სულ მცირე ორმეტრანახევარი ყოფილა სიმაღლით და ლამის ამის ნახევარი სიგანით: „მოვიდა, ქალს ხელი დაუქნია, მერე კისერზე (დიახაც, კისერზე და არა ზურგზეო) შეისვა და ისეთი სიჩქარით გაუჩინარდა... ერთი ფეხი აქ რომ დაჰკრა, მეორე ე, იქ, ქუჩის ბოლოში ჰქონდაო“.

ბავშვების მამა, რომელიც თანატოლებში ყველას სჯობდა ინტელექტით და სიჩაუქით, თანაც სახელმწიფო ტელევიზიაში საავტორო გადაცემაც მიჰყავდა, მომხდარით ლამის ჭკუაზე შეცდა. რამდენიმე თვე უაზროდ იხეტიალა. ბოლოს კი დაიჟინა, ჩემი დამღუპველები უნდა მოვძებნო და სამაგიერო მივუზღოო. მშობლებმა ბევრი უშალეს და ნებით რომ ვერაფერს გახდა, ჩუმად გაიპარა. ელოდნენ ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე და როცა ერთი წლის მერეც არ გამოჩნდა, ბაბუა ზაბულონიც აქოთქოდა და ძებნის ვირუსი შეეყარა, თუმცა სავსებით ლეგალურად, მიკიბვ-მოკიბვისა და იწილო-ბიწილოს გარეშე დაემშვიდობა შინაურებს და აღუთქვა, თუ ბიჭი ვარ (ბიჭი? როგორ არა, 55-ს იყო გადაცილებული) დავბრუნდები და შვილ–რძალსაც მოგიყვანთო. ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, ზაფხულში, უფრო ზუსტად კი 9 აგვისტოს, საღამოს 9-ის ნახევარზე გავიდა ეზოდან და გაქრა... გაქრა და მხოლოდ გუშინღამ, ანუ 11 იანვარს გამოეცხადა შვილიშვილებს. სწორედ ამის შესახებ უყვებოდნენ ბავშვები ახლა მამა სპირიდონს, რომელიც თავი-

სი დარბაისლობისა და ღვთის სასწაულებში ღრმად განსწავ-ლულობის მიუხედავად, აშკარად აღელვებული იყო და ხშირ-ხ-შირად პირჯვარს იწერდა: – ჭეშმარიტად, დიდი და საოცარია საქმენი შენი უფალო!

– ბაბუ თითქოს კედლიდან გადმოვიდა, – ათრთოლებული ხმით ჰყვებოდა ტატა, – შუბლზე და თმაზე მაკოცა. მერე ფე-ხისგულებზე მომიცაცუნა ხელი სწორედ ისე, როგორც მეფე-რებოდა ხოლმე და მითხრა: „ბებოს არ მოშორდე და შენს დაი-კოებს გაუფრთხილდი“.

– მეც მითხრა, დაიკოებს გაუფრთხილდიო, – თქვა მარიმ.

– მე კი – დებს დაუჯერეო, – დაამატა ბაბიმ.

– მერე, მერე, – მოთმინება დაელია მამაოს.

– ჩვენ მალე დავბრუნდებით, კარგად ვართო. არ იდარდოთ, ვეცდებით, მალე დავბრუნდეთ, ძალიან, ძალიან მოგვენატრე-თო, – დაასრულა ტატამ.

– მეც ასე მითხრა, – ლამის ერთ ხმაში თქვეს უმცროსებმა.

მამა სპირიდონი ჩაფიქრდა. მერე წამოდგა, დებს ჯვარი გა-დასახა, სანთლები დაანთო მათთან ერთად და დარიგება მისცა:

– ჩემო შვილებო, დაუჯერეთ ბაბუს და ფეხი არ მოიცვალოთ სახლიდან, ამ საქმეში კურთხევას ვერ მოგცემთ და ისე კი გე-ტყვით, კურთხეულ იყოს სწავლა და შრომა თქვენი, თითოეული ნაბიჯი თქვენი. ისწავლეთ, კვლავაც იბეჯითეთ, გაიზარდეთ ღვთის სიყვარულში და რწმენაში და ახლობლები აუცილებ-ლად დაგიბრუნდებიან.

კიდევ ერთხელ გადასახა ჯვარი, დალოცა და გააცილა. სა-ხლში მისულმა მღვდელმა ბუხარში შეშა შეამატა და იქვე ჩა-მოჯდა პატარა სკამზე, გვარიანად ჩაფიქრებული: „რას უნდა ნიშნავდეს ზაბულონის ასეთი გამოცხადება? ამის მოთმენა უკვე აღემატება ჩემს ძალას უფალო! შენ ხომ უწყი, რამდენი თვეა ვმალავ იმ საიდუმლოს, რაც ზაბულონმა გამანდო ბოლო აღსარებისას. ვმალავდი იმიტომ, რომ მეგონა დარდისგან ჭკუაზე გადასული მამის ფანტაზია იყო, არადა, თუნდაც ზე-რელედ, ერთხელ ხომ მაინც უნდა შემემოწმებინა?! მორჩა! რა

უფლება მაქვს მე, ამდენი ხალხის სულიერ მამას, საწყმსოს თავზე დამტყდარ განსაცდელს პირველი არ აღვუდგე წინ?! დღესვე უნდა გავარკვიო ყველაფერი“.

და მართლაც, შუაღამისას, ვიდრე მამლები პირველად იყივლებდნენ, მამა სპირიდონმა ფრთხილად შეაღო ობლების ღობის ჭიშკარი, კაშკაშა მთვარე განსაკუთრებული დაჟინებით დაჰყურებდა ამ ეზოს და თითქოს საგანგებოდ ანათებდა ჭას, რომელშიც ჩვენი მამაო ეშვებოდა წელზე შებმული თოკით, რომლის მეორე ბოლო ჭის გვერდით ჩარჭობილ რკინის ბოძზე იყო შემონასკვული. ათიოდე წუთში სპირიდონი უკან ამოძვრა, პირჯვარი გადაიწერა, ძელს მოხსნილი თოკი წელზე შემოირტყა და უჩუმრად დატოვა იქაურობა...

ჭიშკრის დახურვა და, პატარა ბაბი უკვე ჭასთან იყო... „მეც გენიოსი ვარ, თან ფხიზელი გენიოსი. მხოლოდ მე მივხვდი, რომ მამაო რაღაცას გვიმალავდა. ნეტა რა აქვს ამ ჭაში შენახული?“ – ბუტბუტებდა და რადგან მისთვის ჭაში ჩაძრომა–ამოძრომა ისევე იოლი იყო, როგორც ტატასთვის ჰაინეს „ლორელაის“ მხატვრულად წაკითხვა, ანდა მარისთვის იოანეს სახარების ზეპირად თქმა, თვალის დახამხამებაში ჩაძვრა ჭაში და ხუთიოდე წუთში მარდად ამოძვრა: „ყოჩაღ, ბაბი, – შეიქო თავი, – ტყუილა კი არ მეძახის სოფია ბებო ლომს. თან ჭკვიანი ლომი ვარ, მოქნილი და წინდახედული. არ ამოვხსენი ყველაფერი?! ხვალ ხუთშაბათია, შაბათ დილით ჩავძვრები, როცა ყველას ეძინება, მერე იმ სარკმელში გავალ. იქით კი რა ლამაზი სანახაობაა! ეტყობა, ბაბუც აქედან გაქრა. თუ ეს ასეა, მაშინ დედაც და მამაც იქ უნდა ვეძებო. დამალობანას გვეთამაშებიან თუ რა მოუვიდათ? ბებია ლამის მოკვდეს ტირილით და ღამე ახველებს, გოგოებსაც უნდა ვუთხრა ყველაფერი...“

...შაბათ დილას, მეზობლის მაღაზიიდან დაბრუნებულმა სოფიომ ჭიშკარში კონვერტი იპოვა. გახსნა, ბარათი ამოიღო, წაიკითხა: „ბებო, არ გაგვიბრაზდე, წავედით ბაბუს მოსაძებნად. ერთ კვირაში დავბრუნდებით, ერთ საათსაც არ გადავაცილებთ, ბებო, გვიყვარხარ და შენი სიყვარული დაგვაბრუნებს“.

ხომ ყოვლისმომცველი ტანჯვის უხმოდ გადამტანი იყო ბებია სოფიო, მაგრამ ახლა ვეღარ შეიკავა თავი და გულში ჩაგუბებული ცრემლი, ქვითინი და ჯავრი ერთად ამოაფრქვია. როცა გონს მოვიდა, მთელი სოფელი გარს ეხვია, თუმცა ნუგეში და იმედისმომცემი შეძახილები ჩირად არ ჩაუგდია. მაშინ მამა სპირიდონი წარუდგა და მქუხარე ხმით დაიწყო:

– ბავშვების გამგზავრებაში ღვთის ხელი ურევია და უფლის სახელით გეუბნები შენ: ერთ კვირაში ყველაფერი რიგზე იქნება და ბედნიერება გეწვევა! თქვენ კი, ჩემო სულიერო შვილებო, – მიუბრუნდა მრევლს, – ტაძარში მობრძანდით და ვილოცოთ ჩვენი შვილების გამარჯვებით დაბრუნებისთვის!

– აღარც ქმარი მინდა, აღარც შვილი და რძალი, ჩემი გოგოები დამიბრუნე ღვთისმშობელო! – დაუჩოქა ტაძარში მისულმა ბებომ წმინდა მარიამს და სასოებით შეხედა...

საღამოს 5 საათზე მღვდელიც გაქრა და გაოცებულ სოფლელებს დიაკვანი ილია ანუგეშებდა, მამამ დაიბარა, ერთ კვირაში დავბრუნდებიო.

შაბათ დილით კი აი, რა მოხდა:

დილის 7 საათზე პატარა ბაბიმ უფროსი დები გააღვიძა და უთხრა:

– როგორც კი ბებო მაღაზიაში წავა, მივდივართ!

– სად?

– რაო, ბაბი, სიზმარი ნახე? – თვალების ფშვნეტით იკითხა ტატამ.

– უფრო მეტიც, ის კარი ვიპოვე, არა, კარი კი არა, მოზრდილი სარკმელია, სადაც ბაბუა შევიდა და დაიკარგა.

უფროსები დუმდნენ. მაშინ ბაბიმ ბაბუას პორტსიგარი დაუდო წინ: – აი, ეს ეგდო სარკმლის იქით. ეტყობა, ბაბუმ ვერ შენიშნა მისი დაკარგვა. არც მიკვირს, იქ ისეთი სილამაზეა, რომ...

– სად, იქ? – შუა გზაზე გააწყვეტინეს.

– ჩვენს ჭაში!

და ვინაიდან სოფიო შემოვიდა, გოგონები შეთქმულებივით გაჩუმდნენ. ბებიამ „დილა მშვიდობისა“ უსურვა და ჩაკოცნა.

ბავშვებიც მთელი გულით და სულით ჩაეხუტნენ საყვარელ ადამიანს და თავი დამნაშავედ იგრძნეს, რომ საიდუმლოს ვერ გაუმხელდნენ. რას იზამ, ჯერ არ დაბადებულა ბებია, რომელიც შვილიშვილს ჭაში ჩაძრომის ნებას მისცემს.

...ჭა ძლიერ ღრმა იყო, წყლამდე 25 მეტრი მაინც იქნებოდა, თუ მეტი არა. ჭის პირიდან 7-8 მეტრში სპილენძის დიდი, ლამის კარისხელა სარკმელი იყო კედელზე, ორმაგ მინიანი, რომელიც ხელის უბრალო კვრით იღებოდა... ბაბიმ შეაღო და იქიდან თვალისმომჭრელი სინათლე შემოეფრქვა. მერე ზემოთ ამოცოცდა, ტატა შეისვა კისერზე, ქვემოთ ჩაიყვანა, ღია სარკმელში შეუშვა და მარის ჩამოსაყვანად აბრუნდა. ორიოდე წუთში დები სარკმელს გასცდნენ და ახალ სამყაროში შეაბიჯეს...

ღმერთო დიდებულო და მომცველო ყოვლისაო! შუა ზამთრიდან და სიცივიდან მზით გაბრწყინებულ, თითქოს ედემის ბაღში აღმოჩნდნენ: ნაირფერი, არამიწიერი, მოჩითული გარემო. მცენარეების ნაწილი ჰყვაოდა, ნაწილს ნაყოფი ესხა, ცხრაფერად მოელვარე ბუჩქებზე სხვადასხვა ფერის და ზომის ფრინველები დახტოდნენ და მათი გალობა-ჭიკჭიკი ისეთი საამო მოსასმენი იყო, ცეკვა და სიმღერა მოგინდებოდათ. ჩვენი გოგოებიც ამღერდნენ და მარიამ ისეთი გზნებით წამოიწყო „ავე მარია“, ყველაზე დაუდეგარი ჩიტიც კი გაჩუმდა და გაირინდა. მღეროდა მარი, ობოლი გოგო და სევდა-ნუხილთან ერთად, ისეთ სითბოსა და სინაზეს აფრქვევდა ახალ ქვეყანაში, ირგვლივ ყოველი გაიტრუნა. ჯადოსნური „ავე მარია“ იღვრებოდა ახალ ცაზე და ახალ მიწაზე, ახალ ქვეყანაში, რომელიც ვინ იცის, როგორ უმასპინძლებდა თავგადადებულ სამ ბავშვს, რა თავგადასავლებს უმზადებდა მათ, ცრემლს შეუშრობდა თუ განსაცდელში ჩააგდებდა.

...საფრთხე რომ შორს არ იყო, გოგონები უმალ დარწმუნდნენ. ის იყო, მარიმ სიმღერა დაასრულა, რომ ჭექა-ქუხილზე ასჯერ უფრო მეტი ძალის, გამაყრუებელი ღრიალი გაისმა, კაშკაშა სინათლეს თითქოს ბნელი გადაეფარა და სუფთა ინგლისურ ენაზე გაისმა:

– როგორ გაბედეთ ჩვენთვის მყუდროება დაგერღვიათ!

მდელოზე უზარმაზარი, ყვითელ-ნაცრისფერ ფაფარაშლილი, წითელთვალება ლომი გამოვარდა და ვეება პირი იქამდე გაიღო, რის საშუალებასაც ბუნება აძლევდა.

– აბა, აბა, წყნარად, რა გაღრიალებს? – წყნარად, მშვიდად უპასუხა ბაბიმ, რომელიც დების წინ დადგა და შიშის ნატამალი არ ეტყობოდა. „ნეტავ, ახლა პეპი როგორ მოიქცეოდა? – გაიფიქრა მან.

– როგორ მიბედავ საცოდავო ბავშვო! – უკვე ქართულად იღრიალა ლომმა.

– ამან თუ ასე იღრიალა, მალე მთელი ჩვენი სოფელი ამ ჭაში მოიყრის თავს, – თქვა ბაბიმ და ლომს შეუტია, – წყნარად, შენი არ მეშინია. ამოდენა ხარ და პატარებს ჩაგრავ?!

– ჭკუას გასწავლი, – შესძახა ლომმა და კამარა შეკრა.

– იცოდე, ჩხუბი შენ დაიწყე! – მიუგო ბაბიმ და მანაც შეკრა კამარა, გავეშებულ ლომს ზურგზე მოახტა, ფაფარში ხელი ჩაავლო და ფეხისგულები მტკივნეულად მისცხო გვერდებში.

– აჩუ, აჩუ, ლომო, შე კუდმოსაჭრელო! ეს თუმცა ცხენზეა ნათქვამი, მაგრამ შენ რომელ ცხენს არ სჯობიხარ, – გაეხუმრა ბაბი და ხალხური სიმღერა „ხმალი მომეც და ხანჯალი“ – შემოსძახა, თუმცა სიმღერა არ ეხერხებოდა და რაც მარის ხავერდოვანი ხმით და სმენით ისიამოვნა აქაურმა ფლორა-ფაუნამ, ბაბიმ პირველივე „ჰანგებით“ გაუუფერულათ.

ლომმა, სულაც არ მიიჩნია საკუთარი მეფური ღირსების პატივის მიგებად ბაბის საქციელი და გაცეცხლებულმა ჯერ დაბლა იგორავა, მაგრამ სხარტი ბაბი ვერაფრით მოიშორა: მერე ცაში აფრინდა და ბოლოს ზღვაში ჩაყვინთა, თუმცა ამაოდ. ბაბი ისე კარგად გრძნობდა თავს, როგორც კუზი აქლემის ზურგზე.

– გამიშვი და აღარაფერს დაგიშავებთ, – ითხოვა ბოლოს.

– თუ მეგობრობა გინდა გაგიშვებ, თუ არადა, ათასი წელი ვიჯდები აქ, თავს უაღრესად კომფორტულად ვგრძნობ, – ჩასძახა გოგომ.

ჭკვიან ტატას ბაბისგან ლომის დამორჩილება ისე არ გაჰკვირვებია, როგორც დისგან წარმოთქმულმა სიტყვამ – „კომფორტულად“, გააოცა.

– ნურაფერი გიკვირს, – უთხრა ლომმა, რომელსაც გვიან, მაგრამ მაინც გაეხსნა გულთმისნობის ნიჭი, – ეს ის ქვეყანაა, სადაც ბევრი რამ სხვაგვარადაა. გამიშვი გოგო, – თავი მიაბრუნა უკან, – დღიდან მეფე რიჩარდი თქვენს მეგობრად იგულეთ!

ბაბიმ ისკუპა ლომის ზურგიდან, ხუთმაგი სალტო შეასრულა და დების წინ დაერჭო: – მართლაც, საოცარი ქვეყანაა, – თქვა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, – ზემოთ ოთხზე მეტს ვერ ვაკეთებდი. ძალიან მაგარი ყოფილხარ მეფეო, დამღალე!

ლომმა მეფურად შეიფერა ქება და იკითხა: – ვინ ხართ და როგორ მოხვდით აქ? – თან თათით მარჯვენა ფერდი ფრთხილად მოისინჯა და ბაბის ფეხებზე დააკვირდა და გაიფიქრა: „რკინებივით არ მირტყა, გვერდები ახლაც მიხურს!“

– მე ბაბი მქვია, ესენი ჩემი დები არიან – ტატა და მარი.

– ვინ მღეროდა?

– მე, – თქვა მორიდებით მარიმ.

– მომიახლოვდი გოგონა.

– იცოდე, ფოკუსების გარეშე, – გააფრთხილა ბაბიმ ლომი.

– მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ, – უპასუხა მეფემ. – რცხვენოდა წეღანდელი საქციელის, – მითხარი მარი, აქ რატომ ხართ?

– ბაბუს ვეძებთ.

– შეუძლებელია, – უპასუხა ლომმა, – თქვენ პირველები ხართ შორეული მიწიდან, ვინც აქ შემოდგა ფეხი.

– მინდა ყურადღება მიაპყროთ ბატონო რიჩარდ ამ პორტსიგარს, – წინ წამოვიდა ამდენ ხანს ჩუმად მყოფი ტატა, – ეს ზაბულონ ბაბუას საკუთრებაა და თქვენს სამფლობელოში ვიპოვეთ. თუ პირველები ჩვენ ვართ, როგორ მოხვდა ის აქ?

ლომი ჩაფიქრდა, დაიძაბა და პაუზის შემდეგ შესძახა:

– ხეებო, ფრინველებო, ბალახებო, ცხოველებო და ფრინველებო! ვის ეცოდინება სტუმრების ბაბუას შესახებ, ვის უნდა ვკითხოთ?

– სიოს! სიოს! სიოს! – პასუხად სამურად შეწყობილი ხმები გაისმა.

– როცა საჭიროა, მაშინ დაიკარგება ხოლმე, – ჩაიბუზღუნა ლომმა და გასძახა: – სიო, ახლავე გაჩნდი აქ!!!

ხე და ბუჩქი იმავე წამს აშრიალდა, ანარნარდნენ ყვავილები, ბუმბულ–ბალანი აუთრთოლდათ ფრინველ-ნადირთ და თითქოს ბალახებიდან, ხმაც გაისმა...

– გეახელით მბრძანებელო, ყველაფრისმცოდნე და ყოვლისმომცველი სიო. მე ვაღწევ იქ, სადაც ვერავინ შეჰყოფს ცხვირს და რა თქმა უნდა, საიდუმლოსაც გაგიმხელთ: ბაბუა ზაბულონი მოსაზღვრე ქვეყნის ურჩხულ, საშინელ და საზიზღარ ფრიდვენმუნას ჰყავს დატყვევებული და დილიდან საღამომდე აწამებს.

– შეჩერდი სიო, – ბრძანა მეფე-ლომმა, – სტუმრებთან ერთად სასახლეში მეწვიე და საუბარი იქ განვაგრძოთ! – შემდეგ გოგონებს მიუბრუნდა, – შვილებო, სასახლეში გეპატიჟებით, ოღონდაც შორს ვცხოვრობ და დიდხანს მოვუნდებით იქამდე მისვლას. ამიტომ უცნაური, მაგრამ საიმედო მეგობრის ზურგით მოგიწევთ მგზავრობა!

– თქვენი სტუმრები გახლავართ, – უპასუხა ტატამ, – ჩვენთან ამბობენ, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო...

– ვოლკ ვოლკოვიჩ, – ბრძანა მეფემ და ვეება რუხი მგელი გამოძვრა ბუჩქებიდან. ისე ფრთხილად და დაიაზებით მოდიოდა, ერთი ყვავილიც არ გაუთელია.

– გისმენთ და გემორჩილებით! – თქვა რუსულად და მეფის წინაშე დაყუნტდა, მერე კი მორცხვად თქვა იგივე ქართულად.

– ვოლკოვიჩ, ეს გოგოები შეისვი ზურგზე და სასახლეში მიაბრძანე. დღიდან ამათ ისევე დაემორჩილე, როგორც მე.

სიტყვა არ დაუმთავრებია და ბაბი მგელს უკვე ზურგზე შემოახტა, – წინ მე ვჯდები...

ვოლკმა თავი დაუკრა მბრძანებელს და მორჩილად მიუშვირა ზურგი ახალ მხედრებს... მერე კი ლამის გაფრინდა.

– ცოტა ნელა ბიჭო, ხომ ხედავ, ძლივს გეწევი, – მიაძახა ლომ-

მა, – ეტიკეტი დაიცავი.

მგელი გაჩერდა, მეფე გაუშვა და უკან მიჰყვა...

სასახლე ორი დიდი დარბაზისგან შედგებოდა. უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით იყო მოწყობილი. სტუმრებისთვის ხილ-ბოსტნეული მრგვალ, თორმეტსკამიან მაგიდაზე გაეწყოთ. სტუმრებმა მხოლოდ მათვის ნაცნობ ხილს გაუსინჯეს გემო და ზედ საგზლად წამოღებული პური და ყველი დააყოლეს. პურს გემო მეფემაც გაუსინჯა, ვოლკოვიჩმაც კი კეთილი მარის ხელიდან სოფიო ბებოს ამოყვანილ ყველს გაჰკრა კბილი. ლომმა სტუმრებს აქაური ბროწეულის მსგავსი ხილის წვენი შესთავაზა. თავად კი საზამთრო ოთხად გახეთქა და გემრიელად მიირთვა.

– პირველად ვხედავ და არც მსმენია, ლომი საზამთროს ჭამდეს, – გაეცინა ბაბის.

– ჰო, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ლომი არ არის, – უთხრა ტატამ.

– ჰა, ჰა, ჰა, მთლად ჩვეულებრივი მართლაც არ უნდა ვიყო მგონი, – ჩაიცინა მეფემ, – არც ჩემი სამეფოა ჩვეულებრივი. აქ ორი მზე ამოდის – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. აქ არასოდეს ღამდება და ამიტომ, მარადიული სინათლის და ორი მზის ქვეყანას უწოდებენ. ამას თვით ჩვენი ბოროტი მეზობელიც კი აღიარებს. განსაკუთრებული სინათლე აქ მაშინაა, როცა ორივე მზე შეიყრება და თუ სარკმელთან მისვლას ინებებთ, ახლაა სწორედ ამის დრო.

დებმა საოცარი რამ იხილეს: ცარგვალზე, ერთი გოჯის დადებაზე ორი მზე ეკიდა და თითქოს უცინოდნენ ერთურთს. როცა შეერთდნენ, ყოველივე საკვირველად გასხივოსნდა. ლურჯი ცა ოდნავ გაბაცდა, გაიცინა და ირგვლივ ყოველივე ამღერდა – ფრინველი, ცხოველი, ყვავილი, ხე და ბუჩქი... ამღერდნენ ჩვენი გოგოებიც და ამ ორკესტრში მარის ხმა პირველობდა, რომელიც ბუნების ამ დიდებულ ჰიმნს ისე მოუხდა, როგორც ღიმილი ტატას ულამაზეს სახეს.

– ეს, ეს საოცრება იყო, – თქვა ტატამ, როცა სასწაულმა გადაიარა.

– ო, ეს იყო ორმაგი სასწაული, გმადლობთ, ჩემო გოგონებო იმისათვის, რომ ასეთი სასწაული აჩუქეთ ჩემს ქვეშევრდომებს, – სიამოვნებით თქვა მეფემ, – მიიღეთ ჩემი ძვირფასი საჩუქარი, სტუმრებო!

და მაგიდაზე სამი უმშვენიერესი, ბრილიანტებიანი ოქროს გვირგვინი გაჩნდა მაგიდაზე.

– საჩუქრისთვის მადლობას გწირავთ, მბრძანებელო! – თავი დაუკრა ტატამ, – მაგრამ თქვენს უდიდებულესობას შეუძლია უფრო დიდი საჩუქარი გვიბოძოს.

– ჩემო შვილებო, თუ გნებავთ, სამეფოს გაგიყოფთ და ერთად ვმართოთ.

– არა, მეფეო! ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ჩვენი მშობლების და ბაბუას მოძებნაა.

– მეფურ სიტყვას გაძლევთ, ყველაფერს გავაკეთებ მათ დასაბრუნებლად!!! – დაიბუხუნა რიჩარდმა, – ა კაპელა, დაადგი გვირგვინები სტუმრებს.

საოცარი ფრინველი შემოფრინდა, ფარშევანგივით ათასფერბოლოიანი და თვალისდახამხამებაში დები ულამაზესი გვირგვინებით დაამშვენა. მერე ვოლკოვიჩის ზურგზე მოიკალათა.

– სიო, აქ ხარ? – იკითხა მეფემ.

– დიახ, ჩემო მბრძანებელო.

– მოყევი...

– დიდო მეფეო, ძვირფასო და საყვარელო სტუმრებო, – დაიწყო სიომ, – ბაბუა ზაბულონი ჩვენი ბოროტი მეზობელი ქვეყნის საზარელი მმართველის ფრიდვენმუნას ტყვეა.

– ეს უკვე გვითხარი, სხვა რა იცი?

– ანუ თქვენ, ძვირფასო საზოგადოებავ, გაინტერესებთ როგორ მოხვდა ღრმად პატივცემული ზაბულონი მათთან?

– მბრძანებელო, დაგვცინის მგონი – გაბრაზდა ვოლკოვიჩი, რომელიც ისევ რუსულზე გადავიდა.

– ანუ მდაბიურად მოგახსენოთ, უეტიკეტოდ? – გაუკვირდა სიოს, – სტუმრებთან და მბრძანებელთან ეს ყოვლად შეუწყნარებელი ამბავი იქნება.

– გვაღირსე და როგორც გინდა, ისე მოგვახსენე. მბრძანებელი არ გააბრაზო, – ქართულზე გადმოვიდა მგელი.

– ბატონი ბრძანდები, – დაეთანხმა სიო, – როგორც კი ზაბულონი სამეფოში შემოვიდა, ის საზიზღარი ურჩხული დახვდა კართან, მხრებში სწვდა და ზუსტად ისე გაიტაცა, როგორც ამათი მამა, რითაც კიდევ ერთხელ გადაგვიარა და შეგვარცხვინა.

– ჩემი ძალაუფლება, კართან არ ვრცელდება, – თავი იმართლა მეფემ, – აბა, ერთი გაბედოს იმ ყაჩაღმა და ჩვენს სამეფოში შემოჰყოს ცხვირი!

– მეტსაც გეტყვით, მბრძანებელო... რომ არა ამ პატარა გოგოს ნამღერი „ავე მარია“, ამათაც გაიტაცებდა, – სულმოუთქმელად თქვა სიომ.

– იმის თქმა გსურს, რომ სიმღერამ შეაჩერა ის ვერაგი? – იკითხა რიჩარდმა.

– არა მხოლოდ სიმღერამ მბრძანებელო, ეს ბავშვები თითქოს და რაღაც უხილავი გარსით არიან შემოსაზღვრული, ყოვლადძლიერით და შეუხებელით, – უპასუხა სიომ.

– არცერთი ჩვენთაგანი – ამოიოხრა რიჩარდმა, – ფრიდვენმუნას სამეფოსკენ მიმავალ გზაზე არათუ ნამყოფი არაა, არამედ არც კი ვიცით, არსებობს თუ არა მისასვლელი.

– მისასვლელი არის, მაგრამ რომ არ იყოს, სჯობს! – გამოეპასუხა სიო, – არც ფერი მაქვს, არც სუნი, არც სხეული, მაგრამ იქით გადასვლა, მეც კი მიჭირს... ვიდრე იმ ბოროტ ჯადოქართან მიაღწევ, შვიდი განსაცდელი უნდა გაიარო.

– ჩამოთვალე!

– მადროვეთ, – „რუკზაკს“ დასწვდა ტატა და უბნის წიგნაკი ამოიღო, – ჩავიწერ.

– ბოროტ და ხიფათით სავსე გზაზე პირველი დაბრკოლება ცეცხლოვანი ტბაა, – აშრიალდა სიო, – ყველაფერი ფერფლად იქცევა ტბის შეხებაზე. მასზე გადაფრენა კი მხოლოდ ფრიდვენმუნას შეუძლია, იმ სიგრძეა, თუმცა მეც იოლად გადავდივარ.

– ცეცხლოვანი ტბის შესახებ ზღაპარში წამიკითხავს და ვიცი,

როგორ გადავლახო, – თქვა ყურადღებად ქცეულმა ტატამ.

– მეც ვიცი, მეც ვიცი, – აჰყვნენ გოგონები.

– მაგრამ თქვენ არ იცით რა არის კლდეთა ჯახი, – ხმას დაუდაბლა სიომ, – ოო, ეს ურთულესი დაბრკოლებაა. გზა ორ კლდეს შორის გადის. კლდეები იღებიან და „ბახ“, ვიდრე ორამდე დაითვლი, ერთდებიან და დაკეტვისას ისეთი ძალით ეხეთქებიან, ირგვლივ ყველაფერი ზანზარებს.

– ესეც წაგვიკითხავს, გავივლით, გავივლით, – გაეხარდათ ბავშვებს.

– მესამე განსაცდელი ბრინჯაოს მხედარია. თუ გაგიმართლებთ და პირველ ორს გაივლით, თქვენს წინ დიდი მთა აღიმართება. მის წვერზე დგას ბრინჯაოს ცხენზე ამხედრებული, ხელში შუბი უჭირავს და აუცდენლად ისვრის. ისეთი ფხიზელი მზერა აქვს, ჩემი იქ ყოფნაც კი შეამჩნია და კარგა ხანს ატრიალა ის უზარმაზარი შუბი.

– ვიცი, როგორ ჩამოვაგდო, – გაეცინა ტატას. – ცოტა შრომა კი მოგვიწევს, მაგრამ გავივლით...

– ვთქვათ, მოხდა სასწაული და მასაც გავცდით. მთავარი მეოთხე განსაცდელია: უზარმაზარი ჭიშკრის წინ ვეება კურდღელი, კამეჩისტოლა მამალი და სპილოსოდენა მურა დათვი დგანან და შიმშილისგან გაცოფებული თვალებით ზვერავენ ყველაფერს.

– რატომ? – იკითხა ვოლკოვიჩმა. მართალია, ვეგეტარიანელი კი იყო, მაგრამ ვეება კურდღლის ხსენებაზე თითქოს ნოსტალგია მოეძალა.

– იმიტომ, ჩემო ჭკუით სავსე ვოლკოვიჩ, კურდღელს ხორცი რომ უდევს წინ, მამალს – სტაფილო და დათვს – საკენკი. თანაც, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ სამივენი მოკლე–მოკლე ჯაჭვებით საიმედოდ არიან დაბმულნი, თუმცა სამწუხაროდ, ჭიშკრის შესასვლელს აკონტროლებენ.

– არც ეს განსცადელი წარმოადგენს დიდ სირთულეს, – გაეცინა ისევ ტატას, – უხსოვარ დროში გადაულახავთ მოხერხებულ ადამიანებს.

– კარგი, მაგრამ მეხუთეს რაღას უშვრებით? თუ გვეღირსა იმ ჭიშკრის გაღება, უზარმაზარი ყვავილებიანი მდელო დაგვხვდება უზარმაზარი ბზიკებით. თითო ბზიკი არწივზე დიდია.

აქ კი ჩვენი ჭკვიანი ტატაც ჩაფიქრდა და თავი გადაიქნია, არ ვიციო.

– მაგათ მე მოვუვლი, – თქვა აქამდე ჩუმად მყოფმა მარიმ.

– როგორ? – იკითხა ყველამ.

– ეგ მე ვიცი, – გაიღიმა და არ გათქვა საიდუმლო მარიმ.

– აბა, გაგვივლია ხუთი დაბრკოლება და მეექვსესთან მისულვართ უკვე, – დამცინავად ჩაიქირქილა სიომ, – შემდეგ ჭიშკარში თეთრწვერა, სათნო შესახედაობის მოხუცი დაგხვდებათ. მისმა თბილმა ღიმილმა არ მოგატყუოთ. ის შეკითხვას დაგისვამთ და თუ უპასუხებთ სწორად, კარს გაგიღებთ და გაქრება. თუ არადა, ისეთ ურჩხულად იქცევა, ფრიდვენმუნაც კი, მასთან შედარებით, ულამაზეს პრინცესად მოგეჩვენებათ. ერთი ტაშის შემოკვრის დროში გაგთოკავთ და ბაბუათქვენის გვერდით მიგაჯაჭვავთ.

– სიო, ბაბუ სად არის? რა იცი, მიჯაჭვულია თუ არა? – აწრიალდნენ გოგონები.

– დამშვიდდით, კარგი, კარგი, გეტყვით. ერთი იქაური კოღო მყავს დაძმობილებული და რაღაცეებს მეუბნება ხოლმე, – თქვა სიომ.

– გეყოფათ, ცრემლების ფრქვევა, – დაუტატანა ბაბიმ დებს, – ბატონო სიო, – ვთქვათ და გავცდით ამ მოხუცს, – მერე? „აბა, რამე გაბედოს, გვერდებს დავამტვრევ მაგ ურჩხულს“, – გაიფიქრა ბაბიმ.

– თქვენს წინაშე სიპი კლდე აღიმართება, – ალერსიანად თქვა ნასიამოვნებმა სიომ. მას ხომ დღეს პირველად უწოდეს „ბატონი“. „მაინც რა კარგად ჟღერს, ბატონო სიო“, – გაიფიქრა და ხმამაღლა განაგრძო: – ამ კლდის იქით არც მე ვყოფილვარ. თვით ბოროტი ფრიდვენმუნაც კი რაღაც სიტყვებს ბუტბუტებს და ასე ხსნის შესასვლელს.

– „სეზამ გაიღეს“ ხომ არ ამბობს, – იკითხეს გოგოებმა.

– კარგით რა, ეგ „სეზამ გაიღე“ ყველამ იცის ახლა, – ჩაიქირქილა სიომ.

– იქამდე მივიდეთ, მერე მოვახერხებთ რამეს, – თქვა მეფემ.

– როგორ მეფეო, თქვენც აპირებთ წამობრძანებას? – ერთხმად იკითხეს.

– ეჭვიც არ შეგეპაროთ. ჩემს ძვირფას მეგობრებს განსაცდელში დავტოვებ? ეს არ შეეფერება არც ჩემს ხასიათს და არც ჩემს მეფურ ღირსებას.

– გმადლობთ მეფეო, – თავი დაუკრეს გოგონებმა.

– თავად ფრიდვენმუნა რას წარმოადგენს? – იკითხა ტატამ.

– ორსახოვანი არსებაა. უზარმაზარი სიმაღლის და სიგანის. დარბის, დაფრინავს, წარმოუდგენელი ძალის და ჯადოსნობის პატრონია. როგორც ჩემი უფროსი ძმა ქარბორბალა ამბობს, ამ ურჩხულს მესამე, უხილავი სახეც აქვს და სწორედ იმაშია მთელი მისი ძალა. ვინც ამოხსნის ამ მესამე სახის საიდუმლოს, ის შესძლებს ურჩხულის დამარცხებას!

– ვერაფერს იტყვი, დიდი ფათერაკების გადალახვის შემდეგ, ასეთ „სასიამოვნო“ მასპინძელთან შეხვედრა, ნამდვილად შესაფერისი ფინალია, – თქვა რიჩარდმა, – სტუმრებო, ახლა დაისვენეთ, გამოიძინეთ, ძალა მოიკრიბეთ და გზას გავუდგეთ.

– დიდო ხელმწიფევ, – წამოდგა ტატა, – ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ბავშვები არასოდეს ვიღლებით. მით უმეტეს, ასეთი დიდი მოგზაურობის წინ, რაც ჩვენი უსაყვარლესი ადამიანების ბედთან არის დაკავშირებული. ეს ჩვენს მოუთმენლობას ზრდის. უკაცრავად, რომ სიტყვას გიბრუნებთ, მაგრამ თუ თქვენი სახელმწიფოს აურაცხელი საქმეებისგან თავისუფალი დრო გაქვთ და ჩვენთან ერთად წამობრძანება ახლავე შეგიძლიათ, დროს ნუღარ დავკარგავთ. ჩვენ ვერ მოვისვენებთ, ვიდრე ბაბუ ამ ყოფაშია.

– მოხიბლული ვარ შენი სიბრძნით და შენი დების არაჩვეულებრივი განათლებითა და უნარებით, ბედნიერია ბაბუა ზაბულონი. ვისაც ასეთი შთამომავლობა ჰყავს, არ შეიძლება არ გადარჩეს და ბედნიერი არ იყოს. თქვენთან ერთად ყოფნა ამ კე-

თილშობილურ საქმეში, ჩემთვის დიდი პატივია, – პათეტიკურად თქვა რიჩარდმა და პირველმა დატოვა სათათბირო დარბაზი...

სამეფოს საზღვრამდე გოგონები ვოლკოვიჩმა მიიყვანა, ა კაპელა ლომს აჯდა მხარზე და ზოგჯერ თუ აფრინდებოდა, რადგან სუსტი ფრთები დიდხანს ფრენის საშუალებას არ აძლევდა. მოუსვენარი ჩიტი კი იყო, სულ ცმუკავდა, ზოგჯერ მარის დააფრინდებოდა ბეჭზე და რაღაცას ჩაჩურჩულებდა. მზვერავი სიო კი თავის არსებობას სტვენით შეახსენებდათ. საზღვრის სიახლოვე კი თანდათან იგრძნობოდა. ოდნავ აგრილდა და სინათლემაც იკლო. დედამიწაზე მზე რომ ჩასვლას იწყებს, ცას ისეთი ფერი დაედო, წინ მიმავალი მეფე უცებ შედგა:

– საიდან გაჩნდი აქ, კინაღამ გაგსრისე, – შესძახა მან თეთრ, ფითქინა კურდღელს, რომელიც კარგა მოზრდილი ბურვაკისხელა იქნებოდა:

– მერსი! სულგრძელად მაპატიეთ მბრძანებელო, – ფრანგულად უპასუხა კურდღელმა, – მერსი, რუსო ვოლკოვიჩ! ხომ მაპატიეთ ა კაპელა? მერსი, ძვირფასო სტუმრებო, – ზრდილობიანი, კულტურული ყურცქვიტა ჩანდა.

– ეს ზრდილობის და წესიერების ეტალონი, ჩემი ქვეშევრდომია, სახელად მერსი, – გააცნო სტუმრებს მეფემ, – მაგრამ აქ როგორ გაჩნდა?

– დიდი ბოდიშის მოხდით, ერთ რამეს გაგიბედავთ მბრძანებელო.

– თქვი მერსი.

– თუ ნებას მომცემთ, მეც შემოგიერთდებით თქვენს ექსპედიციაში.

– ნებას გაძლევ, – ბრძანა ლომმა.

– მარტო არ გახლავართ მბრძანებელო, – თქვა მერსიმ და იელის მაგვარი ბუჩქიდან გრძელკუდა, მოუსვენართვალებიანი მელა გამოცანცალდა, რომელსაც კისერზე წრუწუნა აჯდა.

– ოჰო, – გაისმა სიოს ქირქილი, – ახლა კი ერთის მაგივრად, ცხრა ფრიდვენმუნას დავამარცხებთ. ეს რა ვაჟკაცები შემოგვემატნენ.

– ხომ მივხვდი, თქვე ბრიყვებო, – უთხრა მელამ თაგვს და კურდღელს, – მბრძანებელი ბოროტი ჯადოქრის დასასჯელად მიემგზავრება-მეთქი.

მერე მელა სტუმრებს მიუახლოვდა და გაეცნო:

– გერმანელი მელა, სახელად რაინეკე.

– თქვენ ვინ არ გიცნობთ, ბატონო რაინეკე, – მიესალმა ტატაც, – გოეთემ აღწერა თქვენი ცხოვრება.

– ყოჩაღ, ჩემო გოგონა, კარგია, რომ სახელი შორს მაქვს გავარდნილი. თქვენ კი, ჩემო მბრძანებელო, ნუთუ უჩემოდ აპირებდით ასეთ რთულ ბრძოლაში ჩაბმას?

– მიხარია, რომ შემოგვიერთდი, – შეაქო ლომმა, რითაც მობოდიშებას აარიდა თავი ქვეშევრდომებისა და სტუმრების წინაშე.

– მე მიკი ვარ, – პაწაწინა ქუდი მოიხადა წრუწუნამ და თავი დაუკრა.

– ბრიყვო, მეფეს მელაზე ამხედრებული ეახელი? – შეუბღვირა რუხმა მგელმა.

თაგვი მსწრაფლ ჩამოხტა რაინეკეს ზურგიდან, თუმცა ვოლკოვიჩი უპასუხოდ არ დაუტოვებია: – აგერ ა კაპელა მთლად თავზე აზის მბრძანებელს და ვიფიქრე, კონსტიტუციაში რამე ცვლილება იყო შეტანილი.

– გიცნობთ მიკი, შენ ხომ ჩვენი საყვარელი მიკი მაუსი ხარ, – გაუცინა მარიმ და მხარზე დაისვა.

– მეც მიყვარხარ მიკი და მერე მეც დამაჯექი მხარზე, – სთხოვა ბაბიმ.

ნასიამოვნებმა მიკი მაუსმა მალაყი გაჭიმა მარის მხარზე და „ვაშა“ დასძახა.

– შევჩერდეთ ამაღამ აქ, იმ ბუჩქებს იქით სასაზღვრო სახლი მაქვს. ხედავთ, საზღვრის იქეთ უკვე ღამდება, გზას დილით გავაგრძელებთ, – ბრძანა მეფემ.

როცა ბოროტი ფრიდვენმუნას სამფლობელოშიც ინათა, მეფემ და მისმა რაზმმა საზღვარი გადალახეს. რამდენადაც ლამაზი და ედემის ბაღი იყო ორი მზის ქვეყანა, იმდენად გაუ-

ვალი, იდუმალებით მოსილი, შავი ეკალბარდით იყო დაფარული ეს ადგილები. მრავალი საათი იარეს. მეფე რიჩარდი ასფალტის დამგები მანქანასავით მიუძღოდათ წინ და გზას ასუფთავებდა. გვარიანად დაღლილნი მიადგნენ ცეცხლოვან ტბას, რომელსაც სიკვდილის ტბას უწოდებდა სიო. ცხელი ოხშივარი ასდიოდა იქაურობას, შავი კვამლი ბურავდა ნაწილ-ნაწილ და ცეცხლიც ეკიდა ალაგ-ალაგ.

– ეხ, რა საშინელებაა! – თქვა მეფემ, – როგორ დუღს და ყარს აქაურობა.

– ჩვენს შორის ერთი ვიღაც ამბობდა, – ჩაიქირქილა ონავარმა სიომ, – ცეცხლოვანი ტბის შესახებ ზღაპარში წამიკითხავს და იოლად გადავლახავო.

– მე ვამბობდი და ახლავე ვუჩვენებ სეირს, – ჩაიცინა ტატამ და რუკზაკიდან საგზლად წამოღებული საკუთარი ჭის წყლით სავსე ბოთლი ამოიღო, საცობი მოაძრო, ცოტა მოსვა, ტბას ფრთხილად მიუახლოვდა და ცოტაოდენი წყალი შიგ ჩაასხა. ტბამ თითქოს დაიკვნესა, ოხშივარს მოუმატა, მერე ცეცხლის ალში გაეხვია და უკვალოდ გაქრა.

რაზმელებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს.

– რა ჩაასხი წყალში, – დაინტერესდა რაინეკე.

– ჩვეულებრივი, სასმელი წყალი H_2O– თქვა ტატამ და ხმას აუწია, – სიო, არც ახლა გჯერა ჩვენი?

– მჯერა, მჯერა, სულ მჯეროდა, სულ მჯეროდა. მაპატიეთ დაცინვა. ერთი უვიცი, ველ-მინდვრებზე გაზრდილი, უსწავლელი ვინმე ვარ. ყველა შეცდომას გამოვასწორებ.

– გეყოფა, – უბრძანა რიჩარდმა, – კონფლიქტი, რომელიც არც ყოფილა, ამოწურულია.

ყოფილი ტბა გადალახეს თუ არა, წინ დიდი სალი კლდეების გაუვალი კედელი აღიმართა.

– მგონი მოვედით, – თქვა გულნატკენმა ვოლკოვიჩმა, – ამის იქით წასვლა შეუძლებელია.

რაინეკემ კარგა ხანს ისუნსულა, მანამდე მიყნოს-მოყნოსა კლდის პირი, სანამდე მისწვდა, მაგრამ ვერაფერი გაარკვია.

– ა, ახლა მოხდება ის, რაც სასახლეში გითხარით. რაინეკე, მოშორდი მაქედან, – გააფრთხილა სიომ და მართლაც, კლდე თითქოს შუაზე გაიყო სულ ერთი წამით და „ჯახ“, ასეთი ძალით შეერთდა, სულ ნაპერწკლები ჰყარა, ხმა კი მართლაც ზარდამცემი ჰქონდა.

– მერსი, ბატონებო და ქალბატონებო, მაგრამ აქ გავლას არ გირჩევთ ჩემი მოკრძალებული ჭკუით, – თქვა კურდღელმა.

– ფოთოლივით დაგვაბრტყელებს, – დაეთანხმა მიკი, – მეც კი ვერ მოვასწრებ გასხლტომას.

– ტატა, ახლა მე გავაკვირვებ ჩვენს მეგობრებს, – გაიცინა ბაბიმ და კლდეს მიუახლოვდა. თმის ღერი გამოიძრო და გაირინდა. როგორც კი პირი დააღო, თმის ღერი ხელის გრაციოზული მოძრაობით კლდის ნაპრალში შეაგდო და გააშეშა.

– ჩქარა, – მომყევით, – იყვირა და პირველმა თავად გაიარა. ის იყო ლომიც გასცდა ნაპრალს (ის ბოლოს გავიდა), რომ ისეთი ზათქით შეერთდა, თითქოს გაბრაზდა, როგორ დამისხლტა მთელი რაზმიო. გამარჯვებულნი კი სიხარულის ეიფორიაში ჩავარდნენ და ცეკვა–სიმღერა გააჩაღეს. ის კი არა, თვით ღირსეული მეფეც კი აროკდა მათთან ერთად და გამარჯვება ისეთი ღრიალით აღნიშნა, კლდის შემდგომი ზათქი არავის გაუგონია. სიხარული ბრინჯაოს მხედარმა გაუნელათ, რომელიც მთის ყვითელ მწვერვალზე სოლივით ერჭო უზარმაზარ ცხენზე ამხედრებული და მზერაგაყინულ თვალებიან თავს 360 გრადუსით ატრიალებდა და მარჯვენაში შემართული შუბით სამიზნეს ეძებდა.

– ფრთხილად, დაწექით და არ გაინძრეთ, – ასისინდა სიო, თუმცა გაფრთხილება საჭირო არ იყო, ყველანი საიმედოდ იყვნენ გართხმულნი.

– ტატა, ახლა რა ვქნათ? – იკითხა მეფემ.

– სიო, ჩემგან მარჯვნივ გამხმარი, შავი ხე მიპოვე, – ჩურჩულებდა ტატა.

– აქვეა, სამ ნაბიჯზე.

ტატამ გაიხედა და დაინახა ხე, რომელსაც ძალამოკრებილ-

მა სიომ წკირი მიამტვრია. გოგო იქეთ გაცოცდა, რუკზაკიდან დანა ამოიღო და თხრა დაიწყო ხის ძირში. უჭირდა ტატას, ეს მისთვის ძალიან მძიმე სამუშაო იყო, თუმცა მალევე დაეხმარნენ. პირველი რაინეკე მიცოცდა და ისე გამალებით აამუშავა ოთხივე ფეხი, ვეება თხრილი გააჩინა, ვოლკოვიჩი შიგ ჩახტა და იქედან დიდი სპილენძის მშვილდით ამოვიდა.

– ასეც ვიცოდი, – თქვა ტატამ და თხრილი ყურადღებით მოათვალიერა.

– უკაცრავად და ამას ხომ არ ეძებთ? – იკითხა მელამ და თხრილის გვერდით დაგდებული სპილენძის ისარი აჩვენა.

– სწორედ ამას! – გაიხარა ტატამ და თუმცა ძალიან მძიმე იყო, მაინც შეძლო მშვილდზე ისრის მორგება. თითქმის დაუმიზნებლად გაისროლა და გაოცებული მეგობრების თვალწინ სპილენძის მხედარი გაქრა.

– ვაშაა! – კიდევ ერთი გამარჯვების ყიჟინა დასცეს.

გზა უფრო მეტი შემართებით და ხალისით გააგრძელეს, თუმცა ახალი წინაღობა მსწრაფლ აღიმართა მათ წინ.

უზარმაზარ, მასიურ შავ ჭიშკარს მიადგნენ. საოცარი სანახაობა კი იყო. მოზრდილ ხბოსხელა კურდღელს წინ ხორცის ვეება ნაჭრები ეწყო: კამეჩისტოლა, რატომღაც სალათისფერ დეზებიან მამალს – სტაფილო და სპილოსოდენა, შიმშილისგან ლამის გაცოფებულ მურა დათვს – საკენკი ეყარა ვეება თასში. სულიერების დანახვაზე წამოიქოჩრნენ და რომ არა რკინის სოლებზე მიმაგრებული ჯაჭვები, რითაც საიმედოდ დაება ვიღაცას, ჩვენს გმირებს ცუდი დღე დაადგებოდათ.

– ძვირფასო ბიძაშვილო, ხომ კარგად ბრძანდებით? – მიესალმა ზრდილობიანი მერსი კურდღელს, – ასეთი რა დააშავეთ, რომ დაგაბეს. დიდად ვწუხვარ ამის გამო.

– იქნებ ახლოს მობრძანდეთ ბიძაშვილო, რომ მოგეხვიოთ, – არ ჩამორჩა მერსის ზრდილობაში დამხდური და ჩვენმა ყურცქვიტამაც გადაწყვიტა „ნათესავს“ ჩახუტებოდა.

– ფეხი არ მოიცვალო, – უბრძანა მეფემ.

მერსი ადგილზე გაშეშდა და ზედმეტად ზრდილობიანი კუ-

რდღელი რომ არ ყოფილიყო, წყენას ხმამაღლა გამოხატავდა.

– ჰა, შეგეშინდა? ერთი, მართლა მოსულიყავი ახლოს და მერე ნახავდი რა დღეშიც ჩაგაგდებდი, – გამოსძახა ადგილობრივმა კურდღელმა.

– ერთი ამას უყურე! – შესძახა უშიშარმა ბაბიმ, – კურდღელია თუ კუზიანი კვიცი? რა, გშიათ, თქვე საცოდავებო?!

ბაბი დატრიალდა, ხორცი კურდღელს ააცალა და დათვს მიართვა, დათვის საკენკი მამალს და სტაფილო კურდღელს ჩამოურიგა. დიდი სმა–ჭამა გაიმართა ორივე სუფრაზე. მასპინძლებს ხომ შიმშილისგან ქანცი ჰქონდათ გაცლილი და მიეძალნენ თავიანთ ულუფებს. ჩვენს მეგობრებსაც კარგა მაგრა მოშიებოდათ დამღლელი გზის შემდეგ. როცა ორივე მხარე მორჩა ნადიმს, რიჩარდმა დამხვდურთ მიმართა: – იმედია, დაბრკოლებას აღარ შეგვიქმნით.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და სულ გამარჯვებით გევლოთ, – სამ ხმაში უპასუხეს მოსულიერებულებმა და გზა დაუთმეს.

– არ შემოუშვათ, არ შემოუშვათ, – დიდი, ვერტმფრენისხელა ყვავი მოფრინდა ჩხავილით. მურა დათვმა უზარმაზარ ძვალს წამოავლო თათი და ყვავს ისე სწრაფად სტყორცნა, მან აცილება ვეღარ მოასწრო და თქვენი ჭირი წაიღო.

– საუკუნეა ასეთ ტანჯვაში ვყავდით ბოროტ ჯადოქარს. ძლივს ერთი ნორმალური დღე გვეღირსა. კეთილი იყოს დიდო მეფეო რიჩარდ, შენი და შენი მეგობრების ფეხი ჩვენი უბედურების სამეფოში. თუ ამ ჯაჭვებისგან აგვხსნით, დაგეხმარებით.

– დიდი მადლობა მეგობრებო, გზა რომ დაგვითმეთ, მაგრამ ახლა ძალიან გვეჩქარება, დაბრუნებისას გაგათავისუფლებთ. აბა ჰე, რას უდგახარ, წავედით! – ბრძანა ლომმა.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, მერსიმ მბრძანებელს შეჰკადრა:

– თქვენთვის სიტყვის შებრუნებას რა მრჯის, ჩემო მბრძანებელო, მაგრამ, რატომ არ გაათავისუფლეთ ისინი?!

– ნუ დაივიწყებ, ჩემო საყვარელო მერსი და ნურც თქვენ, ჩემო მეგობრებო: ჩვენ ბოროტების და მუხთლების ქვეყანაში ვიმყოფებით. აქაურობის თვალში კეთილს და ბოროტს ერთი ფასი აქვს. მათ გაგვატარეს იმიტომ, რომ შიოდათ და გავაძღეთ. როგორც კი მოშივდებოდათ, მაშინვე გვიღალატებდნენ, ხომ დაინახეთ, როგორ გაწირეს თავისივე თანამოძმე ყვავი?

დიდ, ლამაზ, მზით განათებულ, უზარმაზარი ყვავილებით დამშვენებულ ველზე გავიდნენ, თუმცა ყვავილთ არც საამო სურნელი ასდიოდათ და არც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდათ... და უცებ მოფრინდნენ, მაგრამ რა მოფრინდნენ: უზარმაზარი, ლამის ინდაურისხელა ბზიკები, უზარმაზარი ნესტრებით. საშველი აღარ ჩანდა.

...ჩვენი მარი, უსაყვარლესი და ულამაზესი მარი ამაყად თავაწეული გამოეყო მეგობრებს და შესძახა: ის, ვინც იონა არ მიატოვა ვეშაპის მუცელში, არც აქ, ბოროტების ველზე მიატოვებს თავის გაჩენილს!

„რომლის იმედი გვაქვს, რომ კვლავაც გვიხსნას (2 კორინთ. 1,10).

1. ღმერთო, მაღალო, შენ შემეწიე, გარდმომივლინე მე შენი ძალა, შენს სწორ გზაზე რომ მიმითითე, შემაძლებინე მე იმ გზით გავლა;

2. ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება, შემმოსე ძალით სულიწმიდისა, შენი შვილი ვარ, მაქვს სასოება, მომეცი ჯილდო სიყვარულისა;

3. მე ჩემი თავის არ მაქვს იმედი, სუსტი ვარ ვიცი, ვერ ძალმიძს ბრძოლა, მწამს, არ დამტოვებ და შენს სამსახურს შემაძლებინეს მე შენივ ძალა.

ეს თქვა და ღვთის ისეთი სადიდებელი იგალობა, მთელი ველი გააცოცხლა, აახმაურა, ფერი აცვლევინა, ნაკადულები ააჩუხჩუხა, ყვავილები გააცოცხლა და გაასურნელა, ვეება, ბოროტი ბზიკები, პატარა, მშრომელ ფუტკრებად აქცია. ობოლი გოგოს სიმღერას აჰყვა ყველა და ყველაფერი, დამხვდურიც და მოსულიც. ველის ბოლოში კიდევ ერთი დიდი ჭიშკარი და-

ხვდათ თეთრწვერა, სათნო და სანდო შესახედაობის კაცით. სიოს თქმით, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ამ გზაზე და სინამდვილეში, ეს მოხუცი საშინელი ურჩხული იყო.

– თქვენი არათუ გზის გაგრძელება, სიცოცხლეც კი დამოკიდებულია იმ პასუხზე, რომელიც ჩემს კითხვას უნდა გასცეთ. თუ სწორად მიპასუხებთ, დაუბრკოლებლად გაგატარებთ, თუ არადა, გაჩვენებთ, რა შემიძლია...

– მიდი მოხუცო და შენ არავინ გკითხავს, რაზეა დამოკიდებული ჩვენი ყოფნა-არაყოფნა, – გაბრაზდა რიჩარდი.

– მართალია, – დააწკრიალა ბაბიმ, – ასეთი ამბები სულ სხვა ადგილას და სულ სხვისმიერ წყდება.

– აბა, თქვენში ყველაზე ჭკვიანმა მიპასუხოს, მკვდრები უფრო მეტნი არიან ამქვეყნად, თუ ცოცხალნი?

დუმილი ჩამოვარდა...

– ტატა, ნუთუ არც შენ იცი პასუხი? – გაუკვირდა ლომს.

– პასუხი იმდენად მარტივი და იოლია, რომ მეგონა, ვინმე დამასწრებდა, – გაეცინა ტატას და მოხუცს მიუბრუნდა:

– ეს შეკითხვა თავის დროზე, ალექსანდრე მაკედონელმა დაუსვა ერთ–ერთ სოფისტს და მან უპასუხა: ცოცხლები, მეფევ, რადგან მკვდარნი არღა არიან!

– აი, ეგრე, – გაეხარდა ბაბის, – აბა, გააღე, დაგვნებდი, ბებერო!

მოხუცი გაშეშდა, ნათელი ბნელად ექცა სახეზე, მაგრამ ჭიშკარი გააღო და უცებ „ბუჰ“, გასკდა და გაქრა.

გამარჯვებულებმა ჭიშკარი გაიარეს. ვინაიდან დაღამდა და დაღლაც დაეტყოთ, კარავი გაშალეს, გუშაგებად რაინეკე და ფრთხილი მერსი დადგნენ. მიკის მალე გაეღვიძა, წამოხტა, გაძვრა-გამოძვრა, იქაურობა დაზვერა და სისხამზე გაღვიძებულთ, ცუდი ამბავი აუწყა: – წინ გაუვალი კლდეა და მისი გადალახვის შანსი არ გვაქვს!..

– ვიცით, სიომ გამომგზავრებამდე აღგვიწერა ის ადგილი, – უთხრა ვოლკოვიჩმა და ზურგზე გოგოებით, წინ წასულ მეფეს აედევნა. მიკი ახლა ბაბის დააჯდა მხარზე, რითაც ძალიან გაა-

ხარა. ბევრი არ უვლიათ, გზა კედელმა გადაუღობათ.

– მთა არ ყოფილა, კედელია, – გაუკვირდა მიკის.

– ამის იქით რა ხდება, მეც არ ვიცი, – აშრიალდა სიო, – ის ჯოჯო ფრიდვენმუნაც კი რაღაც სიტყვებს იძახის და იმით აღებს ამ კედელს. ჩემი აზრით, ეს არის მისი სასახლის ბოლო ზღუდე.

– ყველაზე რთული ამოცანაა, – ჩაფიქრდა ლომი, – როგორ უნდა გამოვიცნოთ? ის ჯოჯოც გარეთ აღარ გამოვა, ალბათ იცის, აქ რომ ვართ და დაგვცინის.

სამი დღე და ღამე გავიდა, ვერაფერი მოიფიქრეს. ბაბიმ მუშტებიც კი დაუშინა კედელს. არც სიმაღლეში და არც სიგანეში კედელს დასასრული არ ჰქონდა.

– საშველი არ არის, ჩვენ კი მხოლოდ ორიოდე დღე დაგვრჩა აქ ყოფნის, – დანანებით ჩაილაპარაკა ტატამ.

– რატომ, შვილო? – იკითხა ლომმა.

– ბებოს ერთ კვირაში დაბრუნება აღვუთქვით და სიტყვას ვერ გავტეხთ, გული გაუსკდება.

– თქვენთან ვარ, ჩემო სულიერო შვილებო, – გაისმა მამა სპირიდონის მჭექარე ხმა და გოგონები საყვარელ მოძღვარს მხიარული ყიჟინით მიესივნენ.

– ჩვენი მოძღვარი და სულიერი მამა, მღვდელი სპირიდონი! – გააცნო მარიმ ახალ მეგობრებს, – ახლა კი გვეშველა.

დამხვდურებმა მამაოს თავი დაუკრეს, თუმცა ეჭვი შეეპარათ მის სიძლიერეში.

– შენგან მიკვირს, ჩემო მარი, – გაუღიმა, – ნუთუ ვერაფერი მოიფიქრე?

– ვერა, მამაო, სიგრძეს და სიმაღლეს სიოც კი ვერ სწვდება.

– მაგრამ, ხომ არსებობს განზომილების სხვა ფორმაც?

– არსებობს, მამაო, – შეჰყვირა მკვირცხლმა ბარბიმ და ხელებით დაიწყო თხრა კედლის ქვემოთ.

იხუვლა ყველამ და კედელს მიეხვია. მეფე თავის ვეება ტორებს ბულდოზერივით ამუშავებდა და მეორე დილამდე ლამის 50 მეტრ სიღრმეს უწიეს. კედლის საძირკვლამდე მაინც ვერ ჩავიდნენ.

– დავმარცხდით, მამაო! – ცრემლების ყლაპვით თქვეს გოგოებმა.

– ან დღეს, ან არასოდეს! – თქვა ჩაფიქრებულმა ტატამ, რომელსაც თანდათან გაუბრწყინდა თვალები, საიდანაც ღაპა-ღუპით სცვიოდა მსხვილი ცრემლები. თვალები მოიწმინდა და ცრემლიანი ხელი კედელს შეახო. კლდე შეტორტმანდა, შექანდა და ქვიშასავით ჩამოიშალა.

– ღმერთო ჩემო, დიდებულო! – წარმოთქვა სპირიდონმა, – ტყუილად არ უთქვამთ, ობლის ცრემლი უკვალოდ არ ქრებაო, სიპ კლდეზე ძლიერიაო.

გზა განაგრძეს ხავსში და ნისლში და პირდაპირ მდიდრულ სასახლეში შევიდნენ, იქაურობა ოქრო-ვერცხლის ფერებში ელავდა. რაინეკემ ხან სად წაჰყო ცხვირი და ხან – სად. არც კურდღელი და სხვები იდგნენ უქმად, მაგრად იხალისეს, მაგრამ აჰა, კედლები შეინძრა, იქუხა და იგრგვინა, თუმცა ასეთ რაღაცეებს შეჩვეულნი იყვნენ და არ შეშინებიათ. დარბაზის შუაში ის საშინელი ურჩხული ჩამოდგა, რომელთან შეხვედრა სანატრელად ჰქონდათ გადაქცეული.

– კარგად შემომხედეთ, – გვირაბიდან გამოსული ელმავლის კივილი რომ ათასჯერ გავაძლიეროთ, ისეთი ხმით დასჭყივლა, – დღეს უკანასკნელად მხედავთ.

არადა, მის შეხედვას არაფერი სჯობდა! ვეება, ასკოკიანი კასრივით ეყუდა, უზარმაზარი ბანჯგვლიანი ფეხებით და თათებით! უკისრო თავს წრიულად ატრიალებდა და მოსულები განსაკუთრებით იმან გააკვირვა, რომ ფრიდვენმუნას ორი სახე ჰქონდა: წინ ქალის და კეფაზე – კაცის. ქალის სახე დაჭმუჭნულ-დაღმეჭილი, ღარებიანი იყო ტორფის ჭაობისფერი თვალებით, მეორე სახე კი ოდნავ სიმპატიურადაც კი მოეჩვენებოდა ნეიტრალურ მნახველს: თითქმის წაბლისფერი თმა ეყარა დაბალ შუბლზე, რომელიც მოუსვენარი, გველისფერი თვალებით მთავრდებოდა. სახეები ერთნაირი ხმით ლაპარკობდნენ, ოღონდ ქალის სახე უფროსობდა.

– თქვენ, ორი მზის ქვეყნის საცოდავ მეფეს და მის ამალას,

ამხელა გზა რისთვის გამოგივლიათ?

– იმისთვის, რომ აქ ნახონ აღსასრული, – სიტყვა ჩამოართვა კაცის სახემ.

აქ კი მოულოდნელი რამ მოხდა. მოუსვენარ და ხიფათიან მიკის მოსწყინდა ურჩხულის წინაშე დგომა და ფეხზე შეახტა, მერე ზემოთ აურბინა და თავზე მოექცა და ისეთი „ჩეჩოტკა“ გააჩაღა იქ, ჯოჯომ ორივე თათი თავში ჩაიშინა, მაგრამ ამაოდ – ვერც თაგუნა მოიხელთა და ვერც ცეკვა-თამაში შეაწყვეტინა. ამან მიკი უფრო გაამხიარულა:

– აი, მესმის დოლი. მიდი, მიდი, ცოტა ჩქარა, ტემპში, ვითომ ტამტამებზე უკრავ.

ურჩხულმა საუბრის და დაცინვის ხალისი აშკარად დაკარგა. აბეზარის მოსაშორებლად წარმოუდგენელი ხტომა-კოტრიალი გაიმართა, თუმცა ამაოდ.

რიჩარდი, რომელსაც ომის ხელოვნება ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, შიგ მუცელში ეძგერა, თუმცა გინდ სიპ კლდეს დატაკებიხარ და გინდ – ფრიდვენმუნას. მეფე ჯოჯომ ბურთივით აისხლიტა, ახლა ვოლკოვიჩი და რაინეკეც ჩაერთნენ ბრძოლაში და აქეთ-იქით ფეხებში სწვდნენ. ჯოჯოს, მეფის მოგერიებით მოგვრილი სიხარული გაუნელდა. როგორი საქმეა, ფეხებში გკბენდნენ და ერთი თავზე დავლურს გივლიდეს?! ამას ისიც დაერთო, რომ გამხიარულებულმა მარიმ სიმღერა-ცეკვა „ტაში ბიჭო გიორგუნა!“ შემოსძახა. ა კაპელაც აიყოლა და დაღლილი მიკიც ახალი ძალით აცეკვდა. ეს სახელდახელო კონცერტი ურჩხულს არ მოეწონა, აქ კი კურდღელიც ჩაერთო საქმეში და ურჩხულს მიმართა:

– მერსი, ქალბატონო თუ ბატონო ურჩხულო, ხომ არაფერი გატკინეს ჩემმა მეგობრებმა, თქვენო უსაზიზღრესობავ?! უკაცრავად ვარ და იმედია, მაპატიებთ ამ შეკითხვას. დღეს ჩაძაღლებას ხომ არ აპირებთ?

ამდენმა თავს დამტყდარმა უბედურებამ ურჩხული მთლად გადარია, შეურაცხყოფდნენ და მერე სად? საკუთარ სასახლეში! თუმცა მისი მდგომარეობა მაშინ გახდა უიმედო, როცა

საქმეში სიო ჩაერთო. მართლაც, აქამდე მშვიდი სიო გაავდა, გააფთრდა, ერთი კი შესძახა: „ძმაო, ქარბორბალავ, მომეშველე?“.. ამის თქმა და იქ ამბავი ატყდა, მტრის კარს!

– აქა ვარ, ძმაო, სიო და ბაბუა ქარიშხალთ ქარიშხალიც აქა ბრძანდება! – გაისმა და აბრუნდა ყველაფერი. ბაბუა-შვილიშვილებმა ისე მაგრად დაუბერეს ჩვენი ბაბუა-შვილიშვილების გადასარჩენად, სასახლეში მეორედ მისვლის წინარე ალიაქოთი დაატრიალეს.

– პირში ჩაუძვერით სიო, პირში! გესმით ჩემი?! – იყვირა ყოვლისმცოდნე ტატამ და საოცრება მოხდა ფრიდვენმუნამ უცებ სისქეში მომატება დაიწყო, გაიბერა, გაიბერა და გასკდა. მეფე-ლომი ურჩხულის თავს მივარდა, ტორებით ასწია და იღრიალა: – დახედეთ! ამ ურჩხულს მესამე სახეც ჰქონია, მოდით, ნახეთ!

– შეჩერდით! მეფეო რიჩარდ, არ მინდა ბავშვებმა ეგ საშინელი თავი ნახონ! – გაისმა მჭექარე ხმა.

– საკვირველია და სასწაულია უფალო საქმენი შენი! – შესძახა მამა სპირიდონმაც და მრევლს ჯვარი გამოსახა.

– ჩვენი ბაბუ, ჩვენი ბაბუ! – იყვირეს გოგებმა და შუა დარბაზში ხანხალით მომავალ, ჩამოკონკილ და თავშეხვეულ საფრთხობელას ჩაეხვივნენ.

– ცოტა ხანს მოიცადეთ, ჯერ არაფერი დამთავრებულა, – ბავშვები მოიშორა ბაბუმ, რიჩარდს ურჩხულის თავი გამოგლიჯა და ცეცხლიან, ბუხრის მაგვარ ღუმელში შეაგდო. იქაურობა ცისფერში გადასულმა ცეცხლმა გაანათა და კედლებმა ზანზარი დაიწყო.

– ჩქარა, ზურგზე შემახტით, გავრბივართ! – შესძახა მეფემ.

ცალი ფეხით გამოასწრეს. სასახლე ნაცარტუტად იქცა. იქაურობა გაუნელებელ ცეცხლში იწვოდა, გამარჯვებულნი სიხარულისგან ცეკვავდნენ, ყიჟინებდნენ. ერთმანეთში აირია ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, სიო და ქარბორბალა. ქარიშხალთ ქარიშხალი კი შავღრუბლებს დაერია და ყოფილი სასახლის ნანგრევები მზემ გააჩხრიალა.

– ქრისტიანებო, მეც ჩამრიეთ თქვენ ზეიმში, – გაისმა იდუმალი ხმა.

ერთმანეთს ჩახუტებულმა ბაბუა-შვილიშვილებმა სიხარულისგან ტაში შემოკრეს.

– ჩვენი მამიკო! – იხუვლეს გოგოებმა.

კვამლიდან გამოვიდა მაღალი, დაკუნთული, შავწაბლისფერთმიანი, ჟღალწვერა, ცისფერთვალება ჭაბუკი და შვილებს და მამას გადაეხვია. მამა სპირიდონი ლამის ქადაგად დავარდა და მის ეკლესიის ზარებივით ტკბილ ხმას, სასოებაში მიჰყავდა ყოველი სულიერი... და როცა ყველა დაწყნარდა, ტატამ იკითხა:

– დედა, სად არის?

– აღარ არის დედა, – უპასუხა ბაბუამ, – ვეღარ მივუსწარით.

ბავშვებმა ცრემლი ვერ შეიკავეს. მღვდელმა მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი ლოცვები წაიკითხა აცრემლებული გოგონების თვალწინ.

– ბებო, ჩვენი ბებო! – იყვირა მარიმ.

– სოფიოს რაღა დაემართა?! – შეჩქვიფდა ზაბულონი.

– თუ სასწრაფოდ არ დავბრუნდით, დაემართება. ერთი კვირით ვართ წამოსულნი, – დაიანგარიშა ბაბიმ.

– მოვასწრებთ? – იკითხა ტატამ.

– თავისუფლად! – თქვა მეფემ, – მანძილს ბოროტება და სიმუხთლე აგრძელებს, თორემ სიკეთე და ერთგულება, ერთი ათასად ამცირებს. თქვენი დროის მიხედვით, ათიოდე წუთში დასაბრუნებელ ასასვლელთან ვიქნებით.

ასეც მოხდა... დადგა განშორების დრო.

– რა სამწუხაროა, რომ უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს, – თქვა მეფემ.

– უკანასკნელად? რატომ? – იკითხა ბაბიმ.

– აქაური ტრადიციების, ადათებისა და კონსტიტუციის თანახმად, არავის აქვს უფლება ორი მზის ქვეყანას მეორედ ესტუმროს, – თქვა რიჩარდმა და ბაბუს მიმართა: – ბატონო ზაბულონ!

– გისმენთ, თქვენო უდიდებულესობავ, – თავი დაუკრა.

– ერთი რამ მინდა გკითხოთ ტეტ ა ტეტ!

– ბატონო ზაბულონ, – დაიწყო რიჩარდმა, როცა განზე გადგნენ, – როგორ დაიღუპა ამ ბავშვების დედა? დიდი ეჭვი მაქვს, რომ ვინც იგი მოიტაცა, იყო ფრიდვენმუნას მესამე სახე. ეს ვნახე მაშინ, როცა მისი თავი მეჭირა.

– თქვენო უდიდებულესობავ, ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ეს არამზადა ფრიდვენმუნას მესამე სახე და მისი ღვიძლი შვილი იყო. ურჩხული შვილებს, დროდადრო დედამიწაზე გზავნიდა და კარგი ოჯახების შვილებს გონებით და გარეგნობით გამორჩეულებს, გზიდან აცდენდნენ. მერე კი ცოლებს და ქმრებს იტაცებდნენ და ხდებოდა ის, რაც ჩვენ გადაგვხვდა. რომ არა თქვენი მეფური უდიდებულესობის ფასდაუდებელი დახმარება, კვლავ ბევრი დაიღუპებოდა.

– არა მარტო ეს, ბატონო ზაბულონ, თქვენი შვილიშვილების გმირული თავგანწირვისა და მათი დიდი განსწავლულობის გარეშე ვერაფერს გავხდებოდით....და ლომი და კაცი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– ბატონო ზაბულონ, – თქვა ლომმა მღელვარე ხმით, – ვიცი ძნელი მოსასმენი იქნება, მაგრამ თქვენს ვაჟს უფლება არ აქვს დედამიწაზე დაბრუნების. ის სამუდამოდ ორი მზის ქვეყანაში უნდა დარჩეს.

ბაბუა გაშეშდა, მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა, გოგონები მამას ჩაეხუტნენ. ის კი, 24 წლის ჭაბუკი, შვილებს გადაფარებული, სევდიანი ცისფერი თვალებით ნიკაპთან შეერთებულ ცრემლებს ობოლი მარგალიტებივით აფრქვევდა... თითქოს ყველა და ყველაფერი გაშეშდა, გაჩუმდა... და უცებ, როგორც მდინარის წყალი მიეპარება და მალამოდ მოეფინება გადახრუკულ მიწას, ისე შეერია სიჩუმეს „ავე მარია“.

ამჯერად ვერავინ, ვერც ადამიანმა, ვერც ცხოველმა თუ ფრინველმა, ვერც მცენარემ ვერ შესძლო აჰყოლოდა მარის

(მარი კალთაში ჩაიდებს მამიკოს თავს და „იავნანას“ უმღერებს ქვეყნად არსებულ ყველა ენაზე)

...და როცა დედამიწაზე დაბრუნებულმა მამა სპირიდონმა

ზაბულონის ეზოში გამარჯვების ლოცვა აღავლინა, ცელქი ბაბი ფრთხილად მიუახლოვდა კიბის ცივ საფეხურზე მჯდარ, მოწყენილ, ცრემლმორეულ სოფიოს, უკნიდან მოეხვია კისერზე და ყურში ჩასჩურჩულა:

– დავბრუნდით, ბებო!...

...მეორე დილით სოფიო ბებია გაქრა...

2017 წლის 10 თებერვალი
ეთოს დაბადების დღე

ლუკა 7. 11-16

„...11. ამის შემდეგ იესო წავიდა ქალაქს, რომელსაც ერქვა ნაინი. თან მიჰყვებოდნენ მისი მოწაფენი და დიდძალი ხალხი.

12. ქალაქის კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, აჰა, მოასვენებდნენ მიცვალებულს, დედისერთა ვაჟს, ხოლო დედა ქვრივი იყო. დიდძალი ხალხი მოსდევდა მას ქალაქიდან.

13. ქვრივის დანახვისას უფალს შეეცოდა იგი და უთხრა: „ნუ სტირი“.

14. მივიდა და შეეხო ცხედარს. გამსვენებლები შედგნენ და მან თქვა: „ჭაბუკო, შენ გეუბნები, ადექ!“

15. მკვდარი წამოჯდა და იწყო ლაპარაკი, და იესომ ჩააბარა იგი თავის დედას.

16. ყველანი შიშმა შეიპყრო, ღმერთს ადიდებდნენ და ამბობდნენ: „დიდი წინასწარმეტყველი აღმდგარაო ჩვენს შორის, და ღმერთმა მოხედაო თავის ხალხს...“

ლუკა 7..., 11-16.

კვირა დილით, სოფლის ეკლესია მლოცველებს და მოსეირეებს ვერ იტევდა. უზარმაზარი ეზო გადაჭედილი იყო. მამა სპირიდონი უფლის სადიდებელს გალობდა და ბედნიერების ცრემლებს აფრქვევდა... სოფიოს და მის ვაჟს ასობით ჟურნალისტი დასტრიალებდა თავს.

ტატო

დღე უსიამოვნო სიურპრიზით დაიწყო. პირადობის მოწმობა სახლში დამრჩა და გზიდან მივბრუნდი. გადაღებაზე ლამის მთელი საათი დავაგვიანე. ორივე ოპერატორი, ტყუპი ძმები – როსტია და იურა, ტელევიზიის ეზოში, კაკლის ხის ქვეშ წახრილები დადიოდნენ და ფოთლებ-ბალახებში ჩამოცვენილ ნაყოფს გამალებით ეძებდნენ.

– ხომ მშვიდობაა, შეფ?! – ერთდროულად მკითხეს.

ხელი ჩავიქნიე და კითხვა შევუბრუნე:

– რესპონდენტი მოვიდა?

– მოვიდა და თანაც, როგორ მოვიდა! – გაეცინა იურას.

– როგორ?

– ჭიშკარი რომ შემოაღო, ჯული ყეფით გაექანა მისკენ და კაცი შიშისგან ჩაიკეცა, – ჩამომარცვლა როსტიამ.

– ძაღლი ვერ დააბით, თქვე უღმერთოებო?!

– როგორც ყოველთვის, გრძელი ჯაჭვით იყო დაბმული...

– იმან არ იცოდა და შეშინდა გვარიანად, – ახმაურდნენ ძმები.

კიბე ავირბინე. ვიზაჟისტები რესპონდენტს დატრიალებდნენ და უკვე საკმაოდ მოეფერიანებიათ. ვეახლე, ხელი ჩამოვართვი და დაგვიანების გამო ბოდიში მოვუხადე.

– ბატონო ტატო, – მომმართა, – რა შესანიშნავი გერმანული ნაგაზი გყოლიათ, ძუკნაა, ხომ?!

თავი დავუქნიე...

– ერთი ლეკვი ჩემია, იცოდეთ, ფულს წინასწარ გადაგიხდით.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო თომა.

– 200 დოლარს ვიხდი, მნიშვნელობა არა აქვს დედალს და მამალს. როდის დაყრის ლეკვებს?

– ჯერ კაი სასიძო უნდა მოვძებნოთ, – გაეცინა დამლაგებელ ინესას, – მომავალ წლამდე მოგიწევთ ლოდინი.

– მით უმეტეს, ფული ახლავე უნდა გადავიხადო?

– იქნებ გჩუქნით, ბატონო! – ჩავერიე მე, – რა გეჩქარებათ?

– საქმე იმაშია, რომ ორ თვეში მოვკვდები, – ჩაიცინა რესპონდენტმა, ექიმმა თომამ.

– უი, შენ შეგაჩვენა ღმერთმა, ეს რანაირი ხუმრობაა? – ეს ჩვენმა ძონძროხა მზარეულმა კლავდიამ ჩაიხითხითა, ჩემთვის და სტუმრისთვის ყავას რომ დგამდა მაგიდაზე.

– სამწუხაროდ არ ვხუმრობ, ქალბატონო, – ულვაშზე გადაისვა ხელი სტუმარმა, რომელიც 50 წლამდე ასაკის, ფიზიკურად საღი და ჯანმრთელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

– ამას მგონი ცოტა აკლია, – თქვა ერთ-ერთმა ძმამ და სტუდიის ღია კარში შეაბიჯა.

– ვიდრე გადაღებას დავიწყებთ, ცოტა ხნით ჩემთან შევიდეთ, – ვუთხარი რესპოდენტს, რომელმაც ხელით მანიშნა, ყავას ვერ დავლევო.

ორიოდე შტრიხი მის შესახებ: საშუალო სიმაღლის, ოდნავ შემელოტებული, ჭაღარაშერეული თმა, თაფლისფერი, თითქოს ახალგაღვიძებულის თვალები, საკმაოდ მოსუქებული და აქედან გამომდინარე, ზანტი მოძრაობებით.

– ბატონო ტატო, – მომმართა, როცა ჩემს სამუშაო ოთახში სავარძლებში ჩავსხედით, – ხომ დამითმობთ ერთ ლეკვს? ჩემი შვილიშვილებისთვის მინდა.

– სულ გაჩუქებთ ჯულის თავისი ნაგრამით, ოღონდაც მითხარით, რა იცით, რომ ორ თვეში მოკვდებით?

– 57 დღეში!

– თუ ხუმრობთ, ეს ძალიან ცუდი და მძიმე თემაა საამისოდ.

– არა, სავსებით სერიოზულად მოგახსენებთ.

– დაგიჯერეთ და ეგ არის, – გავაქნიე თავი.

– ეგ თქვენი უფლებაა, მაგრამ თუ ჩემს პანაშვიდზე მოსვლის სურვილი გექნებათ, 57 დღის მერე მნახავთ თვალდახუჭულს და კუბოში გაშნაგულს, – რატომღაც ჩაეცინა.

– თუ წინ ამდენი დღე გაქვთ და ეს ზუსტად იცით, ძაღლის რატომღა შეგეშინდათ? – ჩავეძიე.

– სიკვდილზე მეტად ძაღლის კბენის მეშინია, სტუდენტობი-

სას დამკბინა და მის მერე სათოფეზე აღარ ვეკარები. საქმეზე ხომ არ გადავიდეთ? – მკითხა.

– კი, ბატონო. მხოლოდ ორიოდე წუთს წაგართმევთ და მერე შევუდგეთ გადაღებას. აი, თქვენ მთელ ქვეყანაში განთქმული ექიმი-ფსიქიატრი ბრძანდებით, კარგი იქნება, თუ გონებას დაძაბავთ და თქვენი მდიდარი პრაქტიკიდან ყველაზე საინტერესო მომენტებს მოუყვებით მაყურებელს და თანაც, მეცნიერულად შეაფასებთ.

– ანუ სენსაცია გნებავთ?

– არც ამაზე ვიტყოდი უარს...

– მაშინ, დღეს გადაღება უნდა გადავდოთ და ჩემს ფსიქიატრიულ კლინიკაში გამომყევით, ოღონდ კამერების გარეშე.

– საიდან დაასკვენით, რომ აუცილებლად მჭირდება თქვენი მომსახურება?

– ეჰ, არ გესმით, თორემ ფსიქიატრი ყველა ადამიანს სჭირდება, თუმცა მე მსურს კლინიკაში ერთ ჩემს პაციენტს შეგახვედროთ.

– ვინ არის ასეთი?

– კაცობრიობის უდიდესი საგანძური და ზეადამიანი...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ საათში კლინიკაში ვიჯექი ფრიად მოხერხებულ სკამზე და იდაყვები თეთრ მაგიდაზე მქონდა დაწყობილი. ექიმმა თომამ ოთახში დაბალი ტანის, მრგვალსახიანი მელოტი კაცი შემოიყვანა, ცალთვალახვეული, მარჯვენა ყური განახევრებოდა. ჩემ წინ რომ დაჯდა, შევამჩნიე მარჯვენა ხელზე მხოლოდ ცერი და ნეკი შერჩენოდა. დაჯდა და შემომხედა თუ არა, მითხრა: – თქვენ საკმაოდ ჯანმრთელი ხართ, თუმცა... თუმცა თორმეტგოჯაზე გექნებათ მალე პრობლემა, თუ დროზე არ მიხედავთ...

– რა თორმეტგოჯა? თქვენ... თქვენ... – ენა დამება... თომა ხითხითებდა და შუბლს ისრესდა:

– იცის, ყველაფერი იცის, ხომ გეუბნებოდით.

– მოიცა, მოიცა, – დაკვირვებით მათვალიერებდა მელოტი, – თუ არ მიხედავთ, სამთვენახევრის შემდეგ ძლიერი სისხლდე-

ნის გამო მოხვდებით კლინიკაში, მაგრამ გადაგარჩენენ, ნუ გეშინიათ, თქვენი პროფესიიდან და ზედმეტი ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, ავადმყოფობით სიკვდილი არ გიწერიათ.

„ამას მე ვინმე რეგვენი ხომ არ ვგონივარ? ცდილობს თომასავით ამიყვანოს და თავის ზეკაცობაში დამარწმუნოს. ახლავე მოვსვამ თავის ადგილას!“ – გავიფიქრე და...

– ტყუილად ბრაზობთ ჩემზე, არაფერში არ ვაპირებ თქვენს დარწმუნებას. ვერც შევძლებ ამას, ვიდრე ცხვირს არ წაიმტვრევთ, – ღიმილით მითხრა თომას პაციენტმა.

– ძალიან გთხოვთ, მსახიობობას შეეშვათ. უბრალოდ, კარგი ფსიქოლოგი ხართ. სხვაც მინახავს ფიქრების და აზრების წაკითხვა რომ შეუძლია.

– მეც ძალიან გთხოვთ ნუ ვიჩხუბებთ და ვიკამათებთ... ერთ საათში ღვიძლი ძმებივით დავახლოვდებით, ამიტომ მინდა წარმოგიდგეთ – პავლე მქვია და ზუსტად იმ წელს და იმ დღეს, იმ საათზე და იმ წუთზე დავიბადე, როდესაც შენ. ბოლო ოცი წელია ველი შენთან შეხვედრას და აჰა, მეღირსა, – წამოდგა და ხელები გაშალა. გადავეხვიეთ ერთმანეთს. ახლა კი ჩვენი თომას გაკვირვების ჯერი დადგა.

– ესეც იცოდი? – ესღა იკითხა.

პავლემ თავი დაუქნია.

– მე რომ გარეთ ვყოფილიყავი და ყოველივე საინფორმაციო საშუალება მიუწვდომელი არ მქონოდა, შვილს გადაგირჩენდი, – მითხრა და განაგრძო, – მაშინ ასე სრულყოფილად არ მქონდა შესწავლილი ყოველი და არც ის ხერხები ვიცოდი, როგორ დამეძლია ყოველი.

– „ყოველში“ რას გულისხმობ? – იკითხა თომამ.

იმდენად შოკირებული ვიყავი, ამ კაცს ჩემი შვილის გადარჩენა რომ შეეძლო, ხმას ვერ ვიღებდი...

– „ყოველი“ არის ის, რაც ღმერთმა შექმნა და იგივე ღმერთმა მოგვცა ყველას, მაგრამ მოკვდავებიდან მე ვარ პირველი, ვინც ამის ტარება და შეგრძნება შეძლო. ტატო, შემიძლია შენს გარდაცვლილ შვილს შეგახვედრო...

როცა მოვსულიერდი თეთრი მაგიდა მომხვდა თვალში, სავარძელში ვიყავი მისვენებული და მარჯვენა ხელის ვენაში თომა ინექციას მიკეთებდა. პავლე კი ეუბნებოდა: – აი, ამისთვის გაგამზადებინე წინასწარ ნემსი.

ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა, მაგრამ ქუთუთოები ვერაფრით დავაშორე ერთმანეთს.

– ერთი საათი გეძინა, – მითხრა ექიმმა, როცა თვალები გავახილე. წამოვდექი და მხნეობის და გონის მოსაკრებად ოთახში გავიარ-გამოვიარე.

– რვა წლის წინ გარდაცვლილ შვილს შემახვედრებ?

– შეგახვედრებ, ჩემო ძმაო!

– როდის?

– დღესვე, რამდენიმე საათში შეგახვედრებდი, მაგრამ ვერ გაუძლებ, ან ჭკუაზე გადახვალ ან გული გაგისკდება, უნდა მოგამზადო.

– რა მომზადება მინდა, ოღონდ ერთხელ მოვეხვიო და გულის დედაც ვატირე!

– მოუთმენლობა დაღუპავს კაცობრიობას!

– მართლა შეგიძლია?

– დაჯექი და თვალები დახუჭე. აი, ეგრე... ახლა იგრძნობ. მოდუნდი, ცოტა კიდევ უფრო, კიდევ მოდუნდი, ახლა ნელა გაახილე მარჯვენა თვალი...

გავახილე. ჩემი შვილი მადგას თავზე ისევ ისეთი, როგორც ამ რვა წლის წინ, როცა ერთად გავედით სახლიდან და იმავე დღეს, შუაღამეს გარდაცვლილი მომისვენეს. ტანსაცმელიც კი იგივე ეცვა. მიღიმოდა ცრემლმორეულს და თავზე ხელს მისვამდა, წამოვხტი და გაქრა, თუმცა ხელი თავზე თითქოს ისევ მედო.

– რა იყო, ეს?

– ეს იყო სინამდვილე, რასაც შენც ეზიარები, როცა ყოველი გახდება შენიც.

– შევძლებ ამას?

– სხვაგვარად რომ ვფიქრობდე და მწამდეს, ახლა აქ არ იჯ-

დებოდი, – თქვა პავლემ, – თომა, დარაჯები, მოადგილეები და საერთოდ, ყველა გააფრთხილე, სრული სიჩუმე იყოს შენი კლინიკის მთელ ტერიტორიაზე და ვიდრე ამ კაბინეტიდან არ გავალთ, ჩვენთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტონ!

ვიდრე თომა მოვიდოდა, პავლემ წყალი დამისხა გრაფინიდან და მთხოვა საუბრის დროს არავითარი შეკითხვა არ დამესვა და როცა თომა მობრუნდა, გაგვიმეორა: – ყურადღებით მომისმინეთ, გახსოვდეთ, დუმილი ზოგჯერ ოქროზე ძვირფასია!

...და დაიწყო... ხელი ავწიე.

– რა გინდა? – მკითხა პავლემ.

– დიქტოფონი შეიძლება ჩავრთო? – აბნეულად ვიკითხე.

– არა და მაქვს ამის მიზეზი, რასაც არ აგიხსნი, ახლა გინდა მკითხო, როგორ გაჩვენე შვილი? როცა მონოლოგს დავამთავრებ, მიხვდები ყველაფერს.

– ვიდრე დაამთავრებ, მოვკვდები.

– არ მოკვდები, კიდევ დიდხანს იცოცხლებ, ცხოვრების აზრს დაკარგავ, თორემ ახლავე გეტყოდი შენი გარდაცვალების თარიღს, თუმცა გატყუებ! ვერ გამოვთვალე.

– კიდევ ერთი კითხვა და...

– რა ხართ ეს ჟურნალისტები!..

– შენი მოძღვრება, წინასწარმეტყველება თუ ფილოსოფია, ღმერთისეულია, თუ“,

– თუ ეშმაკისეული? ამის კითხვა გინდა? არ ვიცი, თუმცა მე ადამიანების შველა და დახმარება მინდა.

– მაშინ ღმერთისეული ყოფილა.

– მაგრამ მძაგს ცოდვილი ადამიანები, ღმერთი სიყვარულია, მე კი ამით ვერ დავიკვეხნი.

– ბატონებო, ბატონებო! მოდი მოვისმინოთ ის, რისთვისაც შევიკრიბეთ და ფაქტობრივად ჩემი სამსახური, არ დაგავიწყდეთ, რომ ამის გამო პარალიზებულია, – ჩაერია თომა ექიმი.

– ბოლო გამოცდა მქონდა, – დაიწყო პავლემ, – რა სათქმელია და პირველი ქალი წინა დღეს ვიგემე. ნუ გეცინებათ, ბიძიებო, მართალს მოგახსენებთ! უკვე 24 წლის ვიყავი, მაგრამ

განსაკუთრებული მორცხვობის და თავგადაკლული სწავლის გამო ქალებისთვის ვერ ვიცლიდი. ვიცი დამცინებთ, მაგრამ პირველი სექსუალური პარტნიორი ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ჩემი ყოფილი ბიოლოგიის მასწავლებელი ლილი იყო. ქუჩაში შემთხვევით შევხვდი, სკოლის დამთავრების მერე არ მენახა, თითქმის ექვსი წელი. ცოტა ხნით კაფეში შევედით, მერე სახლამდე მივაცილე, შევყევი და რაც მერე მოხდა, მოსაყოლად არ ღირს. დედაკაცთან ჟიმაობა არც თუ ძალიან მომეწონა. სიამოვნება კი მივიღე, მაგრამ მერე ლამის გული ამერია. ძლივს მივაღწიე სახლამდე, სადაც პატარა სხვენი მქონდა დაქირავებული საცხოვრებლად. გაუხდელად დავეგდე რკინის ძველ საწოლზე, სიზმარი ვნახე: უზარმაზარ დარბაზში დიდი შავი მერხი იდგა, რომელზეც თეთრყდიანი საერთო რვეული იდო სამელნით და ბატის ფრთით. მერხს მივუჯექი, ფრთის წვერი სამელნეში ჩავაწე და რვეული გადავშალე. ხმა მომესმა: „როგორი იქნებოდა ცხოვრება, სრული სრულყოფილება რომ ყოფილიყო დედამიწაზე?!“ გამეღვიძა, წამოვხტი, რათა ჩემს პატარა მაგიდას მივჯდომოდი. თხელ რვეულში დავიწყე წერა წითელი პასტით. თითქოს სიზმარში, ძილში ვაკეთებდი ამას... განთიადისას დავუბრუნდი სინამდვილეს და ნაწერს დავხედე. ექვსნახევარი გვერდი დამიწერია. პირველ ორ გვერდზე მეწერა ერთი და იგივე წინადადება: „რა კარგი იქნებოდა დედამიწაზე ყველაფერი სრულყოფილი რომ ყოფილიყო“. მესამე გვერდზე კი, იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ „ყველაფერი, სრულყოფილების მიღწევის შემდეგ ნულისკენ ანუ სიკვდილისკენ მიისწრაფვის. ასეა, ვწერდი, „იბადება, იზრდება, იფურჩქნება, სრულყოფილებას აღწევს. მერე იწყებს დაბერებას, დაჩუტვას, ბოლოს კვდება, ანუ ნულდება. როგორ გავახანგრძლივოთ სრულყოფილებაში სიცოცხლე? რა ფორმულით? აი, ეს ფორმულაც: 1 – √ VC : t – 1 = X როგორ გავხადო t, ანუ დრო, ნულის ტოლი? როგორ გავაჩერო ის? რა განზომილებაში უნდა გადავიდე? სად არის პასუხი? ჩემი მასწავლებელი ამბობდა, ადამიანი ვიბრაციაა, მეტი არაფერიო. თუ ჩემს წინ აღმართული კედე-

ლია, 100 მეტრიანი და მხოლოდ მის ერთ წვრილ ზოლს ვხედავ, რადგან მეტს ჩემი თვალი ვერ აღიქვამს, რა იქნება, უფრო მეტს რომ ვხედავდე? ანდა შვიდი ფერის ნაცვლად 3500-ს რომ ვხედავდე? მაშინ, შევძლებდი სიკვდილის დამარცხებას? ა, რა საინტერესო იქნებოდა, ხომ ასეა?“ აქ ნაწერი თავდებოდა.

აი, ასე დაიწყო ბატონებო ამ დღიდან ამით ვიტანჯებოდი. განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა კი იმ ღამით ხილვაში გამოცხადებული ფორმულის გამო მკლავდა. ერთი ვიცოდი, რომ t – დრო იყო, ხოლო თუ რას ნიშნავდა კვადრატული ფესვის წინ დაწერილი ერთიანი და დანარჩენი სიმბოლოებით, ეს გაუგებარი იყო. მთელი ორმოცი წელი შევალიე ფორმულის ამოხსნას და ამ გაზაფხულზე, უფრო ზუსტად კი, გასულ 15 აპრილს მივხვდი, რომ ფორმულა ზუსტი არ იყო. ჩემი ორმოცწლიანი წამების შემდეგ 1 – √ VC : t – 1 = X -მა ასეთი სახე მიიღო 1 – √ VC : t – 1 = 0, ანუ ყველაფერი ის, რაც კვადრატულ ფესვშია, ნულია და 1-0-1=0. აი, აქ ეტევა კაცობრიობის წარსული, აწმყო, მომავალი. ამიტომ არაფერშია არაფერი, ბოლოს ყველაფერი ნულია.

ხელი ავწიე შეკითხვის დასასმელად.

– ვიცი, ძმაო ტატო, რაც უნდა მკითხო და გპასუხობ: არსებობს და როგორ არსებობს, რომ იცოდე. იმდენად დიდია, ყველა ადამიანშია, ყველას ხედავს, ყველას უსმენს და როცა კისრის მოსატეხად ასჯერ გაქცეულებს ასჯერვე შეგვაჩერებს და ასმეერთედ მაინც ვიღუპებით, ეს ჩვენშივე დამონებული მისი მოწინააღმდეგე ლაწირაკის შემოქმედებაა, რომელმაც დიდი შეგონება დაგვარღვევინა: – არ გამოსცადო უფალი შენი!

– ეეე, მოიცათ, ნუ გააჭენეთ! ლაწირაკში თუ სატანას გულისხმობ, მაშინ, მესმის და გასაგებია, რაც გვითხარი, – ჩაერია თომა.

პავლემ ყურადღება არ მიაქცია ექიმის სიტყვებს და წამოდგა.

– ახლა კი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს გადმოგილაგებთ (პავლე რასაც ჰყვება, ტატო და თომა თითქოს

მონიტორზე უყურებენ). აი, ეს ძროხასავით ქალი, ჩემი ბიოლოგიის პედაგოგია. გითხარით, რომ პირველი სექსუალური გაკვეთილი მან ჩამიტარა. ეს შავგვრემანი და გავასქელი ანგელოზი კი ფსიქოლოგიის დოქტორი, ამალია გახლავთ. მასთან სამი წელი ვსწავლობდი ინდივიდუალურად, თან სანიტრად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვმუშაობდი და უმძიმეს ცოდვას ჩავდიოდი, რადგან საწყალ, სულიერად დაავადებულებზე ისეთ უხამს ცდებს ვატარებდი, ჩამოხრჩობაც კი პატარა სასჯელი იქნებოდა ჩემთვის. საავადმყოფოში სრული განუკითხაობა იყო და ამას ვიყენებდი. ამ საზიზღრობას მთლიანად ვერ აღგიწერთ, მაგრამ ამ საცოდავებს შორის სისხლიანი გარჩევები, ურთიერთ ცემა-ტყეპა, ორგიები, სოდომური და კიდევ უფრო უარესი მოქმედებანი, მხოლოდ ჩემი სცენარით ხდებოდა. აქ იმხელა პრაქტიკული გამოცდილება მივიღე, ამალიაც კი იოლად დავიმორჩილე და მისი მბრძანებელი გავხდი. მისი ქმარი კი ჩვეულებრივ ბისექსუალად ვაქციე და ერთდროულად ორივეს ვხმარობდი. ისეთ ჰიპნოზს ვფლობდი, მთელი საავადმყოფო პატრონიან-პერსონალიან-პაციენტებიანად ჩემს ერთ სიტყვა-ბრძანებაზე საკუთარ განავალსაც კი ჭამდა.

– ღმერთმა შეგაჩვენოს შე არამზადავ, – წამოვხტი, – ეგეთი მაიმახი და არანორმალური რომ არ იყო, მაგ სიფათს აგახევდი. შენ ვინ ჩემი ფეხები ხარ, რომ ადამიანებზე ძალადობ და შენც ექიმო, პირდაღებული რომ უსმენ ამ გველის ნაშიერს, არ გრცხვენია?! ფუი, თქვენს ადამიანობას, – მივაფურთხე ორივეს და კარი წიხლის კვრით გავაღე. გამწარებულმა ლიფტსაც არ დავუცადე, საფეხურების დაუთვლელად დავეშვი კიბეებზე.

– სამ დღეში მომაკითხავ, ტატო! – გადმომძახა პავლემ.

ერთი კიდევ შევუკურთხე და კლინიკის კართან აყუდებულ დაცვას ხელი ვკარი: – კარგად დაიცავით, ეგ დედამოტყნულები!

კაი ძალა ვიარე ფეხით. ენკენისთვის გრილმა წვიმამ ცოტა დამამშვიდა. მერე მეტროს შესასვლელთან დიდხანს ვიდექი და ხალხის ნაკადს ვუყურებდი. ადამიანები ხან მეცოდებდნენ,

ხან მძულდნენ. პავლეს მონაყოლის შემდეგ სიყვარულის ნერვიც კი აღარ იყო ჩემში. „სამ დღეში მომაკითხავო... იმდენი მაგის დედაც, მე იქ ფეხი აღარ შევდგა. იმ თომას კი, ერთხელ მაინც თუ შემოუცდა ფეხი ტელევიზიაში, ისე გავხდი, აღარცერთი საავადმყოფო არ მიიღებს. ეს კაცთა მოდგმის მტრები, რა ამბავში არიან?! ახი არ იქნება, სპეცრაზმი მივუსიო და ეს სოდომ-გომორი ავაოხრებინო, მაგრამ როგორ? რაც იქ ვნახე და მოვისმინე, ეს რომ ვინმეს მოვუყვე, გიჟად ჩამთვლის და ახდება იმ სატანას ნათქვამი, სამ დღეში მომაკითხავო. სჯობს, შორიდან დავაკვირდე იქაურობას და თუ რამე ხელჩასაჭიდი მოვქექე, მერე, მე ვიცი!.“ – ამ ფიქრების მერე შეძლებისდაგვარად დავმშვიდდი და სამსახურისკენ გავეშურე...

ტყუპი ძმები – როსტია და იურა, სამ თვეზე მეტხანს მორიგეობით აკვირდებოდნენ კამერით თომას კლინიკას, თუმცა მათ გადაღებულ ფირებში კბილის გასაკრავი არაფერი იყო. ხანდახან მეც ჩავუვლიდი და ნიშნისმოგებით ვამბობდი: „გეგონა, სამ დღეში მოგაკითხავდი ყველაფრის მცოდნევ?!“ მართლმადიდებლური შობიდან ერთი კვირა იყო გასული, უკვე აღარც ვუთვალთვალებდით ამ გულისამრევ დაწესებულებას და... გამთენიას მუცლის საშინელმა ტკივილებმა გამაღვიძა. თითქოს ვიღაც დაშლიგინებდა შიგნით და ბურღავდა იქაურობას. მერე გულისრევა ვიგრძენი და ახალგაღვიძებულმა, დაზაფრულმა მეუღლემ ტაშტის მოტანა მოასწრო და გადმოვანთხიე კიდეც... სისხლი, ლამის ჭურჭელი გაივსო, ვიდრე მეუღლე ხაფი ხმით ჰკიოდა, ბინა მეზობლებით აივსო. სასწრაფო დახმარების ექიმების მოსვლა ბუნდოვნად მახსოვს... და მაინც ახლა, შვილის გარდაცვალების შემდეგ, პირველად ვიყავი რაღაცნაირად ბედნიერი. ტკივილებმა ჩემი სხეული სისხლთან ერთად დატოვა და მის ნაცვლად საოცარი სითბო, სიმსუბუქე და სიამოვნება ვიგრძენი. ზორზოხა სხეულს ვეღარ ვგრძნობდი და ისე ვიყავი ძალაგამოცლილი, ხელის აწევაც არ შემეძლო. ექიმმა მაშველთა კორპუსი გამოიძახა, ამხელა კაცს თავის ფეხით რეანომობილამდე ვერ მივიყვანთო. მოვიდნენ, საბნები და ზეწრები და-

გრიხეს, ზედ დამაწვინეს და მეხუთე სართულიდან კიბეებს დაუყვნენ. მათ მეზობლებიც ეხმარებოდნენ6 – ხედავთ რა კარგი ბიჭი ვარ, – ვიცინოდი ხმამაღლა, – მეზობლებს სიცოცხლეშივე ხელით დავყავარ...

როცა ეზოში ჩამიყვანეს, გავვოცდი, ადრიანი და ყინვიანი დილის მიუხედავად, იქაურობა ხალხით იყო სავსე, რამაც უზომოდ გამახარა და გულში იმხელა სითბო და სიტკბო ჩამეღვარა, ალბათ, უმაღლესი ამქვეყნიური სიამე მეწვია. ხალხს შორის ჩემი გარდაცვლილი შვილი იდგა და მიღიმოდა ოდნავ აცრემლებული ცისფერი თვალებით. მერე საჩვენებელი თითი მიიდო ტუჩზე, არაფერი თქვაო და შემიყვანეს კიდეც რეანიმობილში.

– ნუღა ტირიხარ, მე არ მოვკვდები, – ვუთხარი მწუხარებისგან სახეწაშლილ მეუღლეს, – ჩვენი შვილი აქ არის...

როცა მოვსულიერდი და სხეულს საძრაობა დაუბრუნდა, უკვე პალატაში ვიწექი. ცხვირში და პირში რაღაც შლანგები მქონდა გაყრილი.

– თორმეტგოჯა გაგსკდომია, – მითხრა ცოლმა, – ახლა ყველაფერი გიწესრიგდება. სამ დღეში იმდენად კარგად იქნები, სახლშიც გაგიშვებენ, ოღონდ შენებურად აღარ უნდა გააგრძელო...

და წამიკითხა ლექცია ჭამის და განსაკუთრებით, ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღების მავნებლობაზე. ჩემს გონებაში კი პავლეს საზიზღარი სიფათი ამოტივტივდა: „თორმეტგოჯაზე გექნებათ პრობლემები. თუ არ მიხედავთ, სამთვენახევრის შემდეგ ძლიერი სისხლდენის გამო მოხვდებით კლინიკაში, მაგრამ გადაგარჩენენ... ავადმყოფობით სიკვდილი არ გიწერიათ“...

– იცოდა, ესეც იცოდა იმ არამზადამ, – უნებურად წამოვიყვირე, თუმცა სიტყვა „არამზადა“ სიძულვილით აღარ მითქვამს, უფრო მოფერებით ვთქვი. აი, ისე, პატარა ბავშვს რომ ნახევრად დატუქსვით დაუყვავებენ ხოლმე „შე, მაიმუნოო!“ ამ დროს მობილური აწკრიალდა, თომას ნომერი იყო.- გისმენთ.

– ბატონო ტატო, ბოდიშს გიხდით ჩემი უგვანო საქციელისთვის, – პავლე მესაუბრებოდა, – ჯერ ის უნდა მეთქვა, რომ ყველაზე დიდი ცოდვილი ვარ კაცობრიობის ისტორიაში და მერე მეამბნა თქვენთვის ჩემი უხამსობანი. კიდევ ერთხელ გთხოვთ, უმორჩილესად, სულგრძელად მაპატიოთ და თუ არ შემირიგდებით, მომისმინოთ მაინც ბოლომდე.

– კარგი, ბატონო პავლე, – მივმართე მე, – არც მე გახლავართ უცოდველი. როგორც კი ჯანმრთელობა მომცემს საშუალებას, მაშინვე გესტუმრებით...

ორი კვირის შემდეგ ექიმი თომას კაბინეტში ოთხი თვის წინანდელი ტრიო ისევ იმ ადგილებზე ვისხედით და პავლეს ვუსმენდით.

– უპირველეს ყოვლისა ბატონებო, უნდა შევთანხმდეთ. თქვენთვის ბევრი რამ, რასაც ახლა გეტყვით, არა მარტო გასაკვირი იქნება, არამედ დაუჯერებელიც... თქვენი თვალი და გონება ვერასდროს ჩასწვდება იმას, რასაც ჩემი. ახლა თქვენ ირონიულად იღიმით, მაგრამ რა შეგიძლიათ? თქვენი თვალებით მხოლოდ შვიდ ფერს არჩევთ, მე კი ჩემი ცალი თვალით 36 ფერს ვუყურებ და იმ თეთრ ძაფებსაც კი ვხედავ, რომლითაც ზეცაზე ხართ მიბმული.

– ბევრია? – ვკითხე ხუმრობის ხასიათზე მოსულმა.

– შენ ჯერ საკმარისზე მეტი გაქვს, აი, თომას კი ბოლო ძაფი თვენახევრის წინ გაუწყდა და გარდაიცვალა.

– აბა, ეს ვინ არის? – ვიკითხე არცთუ ხალისიანად.

– მე გარდაცვლილი თომა ვარ. უფრო სწორად გამოძახებული თომა ამ ჭეშმარიტად უდიდესი პიროვნების მიერ, – თქვა ექიმმა, – გახსოვს, გითხარით, პირველივე შეხვედრისას, 57 დღეში მოვკვდები-მეთქი. ჰოდა, ასრულდა...

– ვერ დავიჯერებ, ჩემი ბიჭები ამ კლინიკას მუდმივად უთვალთვალებდნენ...

– როგორ ფიქრობთ, ბატონო ტატო, თუ მკვდარი ადამიანის თქვენს წინაშე წარმოდგენა შევძელი ამ მდგომარეობაში, თქვენი ოპერატორებისთვის თვალის ახვევა გამიჭირდებო-

და?! – ჩაეცინა პავლეს.

– კი, მაგრამ მასმედია? როგორ გამომეპარა ეს ამბავი? ამხელა ექიმის სიკვდილმა ნუთუ უხმაუროდ ჩაიარა?

– თქვენთვის ჩაიარა შეუმჩნევლად, ეს ჩემთვის ძალიან იოლი გასართობი იყო, – მიპასუხა.

– ესე იგი, თქვენ აქეთ მითვალთვალებდით?

– დიახ და მეტსაც გეტყვით, მე ყველაფერი გავაკეთე თქვენს გადასარჩენად. წინა საუბრის დროს უცებ გაიქეცით, თორემ გეცოდინებოდათ, რომ მე ამ ქალაქში და აქედან ორ ნაბიჯში კი არა, ამ ოთახიდან ფეხმოუცვლელად აისბერგის გადნობა შემიძლია ოკეანეში, მთავრობების გადაყირავება შემიძლია ნებისმიერ ქვეყანაში და თუ მოვინდომე, კოსმოსურ ხომალდს ისევე იოლად ჩამოვაგდებ, როგორც ცელქი ბავშვი საწყალ ბეღურას ხის ტოტიდან. ეს კიდევ არაფერი, მე დროის უკან დაბრუნება შემიძლია. ვიცი, ათასი ურწმუნო შეკითხვა გიტრიალებს თავში და პირდაპირ პრაქტიკაზე გადავალ. ისურვე, რომელ გარდასულ სიტუაციაში დაგაბრუნო, რომ ერთი ეჭვიც კი აღარ დაგრჩეს ჩემს ყოვლისშემძლეობაზე.

– ბავშვობაში დამაბრუნე...

და ვიხილე სასწაული, ანკესით ხელში ვიჯექი მშობლიური მდინარის ნაპირას. ბავშვობის მეგობრები მეხვივნენ ირგვლივ. ზოგი აქედან ცოცხალიც აღარ იყო, აგერ, ზურა ცეცხლში დაიწვა, ვლადიმერი დენმა მოკლა, ჯემალი ავარიაში დაიღუპა... ახლა კი ერთად ვთევზაობდით და მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ვიყავით. ეგერ, ალეკო ბიძია ჩამოვიდა წყაროზე, ორმეტრიანი, ქოჩორა და მხიარული.

– როგორაა საქმე, მოდის თევზი? – გადმოგვძახა.

– ა, რამხელა ღორჯოები ამოვიყვანე ჯილედან, – დაანახა ჩემმა მამიდაშვილმა ავთომ, რომელიც ახლა რუსეთშია დაკრძალული. ამ დროს კი ცხონებული დედაჩემი, ახალგაზრდა და ლამაზი, გადმოდგა ბრეკზე და... – ტატო, გეყოფა გართობა, ამოდი, წიგნებს ჩაუჯექი!

და მე ავტირდი, ავზლუქუნდი, გული ამომიჯდა...

– დამტოვეთ ბავშვობაში, – ვთხოვე პავლეს და ცრემლები მოვიწმინდე.

– თუ მომენდობი და ვიმეგობრებთ, მომავალში თავად შეგეძლება ყველაფერი ის, რაც მე, – მიპასუხა, – დღეს კი ამით დავამთავროთ და ხვალ საღამოს შევიკრიბოთ.

ამის თქმა იყო და ექიმი გაქრა.

– ნუ გიკვირს, ის დაბრუნდა იქ, სადაც მისი ადგილია. ნახვამდის...

სახლში მისულმა ინტერნეტში „შევაბიჯე“, სახტად დავრჩი. თომა ექიმი ლამის თვენახევრის წინ გარდაცვლილა. მეორე დილასვე გავეშურე მის საფლავზე, ყვავილები დავაწყე, სანთელი დავუნთე, ეკლესიაში შევედი და შაბათისთვის თომას მოსახსენიებელი პანაშვიდი შევუკვეთე ნაცნობ მღვდელს. მერე სამსახურში წავედი. ყველაფერს მექანიკურად ვაკეთებდი და პავლესთან შეხვედრისთვის ვემზადებოდი...

– ვინ ხარ, შენ, რომელიმე ახალი წინასწარმეტყველი ჯადოქარი, თუ... პირდაპირ გკითხავ – ანტიქრისტე?! – ეს იყო პირველი, რაც პავლეს ვკითხე.

– არც ერთი და მით უმეტეს, მეორეც ვერ ვიქნები. ჩემი შესაძლებლობები გაცილებით მცირეა, ვიდრე მათი, თუმცა არც მე ვარ უგერგილო ბიჭი, – ჩაიცინა, – გახსოვს, ჩემო მეგობარო, პირველი შეხვედრისას სიზმრის შესახებ რომ გიამბე. მაშინ ისიც გითხარი და ცხონებული თომა რომ აქ იყოს, დამეთანხმებოდა, რომ რამდენიმე შეკითხვა გამიჩნდა ახალგაღვიძებულს: როგორ გავაჩერო დრო ან როგორ დავაბრუნო იგი უკან? რა განზომილებაში უნდა გადავიდე? რა იქნება უფრო მეტს რომ ვხედავდე? სამყაროში 3500 ფერზე მეტია, ჩვეულებრივი მოკვდავი კი შვიდზე მეტს ვერ არჩევს. მე 36 ფერს ვხედავ, მაგრამ დღემდე ვერ შევძელი სიკვდილის დამარცხება. მე შემიძლია მხოლოდ ხელი შევუშალო მას და დავეხმარო განწირულ ადამიანს. შემიძლია ვიწინასწარმეტყველო ყველა მოკვდავის გარდაცვალების თარიღი. თუმცა ამ მხრივაც არიან გამონაკლისები, რომელთა სიკვდილის თარიღს ჯერჯერობით ვერ ვადგენ.

მათი სიცოცხლის ბოლო დღემდე არ მიშვებს ის, რისი ნების წინააღმდეგ თოთო ბავშვივით უძლური ვარ. შენ გიკვირს და გინდა მკითხო, თომა რატომ არ გამოვიძახე დღეს. ვეღარც გამოვიძახებ, ვიდრე ვინმე მის ახლობელს არ გაუჭირდება. თუმცა როცა მისიანს უჭირს, მიცვალებულს გამოძახება არც სჭირდება, ის თავისით მიდის მასთან დასახმარებლად: ზოგს ამ წუთისოფელში დარჩენაში ეხმარება, ზოგს კი – საიქიოს გზა-ბილიკებზე მიაცილებს სასოებით. ყველაზე ცოდონი კი დედამიწაზე მოხეტიალე სულები არიან.

– ასეთებიც არსებობენ?

– არსებობენ და მერე, რამდენი! დღეს დილით შენ დიდი სიკეთე ჩაიდინე, თომას საფლავზე წრფელი ცრემლი დაღვარე და სანთელიც დიდი თანაგრძნობით დაუნთე. მერე კი მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი შეუკვეთე. ამით თომას სული დამშვიდდა და იმიერ ქვეყანაში გადაბარგდა. ვიცი, რაც უნდა მკითხო. შენი გარდაცვლილი შვილის სულის ბედმა შეგაწუხა. მას არაფერი ცუდი არ სჭირს, უზენაესის საუფლოშია და როცა შენს ეზოში გამოგეცხადა მძიმე ავადმყოფს, შენს საშველად იყო მოსული. აქაც იმიტომ მოფრინდა მაშინ, რომ ყველაზე მეტად მისი ნახვა გინდოდა.

– მაგრამ თომას დარჩა შვილები, მეუღლე, შვილიშვილები, დიდი ნათესაობა და მეგობრები. რა, სანთელი დაენანათ მისთვის?

– ათასობით სანთელი დაუნთეს, მაგრამ წრფელი გულით და სიყვარულით არცერთი. ის, ვინც ყველაზე ძლიერია და ყველაფრის შემქმნელია, თავად სიყვარულია და სიყვარულს ყოველთვის სიყვარულით აფასებს.

– ბატონო პავლე, დარწმუნებული ვარ დამეთანხმებით, რომ თომა ექიმი ჩემთან, ტელევიზიაში თქვენ სპეციალურად გამოაგზავნეთ, რათა პავლეს და ტატოს შეხვედრა შემდგარიყო.

– მართალი ბრძანდებით, მე ვგრძნობ ჩემი აღსასრულის მოახლოებას, თუმცა ვერ გამირკვევია, როდის და როგორ მოხდება ეს. ამიტომ მინდოდა თქვენთან სასწრაფოდ შეხვედრა, რათა

ყველაფერი, რაც მე ძალმიძს, გადმოგცეთ თქვენ, რათა ჩემი მემკვიდრე გახდეთ.

– მაგრამ, რატომ? სამოც წელს მიღწეული, დარდისგან ლამის განახევრებული ადამიანი ვერ შეძლებს ეგეთი ტვირთის აწევას.

– ჩემთან შედარებით, ფიზიკურად შენ ნამდვილი ჰერკულესი ხარ.

– მაგრამ ამ ქვეყანაში ბევრია ჩემზე ძლიერი ფიზიკურად, სულიერად და ინტელექტით...

– მაგაზე არ გეკამათებით, მაგრამ „ამ ქვეყანაში „გამომაჯავრა“ თქვენ ერთადერთი ხართ, რომლის სიკვდილის თარიღიც ვერ დავადგინე. ის, ვის წინააღმდეგაც, ვიმეორებ, თოთო ბავშვივით უძლური ვარ, შენი სიცოცხლის ბოლო დღემდე არ მიშვებს. ამიტომ ხარ ახლა აქ და გინდა-არგინდა, უნდა მომისმინო, თუ კაცობრიობისთვის სიკეთე გინდა. მაშ ასე, ვიწყებ: იმ სიზმრის მერე წიგნებს ჩავუჯექი. თეოლოგიური ლიტერატურიდან ბევრი რამ ჩემთვის უცნობი ამოვიკითხე. ოცდაათი წლის განმავლობაში არ დარჩენილა მეცნიერების არცერთი კუნჭული, რომელიც არ შემისწავლია.

(ქვემოთ, მონაყოლი, ფილმივით მიდის)

როცა სულების გამოძახებას დავეუფლე, უფრო სწრაფად წავედი წინ. მეცნიერი, რაც უფრო დიდია, მით უფრო ათეისტია და მისი სულის გამოძახება და მათთან საუბარი-კამათი, ჩემთვის პრობლემა არ ყოფილა. თანაც, ყველაზე კარგი ის იყო, რომ მათ ჩემს მშობლიურ ენაზე ვესაუბრებდი. ყველა დიდი მეცნიერი გამოვიძახე, ვინც კი კაცობრიობის ისტორიამ იცის და ისინიც, ვის შესახებაც არაფერი იციან. მერე გამოცხადებები დამეწყო და სწორედ ამან მასწავლა, როგორ გამეჩერებინა დრო, ანდა უკან როგორ დამებრუნებინა ცალკეული ინდივიდებისათვის. პირველი რაც გავაკეთე, სპილენძის და ვერცხლის ხვეულები დავატრიალე და ის იყო ჩემი გარდაცვლილი ბებიის სილუეტი გამოჩნდა, გონება დავკარგე. როცა მოვსულიერდი და გულზე მრავალი წლის წინ გარდაცვლილი ბებიას ახლა-

დმოქსოვილი წინდები და უგემრიელესი ნიგვზის ჩურჩხელა მედო, მივხვდი, რომ გამარჯვების გზით მივდიოდი და ცდები სხვა გარდაცვლილებზეც გავავრცელე. ახლა სულების გამოძახება აღარ მჭირდებოდა, შემეძლო ნებისმიერ საუკუნეში შემელაჯებინა. საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ იქმნებოდა უდიდესი კულტურული ძეგლები. ვესწრებდი იმ საეტაპო ცდებს ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და მეცნიერების სხვა დარგებში, რომელთაც დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს. მსოფლიოს შვიდივე საოცრება რომ იტყვიან, დედანში მაქვს ნანახი. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, ეს იოლად არ მომხდარა: მარჯვენა თვალი ჩინეთში დავკარგე, როცა მომავალ დიდ ჩინგისხანს და მაშინდელ თემუჩინს ტყვეობიდან დახსნაში და გაქცევაში ვეხმარებოდი; მარჯვენა ყურის ნახევარი ნილოსელმა ნიანგმა მომაკვნიტა. ნილოსში კი იმის გამო ჩამაგდეს, რომ ეგვიპტელი ფარაონი პატივისცემით არ მოვიხსენიე; მარჯვენა ხელი იმიტომ დამიმახინჯდა, რომ ბოროდინოს ველზე, პეტრე ბაგრატიონს გადავეფარე, როცა ის ბედასლი ყუმბარა აუფეთქეს ფრანგებმა. აი, ასე, ლამის მოვიარე ხმელეთი და წყალი, მაგრამ ჯილდოც დიდი მერგო: ვიყავი ყველა გამორჩეული ბანოვანის საყვარელი, ჩემი ცოდნის და ფიზიკური მონაცემების წყალობით, თვით დედოფლები და პრინცესები წაღმა-უკუღმა ეცემოდნენ. ბევრი სამეფო დინასტია წავბილწე ჩემი გლეხური სისხლით, ანდა ვინ იცის, იქნებ გავაკეთილშობილე და მთავარი: შევძელი 36 ფერის აღქმა, რის გამოც ადამიანებს გამჭოლად ვხედავ. საწყალ თომას რომ ვუთხარი თქვენს შინაგან ორგანოებს ვხედავ-მეთქი, შეეშინდა. მერე მივაყოლე, რომ ნაღვლის ბუშტი კენჭებით გაქვთ სავსე, კუჭის თავთან ტყვია გაქვთ შერჩენილი, მამაკაცური ასო თითქმის გაგიქრათ და მივახალე, შინაგანი ორგანოები ისეთ დღეში გაქვთ, რომ ორიოდე თვეში მოკვდებით. ამის შემდეგ თომა დამმორჩილდა და თქვენი თავი აქ მომიყვანა. აი, ჩემო ტატო, ასე ვხედავ ადამიანებს და ამის შესახებ, პირდაპირ ვეუბნები მათ. ამიტომ, მთელი ცხოვრება კონფლიქტები მაქვს. ამიტომ გამომაცხადეს გიჟად და

აქ გამომკეტეს. თუმცა აქედან გასვლა ჩემთვის ჩასუნთქვაზე უფრო იოლი საქმეა. აქ სიმყუდროვეა, გაურჯელი საჭმელ-სასმელი. ბოლოს და ბოლოს, აქ შემიძლია ჩემი გამოცდილება და ზრახვები მატერიად, ანუ ხელშესახებად ვაქციო; ყოველგვარი ინტერნეტისა და ტელევიზიის გარეშე შუა ევროპიდან ბრაზილიაში ვუყურო კარნავალს და ფეხბურთს; სამ-ოთხ მზეს ვხედავ ცაზე, ღამეშიც დღესავით ვხედავ. განუსაზღვრელი შესაძლებლობების ადამიანი ვარ. როცა ყველაფერს შეგასწავლით, დარწმუნდებით, რომ დღეს არ არსებობს დაავადება, რომლის მორჩენაც მედიცინას არ შეუძლია. ადამიანმა შეიძლება 150-200 წელი იცოცხლოს ჯანმრთელად და ბედნიერად, მაგრამ სამედიცინო მედიკამენტების მონოპოლისტები ყველას მოსპობენ, ვინც ადამიანებისთვის ამ სიკეთის გაკეთებას კი არა, თუნდაც თქმას შეეცდება. რა გგონიათ, ჩემსავით რომ შეეძლოს ყველას მობილურისა და ინტერნეტის გარეშე მიიღოს ყველა მისთვის საჭირო ინფორმაცია, რა დაემართება თანამედროვე ტექნოლოგიების შემქმნელებს და გამყიდველებს? ნებისმიერ წყლისგან შემიძლია სათბობ-საწვავის მიღება, ეკოლოგიურად უსაფრთხო და უფრო მაღალი ხარისხის, მაგრამ მომკლავენ ამის გაკეთებისთვის. აი, ჩემო ტატო, ამიტომ ხარ აქ, რომ ყველაფერი ეს, ერთად გავიაროთ, ერთად გადავხარშოთ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დამთანხმდები თუ არა. ჩემი შემოთავაზება ძალიან მარტივია: გინდა თუ არა, გახდე ჩემი ცოდნის მატარებელი და მემკვიდრე? პასუხი სამ დღეში უნდა მითხრა, თორემ... თორემ ვგრძნობ, ახლოსაა ჩემი აღსასრული. დღეს ორშაბათია, პარასკევ დილას აქ უნდა მოხვიდე და პასუხი მითხრა...

პარასკევ დილას ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორც ცუდად მსროლელს დუელის წინ. ამიტომ კლინიკაშიც ყურებჩამოყრილი მივედი.

– გეშინია? – მკითხა პავლემ მისალმების ნაცვლად.

– კი, მეშინია! – ვუთხარი და სავარძელში ჩავჯექი.

– ჩემი გჯერა? – თვალი გამიშტერა.

შენ როგორ გგონია?

– ნაწილობრივ გჯერა, მაგრამ რომ იცოდე, რამდენი ძაფით ხარ მიბმული ზეცაზე, გაბედულად დამთანხმდებოდი მომავალ ოპერაციაზე.

– რაზე?

– ახლა რასაც გეტყვი, ჯერ განსაჯე და ისე მიპასუხე. შენებურად არ შეხტე და შემოტრიალდე...

– სათქმელი თქვი, რას მეიგავარაკები? რა ძაფები, რა ოპერაცია?

– ადრე გითხარი, რომ თითოეული ადამიანი თეთრი, ვერცხლისფერი ძაფებითაა მიმაგრებული ზეცას და როცა ეს ძაფები წყდება, ადამიანი ეცემა, ანუ კვდება. მე რამდენიმეღა დამრჩა, შენ კი აუჰ, ასიათასობით და მილიონობით ძაფი გეწევა ზემოთ. ეგ შენი ირონიული ღიმილი მაცოფებს, თუმცა... მოდი, პირდაპირ გეტყვი: ჩემი შესაძლებლობების შენთვის გადმოცემის ორი გზა არსებობს, ჩემებური სეანსები, რომლებმაც შეიძლება წლები გასტანოს და დამაკმაყოფილებელი შედგი ვერ მივიღოთ, მეორე კი თავის ტვინის გადანერგვის ოპერაციაა, რომელიც გაცილებით ეფექტურია და სარეაბილიტაციო პერიოდის ჩათვლით სამი თვე ეყოფა.

– უკაცრავად, რისი გადანერგვის? – ვკითხე სერიოზულად.

– თავის ტვინის! – გაღიზიანდა, საუბარი რომ შევაწყვეტინე...

– ვის? სად? როდის უნდა გადაუნერგოთ? – ენა დამება.

– ჩემი თავის ტვინი შენ უნდა გადაგინერგოთ.

– და ჩემი საკუთარი?

– ისიც შენ თავში დარჩება.

– დაეტევა? – ლამის გადავიხარხარე.

– დაეტევა, ჩემი ტვინიდან მხოლოდ იმ ნაოჭებს ჩადებენ შენს ტვინთან, რაშიც ჩემი შესაძლებლობებია მოთავსებული.

– ბატონო პავლე, თქვენ ტვინი ვაშლებით სავსე კალათა გგონიათ? საღებს აარჩევ და ჭიანებს გადაყრით?

– კარგი შედარებაა, ყოჩაღ, ბატონო ტატო! ასი წლის შემდეგ

ეგ ოპერაცია ისეთივე იოლი იქნება, როგორც დღეს წინა კბილის ამოღება.

– მაშინ თქვენც ასი წლის შემდეგ მობრძანდით.

– მოვბრძანდებოდი, მაგრამ ამდენი დრო არ მაქვს. ოპერაციას კი სწორედ მომავლის, ანუ ასი წლის შემდეგი ტექნოლოგიებით დახუნძლულ კლინიკაში გავიკეთებთ და 22-ე საუკუნის 20-იანი წლების ექიმები მოგემსახურებიან. ასე რომ, რისკი ნულის ტოლია. ვიცი რასაც ფიქრობ, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობა და შეუცნობლის შეცნობის სურვილი გაწამებთ და გინდათ ეს ყველაფერი მალე თქვენი გახდეს და მეორე მხრივ, გაბრკოლებთ დარდი თქვენს ახლობელ და საყვარელ ადამიანებზე. გარწმუნებთ, მათ სრულიად საღსალამათი დაუბრუნდებით და ბოლოს და ბოლოს, შეძლებთ ბევრ ადამიანს დაეხმაროთ...

– თანახმა ვარ, – ეს თითქოს მე კი არა, სხვამ თქვა.

– ძალიან კარგი. შენი სიტყვა ჩემთვის ბაჯაღლო ოქროზე ძვირფასია, – ისევ „შენობითზე“ გადმოვიდა პავლე. ახლა სამსახურში სამთვიანი შვებულება გააფორმე, შენიანებს კი უთხარი ზუსტად ამდენი ხნით უცხოეთში, რომელიმე დიდ ტელევიზიაში მიგიწვიეს და ამის შესახებ არავის უთხრან. ამ ხნის განმავლობაში თუ ვინმე ოჯახიდან ან ტელევიზიიდან დაგირეკავს, მათ ჩემი თანაშემწეები შენი ხმით უპასუხებენ. კარგი?

– კარგი...

– ახლა კი წამობრძანდი და სამშაბათ დილით აქ გელოდები.

დანიშნულ დღეს დილის 7 საათზე კლინიკაში ვიყავი.

– მაშ, ასე, ჩემო მეგობარო! – საზეიმო ხმით წარმოთქვა პავლემ6 – თითო ჭიქა შამპანური არ გვაწყენდა დიდი საქმეების დაწყების წინ!

ბრუდერშაფტი გადავკარით და... წავედი ბურანში... როცა თვალები გავახილე და გონს მოვეგე, იმავე კაბინეტში, სავარძელში ვიჯექი, თუმცა კედლის იქით ჩვეულებრივად ვხედავდი, რაც ხდებოდა. მაგიდაზე შავარშიაშემოვლებული თომა ექიმის და პავლეს სურათები იდგა. გადავწყვიტე პირველი სარგებელი

ახლავე მიმეღო და პავლე ვინატრე, იქვე, მეზობელ სავარძელში ამოჰყო თავი.

– აბა, როგორ გრძნობ თავს ახალ ამპლუაში? – მკითხა.

– სასწაულად, კარგად. შენ რას შვრები, თუ ამ ფოტოს დავუჯერებ, ამ ქვეყნად აღარ ხარ.

– ოპერაციის დროს ჩავაბარე სული არსთა გამრიგეს, ერთ რამეს გეტყვი, რაც ამდენ ხანს არ ვიცოდი და ახლა გამოვცადე: თურმე, როცა გული კვდება, ტვინს სისხლი მაინც მიეწოდება და მიცვალებული რამდენიმე საათის განმავლობაში ყველაფერს გრძნობს, თუმცა მინიშნების გაკეთებას ვერ ახერხებს. ეს იყო ჩემი პირველი აღმოჩენა გარდაცვალების შემდეგ...

– სხვა აღმოჩენებიც გააკეთე, ბატონო პავლე?

– მიშველე რამე თუ ძმა ხარ, ილოცე ჩემთვის და ჩემი სულის გადარჩენისთვის. ლამის სამი თვეა უაზროდ დავხეტიალობ. თხოვე ყოვლის შემოქმედს, მიიღოს ის სული, რომელიც ჩავაბარე.

– ეგ რომ არ გეთხოვა, მაინც ეგრე ვაპირებდი, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო: რატომ საუბრობ რებუსებით და არც ერთხელ არ ახსენებ ღმერთს, უფალს, იესოს? ნუთუ არ გწამს წმინდა სამების – მამაღმერთის, ძე ღმერთის და სულიწმინდის. ამის გარეშე როგორ ცხოვრობდი? ახლა გარდაცვალების შემდეგ მაინც აღიარე ეს და ითხოვე ცოდვების შენდობა...

– მაგას ვერასდროს ვიზამ.

– ვიცი, რატომაც არ იზამ. შენ კაცთა მოდგმის დაუძინებელი მტრის მოციქული იყავი დედამიწაზე, თუმცა შენი მისია ვერ შეასრულე. შენი ცრუ მოციქულობა დამთავრდა იმ დღეს, როცა მე ამირჩიე მემკვიდრედ. ეს შეცდომა გახდება შენი სულის გადარჩენის მიზეზი, რადგან ცოდვები მაშინ გეპატია, როცა ღმერთი ჩვენი და უფალი ჩვენი, იესო ქრისტე ჯვარს ეცვა და კაცობრიობის ყველა ჩადენილი და ჩასადენი ცოდვა, ჯვარზე მიამსჭვალა და მათი საზღაური საკუთარი სიცოცხლით ზღო. ამიტომ გადარჩენილი ხარ ძმაო, ჩემო და მშვიდობის ნავსაყუდელში შენთვისაც გამზადებულია ადგი-

ლი. წადი და მშვიდად დაივანე იქ. მე კი რაც დღეს ვიხილე, ესეც მეყოფა ცხოვრების მუდმივ საგზლად. 36 ფერს ვარჩევ, ეს რა ლამაზი ყოფილა თურმე დედამიწა. შეხედე, ცაზე ხუთი მზეა ერთად. ადამიანები გასხივოსნებულნი დადიან. უმრავლესობა ცასთან ვერცხლისფერი ძაფებითაა მიერთებული, თუმცა შავძაფიანებიც ბლომად არიან. ვხედავ, მინდვრებს და ველებს გასაოცარი, არაამქვეყნიური ყვავილებით და მცენარეებით მოჩითულთ. ყოვლისმომცველი კომპიუტერი-ვითაა მოწყობილი ჩემი არსება, თუმცა მე მილიონჯერ მეტი შემიძლია, ვიდრე ყველაზე ულტრათანამედროვე კომპიუტერულ სისტემას. ეს ყველაფერი კი ერთ რამეში მარწმუნებს: უფალს ადამი და ევა სამოთხიდან კი არ გამოუგდია, არამედ სამოთხე გამოაგდო მათი ცნობიერებიდან, აქაური სამოთხის შეგრძნების უნარი წაართვა მძიმე ცოდვის ჩადენის საპასუხოდ. თუმცა მერე მათაც და მათ შთამომავალსაც აპატია ეს ცოდვა, როცა იესო მოვიდა ჩვენთან. ეს ყველაფერი მე დღეს რამდენიმე საათში შევიმეცნე და ამით მოვრჩი. მე არ მჭირდება შენი ტვინის ხვეულები, ჩემიც მეყოფა და ჩემს ახალ ძალას მხოლოდ იმისთვის გამოვიყენებ, რომ მომავლის კლინიკაში ანტიოპერაცია ჩავიტარო და ისეთივე ჩვეულებრივ მოკვდავად ვიქცე, როგორც ღმერთმა დამბადა. მშვიდობით, ჩემო კეთილო ძმაო, პავლე! იმედია, ოდესღაც ჩემი ძაფებიც გაწყდება და როცა მარადისობაში შემოვაბიჯებ, ისევ შევხვდებით!

...ზაფხულის დასაწყისში შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი ცხრასართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდა. ლიფტს არ ენდო და სამი სართული საკმაოდ ხალისიანი ნაბიჯებით აიარა. იქ ოდნავ შეისვენა და კიდევ ერთი სართულის ავლის შემდეგ ერთ-ერთი ბინის კართან მოთავსებულ ზარის ღილაკს თითი მიაჭირა. კარი ჭაღარათმიანმა ქალბატონმა გააღო.

– ბოდიში შეწუხებისთვის, ქალბატონო...

– მობრძანდით, ბატონო.

– არა, მადლობთ. თქვენ თომა ექიმის მეუღლე ბრძანდებით?

– დიახ, მისი ქვრივი გახლავართ.

– ეს გერმანული ნაგაზის ლეკვი თქვენს შვილიშვილებს მოვუყვანე, ბატონმა თომამ მთხოვა თავის დროზე.

– ეს, ეს დიდი საჩუქარია, ბატონო ჩვენთვის.

– ძვირფასო ქალბატონო, თომა ექიმი თავად გახლდათ საჩუქარი კაცობრიობისთვის. ნება მიბოძეთ მშვიდობა და ბედნიერება გისურვოთ... და ტატო კიბეს ქვემოთ დაუყვა. გულზე ლეკვმიხუტებული ქალი კი დიდხანს იდგა ღია კარში და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა...

2017 წლის ნოემბერი

ზაალ ნემსაძე,
ფიქრია ნემსაძე

ლურჯი კონვერტები შვილიშვილისთვის

ძვირფასი ავეჯით გაწყობილ უზარმაზარ ოთახში ვეება მაგიდის თავში, სამოც წელს გადაცილებული, კარგად შემონახული თეთრთმიანი მამაკაცი ზის და მის წინ მსხდომთ გულგრილად ათვალიერებს. მაგიდის მარჯვენა მხრიდან სამოც წლამდე გადაპრანჭული ქალბატონი ჭაღარას სასოებით უყურებს. მარცხენა მხარეს კი ორნი სხედან – ორმოც წლამდე ქალი და მამაკაცი. ისინი ჭაღარას შეცქერიან და უხერხულად გრძნობენ თავს. სიჩუმეში მხოლოდ უზარმაზარი ანტიკვარული საათის წიკწიკი ისმის. შედარებით ახალგაზრდა კაცი დუმილს არღვევს და ჭაღარას მიმართავს:

– მამა, უკვე ორი საათია მუნჯებივით ვსხედვართ, იქნებ, გეთქვა რამე.

– მუნჯებს შენი დასაცინი არაფერი სჭირთ, – პასუხობს მოხუცი, – და არც ლაპარაკი დაუშლია თქვენთვის ვინმეს. თუ რამე გაქვთ სათქმელი და გასარჩევი, გელოდებით, მე არ მომიხმიხართ. ათ წელზე მეტია, რაც უკანასკნელმა თქვენთაგანმა დატოვა ჩვენი ძველი სახლი და აქაურობა აღარ გახსენებია. რაკი დღეს დილით სამივემ ერთად ინებეთ სტუმრობა, გისმენთ.

– მეათედ გეკითხებით, ნუცა სად არის? – თქვა ახალგაზრდამ.

– კაკო, მეათედ გპასუხობ, ნუცა სკოლაშია და წუთი-წუთზე მოიყვანენ.

– ვინ მოიყვანს? – იკითხა გადაპრანჭულმა, 60 წლის ქალმა.

– ჩვენი მძღოლი, ლალა, ჩვენი მძღოლი, – უპასუხა ჭაღარამ.

ლალა: – ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ მილიონერს ვესაუბრები.

და ოთახში თორმეტიოდე წლის ულამაზესი ნუცა შემოცქ-

რიალდა დიდი კონვერტით ხელში, სტუმრებს თავი დაუკრა და ბაბუს მოეხვია:

– ლუკა ბაბუ, ლუკა ბაბუ, წერილია დედიკოსგან და მამიკოსგან.

ლუკა: – ისევ უჩემოდ წაიკითხე?

ნუცა: – მძღოლმა გადმომცა მანქანაში და ვეღარ მოვითმინე. აი, ბაბუ (კითხულობს კონვერტიდან ამოღებულ წერილს):... ნუციკო, საყვარელო, როგორ ხარ? ორივეს ძალიან, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ! ჩვენი გემი ახლა შორს, ბრაზილიის ახლოს იმყოფება. შენთვის და ბაბუასთვის უამრავი საჩუქრები გვაქვს. შობისთვის გამოგიგზავნით. ორივეს ძალიან გვენატრები! ბაბუას დაუჯერე, ვიცით, რომ კარგად სწავლობ, მაგრამ ჩვენ მეტი გვინდა. ბაბუმ გვითხრა სამ ენაზე თავისუფლად საუბრობსო და მუსიკაშიც წარმატებები აქვსო. ყოჩაღ, შვილო, მთელი გემი ამაყობს შენით. მომავალი ზაფხულისთვის ვაპირებთ ჩამოსვლას. ბაბუა გეტყოდა, რომ ეს გემი განსაკუთრებული დანიშნულებისაა და მხოლოდ ასეთ ბარათების გამოგზავნის უფლებას გვრთავენ. ინტერნეტი მთლიანად შეზღუდული გვაქვს, მაგრამ როცა ჩამოვალთ, მერე სულ ერთად ვიქნებით“.

ლუკა: – შვილო, ნუციკო, მშობლებმა და შენმა საყვარელმა ბებომ კი სიურპრიზი გაგიკეთეს და ამ დილით გვესტუმრნენ. მიდი ბაბუ, მიესალმე მათ.

ნუცა პირიქით, ბაბუს ჩაეხუტა:

– გამარჯობა. აი, თურმე როგორები ყოფილხართ.

ლალა: – ბებოს თვალისჩინო და სიყვარულო, ჩემო საყვარელო... – და წამოდგება.

დედა: – შვილო, ნუცაააა...

ნუცა (მამას): – თქვენ არაფერს მეტყვით, ძვირფასო მამა?

კაკო უკვე ფეხზეა და შვილისკენ გარბის... ყველა ნუცას ეხვევა და კოცნის. მღელვარებამ და სიხარულმა ჯებირები გაგლიჯა და მერე ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში. ნუცა ბაბუასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და სხვებს მიუბრუნდა! – გთხოვთ, ადგილებზე დასხდეთ, რაღაც მინდა გითხრათ.

ყველანი დალაგდნენ.

ნუცა: – კიდევ ერთხელ გთხოვთ, კარგად დამიგდოთ ყური. ლუკა ბაბუ, ათას ბოდიშს გიხდი იმისთვის, რასაც ახლა გეტყვი. ჩემო უსაყვარლესო ადამიანო, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ იძულებული ვარ.

ლუკა: – თქვი ბაბუ, შენს გვერდით ვარ.

ნუცა: – წინასწარ რომ არ ვიცოდე რას გადაწყვეტ, ამ არჩევანის წინაშე არც კი დაგაყენებდი...

ლუკა: – ნუციკო, ვიცი რაც უნდა მითხრა და არ გინდა რებუსები, შენს გვერდით მიგულე...

ნუცა: – ვიტყვი მაშინ, ამათ გასაგონად – ლუკა ბაბუ, შენ უნდა აირჩიო მე თუ ესენი? ამათთან ერთად ერთ ჭერქვეშ კი არა, ამ ქვეყანაშიც არ მინდა ცხოვრება.

ლუკა: – მაგას გასწავლიდი გოგო, 12 წელიწადი?

ნუცა: – სწორედ ამას მასწავლიდი, ბაბუ... ერთგულებას მასწავლიდი, სიყვარულს და სათნოებას მასწავლიდი...

ლუკა: – და ღალატის პატიებასაც გასწავლიდი, ჩემო გოგო.

ნუცა: – ბაბუ, ამიტომ ვაპატიე და ამიტომ ჩავეხუტე მათ, მაგრამ მთავარს მივხვდი, მათი მიღებით და ჩახუტებით, შენ გიღალატებ ბაბუ და ამიტომ არ მინდა ამათი არც მიღება და არც ჩახუტება!..

დედა: – შვილო, ნუცა, რას ამბობ?

ლალა: – ბებიას სიხარულო და იმედო, ვინ გვყავს შენზე საყვარელი შვილო?

ნუცა: – აი, ეს ლურჯი კონვერტი და მასში ჩადებული ბარათი თქვენ, ჩემო ძვირფასო მშობლებო, დღეს ნახეთ პირველად. უკვე რამდენი წელია არაფერი ვიცი თქვენს შესახებ, არც თქვენ, ჩემო მშობლებო და არც თქვენ, ჩემო ძვირფასო ბებო, მე და ბაბუ არ გიყვარვართ, ამდენი წლები საერთოდ არ გაინტერესებდათ როგორ ვცხოვრობდით, აი, ამ წერილის გარდა, კიდევ ორმოცდაათზე მეტი მაქვს შენახული და ყველა სიცოცხლესავით ძვირფასია ჩემთვის, ჩემი ბაბუ წერდა, თქვენს მაგივრად წერდა, რომ არ დამვიწყებოდით, რომ მყვარებოდით!..

– ნუცა, შვილო, – დარცხვენით გამოხედა ლუკამ.

– შენ იმდენი რამ მასწავლე, რომ იოლად გამოგიჭირე. როცა წერილების ავტორი გავშიფრე, უფრო ძალიან შემიყვარდა იგი. ბაბუ, მთელი შენი ბოლო 10 წელი მე შემომწირე.

ლუკა: – ნუცი, რა არის ამაში საკვირველი?

ნუცა: – ბაბუ, შენ, რომელსაც მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოგყავს საკუთარი სიბრძნით და შედევრებით, რა თქმა უნდა ხვდები, რატომ დაბრუნდნენ ეს ჩვენი ახლობლები ამდენი წლის შემდეგ და თუ მათ კინწისკვრით არ აგდებ ამ სახლიდან და ჩვენი ცხოვრებიდან, ისევ ჩემდამი სიყვარულის გამო. აქაც მართალი ხარ, ჩემო ბაბუ. ერთხელ მითხარი, თუ მავანს ბოროტების კეთება არ ბეზრდება, ჩვენ, ჩემო ნუცი, სიკეთის და მადლის ქმნა რატომ უნდა მოგვბეზრდესო. შენ ჩემს თვალში ყველასთან მართალი ხარ, მაგრამ დღევანდელ მსხვერპლს შენგან ვერ მივიღებ, არ მივიღებ! ამ სამმა ადამიანმა მიგვატოვა, გაგვწირა. მახსოვს, ცარიელ პენსიაზე ვცხოვრობდით, ტყავიდან ძვრებოდი, რომ არაფერი დამკლებოდა. რედაქციიდან რედაქციაში დადიოდი და ბავშვივით გიხაროდა, როცა ჰონორარს იღებდი. შენთვის ყველაფერს იკლებდი, წლების განმავლობაში ერთი შარვლით და ლაბადით დადიოდი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი გეცვა ზამთარ-ზაფხულ. მე კი არაფერს მაკლებდი. ბაღში და სკოლაში, ყველას მდიდარი ოჯახის შვილი ვეგონე. კლასში პირველი მობილური ტელეფონი მე მქონდა, ამიტომ ვმეცადინეობდი დღე და ღამე. როცა ღამე იჯექი და სანთლის შუქზე წერდი, ჩუმად გიყურებდი და სულ მინდოდა მოვსულიყავი და კისერზე მოგხვეოდი. დილით ჩუმად ვკითხულობდი შენს ნაწერს და ვამაყობ იმით, რომ პირველი ვეზიარე იმ გმირებისა და საზოგადოების დაბადებას, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. ახლა კი დაბნეული ვარ, არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებ, მაგრამ რაც უნდა ქნა, ნუციკო შენს გვერდით იქნება!

ლუკა წამოდგა, ბებრული ცრემლი მოიწმინდა და: – შენ რას იზამდი, ბაბუ, ჩემს ადგილას?

ნუცა: – ამათ აი, იმ კარზე მივუთითებდი და ვეტყოდი – მიბრძანდით!!!

ლუკა ბაბუამ მძიმე, ფიზიკური შრომისგან დაღლილი კაცივით ხელი შუბლზე მოისვა და ჩუმად, მაგრამ გარკვევით თქვა – მიბრძანდით!

სტუმრები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წამოდგნენ. სახეც და პოზაც შესაბრალისი მიიღეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ აქ მათი შემბრალებელი არავინ იყო და კარისკენ გაემართნენ.

– ეგრე არა, – მიაყოლა ლუკამ, – თქვენი ჩანთებიც წაიღეთ!..

და მერე, ლიფტთან მიადევნა: – თითოეულს სოლიდურ თანხას გამოგიგზავნით საჩუქრად.

ყოფილი ცოლი მოუბრუნდა და ჰკითხა: – აქ მობრუნების მცირე შანსსაც არ გვიტოვებთ?

ლუკა: – შენ არა, ქალბატონო ლალა! შენ შეგიძლია საბოლოოდ დაგვივიწყო!

კაკო: – ჩვენ?

ლუკა: – თქვენ, შვილო, იმას გაძლევთ, რისთვისაც მობრძანდით.

რძალი: – მამა, მეც მაძლევთ?

ლუკა: – რა თქმა უნდა, აი, ახლა თქვენ რომ წახვალთ, მე და ჩემი ბიზნესპარტნიორი ნუციკო, დავსხდებით და გადაწყვეტილებას მივიღებთ. აბა, კეთილი მგზავრობა. იმედია, ცუდს არ იფიქრებთ ჩვენზე.

– ოჰ, ბაბუ, ბაბუ, – უთხრა ნუცამ, როცა მარტო დარჩნენ, – შენი გამოსწორება არ იქნება!..

– შე მაიმუნო, – ცხვირზე თითი მიაჭირა ლუკამ, – ისე მსაყვედურობ, თითქოს ძალიან გინდოდეს შენი ბაბუა სხვანაირი გახდეს.

– არა, მე მხოლოდ შენნაირი ბაბუ მინდა, ყველაზე მაგარი მსოფლიოში.

– ეგ ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ყველაზე მაგარი შვილიშვილის ბაბუა რომ ვარ, ეს ნაღდია!..

– ახლა კი ბატონო ლუკა, ბიზნეს ლანჩზე გეპატიჟებით არა

როგორც შვილიშვილი, არამედ, როგორც ინებეთ გეთქვათ, ბიზნესპარტნიორი... ერთი, რაზეც გული მწყდება, ლურჯი კონვერტია, ვეღარ მივიღებ.

საღამოს კი ბაბუა-შვილიშვილი თვითმფრინავში ჩასხდნენ, როცა აფრინდნენ, ლუკა ბაბუა მოგონებებში ჩაიძირა.

ტიტრი ეკრანზე – ლალა, 40 წლის წინათ

კორპორატიული ლაშქრობა მთებში. ოცამდე ქალი და კაცი ზურგჩანთებით მთას გაივლიან და ტყის პირას კარვებს დგამენ. ზოგი გიტარაზე უკრავს, ზოგი ბურთს თამაშობს, ზოგი კოცონზე ხტება. მხოლოდ ორი ახალგაზრდა ზის განმარტოებით პლედდაფენილ ბალახზე. ლალას, წამოწოლილი ლუკას თავი კალთაში უდევს და თმაზე ეალერსება.

ლალა: – ლუკა, ეგ შანდორ პეტეფის ლექსი იყო?

ლუკა: – დიახ.

ლალა: – იმის წინ ბერნსი?

ლუკა: – ახლა ჰაინეს „ლორელაის“ წაგიკითხავ.

ლალა: – არ მინდა.

ლუკა: – აბა?

ლალა: – შენი ლექსები წამიკითხე, ის უფრო მიყვარს.

ლუკა: – რაც ჟურნალისტიკას გემო გავუგე, ლექსი აღარც დამიწერია. თითქოს ჩემში მუზა მოკვდა.

ლალა: – მამა ამბობს, ჩემთან გადმოვიდეს, კარგ ადგილას ჩავაბარებო.

ლუკა: – ყველ-კარაქის არაფერი გამეგება ჩემო ლალა.

ლალა: – არც არის საჭირო, მამაჩემი ყველაფერს მოაგვარებს.

ლუკა: – ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვერც მამაშენის ჭკუაზე ვივლი და არც მის ფულებზე ვაპირებ ცხოვრებას.

ლალა: – აბა, რა ვქნათ? დავშორდეთ?

ლუკა: – რატომ უნდა დავშორდეთ? მშვენივრად ვცხოვრობთ.

ლალა: – ამას ეძახი ცხოვრებას? საკუთარი მანქანაც არ გვაქვს.

ლუკა: – სამაგიეროდ, დიდი სიყვარული გვაქვს, ჩვენი ბინა, სამსახური.

ლალა: – მეტი მინდა, მამაჩემის უზარმაზარ სახლში უფრო კარგად ვიქნებით.

ლუკა: – ორიოდე წუთია ვსაუბრობთ და ყველაზე ხშირად მამაშენს ვახსენებთ, ნუთუ არ შეიძლება ჩვენ „ორზე“ ვისაუბროთ? აი, ახლა აქ, ამ პირველყოფილ და უბიწო ბუნებაში მაინც ვიყოთ ერთად.

ლალა: – სიმართლე თუ გინდა, ყველაფერი ყელში ამომივიდა.

ლუკა: – რა?

ლალა: – შენმა უაზრო რომანტიზმმა დამღალა, თავი მომაბეზრე შენი სენტენციებით. უბრალოდ, უხერხემლო და ამავე დროს, უმადური ადამიანი ხარ და სიმართლე ითქვას, ბოლო ორი თვეა, შენთან მხოლოდ შვილის გამო ვარ.

ლუკა: – რა?

ლალა: – იძახე ახლა რა, რა!.. აღარ მიყვარხარ, მომბეზრდა თვალთმაქცობა, შენი უნიჭო ლექსები, შენი უბადრუკი კორესპონდენციების კითხვა, რომელშიც გროშებს გიხდიან. აღარ მიყვარხარ და შენგან მივდივარ, მგონი, არც არასოდეს მყვარებიხარ!

...და ქალაქში დაბრუნებული ლალა პირდაპირ მამის სახლში წავიდა. განქორწინების სასამართლოზე ლუკა არ მისულა, რადგან პროცესამდე ლალა, უკვე სხვა მამაკაცის საკუთრებაში გადაიყვანეს მზრუნველმა მშობლებმა. შვილი კაკო კი, სიდედრმა ექვსი თვის მერე სამსახურში მიუყვანა ლუკას და უთხრა, რომ ლალა ფეხმძიმედაა და მის მეუღლეს არ სურს სხვისი შვილის აღზრდაო. ლუკამ სიხარულით მიიღო პატარა კაკო. ლალა ხანდახან აკითხავდა შვილს ბაღში და სკოლაში, მაგრამ სახლში არასოდეს. ლუკას დანახვაც კი არ უნდოდა. მიუხედავად მძიმე სიტუაციისა, დაბრუნებულმა შვილმა ლუკას ცხოვრებას სი-

ხალისე და ბედნიერება შემატა. კაცს ცოლის შერთვაზე აღარც კი უფიქრია, შვილს მიუძღვნა თავი. მხოლოდ თავისუფალ ქალებთან ხანმოკლე შეხვედრებით კმაყოფილდებოდა, ქმრიანებს კი ჭირივით ერიდებოდა.

ტიტრი – კაკო. 20 წლის წინათ

ლუკა სამსახურიდან გვიან ბრუნდება, სახლში უკვე დავაჟკაცებული კაკო ხვდება გოგონასთან ერთად.

– მამა, გაიცანი, ეს ჩემი საცოლეა, მილა.

– გამარჯობა მილა, უფრო უკეთესი ყოფილხარ, ვიდრე შვილი მეუბნებოდა.

მილა: – გამარჯობა. ძალიან გამეხარდა, რომ მოგეწონეთ, გვაპატიეთ რომ არც კი დაგელოდეთ და უთქვენოდ ვივახშმეთ. ახლავე გაგიწყობთ სუფრას.

ლუკა: – მადლობა შვილო, საჭირო არ არის. აი, შენი ხელით მოდუღებულ ყავას კი სიამოვნებით მივირთმევ.

მიმლა: – ახლავე, ბატონო...

ვიდრე მილა ყავს ხარშავდა, კაკო ლუკას მიუბრუნდა:

– მამა, ახლა არ შეხტე და შემოტრიალდე...

ლუკა: – ეგეთი რა უნდა მითხრა, შვილო?

კაკო: – ვიცი რომ ამის წინააღმდეგი იქნები, მაგრამ მილას სახლში უნდა გადავიდე საცხოვრებლად.

ლუკა: – რატომ, შვილო? აქ ვერ დავეტევით?

კაკო: – მილას მამამ მითხრა, ჩემს ერთადერთ შვილს თქვენს სოროში არ ვაცხოვრებო.

ლუკა: – ყოჩაღ, მაგარი რამე უთქვამს!

კაკო: – რა გაცინებს? სხვათა შორის, დედამაც ასე მირჩია.

ლუკა: – იცი რა გითხრა, შვილო? დედაშენის დედაც და შენი მომავალი სიმამრისაც!.. ეგეთი ვირი არ მეგონე და რადგან აღმოჩნდი, შენს მასწავლებლად ვეღარ გამოვდგები. გააკეთე რაც გსურს და ღმერთმა ბედნიერი გყოს. შევარცხვინე ის მამა, შვილის ბედნიერება რომ არ გაახარებს. თუ რამეში დაგჭირდე-

ბი, ეჭვიც არ შეგეპაროს, ყოველთვის შენს გვერდში ვიქნები...

...ასე დარჩა ლუკა სულ მარტო. უჭირდა, მაგრამ უძლებდა. ყოფილი ცოლი, რომელსაც აქამდე არც კი ახსოვდა ლუკას არსებობა, ახლა კვირაში სამჯერ-ოთხჯერ ურეკავდა და: – ხომ გეუბნებოდი, მარტოობაში ამოგძვრება სული-მეთქი, აგიხდა ხომ?! ახლა იჯექი, წერე და იკითხე...

ლუკაც იჯდა, წერდა და კითხულობდა. ლალას მხიარულება მოულოდნელად დამთავრდა. ჯერ მშობლები დაეხოცა, მერე – ქმარი. გაღარიბებულმა და მდიდრულ ცხოვრებას მიჩვეულმა ქალბატონმა იშვირა ფეხი და შეძლო უცხოელის გაბრიყვება. ცოლად გაჰყვა და სამშობლო დატოვა. დიდ ფუფუნებაში არ ჩავარდნილა, მაგრამ სულ არაფერს, ხომ სჯობიაო... ლუკასთვის აღარც დაურეკავს, ხალისი არ ჰქონდა.

მერე მილას მდიდარი მამა გაეხვა დიდ შარში, ქონებაც დაკარგა და თავისუფლებაც. კარგა ხნით მიაყუჩეს საპყრობილეში, კაკოს და მილას ლუკას სახლი გაუტკბათ. ლუკა დიდი სიყვარულით შეხვდა უძღებ შვილსა და რძალს. განსაკუთრებით კი შვილიშვილს – ნუცას, ყველას ის ინახავდა და უხაროდა კიდეც, რომ თავისი ნაგრამისთვის რაღაცის გაკეთება შეეძლო... ახლობლებისთვის საჭირო გახდა.

ბედნიერება დიდხანს არ შეყოვნებულა ლუკას სახლში, კაკომ ვიღაც რუსის ქალი გაიცნო და ორ კვირაში სამშობლო დატოვა. დამწუხრებული მილა ორი წელი ვაჟკაცურად იტანდა უქმრობას და შვილს და მამამთილს ყველანაირად ეხმარებოდა, მაგრამ მერე საყვარელი გაიჩინა და ერთ დღეს, მასთან ერთად გაუჩინარდა. თან ოჯახის მთელი დანაზოგი გააყოლა ხელს. მარტო დარჩენილ ლუკას ძალიან გაუჭირდა, მაგრამ სამი წლის ნუციკოს მამობას და დედობას რის ვაივაგლახით, მაგრამ მაინც უწევდა. გაქცევიდან ექვსი თვის შემდეგ მილამ გატაცებული ფულის ნახევარი გამოუგზავნა და მოწერა, რომ იტალიაში გათხოვდა და ხშირად დაეხმარებოდა. თუმცა შემდგომი ათი წელი აღარ შეხმიანებია, კაკო და ლალაც დაიკარგნენ.

ტიტრი – ნუცა

ნუცა თავიდანვე მშვიდი და დამჯერი ბავშვი იყო. ლუკამ მოახერხა ბაღში მისი ჩარიცხვა, საღამოს ერთი საათით ადრე მიდიოდა გამოსაყვანად, რადგან იცოდა პატარებს არ უყვართ, როცა ყველაზე გვიან აკითხავენ მშობლები. შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და ლუკა დარწმუნდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ბაბუას და შვილიშვილს ერთი ჭკუა აქვთ.

დადგა ნუცას სკოლაში წასვლის დრო და ბაბუა მიხვდა, რომ ცხოვრებაში რაღაც უნდა შეეცვალა. მოსწავლეს გაცილებით მეტი სჭირდებოდა, ვიდრე ბაღის აღსაზრდელს. ერთ დილით, როცა ნუცა ბაღში მიიყვანა, ლუკამ ყველაზე მაღალანაზღაურებადი გაზეთის რედაქციისკენ გაუტია, ოფისმენეჯერმა, შუახანს გადაცილებულმა სიმპათიურმა ქალმა კარგად მიიღო და განუმარტა, ყოველი კვირის ოთხშაბათს, მთავარი რედაქტორი კასტინგის მაგვარს ატარებსო. თან უთხრა, რომ ცოტა ხუშტურებიანი კაცია და არ უყვარს, როცა თვალებში არ უყურებენო. ოთხშაბათს ლუკამ ერთგვარი მღელვარებით შეაღო რედაქციის კარი, ათიოდე წუთი მოუწია ლოდინი და დაუძახეს. მთავარი რედაქტორი ორმოც წელს მიღწეული, საშუალო სიმაღლის, დიდთავა, სიმპათიური მამაკაცი აღმოჩნდა. „სივს“ გადახედა და სალამ-ქალამის გარეშე უთხრა: – მომავალი ოთხშაბათისთვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა ისე უნდა დამიწერო, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხო. საღამოს ხუთისთვის გელოდებიო.

ლუკა არც კი დამჯდარა, თავი დაუკრა და გამობრუნდა. შემდეგ ოთხშაბათს ნუციკო ბაღიდან გამოიყვანა და რედაქციაში მასთან ერთად მივიდა. ბავშვი ოფისმენეჯერმა ჩაიბარა, ლუკა კი რედაქტორს ეახლა.

რედაქტორი: – (არც კი მისალმებია) დაწერეთ?

ლუკამ თორმეტფურცლიანი რვეული მიაწოდა, რედაქტორს არც კი შეუხედავს, მოკლედ თქვა – წამიკითხე.

ლუკა მღელვარე ხმით, შიგადაშიგ ბორძიკით კითხულობდა:

– მორჩა, – თქვა ბოლოს.

რედაქტორმა ზარს დააჭირა თითი. მაღალი, საკმაოდ სიმპათიური, თმაგაშლილი ქალი შემოვიდა. რედაქტორმა ლუკას შეხედა და უთხრა:

– რვეული მიაწოდე!..

ქალმა რვეული გამოართვა და ღიმილი ისე მოუხდა, ლუკას სიამოვნებისგან გული შეეკუმშა.

– წაიღე და ხვალინდელი ნომრისთვის მოამზადე, – თქვა შეფმა ქალის მისამართით და როცა ქალმა კაბინეტი დატოვა, რედაქტორი ლუკას მიუბრუნდა, ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა და უთხრა: – მიღებული ხარ, ძმაო!.. გილოცავ, შენი სტილი მომწონს. კვირის მიმოხილვის გარდა, სოციალურ თემებზეც იმუშავე. ახლა კი დერეფანს რომ გაუყვები, დიდი, წითელი კარი შეგხვდება წარწერით „ბულალტერია“. იქ ამ სტატიის ჰონორარს მოგცემენ. მე წესად მაქვს, პირველ კორესპონდენციაში ჰონორარს ხელზე ვიძლევი, ხელფასები კი ჩვენთან ყოველი თვის ოცდახუთ რიცხვშია. ნახვამდის.

ლუკამ თავი დაუკრა და ბუღალტერიისკენ გასწია. იქ კი იმდენი ფული მისცეს, სიხარულისგან კინაღამ შეიკუნტრუშა, თუ ერთ სტატიაში ამდენს გადაუხდიდნენ, არ ეგონა.

ოფისმენეჯერმა მიულოცა და ლოყაზეც კი აკოცა. ლუკამ შვილიშვილს ხელი ჩასჭიდა და ქუჩაში გამოფრინდა.

– ნუციკო, რა გინდა ახლა ყველაზე მეტად? – ჰკითხა შვილიშვილს.

– ცირკში წასვლა.

– მერე, რა გვიშლის ხელს?

წავიდნენ...

ხუთი წელი იმუშავა ლუკამ ამ გაზეთში, შვილიშვილს არაფერს აკლებდა. ნუციკოც მაგრად სწავლობდა. გარდა იმისა, რომ ფორტეპიანოზე დადიოდა, კიდევ სამ ენას – ინგლისურს, ფრანგულს და ესპანურს ეუფლებოდა. რუსულს და გერმანულს ლუკა ასწავლიდა. ბაბუამ და შვილიშვილმა კვირაში ხუთი დღე

„უცხოურად“ აქციეს. „უცხოური“ გვაქვსო, იტყოდნენ და მორჩა: ლუკას სამშაბათი და ხუთშაბათი უხაროდა: სამშაბათი რუსულის დღე იყო; ხუთშაბათი – გერმანულის, შაბათ–კვირა მთლად გასაოგნებელი იყო – ბაბუაც და შვილიშვილიც, მხოლოდ მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ. ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ლუკა გაბუტულივით დადიოდა სახლში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ინგლისურის, ფრანგულის და განსაკუთრებით ესპანურის ინჩი–ბინჩი არ ესმოდა... ხუთი წლის შემდეგ კი ლუკა გაზეთიდან გამოუშვეს იმის გამო, რომ მისი კრიტიკა ვიღაც მაღალჩინოსანს არ მოეწონა და რედაქტორი აიძულა, ლუკა გაეწირა. კიდევ კარგი, ცოტა დანაზოგი ჰქონდათ და ლუკას პენსიამაც სულზე მოუსწრო, მაგრამ ძალიან უჭირდა. ლუკამ ასჯერ ჩამოუარა ძველ ჟურნალ–გაზეთებს, მაგრამ თითქოს ყველამ პირი შეკრა... და მაშინ, როცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ხსნა მოვიდა. მისმა ძველმა მეგობარმა და კოლეგამ, ამჟამად კი პენსიონერმა სერგომ დაურეკა და სახლში დაიბარა...

სერგო: – ოოო, ჟურნალისტიკის გენერალს ვახლავარ, შემო, შემო, მაქეთ არა, სამზარეულოსკენ ნაბიჯით იარ!..

ლუკა: – ყოჩაღ სერგო, ოცი წლის ბიჭივით გამოიყურები.

სერგო: – ეეჰ, ჩემს ნაზის ეცოცხლა და მართლა ვიქნებოდი ლომივით. ეეჰ, რაც არის, არის! ნახე, რა სუფრა გაგიშალე, ხომ მაგარი ბიჭი ვარ?!

ლუკა: – კი, არ დაიწუნები.

დასხდნენ...

სერგო: – თან საქმე, ჩემო ლუკა.

ლუკა: – კი ბატონო, გისმენ.

სერგო: – შენ ხო იცი, ჩემი ბიჭი სულ ბიზნესშია, ახლა უცხოელი პარტნიორები ჰყავს, ფრანგები თუ ბელგიელები. ერთობლივი ბიზნესი აქვთ, ოცდაათზე მეტი დასახელების პროდუქციის შემოტანას აპირებენ აქ და ამას ყველაფერს, რეკლამა ხომ უნდა? ჰოდა, გადაწყვიტეს სარეკლამო ყოველკვირეული, რვაგვერდიანი გაზეთი გააკეთონ.

ლუკა: – ცოტა უცნაური კია, რეკლამისთვის ტელევიზიას იყენებენ.

სერგო: – ეგ მეც ვთქვი, მაგრამ მითხრეს, ტელევიზია ძვირი სიამოვნებაა, გაზეთი კიდე, იაფი და იორღაააო. ჩვენი რა მიდის? დავცხოთ, ფული გაწყენს?

ლუკა: – მაწყენს კი არა, მაგაზე ფიქრით ლამის გავთავდე.

სერგო: – ახლა ძალიან დიდი შემოსავალი არაა, მაგრამ შიმშილით არ მოვკვდებით.

ლუკა: – მე რა უნდა გავაკეთო?

სერგო: – შენებურად, თითო ნომერში თითო ნოველა უნდა ხიო, სოციალურ თემაზე.

ლუკა: – რა შუაშია?

სერგო: – რა შუაშია ყაძახო და, რეკლამების გარდა, რამე ისეთიც ხომ უნდა იყოს შიგ, რასაც ვინმე ინტერესით წაიკითხავს? იმათ კარგად იციან, რასაც აკეთებენ. შენ ნოველა მომიტანე, მე – ფულს გადაგიხდი და პაჩი-პუჩი.

ლუკა: – კი ბატონო, დავალება მიღებულია, როდის შევუდგე?

სერგო: – კვირის ბოლოს ხელში უნდა მქონდეს.

ლუკა: – არაა პრობლემა.

სერგო: – აბა, ახლა სუფრას ვეკვეთოთ...

ლუკა საქმეს შეუდგა და ყოველი კვირის ბოლოს აკურატულად აწვდიდა სერგოს მასალას. ცოტა სული მოითქვა... ნუცამ მეექვსე კლასი წარმატებით დაამთავრა და ლუკამ მისი მეგობრები სახლში დაუპატიჟა. თვითონ მაშინ დაბრუნდა, როცა ახალგაზრდები ახალი წასულები იყვნენ. ნუცა კი მაგიდას ალაგებდა, მიეხმარა შვილიშვილს... დილით, უთენია მობილურმა გააღვიძა:

– ლუკა ბიძია, სახლში ხართ? – სერგოს შვილი ურეკავდა.

– სახლში ვარ, სერგო ხომ კარგადაა ბიჭო?! – ჩასძახა ლუკამ ტელეფონში.

– მამას რა უჭირს, ასწლიანია... ლუკა ბიძია, ათ წუთში თქვენთან ვიქნებით სახლში, უცხოელი სტუმარი მომყავს, ამ დი-

ლით ჩამოვფრინდით ბრიუსელიდან, თავი მოიკლა, ამ ნოველის ავტორი პირადად უნდა ვნახოო. შენი გულისთვის ჩამოვედით ამხელა გზაზე.

– კარგი, შიო, მობრძანდით, გელოდებით.

– ბაბუ, ვინ იყო? – გამოსძახა ნუცამ. სტუმრები გვყავს შვილო, – წამოდგა ლუკა.

– ძალიან კარგი, ორ წუთში მზად ვიქნები, – უპასუხა ნუცამ.

შიო და მისი წითური პარტნიორი გრიგალივით შემოიჭრნენ ბინაში. უცხოელმა ლუკას მაგრად ჩამოართვა ხელი, ერთი–ორჯერ გადაეხვია კიდეც, მერე ტაშიც დაუკრა. ასეთი აღტაცებული და მხიარული, ლუკას ჯერ არავინ ენახა.

– თქვენ ნამდვილი ჯადოქარი ხართ, თითქოს დედაჩემის ცხოვრება აღწერეთ, მთელი ოჯახი თქვენი ფანი ვართ. მადლობა, ბატონო ლუკა. – შიო ნაწყვეტ–ნაწყვეტ თარგმნიდა უცხოელის სიტყვებს, თუმცა აშკარად ეტობოდა, რომ ეს სიტუაცია არაფრად ეპიტნავებოდა. აქ მხოლოდ უცხოელი პარტნიორის და მისი ხუშტურების დასაკმაყოფილებლად მოვიდა.

ლუკა: – მოხარული ვარ, ჩემო... იმანო და რა ჰქვია?

შიო: – რომანი ჰქვია.

ლუკა: – მოხარული ვარ, ჩემო რომან, თქვენი გაცნობით და იმით, რომ ჩემი ნოველები ძალიან მოგეწონათ.

შიომ გადათარგმნა, უცხოელმა გაიღიმა და რაღაც თქვა...

შიო: – მხოლოდ ერთი წავიკითხეო...

ლუკა: – რაო?

შიო: – ლუკა ბიძია, გაზეთი ქართულად გამოდის. ამ ორი დღის წინ კი, პატრონებმა ბოლო ნომრის ფრანგული ვერსია მოგვთხოვეს. ამან, როგორც კი შენი ნოველა წაიკითხა, ველარ დავაკავეთ. უცნაური კაცია, იძახის, პროფესიით კინორეჟისორი ვარ, ეს ჩვენი ბიზნესი ჩემთვის ჰობია, ამას თქვენც კი მიხედავთ, მე კი ჩემს პროფესიას უნდა დავუბრუნდეო. ახირებული და თავისნათქვამა კაცია, დაიჟინა, ამ ფილმით ოსკარს ავიღებო.

ლუკა: – და მე რა შუაში ვარ?

აქ კი, ნუცა ჩაერია საუბარში და უცხოელს ფრანგულად მიმართა:

– ბატონო რომან, თქვენ ბაბუას სცენარით გინდათ გადაიღოთ ფილმი?

რომანი: – პატარა ქალბატონო, თქვენ ფრანგულად საუბრობთ? თანაც, რა დახვეწილი და კლასიკური ფრანგულით.

შიო: – ეს წარმოუდგენელია, ბატონო ლუკა.

რომანი: – მართლაც მინდა ფილმის გადაღება, ნოველა „დედა“ წავიკითხე. ეს ჩემს გარდაცვლილ დედაზეა დაწერილი, ჩემს უსაყვარლეს ადამიანზე.

ლუკა: – რაო, ბაბუ?

ნუცა: – ნოველა „დედა“ მოსწონებია. უნდა ფილმი გადაიღოს, დედაჩემზეა დაწერილიო, ამბობს.

რომანი: – ბატონო ლუკა რას ამბობს, დაწერს სცენარს?

ნუცა: – (ლუკას) ამ ნოველის მიხედვით სცენარს დაწერსო?

ლუკა: – დავწერ, აბა, რას ვიზამ?!

ნუცა: – (რომანს) დაწერს!

რომანი ხელს ჩამოართმევს ლუკასაც და ნუცასაც და ეტყვის:

– ბატონ ლუკას უთხარი, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი მილიონი ევროს გადახდა შემიძლია, დანარჩენს კი შემდეგ გადავიხდი.

ნუცა: – რამდენს?

რომანი: – დღესვე ჩაგირიცხავთ მილიონ ევროს, მეორე მილიონს კი ფილმის გადაღების პროცესში მოგართმევთ. ხელშეკრულებაც დღესვე გავაფორმოთ. მე საქმის გადადება არ მიყვარს.

შიო: – მართლა ამდენის გადახდას აპირებდი?

რომანი: – ფიქრობ, რომ ეცოტავებათ?

შიო: – არ მგონია.

ნუცა: – ბაბუ, მილიონს იხდის სცენარში დღესვე და მეორე მილიონს ცოტა მოგვიანებით.

ლუკა: – იქნებ, კარგად ვერ გაიგე, გოგო!

შიო: – ეგრეა, ლუკა ბიძია, ორ მილიონს იხდის.

თან ჩუმად ჩაიბურტყუნებს – „ერთი, მეც უნდა წავიკითხო, რა დაწერა ამ კაცმა ასეთი“.

რომანი: – აბა, რა გადაწყვიტეთ?

ნუცა: – (ლუკას) რა გადაწყვიტაო?

ლუკა: – იეს, იეს, ბატონო!.. ეე, რა ჰქვია და რომან, იეს, გუტ, გუტ!

რომანი საქმიან სახეს იღებს: – ხელშეკრულებას დღესვე შევადგენ და ხელიც დღესვე მოვაწეროთ. ახლა კი, ნახვამდის, გავრბივარ, საქმე მაქვს...

ლუკა ფიქრებიდან გამოერკვევა, ილუმინატორიდან ვარსკვლავებს დახედავს და მძინარე ნუცას ლოყაზე აკოცებს. მერე პიჯაკის ჯიბიდან „ლურჯ კონვერტს“ იღებს, სავარძელზე მოკეცილ მაგიდას გადმოწევს და ზედ დადებს... ზუსტად ამ დროს შიო ამთავრებს ლუკას ნოველის გაზეთში წაკითხვას და გაოცებული ამბობს: „მდიდრებმა ფულის ყადრი არ იციან. რაში იხდიან მილიონებს! არა და, რომანზე ვერ იტყვი, უჭკუო კაციაო! დღე და ღამეს ვასწორებ შრომაში და რას ვიღებ? ამ ბებერმა კი, ერთ ფურცელში მილიონები იშოვა, სამართალია, ეს?!!!“ – თქვა და... გაზეთი მოისროლა!..

2018 წლის 30 მაისი, ლომისობა

ზაალ ნემსაძე

საულ – საულ!

კინომოთხრობა ორ ნაწილად და 21 თავად

მთელი მოქმედება ხდება ექვსი დღის განმავლობაში ტარსასა და დამასკოს შორის, მეშვიდე დღეს ისვენებენ.

1. საული;
2. ფილიმსტე;
3. ლინგვისტი;
4. მქადაგებელი;
5. ცალეუკოსი;
6. ჟორა;
7. დალილა;
8. ამალია;
9. ორი მეძავი;
10. მემანქანე;
11. ცეცხლფარეში;
12. დიდი კერპის ქალაქის მცხოვრებნი;
13. პენსიონერი პოლიციელი;
14. სამთო-მოთხილამურე;
15. ცალეუკოსის რაზმელები;
16. ორას მესამოცე ნომერი;
17. სანხერიბი-სადუკეველი მაგი;
18. ღოთოლია;
19. ღოთოლიას ქმარი;
20. ადამიანის ფორმის ექვსი არსება და კენტავრი ტბორიდან;
21. ცხენოსნები;
22. უფლის ანგელოსი;
23. მოსე და ჩვენების სხვა წარმომადგენლები: ელიაზარ აარონის ძე, ხუზკია ახაზიას ძე და ა.შ.

24. ლუციფერი;
25. სპილენძის გველი;
26. მეფუნდუკე და მისი სტუმრები.

მომცრო, მაგრამ ერთობ კოხტა ორთქლმავალი ექვსკუპიანი, შინდისფერი ვაგონით, საშუალო სიმაღლის მთას უახლოვდება. შემოდგომის მწიფე ყვითელი ფერი დასდებია გარემოს. მზე თითქმის ეხება დასავლეთის ჰორიზონტს. შებინდებამდე წყრთაღაა დარჩენილი. ვაგონის დერეფანში სამოცი წლის მაღალი, თმაშევერცხლილი კაცი დგას და თვალდახუჭული ბუტბუტებს:...“ხოლო თუ ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან!“

„გამატარეთ!“ – ისმის ქალის კატეგორიული ტონით ნათქვამი. იგი შინაურულადაა ჩაცმული, ჭრელი ხალათი, იაფფასიანი ქოშები. მამაკაცურად შეჭრილი თმის მიუხედავად, საკმაოდ კარგად გამოიყურება: „ჩადგებიან გასასვლელში და გავლის საშუალებას არ გაძლევენ“.

კაცს ეტყობა აზრი გაუწყდა, ქალს გაკვირვებით გახედა და კედელს აეკრა. ქალმა დასრესილი პაპიროსის ნამწვავი ამოიღო ხალათის ჯიბიდან, სული შეუბერა და პირში ჩაიდო. კაცმა უმალ ასანთი მიაშველა, მაგრამ ქალმა ხელი აუკრა, თავისი ასანთით მოუკიდა, კაცს შეაბოლა და მიაძახა: „კეთროვანივით მეზიზღება შენნაირები!“

„ის კი, ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება და ბნელში დადის და არ იცის, საით მიდის, ვინაიდან სიბნელემ დაუბრმავა თვალები. ვისაც თავისი ძმა უყვარს, იგი ნათელში რჩება და საცდური არ არის მასში. დაო ჩემო!“ – გაუცინა კაცმა. „ნახევარი დღეა ამ ვაგონში ვარ და უკვე თავი მომაბეზრე. ნეტავ შეიძლებოდეს შენი კუპეში ჩაკეტვა. ორმოცი წლის გავხდი და შენისთანა მოლაყბე ჯერ არ შემხვედრია“.

„ორმოცი წელი რომ გავიდა სინას მთის უდაბნოში ეჩვენა

უფალს ანგელოსი ალმოდებული მაყვლოვანიდან“, ისევ გაუცინა კაცმა. „მერე რა მოხდა?“ სახეში შეაბოლა ქალმა. „...შემოესმა უფლის ხმა: „მე ვარ შენი მამების ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისააკისა, და იაკობისა“. მოსე შეძრწუნდა და ვერ გაბედა ყურება“, – თქვა კაცმა.

„შენი მოსე, აბრამი, ისაკი და მეოთხეს რაღა ჰქვია? – ვეღარ მოიგონა ქალმა.

– „იაკობი“, – გამოცოცხლდა კაცი.

„ჰო, იაკობი შენთვის შეინახე და პატიოსანი ხალხის გამასხარავებას თავი დაანებე“, – სიგარეტი კედელზე მიასრისა ქალმა.

– ქალბატონო, მე...“ – ენა დაება კაცს.

– შენ თუ არა, უცოდველი მყავხარ, ჰა, არ მოგწონს?

ქალმა ხალათი შეიხსნა და შიშველი ძუძუები აუთამაშა თვალწინ....როგორია? შემოდი ჩემთან და სხვა რამე-რუმეებსაც გიჩვენებ“.

კაცმა დანანებით გაიქნია თავი: „ნუ მისცემთ წმინდას ძაღლებს და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხებით არ გათელონ ისინი და შემობრუნებისას თქვენც არ დაგგლიჯონ“, – მათე, თავი მეშვიდე. მეექვსე“.

– „მართლა არ გინდა? სულ იაფი დაგიჯდება“, – არ მოეშვა ქალი. – ფული თუ არ გაქვს, რაიმე ნივთს გამოგართმევ, თუნდაც პურის ყუას“.

„აჰა, დაო, – კაცმა საფულე გახსნა, ქაღალდის ფული ამოიღო, მკერდგაშიშვლებულ ქალს ხელში ჩასჩარა. მერე პირი იბრუნა და მეოთხე ნომერ კუპეს მიაშურა აუჩქარებლად. ქალმა ხალათი შეიკრა, ფული ჯიბეში ჩაიტენა და მერეღა თქვა:...“არ არის სრულ ჭკუაზე ანდა ცვედანია“. მან მეექვსე კუპის კარზე დააკაკუნა, მერე შეაღო და ჩურჩულით, მაგრამ გარკვევით უთხრა ვიღაცას: „დროა ფილიმსტე“. კარი ღიად დატოვა და კორიდორის ბოლოში ტუალეტს მიაშურა, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა. ქალი იქვე აწრიალდა, უცებ, ტუალეტის კარი გაიღო, ძლიერი ხელები ქალს დასწვდნენ და შიგნით შეათრიეს. სანამ ქალი გონს მოეგებოდა, ამ ხელებმა ქალს ხალათი გააძრეს,

ქვედა საცვალი ჩახადეს, გადაკუზეს და შუბლი უნიტაზზე დაადებინეს. ქალი მიხვდა წინააღმდეგობის გაწევის უაზრობას და მოძალადეს ისე მიეალერსა, რომ თავადაც არანაკლები სიამოვნება მიიღო.

ამასობაში, მეექვსე კუპიდან ჟღალწვერიანი ჯირკუტანა, ნაადრევად გამელოტებული, სასიამოვნო შესახედაობის კაცი გამოვიდა. მას რომელიღაც სპორტული კლუბის ფორმა აცვია და ხელში სპორტული ჩანთა უჭირავს. მარდად გადაინაცვლა ვაგონის წინა მხარეს და ის კარი გამოაღო, რომელიც ვაგონს ორთქლმავლის მისაბმელთან აკავშირებს. ჩანთა გახსნა, უცნაურწარწერებიანი და ნახატებიანი მუყაოს პატარა კოლოფი ამოიღო, ერთ მხარეს ენის წვერო გადაუსვა, გახსნა, მოლურჯო-მოწითალო ფხვნილი მისაბმელზე და რელსებზე დააბნია ბუტბუტით: „სამი ექვსი არის ექვსასსამოცდაექვსი!“

ისმის გამაყრუებელი გრგვინვის ხმა. ორთქლმავალი სცილდება ვაგონს, რელსები მიმართულებას იცვლის და მთისკენ მიემართება. ორთქლმავალი ჩერდება, ვაგონი ისე იოლად გაივლის მასში, თითქოს არამყარ სხეულში გაიარაო და რელსს გაჰყვება. მთაში უეცრად გვირაბი ჩნდება და ვაგონი დიდი სისწრაფით შევარდება შიგ. ორთქლმავლის ჭარმაგი მემანქანე ჩიბუხგაშეშებული შეჰყურებს წინ გაქცეულ ვაგონს და გულზე ხელმიდებული ენარცხება სკამზე. ორთქლმავლის წინ ნელ-ნელა იკეტება მთის გვირაბი.

2.

ვაგონი ტყეში, თითქოს საგანგებოდ გამოყოფილ მინდორში დგას, დაისია და გარეთ საგნების გარჩევა ჯერ კიდევ შეიძლება. კუპეებიდან გაბრაზებული ღრიანცელი და ყაყანი ისმის, რადგან ყველა კარი და ფანჯარა ყრუდაა ჩაკეტილი. უჩანთო ფილიმსტე კორიდორში დგას და სასიამოვნო ხმით აცხადებს: „ქალბატონებო და ბატონებო! დარჩით თქვენ ადგილებზე, დამშვიდდით. ყველაფერი რიგზეა!“ შემდეგ მესამე კუპის კარს აღებს, მაგრამ იქ არავინაა. „სად დაიკარგა, ნუთუ ისევ მუცლის

გვრემა აუტყდა“, – კბილებში გამოსცრის და ტუალეტს მიაშურებს. კარს შეაღებს, ქალი უნიტაზზე ზის და შავფურცლებიან, ნახატებიან წიგნს ფურცლავს. ფილიმსტე კარს კეტავს და სიგარეტს უკიდებს.

– მესამედ ხარ ასეთ საქმეზე და შიში კიდევ ვერ დაძლიე?“ – გესლიანად ეკითხება ქალს. – შენი წყალობით ბანდამ შეიძლება ვაგონშივე მოგვისწროს!“

– რა ვქნა, მეოთხე კუპის წინ რელიგიური დისპუტი გამიმართეს და ისე გამლანძღეს, მუცელში ხანჯალივით დამიტრიალდა რაღაც“, – ისე უცოდველი სახით ამბობს ქალი, თითქოს სხვა არაფერი შემთხვეოდეს.

– მაგ შენი დისპუტისა და აქ ჯდომისთვის ქალაქში მისვლამდე იქნებ კიდეც გვცემონ! – პასუხობს ფილიმსტე.

– ტყის გავლა იქნებ მოვასწროთ, – ეუბნება ქალი.

– ვეღარ მოვასწრებთ. ორთქლმავალიც ერთი საათით მეტ ხანს იდგა ტარსაში. ვიღაც შავწვერა გამოუშვიათ ციხიდან, საბუთები არ ჰქონდა წესრიგში და ვიდრე ყველაფერი არ გაირკვა, ვიდექით“.

– ერთი კაცისთვის დავკარგე ამოდენა დრო? – იკითხა ქალმა და თავის გამაპატიურებელ შავწვერას გაუღიმა, რომელმაც ფილიმსტეს ზურგს უკან ჩამოშვებული ფარდიდან თავი გამოჰყო. ქალს თვალი ჩაუკრა, ფილიმსტეს დაეჭყანა და ისევ მიიმალა.

– „ეს ერთი კაცი ჩვენთვის ოქროდ ფასობს. თორმეტი წელი მოიხადა მკვლელობისთვის. იქნებ თანამდებობასაც კი გამოჰკრას ხელი“, – ვარაუდობს ფილიმსტე. – „ეს ერთი კაცი“ კი ისევ ეჭყანება ფილიმსტეს.

– კარგია, – ეთანხმება ქალი, – მაგრამ არც სხვები არიან უცოდველნი. პირველ კუპეში სირაჯი და მისი ცოლია, მათ ბანდის მოსვლამდე დავიმორჩილებ, მეორე კუპეში საშოვარზე წამოსული ორი მეძავია, მეოთხე კუპეში პენსიონერი პოლიციელი მგზავრობს და შენ რომ დისპუტი გაგიმართა, ის მოცლილი, მეხუთეში – გაურკვეველი ეროვნების ლინგვისტი და სა-

მთომოთხილამურე, ეს მაისური მან მაჩუქა. ყოფილი პატიმარი კი ჩემს კუპეშია და სულ ხორციანად ჩვენია. „ყოფილი“ კიდევ ერთხელ დაეჭყანება ქადაგად დავარდნილ ფილიმსტეს.

– ცალად მხოლოდ მე ვმგზავრობ, – ამბობს ქალი, – წადი ახლა, უნდა ავდგე! – ფილიმსტე გადის. შავწვერა სამალავიდან გამოვარდება და ქალს ებდღვნება. – გეყოფა შე გაუმაძღარო, – ეუბნება ქალი და თან უძალიანდება...

ფილიმსტე პირველ კუპეს გასაღებს მოარგებს და შედის. ტანდაბალი, ქერა, გამხდარი სირაჯი ტახტზე მისვენებულ დედაკაცს ასულიერებს. – ავარიაა, ორთქმავალი დავკარგეთ! – ტრაგიკული ხმით ამბობს ფილიმსტე. – რა გეშველება? – შეშფოთდა ქალი და თავი წამოსწია.

– დაბრუნდება, აბა აქ ხომ არ დაგვტოვებს, – ამშვიდებს ფილიმსტე და სირაჯს მბრძანებლურად მიმართავს: „წადი ჩემს კუპეში, აი, გასაღები. მაგიდაზე ჩანთა დევს და ტახტზე შავწვერა კაცი წევს, უთხარი და ჩანთას გამოგატანს...“ – სირაჯი გასულიც არ არის, რომ ფილიმსტე მის ცოლს ებდღვნება...

ტუალეტიდან გამოსულმა შავწვერამ საშუალო სიმაღლის, მსუქანმა კაცმა სირაჯი გვერდზე მიაგდო, მეექვსე კუპის ყრუდ ჩაკეტილი კარი უგასაღებოდ წამში გააღო და შიგ შესულმა ისეთი ძალით მიიჯახუნა, სირაჯი შიშისგან შეხტა, ვერც კი გაბედა კართან მიახლოება და ბოლოს, დიდი მოწიწებით დააკაკუნა და შეაღო. შავწვერა ხისტარიან მაუზერს ათვალიერებს, ლულაზე აფურთხებს და ვაგონში ჩამოკიდებული ქათქათა ფარდით საგულდაგულოდ წმენდს. წელში მოწიწებით მოხრილი სირაჯი ჩანთას იღებს და გასასვლელისაკენ შებრუნდება, მაგრამ მონუსხულივით შედგება, რადგან აშკარად გაიგონა იარაღის სასროლად გამზადების წკაპუნი. ის ნელ-ნელა შემობრუნდა და შიშისგან ჩანთა გაუვარდა. შავწვერამ ლულით ანიშნა, ჯიბეები გადმოატრიალეო. მერე წამოხტა, ჯიბიდან საფულე ამოუღო, ფული ჯიბეში ჩაიდო, ნაწილი ფული საფულიანად პატრონს ჩაუკუჭნა ჯიბეში, მერე სირაჯს ყურში ხელი წაავლო და კუპიდან გამოაპანღურა, ზურგში ფილიმსტეს ჩანთა მიაყოლა და კარი მიიხურა.

გაძარცვულმა სირაჯმა ჩანთა აიღო და გამწარებით მიაწვა თავისი კუპის კარს. ქალზე დამხობილი ფილიმსტე წამოდგა, თავი წესრიგში მოიყვანა და სირაჯი შემოუშვა.

„ეს კარი გვერდზე გაწევით იღება, მიწოლა არ უნდა“, – ასწავლის სირაჯს.

„გამძარცვეს“, – პასუხობს დაბნეული და გაოცებული უყურებს თმა-ტანსაცმელარეულ ცოლს, რომელსაც ადგომაც ვერ მოუხერხებია.

– ვინ გაგძარცვა? – ეკითხება ფილიმსტე.

– თქვენმა მეგობარმა. აი, ნახეთ, – ჯიბიდან საფულეს იღებს და მაგიდაზე დებს.

უცებ, გარედან ისმის ყიჟინი, ცხენების ხვიხვინი, სტვენა და დამბაჩების გრიალი. ათამდე ცხენოსანი თოფებით, დამბაჩებითა და ხმლებით შეიარაღებულნი გარს ურბენენ ვაგონს, სიამოვნებით უმტვრევენ ფანჯრებს. ორი მათგანი ჩამოქვეითდება და ვაგონში შეიჭრებიან, ხალხს იქიდან გარეთ ერეკებიან. პირველი ხელებაწეული ფილიმსტე გამოდის ყვირილით: „ბატონებო, ჩვენ უიარაღოდ ვართ და ურჩობას არ ვაპირებთ“. ერთ-ერთი ცხენოსანი მათრახს გადაუჭერს სახეზე და ენას ჩააგდებინებს.

მაუზერიანი შავწვერა ძლივს გაძვრა გატეხილ ფანჯარაში და სახურავზე აბობღდა, იქ დაწვა და გაირინდა. დანარჩენი უკლებლივ ვაგონის გარეთაა ცხენოსნების ტყვეობაში.

– მე ამ ტყის ერთადერთი მფლობელი, ცალეუკოსი გიბრძანებთ თქვენ, გამოგვყევით, – მიმართავს ტყვეებს, საუკეთესო იორღაზე ამხედრებული ოციოდე წლის კაცი.

– დღეიდან თქვენ ითვლებით ჩემს მონებად და არაფრით განსხვავდებით იმ ცხენებისგან, რომელზედაც მე და ჩემი არწივები ვზივართ, – ამ დროს „რელიგიური დისპუტების“ გამმართველი ხელს მიაშვერს მას: – ჰეი, სიბოროტითა და მზაკვრობით აღვსილო, მართალთა მტერო, ეშმაკის ძეო!“ – ცალეუკოსის მათრახმა სიტყვა შეაწყვეტინა, პირი ხავსით ამოუვსეს და უკვე გარეკილ ტყვეებს დააწიეს. პროცესია თანდათან გაუჩინარდა სიბნელეში.

გაძარცვული ვაგონი იწვის და მიდამოს ანათებს. სახურავიდან შავწვერა ჩამოხტა, ცეცხლის შუქზე ტყის პირას დაყუნტულია უზარმაზარი მგელი. შავწვერამ ცეცხლიანი კუთხე ჩამოგლიჯა ვაგონს და მგელს სტყორცნა. ნადირმა ადგილი შეინაცვლა, დაიღრინა. კაცმა მაუზერი შემართა, ერთხანს იყოყმანა და მგელს დაუმიზნა. ის წამოხტა, ეშვები გამოყარა, აწრიალდა და ბოლოს ბუჩქებში დურთა თავი. შავწვერამ მაუზერი ქამარში გაიჩარა, დიდ ნეკერჩხალს მიადგა და ხვნეშით იწყო ზედ აბობღება. უცბად, თავი მაღლა ასწია, იყვირა და ძირს დაენარცხა. მსწრაფლ გადაკოტრიალდა, რითაც თავი გადაირჩინა უზარმაზარი გველისაგან, რომელიც ხიდან ჩამოეშვა. კაცმა იარაღზე მოისვა ხელი, მაგრამ აღარ აღმოაჩნდა. ცეცხლისა და მთვარის შუქზე შენიშნა გველის კუდთან დავარდნოდა. თავაღერილი მცურავი დინჯად მოიწევდა მსხვერპლისკენ, კაცმა გამწარებით იბღავლა და გველმაც იმავე წამს კამარა შეჰკრა, მაგრამ ადამიანმა მოასწრო რეაგირება და მარჯვენა ფეხით გველს თავში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. გათიშული მცურავი ძირს დაენარცხა, შავწვერამ მისი თავი ფეხებით მიჭეჭყ-მოჭეჭყა და ფეხის წვერით ცეცხლში გადაისროლა. ის იყო შვებით ამოისუნთქა და თავზე ბანჯგვლიანი არსება კივილით დაეცა. წაიქცა, მაგრამ მაინც მოასწრო და ახალი შეტევისთვის გამზადებულს ტყვია დაახალა. თავდამსხმელი შეხტა და გაიშლართა. ცეცხლის შუქზე კაცმა კარგად გაარჩია მოკლული გიგანტური მაიმუნი. შავწვერამ ისევ არჩეულ ხეს მიაშურა, მის ტოტებს ყურადღებით დააკვირდა და ერთი ტყვიაც ხეთქა, რასაც შედეგად მიწაზე გაურკვეველი არსების დაცემა მოჰყვა. კაცი ხეზე ავიდა, მსხვილ ტოტზე მოიკალათა და ღამის სათევად მოემზადა.

3.

გამოქვაბული. ცალეუკოსი და მისი ამალა შუაცეცხლთან ზის და შემწვარი ხორცით ვახშმობს, ტიკის მაგვარი ჭურჭლიდან სვამს და ბრძანებს – „მოათრიეთ ისინი!“

ყველა ერთად გარბის და ტყვეებს ცემა-ტყეპით მოათრევენ. მქადაგებელი ხელს მიაშვერს ყაჩაღთა ბელადს: „გეშინოდეს ღმერთისა! ღმერთისა გეშინოდეს!“ „სად არის შენი ღმერთი? შენი ღმერთი მე ვარ!“ – იცინის ცალეუკოსი.

– ღმერთო, აპატიე ამ საცოდავს, რამეთუ რეგვენი და უვიცია“, – ეცოდება ცალეუკოსი მქადაგებელს.

– გაათრიეთ და ორმოცდაათი ჯოხი დაჰკარით!

ორი ყაჩაღი მქადაგებელს გაართევს.

– კიდევ ვის სურს ორმოცდაათი ჯოხი? – კითხულობს ბელადი და ტყვეებს გადახედავს. ყურადღებას ფილიმსტეს მეგობარ ქალზე შეაჩერებს.

– რა გქვია ლამაზო?

– დალილა.

ცალეუკოსი ახლოს მიიწევს, დგება და გასაყიდი ცხენივით სინჯავს, გავაზე ხელს მოუთათუნებს:

– ცოტა მობერებულხარ, მაგრამ გამოგიყენებ. ხომ მოგწონვარ? – ქალი ჩაიხითხითებს.

– გოგონებო, – მიმართავს მეძავებს, – უძველესი პროფესიის ხალხი ჩანხართ, მაგრამ ამ ღამით ჩემს ბიჭებს უფასოდ მოემსახურებით. – იცინის, თან ხელს შეუსვამს სირაჯის ცოლს, – მიყვარს შენისთანა ქალები. რა გქვია?

– ამალია! – ქალის მაგივრად პასუხობს ფილიმსტე.

– შენ რა ხარ ამისი, ქმარი? – ქვეშ-ქვეშ გახედა ფილიმსტეს ცალეუკოსმა.

– ვიყავი რამდენიმე წუთით, – იცინის ფილიმსტე და ცალეუკოსს მხარზე ხელს მეგობრულად მოუტყაპუნებს.

ცალეუკოსი ზიზღით მოიშორებს მის ხელს და იტყვის:

– შენ პირველი მონა ხარ, ვინც ასეთ რამეს ბედავს.

– ცალეუკოს, გვეყო კომედიის თამაში! – სილას გააწნავს ფილიმსტე.

– ცეცხლში ჩააგდეთ! – იბაღავლა ცალეუკოსმა და მისმა ბარაქიანმა მუშტმა ფილიმსტე ძირს გაშხლართა.

– ცალეუკოს მე ფილიმსტე ვარ! – იღრიალა სასიკვდილოდ

გამეტებულმა ფილიმსტემ და დაამატა: – სამი ექვსი არის ექვსასსამოცდაექვსი!

– შეჩერდით! – შესძახა ცალეუკოსმა ფილიმსტეს ცემაში გართულ ყაჩაღებს. რაკი მისმა ბრძანებამ შედეგი არ გამოიღო, ცალეუკოსმა დამბაჩა დააქუხა და ერთ-ერთი ყაჩაღი მიაწვინა. ყაჩაღები გაშეშდნენ.

– მაპატიე, ჩემო ბრძანებელო, – დაიჩოქა ცალეუკოსმა და ყაჩაღებს გადახედა. ყველამ ცალეუკოსის პოზა მიიღო.

– ორი გრძელი წელიწადი გელოდეთ მბრძანებელო, რა სასჯელს დაგვადებ იმისთვის, რომ ვერ გიცანით?

– ოო, ძალიან მცირე სასჯელს, სათქმელადაც არ ღირს. ახლავე დაკალით ის, ვინც მე ვაგონთან მცემა მათრახით და ვახშმად მომართვით ტყვეებიდან ყველაზე განათლებულის ენა. აი, ამისი – ლინგვისტის, – ბრძანებს ფილიმსტე.

ცალეუკოსის „არწივები“ ფილიმსტეს წინ დაკლავენ დასჯილ ყაჩაღს და ენას აჭრიან ლინგვისტს. მოჭრილ ენას შამფურზე წამოაგებენ. ფილიმსტე ხელების ფშვნეტით გადახედავს ტკივილისგან გატანჯულ ლინგვისტს:

– გაათრიეთ აქედან! დაე, მგლებმაც ისიამოვნონ, მით უმეტეს ჩვენ მათგან ბევრით არც განვსხვავდებით. ცალეუკოს, გეშინოდეს განთიადისა. კაცი, რომელიც ყველაზე მეტად მჭირდებოდა, შენს ტყვეებს შორის არ აღმოჩნდა. თუ დილამდე არ მომგვრი,. იცი რაც მოგელის. იმედია, ჩემთვის სუფთა ადგილი გექნებათ, მე და დალილას მოსვენება გვესაჭიროება. აი, ესენი მოგვემსახურებიან! – სირაჯსა და მის ცოლზე ანიშნებს. – ბიჭო, რა გქვია შენ? – ეკითხება სირაჯს.

– ჟორა!

– ჟორა, აიღე ჩემოდანი, ენიანი შამფური და წინ გამიძეხი!

ჟორა ასეც იქცევა, მას ქალებს ჩახუტებული ფილიმსტეც გაჰყვება.

– ბიჭებო, – ამბობს ცალეუკოსი, – ხუთნი ჩემთან წამოხვალთ. დანარჩენები აქ დარჩებით, ეს ორი ქალი (მეძავებზე ანიშნებს) გამოიყენეთ, როგორც გსურთ. ეს ორი კაცი (ანიშნებს

ყოფილ პოლიციელზე და სპორტსმენზე) არსად გაგეპაროთ. ცალეუკოსი ხუთეულთან ერთად ტოვებს გამოქვაბულს. დარჩენილი ბანდა ქალებს მიესევა.

4.

ჩირაღდნიანი ცხენოსნები ბოლომდე დამწვარ ვაგონთან ჩხრეკენ მიდამოს. ჯერ მკვდარ მაიმუნს წააწყდებიან, მერე კი – მკვდარ გველს.

– უაღრესად მარჯვე კაცთან გვაქვს საქმე, – ამბობს ცალეუკოსი. უცებ, ერთ-ერთი მდევარი, რომელიც დანარჩენებს მოსცილდა და ტყეს მეტად მიუახლოვდა, ძირს დაენარცხა, თავში ჩარტყმის გამო. შავწვერას ძლიერმა ხელმა იგი სიბნელეში შეათრია. შავწვერამ გათიშულს ქარქაშიანი გრძელი დანა შემოხსნა და მეორე მოახლოებულ მდევარს მიეპარა, ეცა, პირზე ხელი ააფარა და დანით ყელი გამოჭრა. ეს მომენტი თვალთახედვიდან არ გამორჩენიათ დანარჩენებს და დევნილისაკენ დაიძრნენ. შავწვერამ დანა სტყორცნა და ერთ-ერთ მათგანს მოარტყა. ის ძირს დაეცა და აფართხალდა, მაგრამ თავად შავწვერამ ვეღარ მოასწრო ტყეში მიმალვა. ცალეუკოსის მარჯვედ ნასროლმა ქამანდმა ძირს დაანარცხა. სამივენი ეცნენ წაქცეულს, მიბეგვეს, შეკოჭეს და ცხენზე გადაჰკიდეს. მისი მაუზერი ცალეუკოსის კუთვნილება გახდა. ყაჩაღებმა დაუარეს დაზარალებულ თანამებრძოლებს, მათგან მხოლოდ პირველი თავდამსხმელია ცოცხალი, რომელსაც თავი აქვს გატეხილი.

– ესენი არ დავმარხოთ? – კითხულობს იგი.

– დრო აღარ გვაქვს, უნდა ვიჩქაროთ, – ცხენს აჩქარებს ცალეუკოსი. მასთან ერთად სხვებიც დაადგებიან მთვარისა და ჩირაღდნებისგან განათებულ ბილიკებს. ტყე მალე თავდება და ისინი ტრიალ მინდორზე გადიან, სადაც აქა-იქ დიდი ზომის მსხვილტანიანი ხეები დგას, ძირს კი ალაგ-ალაგ თეთრად და შავად მოჩანს სხვადასხვა ზომის ქვები და ლოდები.

– ცალეუკოს, ვინ არის ის მელოტი და რატომ ვემორჩილებით ჩვენ მას? – ფილიმსტეს ვინაობით ინტერესდება ერთ-ერთი.

– ფილიმსტე ჩვენი მეზობელი დიდი ქვეყნის მეფეა, ჩვენი დიდი ღმერთის რჩეული. მისი ძალა და გონება შეუფასებელია. ორი წელიწადია ჩვენი პატარა ქვეყანა ფილიმსტეს საშუალებით იღებს სარჩოს. ყოველი თვის ექვს რიცხვში ჩვენ ერთი და იგივე ადგილას გვხვდება ვაგონი, ყოველგვარი სიკეთით სავსე. ეს ფილიმსტეს დიდი წყალობაა. მას მიჰყავს მხოლოდ ხალხი, რათა ჩვენს საერთო ღმერთს შესწიროს. ქება და დიდება მას! ქება და დიდება მას! – იმეორებენ ცხენოსნები.

– დღეს ჩვენ პირველად შევხვდით ფილიმსტეს, მაგრამ მე ვერ ვიცანი. მეგონა, რომ ხალხი, რომელიც ვაგონში ვნახეთ, ჩვენ თუ დაგვიტოვა მან, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი მოვიდა. მისი მოსვლით ჩვენი ღმერთი მოვიდა ჩვენთან! – აღტაცებულია ცალეუკოსი და განაგრძობს: – ბოლო მოეღება ტყეში ხეტიალსა და გამოქვაბულში ცხოვრებას. ხვალიდან ჩვენი პატარა მიწა ფილიმსტეს დიდ ქვეყანას შეუერთდება და ადამიანურად ვიცხოვრებთ“.

– ეს რა თქმა უნდა კარგია... – ამბობს ერთ-ერთი და უცებ ვარდება ცხენიდან, რადგან საკმაოდ დიდი ქვა ხვდება თავში.

– რა დაგემართა? – კითხულობს მეორე და ისიც იმავე მიზეზით ძირს იშხლართება. მესამე ცხენოსანი, რომელსაც ამ საღამოს ერთხელ უკვე გაუტეხეს თავი და ის ცხენი მოჰყავდა საბლით ცხენდაცხენ, რომელზედაც შავწვერა იყო გადაკრული, საბელს ხელს უშვებს და ჭენებით იკარგება სიბნელეში. „შეთქმულებაა თუ რა ამბავია!“ – ღრიალებს ცალეუკოსი და უცებ მის წინ მდგარი მაღალი ლოდიდან ვიღაც დაახტება თავზე და გუდურასავით ჩამოაგდებს ცხენიდან გონებაწართმეულს. თავდამსხმელი სამივე გათიშულს ქამანდებით გაკოჭავს, ცხენზე გადაკიდებულ შავწვერასაც მათ რიგებში ჩააყენებს, მერე ოთხივეს ერთმანეთს გადააბამს, მოასულიერებს. თავად შავწვერას ცხენზე შეჯდება (დანარჩენი ცხენები დაიფანტნენ) და გაქცეული ცხენოსნის საპირისპირო მიმართულებით აიღებს გეზს.

5.

ორ ქალს შეჭიდებული ფილიმსტე სასიყვარულო აქტს ასრულებს. ჟორა ჩირაღდნით ხელში თავჩაქინდრული დგას, ამ დროს თავგატეხილი მდევრის ღრიალი ისმის გარედან: „ყველა მოკლეს! გამიშვით ფილიმსტესთან!“ ფილიმსტე ბალიშის ქვემოდან წვრილპირიან დანას გამოიღებს, რომელსაც წვერზე კორპი აქვს მიკრული და ჟორას ჰკითხავს:

– ჟორა, კაცი მოგიკლავს?

– ღმერთმა დამიფაროს, ასეთი რამ სიზმრადაც რომ ვნახო!

– როგორ, ღმერთი გწამს? – უკვირს ფილიმსტეს.

– როგორ გითხრა, მგონი კი, – ენა ებმება ჟორას.

– აჰა, ეს დანა, გადი და მოკალი იგი! – ამალიას მსუქან მკერდზე დაადებს თავს. მეორე მხრიდან დალილა ეალერსება.

– მე მოვკლა? – იკითხა დაბნეულმა ჟორამ.

– ჰო, შენ, გადი და მოკალი! – დაუმარცვლა ფილიმსტემ.

ჟორა გავიდა.

– ფილიმსტე, ვინ ხარ შენ? – ეკითხება ამალია.

– შენი მფლობელი და პატრონი!

– როგორ?

– როგორ და კარგად, ჩემო ამალია, შენც და ის ხალხიც, ვინც ამ მთაშია მოქცეული, სულიან-ხორციანად ჩემი ხართ!

– ისიც შენია, ვინც გებრძვის?

– შენ, ამალია, სექსს თურმე ფილოსოფოსობის გუნებაზე მოჰყავხარ. ის უფრო ჩემია, რადგან რაც მეტს მოკლავს ამ ბრძოლაში, მით უფრო მიახლოვდება მე. კლავს იმიტომ, რომ ჩემამდე მოაღწიოს და სულ ერთია რა მიზნით მოვა, თაყვანისსაცემად თუ ჩემს მოსაკლავად. მთავარია, ის მოვა და ჩემი იქნება.

– ვერაფერი ვერ გავიგე.

– ჰოდა, იმიტომ გაკეთებინებ იმას, რაც გაიგე და რაც გემარჯვება.

შემოდის აკანკალებული ჟორა.

– მოკალი? – ეკითხება ფილიმსტე.

– კი, – პასუხობს ჟორა მოგუდული ხმით.

6.

ნისლიანი, უმზეო დილაა. მთის მდინარის ნაპირზე ხელფეხ-შეკრული სამი ყაჩაღი ყრია და ერთმანეთს უღრენს. მოსულიერებული ტარსელი შავწვერა ლოდზე ზის, ხელში განუყრელი მაუზერი უჭირავს, ინტერესით შეჰყურებს მის წინ დაცუცქულ კაცს, რომელშიც თავისდა გასაოცრად ლინგვისტს შეიცნობს.

– დამუნჯდი თუ რა დაგემართა?

ლინგვისტი ჟესტებით უჩვენებს რაც დაემართა და თითს ცალეუკოსს მიუშვერს.

შავწვერა ორი ნახტომით დაფარავს მანძილს ტყვეებამდე და წიხლებით, გააფთრებული სცემს მათ. ნაწამები, გამხდარი ლინგვისტი ძლივს აშოშმინებს:

– რა ქვეყანაა ეს და ვინ ხართ თქვენ? – ეკითხება ოდნავ დაწყნარებული შავწვერა ყაჩაღებს. ისინი დუმან, შავწვერა ღრიალით იმეორებს კითხვას. კვლავ დუმილი. მაშინ, შავწვერა ცალეუკოსს ქამარს შეხსნის და მათ დაურთებს.

– არ იტყვით ძაღლებო? – კვლავ დუმილი.

შავწვერა გადაიხარხარებს, ცალეუკოსს სტაცებს ხელს და მდინარეში ისვრის, თავადაც ჩადგება ყელამდე წყალში. ცალეუკოსს ჩააყვინთინებს, კარგა ხანს გააჩერებს, ამოსწევს:

– არ იტყვი?

დუმილი. გაიმეორებს. მხოლოდ მეხუთე ამოყვინთვაზე წარმოთქვამს ცალეუკოსი:

– ნუ დამახრჩობ, გეტყვი ყველაფერს!“

შავწვერა წყლიდან ამოათრევს, ნაპირზე დააგდებს, თავად ლოდზე წამოსკუპდება, იქვე დადებულ მაუზერის ლულით თავს მოიფხანს და საამური ხმით ეტყვის:

– დაიწყებ თუ გაბანაო?

– არ მინდა ამათ გაიგონ. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს ცალეუკოსი და თავის ამხანაგებს გადახედავს. – იქნებ, ყურები ამოუგლისოთ ამათ, ანდა ცოტა მოშორებით ვისაუბროთ.

– ოჰ, ახლა ამისთვის დავკარგავ დროს, – ამბობს შავწვერა და ცალეუკოსის ორივე გაკოჭილ ამხანაგს წყალში გადაისვ-

რის. ისინი დიდი ქვებივით დაეშვებიან ფსკერზე.

– გისმენ! – ცალეუკოსს ახლოს ჩამოუჯდა შავწვერა. ამ დროს ლინგვისტმა ისკუპა წყალში განწირულთა გადასარჩენად. დიდხანს იმუშავა მყვინთავივით და ბოლოს ერთი მათგანი იპოვა. გაგუდული ამოათრია და მოსულიერება დაუწყო. უბედურმა, როგორც იქნა თვალი გაახილა და ჰაერი გადაყლაპა. ჯერ გადამრჩენელს შეხედა, მერე დანარჩენ ორს. ახლა გაახსენდა, როგორ დაეხმარა სხვებს ამ კაცის დამუნჯებაში, წამოჯდა და ატირდა. ლინგვისტმა მხარზე ხელი მოუთათუნა და მუშტით დაემუქრა ყურადღებად და თვალებადქცეულ შავწვერას, რომელმაც გადაიხარხარა. პირფერობით გაიცინა ცალეუკოსმაც. ლინგვისტმა ხელფეხი გაუთავისუფლა ტყვეს და ანიშნა, აქაურობას გაეცალეო. ის მუხლებში ჩაუვარდა და ფეხებზე დაუწყო კოცნა. მუნჯმა იგი ფეხზე წამოაყენა, თითი ცისკენ გაიშვირა – „იმას უთხარი მადლობაო“, – და ანიშნა, წადი აქედანო. ტყვემ, მეორემ არ გადაიფიქროსო და მიწას ფეხი აღარ დააკარა, ისე გაფრინდა.

– შე უტვინო, ამათი შებრალება შეიძლება? – საყვედურით იკითხა შავწვერამ და გაქცეულს ტყვია გაადევნა. ლინგვისტმა ღრიალით აუკრა ხელი იარაღს და სროლამ მიზანს ვერ მიაღწია. ერთმანეთს შეებნენ, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ლინგვისტი მალე დამარცხდა, მაგრამ ტყვე თვალს მიეფარა.

– ახლა ეს მთელ ბანდას დაგვაყენებს თავზე! – თქვა დანანებით შავწვერამ და ბარაქიანი მუშტით ნოკაუტში ჩააგდო ლინგვისტი.

– მოკალი? – იკითხა გახარებულმა ცალეუკოსმა.

– მოკვდეს, თუ მოკვდება, – წაქცეულს დააფურთხა შავწვერამ და ჩამოჯდა.

– გისმენ, ცალეუკოს! -

– მსოფლიოში ვერცერთ რუკასა თუ ცნობარში ვერავინ იპოვის ამ ადგილის მდებარეობასა და სახელს. არ არსებობს არცერთი დასახლებული თუ დაუსახლებელი ადგილი, სადაც

ჩვენ არ ვართ. ჩვენ ვფლობთ უამრავ ადამიანს და ისინი მუშაობენ ჩვენთვის.

– ვინ თქვენთვის, სახელი არ გაქვთ?

– მეტი არც მე ვიცი.

– აბა, ვინ იცის?

– ფილიმსტემ!

– ფილიმსტემ ამ უბედურთან უკვე გამოამჟღავნა ცოდნა.

– ეგ ვინ არის, ეგ ტარაკანაა, ასეთი უნდა გაისრისოს. მე, შენ და ფილიმსტე სულ სხვა ხალხი ვართ. – დამაჯერებლად თქვა ცალეუკოსმა.

– მე კარგად ვიცი ჩემი თავის ფასი, მაგრამ შენი ვაჟკაცობის არ მჯერა. შენ არ ხარ სიცოცხლის ღირსი. – ხელს მოჰკიდებს და მდინარეში უპირებს გადაგდებას.

– საულ, შესდექ! – ფილიმსტეს ხმაა. ის შეუმჩნევლად მოპარულა თავისი ამალით, ცხენოსნებით, ქალებით, მოხუცი პოლიციელიც და ახალგაზრდა სპორტსმენიც მისი შეიარაღებული ამალის წევრები არიან. აქვეა ცხენზე ძაღლივით გამობმული მქადაგებელიც, რომელიც დაღლილობისა და წამებისაგან სულს ძლივს ითქვამს. შავწვერა შედგება, მაგრამ ცალეუკოსს ხელს არ უშვებს.

– შენ, ჰეი, მელოტო, საიდან იცი ჩემი სახელი? – ეკითხება ფილიმსტეს.

– მე ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე შენ გგონია. რას უპირებ მაგ კაცუნას? – საული ჩაიცინებს და ცალეუკოსს წყალში გადაისვრის. თითქოს ამას ელოდებაო ლინგვისტი, მსწრაფლ წამოხტება და წყალს მიაშურებს, იოლად იპოვის ცალეუკოსს და ნაპირზე გამოათრევს. ამ დროს ბრბოს ერთი ნაწილი პოლიციელის მეთაურობით საულს დაესხმება თავს და გაკოჭავს.

– წაიყვანეთ, მე მოგეწევით! – ფილიმსტეს ბრძანებას ასრულებენ. რჩებიან ფილიმსტე, მუნჯი და ცალეუკოსი.

– მომიახლოვდი, – უბრძანებს ცალეუკოსს ფილიმსტე და ხმალს იძრობს. ხელშეკრული ცალეუკოსი შიშით უახლოვდება ცხენზე ამხედრებულს.

– შებრუნდი, – შებრუნდება, თვალებს დახუჭავს შიშისგან გონწართმეული. ფილიმსტე გაიცინებს და უკან შეკრულ ხელებზე ქამანდს გადაუჭრის. ხელებგახსნილ ცალეუკოსს არც კი სჯერა თავისი ბედნიერების.

– ცალეუკოს, სამაგიერო პატივი მიაგე შენს გადამრჩენელს, – ანიშნებს ლინგვისტზე ფილიმსტე. ცალეუკოსი თავის ღონეგამოცდილ გადამრჩენელს დაეძგერება, იოლად გატეხავს მის წინააღმდეგობას, ხელებს შეუკრავს და მდინარეში ისვრის. ფილიმსტე ცხენს შეაბრუნებს და თავის ამალას გამოუდგება. ცალეუკოსი სირბილით გაეკიდება. უცებ, წყალში ლინგვისტის გადარჩენილი ტყვედყოფილი ჩახტება და გამალებული ეძებს ლინგვისტს. ჯერ წყლით გაბერილ და დამხრჩვალ თავის ამხანაგს წააწყდება და დამდუღრულივით გაუშვებს ხელს. მერე მოძებნის ლინგვისტს, ნაპირზე გამოიყვანს და დიდი წვალებით მოასულიერებს. მუნჯი თვალს გაახელს, გვიან გამოჩენილ მზეს გახედავს და წამოჯდება. გადამრჩენელი კი უბიდან ცოცხალ თევზს ამოიღებს და გემრიელად ჩაკბეჩს. ლინგვისტსაც შესთავაზებს, მაგრამ ის უარზეა.

7.

ფილიმსტე და ცალეუკოსი უდაბნოს მაგვარ, ბიისფერ ქვიშიან ადგილზე წამოეწევიან თავისიანებს და შეაჩერებენ.

– ეს მქადაგებელი ჩემს ქალაქამდე ვეღარ მიაღწევს, დაჰკარით დარჩენილი ჯოხები და აქვე დააგდეთ. – ბრძანებს ფილიმსტე.

მქადაგებელს გააწვენენ და სცემენ.

– მამაო ჩემო, – ღრიალებს იგი, – აღსრულდეს ნება შენი, დაიბრუნე შენგან მოცემული, ალილუია შენს წმინდა სახელს. წმინდაა, წმინდაა, წმინდაა, წმინდაა საბაოთ უფალი! – დალილა ფილიმსტეს უჩურჩულებს, ისიც ეთანხმება და საულისათვის წართმეულ მაუზერს გადასცემს. დალილა ცხენით მიეჭრება მქადაგებელს და ტყვიას დაახლის.

– ხოლო მან, აღსავსემ სულიწმინდით, ახედა ცას და დაინახა

ღვთის დიდება და ღვთის მარჯვნივ მდგარი იესო. თქვა: „აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას და კაცის ძეს, ღვთის მარჯვნივ მდგომს“, – ფეხზე დგება მქადაგებელი. დალილა შიშისაგან იწივლებს, რამდენიმე თოფი ერთად დაიქუხებს და დაცხრილული მქადაგებელი მკვდარი ეცემა. ამ დროს ცხენი, რომელზეც საული იყო გადაკიდებული, დაფრთხა და ტვირთიანად გაურკვეველი მიმართულებით გაჭენდა. გვიან გონზე მოსული ფილიმსტე გამოეკიდება მას, მაგრამ მისი ცხენი მქადაგებელის გვამის წინ შედგება და ფეხს არ იცვლის. ვერც მათრახმა და ვერც ლანძღვა-გინებამ ვერ გაჭრა. ფილიმსტე გამწარებული უყურებს საულს, რომელიც მარდი ცხენის წყალობით თანდათან ეფარება თვალს. „კისერიც გიტეხია“, – იგინება ფილიმსტე და გზას განაგრძობს ამალასთან ერთად.

8.

საულის ცხენი ჭენებით გადაჭრის უდაბნოს და ქვიან მინდორზე გადის, იქ კი უნაგირზე მიბმულ საულს თოკი გაუწყდა, ძირს დაენარცხა. დაფეთებული ცხენი თვალს მიეფარა.

– საულ, საულ! – ჩაესმა ხმა ძირს გაშხლართულს. თვალი გაახილა, წეღან დაცხრილული მქადაგებელი დადგომოდა თავს:

– რად მიატოვე მამა და გამჩენი შენი, რად გადაუდექი მას და რად დაადექი ავაზაკობის გზას, რად გინდა წარიწყმიდო სპეტაკად მოცემული სული შენი და რად არ გინდა ისევე სპეტაკად დაუბრუნო მას, ვინც მოგცა?

– რა შენი საქმეა, შენ ვინ გკითხავს ჩემს სულში ხელის ფათურს? ვინ ხარ შენ? – წამოჯდა საული.

– მე შენი ძმა ვარ და გეუბნები შენ, ჭეშმარიტად უყვარხარ ერთადერთ ცოცხალ და მარად შენთან მყოფ ღმერთს – იესო ქრისტეს!

– ვინ, მე ვუყვარვარ ვინმეს? – გაიცინა საულმა და წამოდგა, – ერთადერთი, ვისაც მე ვუყვარდი, ჩემი დამცველი ადვოკატი იყო სასამართლომდე და იცი რატომ, ბევრი ფული რომ დაეცინცლა ჩემთვის!

– უყვარხარ, როგორც შვილი თავისი, როგორც ძმა თავისი, როგორც მეგობარი თავისი, ვინაიდან ღმერთი, სიყვარულია!

– გეყოფა თამაში, მომწყდი თავიდან! – ყელში წვდება საული, მაგრამ მქადაგებელი გაქრა.

– რა იყო ეს, მოჩვენება, მირაჟი, სიზმარი, თორემ ამ სატანის საბუდარში რა უნდა ღმერთს?

– ღმერთი ყველგან არის საულ, შენ მას უყვარხარ, ის შენთანაა!

– ისევ ის ხმაა, მაგრამ ის ხომ მოკლეს, მქადაგებელი. ღმერთო, შენ მიშველე და გადამარჩინე! – მუხლებზე ეცემა საული. – არა, არა, მეჩვენება, ყველაფერი აქაურობას უნდა გავცილდე! – წამოხტება ისევ.

– ღმერთს ვერსად დაემალები საულ, მას შენ უყვარხარ, ის ყველგან შენთან იქნება!

– რას გადამეკიდე, მომწყდი თავიდან! – საული უმისამართოდ გარბის და კინაღამ გადათელავს ლინგვისტსა და ყოფილ ყაჩაღს, რომლებიც მდინარის პირას თევზს შამფურზე წვავენ.

– თქვენ ცოცხლები ხართ, ბიჭებო? – უხარია საულს და სათითაოდ ორივეს გადაეხვევა.

9.

ფილიმსტეს ქარავანი ახალ დასახლებაში შედის. ეს არის ამ საუკუნის დასაწყისის ევროპის საშუალო სიდიდის ქალაქის მაგვარი. მოსახლეობა დიდი ზარზეიმით ხვდება თავის მეფე-დედოფალს – ფილიმსტესა და დალილას. ყვავილებს, მონეტებსა და ლამაზად მოხატულ ქაღალდებს უფენენ ძირს. მერე იმ დროისათვის შესაფერ ღია ავტოსაც მოართმევენ. ფილიმსტე და დალილა ცხენებიდან ავტოში გადაინაცვლებენ. ამალია უკან მიყვებათ. ასე მივლენ ქალაქის ცენტრში აღმართულ საათიან რატუშასთან. ფილიმსტე და დალილა ტრიბუნაზე ადიან და ხალხს ესალმებიან:

– თანამოქალაქენო! – იწყებს ფილიმსტე, – დღეს ჩვენთვის

საზეიმო დღეა. მსხვერპლი უნდა შევწიროთ ჩვენს უსაყვარლეს და უმაღლეს კერპს. მსხვერპლშესაწირი ცეცხლის დანთების პატივი მივაგოთ, ჩვენი მეზობელი და ახლა უკვე ჩვენს სახელმწიფოში შემავალი პატარა ტყეებისა და დიდი მდინარეების ქვეყნის ყოფილ მმართველს, დღეიდან კი ჩემს მემკვიდრეს – ცალეუკოსს! – ხალხი ოვაციებით ხვდება ფილიმსტეს სიტყვებს. ტრიბუნას ქვემოთ შეშის დიდი გროვაა დახვავებული. ფილიმსტეს დიდ, შვედურ ასანთს მიართმევენ. იგი საზეიმო ვითარებაში გადასცემს ტრიბუნაზე ასულ ცალეუკოსს, რომელიც საზეიმოდაა გამოწყობილი. ცალეუკოსი ჩამოირბენს საფეხურებს და სასოებით უკიდებს ცეცხლს შეშას, რომელიც ტკაცუნით იწვის. ტრიბუნაზე მდგარი ფილიმსტე განუყრელ ჩანთას ხსნის, იქიდან უცნაურწარწერებიან მუყაოს კოლოფს იღებს, ენისწვერით ეხება მას, ხსნის და უკუღმა გადაისვრის ცეცხლში. მერე ბრბოს გადასძახებს: „სამი ექვსი არის ექვსასამოცდაექვსი!“ ხალხი რამდენჯერმე იგივეს იმეორებს. – მოდი, ო, მოდი, ჩვენო დიდო პატრონო! – ბღავის და მის ხმას ხალხი იტაცებს და იმეორებს. ცეცხლის შავი კვამლი ცას სწვდება.

– მოდი, მოდი! – ღრიალი ცეკვაში გადადის, ბრბო ექსტაზშია. – ახალი მსხვერპლია საჭირო! – ღრიალებს ფილიმსტე.

– მსხვერპლი, მსხვერპლი! – ღრიალებს ბრბოც და ხელს ახალმოსულებისაკენ იშვერს, რომლებიც ცალკე დგანან. შავტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ხის უზარმაზარ კერპს გამოიტანენ რატუშიდან. კერპს ადამიანის სხეული აქვს, თავი კი რომელიღაც პრეისტორიული ცხოველისა. კერპს ტრიბუნის წინ დგამენ, მისი სიმაღლე სამ მეტრს აღემატება. კერპის წინ მირეკავენ ყველა ახალმოსულს, მათ შორის ცალეუკოსის ხალხსაც. პირველად პოლიციელს და სპორტსმენს დაკლავენ, მერე ჟორას და ცალეუკოსის „არწივებს“, გვამებს ცეცხლში გადაისვრიან. ქალებს ბრბო კოლექტიურად აუპატიურებს, შემდეგ მათაც კლავენ და ცეცხლში გადაისვრიან. შეწირულების სისხლი ერთ დიდ თასშია მოგროვილი, მას კერპს ასხურებენ, ცალეუკოსი პატარა თასს სისხლით აავსებს და ფილიმსტეს

მიართმევს ტრიბუნაზე, ფილიმსტე თასს ართმევს, შიგ ხელს ჩაჰყოფს და შუბლზე წაიცხებს. ასე იქცევა დალილაც. უცებ, ფილიმსტე დანას იძრობს და ცალეუკოსს მკერდში ჩასცემს, მერე ხელს სტაცებს და ტრიბუნიდან პირდაპირ ცეცხლში ისვრის: „მოდი! მოდი!“ – ღრიალებს ფილიმსტე სოლისტივით და ბრბოც ბღავის: – „მოდი, მბრძანებელო, მოდი! – გრძელდება საყოველთაო ორგია.

10.

მდინარის პირას სამეული შემწვარ თევზს მიირთმევს. დაწყნარებული საული ნაყაჩაღარს ეკითხება:

– მითხარი რა ჰქვია ამ ქვეყანას? -

– არც ამ ქვეყანას და არც ჩვენ, ამ ქვეყნის უბრალო მცხოვრებთ, სახელები არ გვაქვს. რა გაკვირვებით მიყურებთ? – მაგალითად მენ ორას მესამოცე ვარ!

– რა? – ეკითხება საული. გაოცებისგან ლინგვისტს თევზის ლუკმა სასულეში გადასცდა და კინაღამ დაიხრჩო.

– ორას მესამოცე, – ყველა ჩვენთაგანს ცალეუკოსის გარდა, საკუთარი ნომრები გვაწერია მარცხენა მკლავზე! – მკლავი დაიკაპიწა ორას მესამოცემ. – და ეს ხელი რომ დაკარგო, ვინღა დაგიჯერებს რომ ორას სამოცი ხარ და არა, ათას ოთხმოცი?

– იგივე რიცხვი მაწერია მარჯვენა დუნდულზე, ა, ნახე! – დგება ფეხზე, მაგრამ საული ხელით ანიშნებს, არ არის საჭიროო.

– ყველას თავისი ნომერი აქვს, ბავშვი რომ იბადება, მაშინვე ნომრავენ!

– ახალმოსულთაც?

– მათ მსხვერპლად სწირავენ უდიდესს.

– უდიდესი ვინ ოხერია?

– ჩვენი სალოცავია. ცალეუკოსის გარდა სახელები დიდი ქვეყნის მეფე-დედოფალსაც აქვთ.

– და რა ჰქვიათ?

– შენ მათ იცნობ, ფილიმსტე და დალილა.

– ოოხ, ფილიმსტე, ფილიმსტე, ვაგონშივე უნდა მომეტეხა კისერი მისთვის და ეს უბედური ნომრიანები გამეთავისუფლებინა.

– ჩვენი გათავისუფლება არ შეიძლება. ჩვენ კერპის ხალხი ვართ და მხოლოდ მას ვეკუთვნით.

– ვინ გითხრათ ეს?

– ფილიმსტემ.

– ისემც კარგი დაგემართოთ თქვენც და იმასაც. ცოლ-შვილი თუ გყავს?

– სანახევროდ, ორ კაცს ერთი ცოლი და ორ ქალს ერთი ქმარი.

– ეგ მე მგონი ჩვენთანაც ეგრეა, უმეტეს შემთხვევაში, – ხარხარებს საული და ეკითხება: – კი მაგრამ, აქ მხოლოდ ერთი გამოქვაბული ყოფილა და სადაა დანარჩენი ორასორმოცდაცხრამეტი კაცი და ქალი?

– არა, აქ ხუთასზე მეტი გამოქვაბულია, ხოლო იქ, ველზე, ფილიმსტეს ქვეყნის დიდი ქალაქია.

– როგორ შეიძლება შენი ქვეყნიდან ჩემს ქვეყანაში დაბრუნება?

– ეს შეუძლებელია!

– რაო? – წამოხტა საული და ზეცას ახედა: – ეი, შენ, ზემოდან რომ ჩამძახი ყურში და მკვდრებს მიგზავნი საქადაგოდ, იზრუნა იმისათვის, რომ აქედან გავიდე!

– აქედან ჯერ არავინ გასულა, – მშვიდად მოუჭრა ორასმესამოცემ.

– ღმერთო, იცი შენ, თორმეტი წელი ციხეში ვიჯექი და მხოლოდ ორი დღეა, რაც გამომიშვეს. მზად ვარ კიდევ ვიჯდე იქ თორმეტჯერ თორმეტი წელი, ოღონდ აქედან გამიყვანე.

უცებ, ლინგვისტი წამოხტება და საულს მხარში ჩააფრინდება, რაღაცას ღუღუნებს და ჟესტებს აკეთებს.

– აი, ამით დაწერე! – ჯოხს აძლევს საული. მუნჯი მიწაზე ჩხაპნის ჯოხით. საული კითხულობს: – ეს რა ყვავის ფრჩხილებივით ასოებია. ხელჩანთა? რა ხელჩანთა?

ლინგვისტი ტემპერამენტულად ცდილობს საქმეში გაარკვიოს საული, ლამის იცეკვოს.

– სწორედ ხელჩანთაშია მეფე-დედოფლის ძლიერება, რატომ აქამდე ვერ მივხვდი? – გონება გაეხსნა ორას მესამოცეს.

– ფილიმსტეს ხელჩანთა? ფუი, – შეიგინა საულმა.

– ეჰ, მცოდნოდა!

ერთხანს დუმილია.

– როგორ ჩავიგდოთ ხელში?

– მე, მე მოვპარავ და მოგიტანთ! – წამოხტება და კისრისტეხით გარბის ორას მესამოცე.

– გავყვეთ ამ არამზადას, ქალაქის გზას მაინც გვასწავლის, – ეუბნება საული ლინგვისტს.

11.

რატუმაზე საათის ისრებს თუ დავუჯერებთ, უკვე სამი საათია. ორგია გრძელდება უფრო მეტი თავაშვებულობითა და აღვირახსნილობით. აღარ არის გარჩევა აღარც ქალის, აღარც კაცის და აღარც ბავშვის, შიგადაშიგ ისმის წამოძახილი: – მოდი, მოდი! – ორგიაში მეფე-დედოფალიც მონაწილეობს, ისინი ტრიბუნაზევე მისცემიან ეროტიულ გართობას. ორას მესამოცე ცეკვა-ცეკვით შევიდა მოედანზე, გადახედა სატრაპეზო მაგიდას, რომელიღაც შემწვარ ფრინველს სტაცა ხელი და ტრიბუნაზე ავიდა. ფრინველი დალილათი დაკავებულ ფილიმსტეს გაუწოდა დაჩოქილმა.

– ყოჩაღ, ორას მესამოცევ! – დაუმადლა ფილიმსტემ და ფრინველს ისე აახლიჩა ბარკალი, ძირითადი საქმიანობა არ შეუწყვეტია. ორას მესამოცემ ტრიბუნა მოათვალიერა, ხელჩანთა შენიშნა, მისკენ დაჩოქილი გახოხდა, მერე სიამოვნებაში ჩაძირულ მეფე-დედოფალს გადახედა და ხელჩანთას ხელი სტაცა. რატუშის საათი საღამოს 6 საათს აჩვენებს. ფილიმსტემ შენიშნა ქურდი ხელჩანთით ხელში და იღრიალა: – არ გაუშვათ! ორას მესამოცემ ხელჩანთა ორივე ხელით თასივით ასწია, ტრიბუნაზე გადმოდგა და ფილიმსტეზე ხმამაღლა იბღავლა:

„ახლა მე ვარ მეფე, ახლა მე ვარ მბრძანებელი!“ ბრბო დუმდა, ფილიმსტე ქურდისაკენ დაიძრა: – „დამიბრუნე და გაპატიებ!“ „სამი ექვსი ექვსასამოცდაექვსია. სიკვდილი ფილიმსტეს და დალილას!“ – იღრიალა შეძრწუნებულმა ორას მესამოცემ. „სიკვდილი ფილიმსტეს და დალილას, გაუმარჯოს ახალ მბრძანებელს!“ – იღრიალა ბრბოში მოხვედრილმა საულმა, ბრბომ ეს ძახილი აიტაცა, ტრიბუნაზე აიჭრა საულის წინამძღოლობით. ფილიმსტე და დალილა დაატყვევეს. ორას მესამოცემ მარჯვენა ხელით დაკლა ფილიმსტე, მარცხენაში კი ხელჩანთა ეჭირა. ნახევრად მკვდარი ფილიმსტე ტრიბუნიდან ცეცხლში გადაისროლეს, რამდენიმე კაცი დალილას კოლექტიურად აუპატიურებს. ასე რომ, ორგია ქვემოთაც და ზემოთაც გრძელდება. ორას მესამოცე ორგიაში არ მონაწილეობს, მას ორივე ხელით ჩანთა ჩაუხუტებია და ბუტბუტებს: „მეფე ვარ, მეფე ვარ!“ რიგი ყოფილი დედოფლის ალერსის მსურველებისა იზრდება. უცებ, რიგს საული გამოეყო, დამარეტიანებელი მუშტი უთავაზა ახალ მეფეს, ხელჩანთა გამოგლიჯა და ისეთი ლაზათიანი პანღური ამოჰკრა, ორას მესამოცე ტრიბუნიდან თავით გადაეშვა.

– გაუმარჯოს ახალ მეფეს! – იღრიალა ხალხმა. საული ხარხარით შეხვდა ამ ყიჟინას და ტრიბუნის ქვემოთ კოცონს გადახედა.

– საულ, დაწვი ეგ და ის დიდი კერპიც ჩააგდე ცეცხლში! – შემოესმა ხმა და მან აშკარად გაარჩია სახე მქადაგებლისა და მისი ხელები, ცეცხლიდან მისკენ გამოწვდილი და იქვე სტყორცნა მას ხელჩანთა. ხელებმა დაიჭირეს და გულში ჩაიკრეს, ხელჩანთამ ზალპებით იწყო წვა, თითქოს ასი ქვემეხი ერთად გაისროლესო, ანაზდად ვიღაც კაცი ცეცხლის წინ მდგარ კერპს მიეახლა, მიაწვა და შუა კოცონში ჩააგდო.

– ყოჩაღ, ლინგვისტო! – შესძახა საულმა. კერპს სწრაფად მოედო ცეცხლი, ბრბო აღრიალდა, აბობოქრდა, აკივლდა და ყოფილი დედოფალიც ცეცხლში გადაისროლა. ცეცხლი გაძლიერდა, ტრიბუნას, რატუშას და ქალაქის ყველა სახლს მო-

ედო. საული ტრიბუნიდან ჩახტა, ლინგვისტს ხელი სტაცა და ცეცხლს განაშორა. ირგვლივ იწვის და ფეთქდება ყველაფერი, საული და ლინგვისტი თავგუდმოგლეჯილი გარბიან. ცეცხლის ენები და კვამლი მათკენ მიიწევს, ისინი ეცემიან, მაგრამ საული უკანასკნელ ძალას იკრებს და ლინგვისტს აფხიზლებს. ისინი წამით გაასწრებენ ცეცხლს. რატუშის მოედანზე ყველაფერი დაფერფლილია. ფერფლიდან დგება ცალხელა ჩონჩხი: – „დავბრუნდები, წავალ და დავბრუნდები!“ – ჩიფჩიფებს იგი და ისევ ფერფლში წვება.

12.

ორთქლმავლის ბებერი მემანქანე გონზე მოდის, ძირს დაგდებულ ჩიხუბს იღებს, სატუჩეს გაუწმენდს, უკიდებს და გააბოლებს. „ეს მთა სად მიდის?“ – ამბობს იგი და ცეცხლფარეშს ასულიერებს. მერე მასთან ერთად პირდაღებული შეჰყურებს მთას, რომელიც ცვილივით დნება და პატარავდება. ამავე დროს, სწორდება ლიანდაგი რკინიგზისა და დაღლილი ნაბიჯებით მოდიან ჩამოკონკილი საული და მუნჯი ლინგვისტი. ორთქმავლის უკან, პატარა ბორცვზე საული აშკარად გაარჩევს ცხენოსანთა დიდ ჯგუფს, რომელიც ჭენებით მიდის საპირისპირო მხარეს. საული თავს გააქნევს, ჩვენება ქრება. შუადღეა და მზე დიდების ზენიტშია. ცეცხლფარეში შეშას ყრის ღუმელში, მემანქანე ლტოლვილებს ორთქლმავალში იწვევს, შიგ შესული საული ფილიმსტეს ხელჩანთას დაინახავს ძირს დაგდებულს, იღებს და ხსნის. შიგ ძეხვი, ყველი და პურია. “ო, ეს ჩვენი საგზალია“, – ამბობს ცეცხლფარეში, რომელიც ზედგამოჭრილი ფილიმსტეა. „შეუძლებელია“, – ამბობს საული. „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ – უთხრა: – ვინ ხარ შენ, უფალო?“ მან კი – „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი, გაგიჭირდება დეზის წიხლვა“.

შეძრწუნებულმა და გაოგნებულმა უთხრა: „რას მიბრძანებ, უფალო, რომ გავაკეთო?“ და უთხრა მას უფალმა: „ადექი, შედი ქალაქში და გაიგებ, რაც უნდა გააკეთო“.

კაცები კი, რომლებიც მასთან ერთად მიდიოდნენ, უსიტყვოდ იდგნენ: ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ“ (საქმეები 9; 4-7).

ორთქლმავალი გზას განაგრძობს და მგზავრთა თვალწინ იშლება დიდი, ლამაზი ქალაქის ხედი. საული თვალებზე აიფარებს ორივე ხელს: „რა ქალაქია ეს?“ – იკითხავს იგი. „დამასკო!“ – პასუხობს მემანქანე. „გმადლობთ, უფალო“, – ამბობს საული. „დამასკოში ნათესავები გყავთ? “- ეკითხება ცეცხლფარეში და დაცინვით შეხედავს მის დაგლეჯილ ტანსაცმელს. „მყავს, მართლაც რომ მყავს“, – სიხარულით აღსავსე ხმით ამბობს საული. ორთქმავალი ყვირილით შედის დამასკოში. „მალქოზ, შეშა შეუკეთე!“ – უბრძანებს მემანქანე ცეცხლფარეშს. „იწყება, ყველაფერი თავიდან იწყება“, – ამბობს საული და მარჯვენა, ოდნავ ნაიარევ ყურზე დააკვირდა ცეცხლფარეშს. „მაგრამ, რადგან შენ ჩემთან ხარ, ჩემო უფალო, მეც შენთან ვიქნები მარად! [ვინაიდან, როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთი კაცის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი]. (რომაელთა 6; 12)

II ნაწილი

13.

გადარეული ქარი დასტრიალებს ფილიმსტეს ყოფილ ქალაქს. მილიარდობით ნაწილაკი ფერფლისა დაფრინავს და შავად ჩამონისლულა არე-მარე. შემცირებული ჩონჩხი ჭრიალითა და არაამქვეყნიური ხვნეშით დგება ფერფლის გროვიდან და აღწევს ადამიანის სიმაღლეს, ოღონდ მარცხენა ხელი აკლია. ქარის სისინსა და სტვენას ვიღაცის ამაზრზენი ხარხარი ერევა. ჩონჩხი წელში გაიმართება: „მომეცი ხორცი, შემოსილი ხორცი!“ – ბღავის იგი. „არა!“ – ხარხარებს ვიღაც. „მომეცი!“ – ჩონჩხი ძირს ვარდება და ლუღლუღებს: „მომწყდი თავიდან, დამასვენე!“

14.

ოთხმგზავრიანი ორთქლმავალი ნელ-ნელა ჩერდება: „რა მოხდა?“ – კითხულობს საული. „ლიანდაგია აყრილი, – მშვიდად პასუხობს მალქოზი. საული და ლინგვისტი ჩამოხტებიან. ირგვლივ ტყეა: „აი, იმ ბილიკს გაუყევით, იგი თქვენ ფუნდუკამდე მიგიყვანთ. მისი პატრონები გულღია ხალხია!“ – ეუბნება მათ თამბაქოს ბოლში გახვეული მალქოზი და მეგობრებიც მიდიან. „ორთქლმავლის პატრონები არ მომეწონენ, მათი ერთი სიტყვაც არ მჯერა. აი, იქ ლეღვის ხესთან ჩადი, მდინარის პირას და ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალო“, – ეუბნება საული.

ფუნდუკში დიდი ღრიანცელია. სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ხალხი ატარებს დროს – უკრავენ, მღერიან, ცეკვავენ, სვამენ, ბანქოს თამაშობენ და ქალებს ებღლარძუნებიან. გადასაყრელ ტანსაცმელში გამოწყობილ საულს ყურადღება არავინ მიაქცია. იგი დახლის წინ მდგარ ერთ-ერთ მაღალ, მრგვალ უზურგო სკამზე გამოიჭიმა და ხელი დახლზე დაჰკრა. „ეი, შენ, მათხოვარო, გაეთრიე აქედან! “- ღრიალებს მაღალი, ულვაშა დახლიდარი. საული დაძონძილი შარვლის ჯიბიდან ჟორასათვის წართმეულ ათასჯერ დასველებულ-გამშრალ ფულს ბღუჯად იღებს. ამან იმდენად კეთილად განაწყო დახლიდარი, რომ საულს მაგარსასმელიანი ჭიქა მიაჩეჩა, მერე მისკენ გადმოხოხდა და ყურში უჩურჩულა. საულმა თავი დაუქნია და ორივენი სადღაც გაუჩინარდნენ. საყოველთაო ორგია გრძელდება და ისეთ უწმაწურ ფორმა-შინაარსს იღებს, დანახვა შეგეზარება.

ჩონჩხი ისევ დგება. „მომცემ თუ არა?“ – უყვირის იგი. „მიიღე! იცოდე ეს უკანასკნელად!“ – ისმის ხმა და ჩონჩხი ნელ-ნელა იქცევა ფილიმსტედ. „მერე ხელიც დამიბრუნე!“ – ამბობს და უბრუნდება მარცხენა ხელიც. „მე გავაჩერებ მას დიდო! “ – მუხლს იყრის იგი. „გაიხადე კვართი, გაავსე იგი ფერფლით და ჩადი ტბორში“. ფილიმსტე ასეც იქცევა. იქვე ახლოს, დამყაყებული უწმინდურესი ტბორია. ფილიმსტე შიგ ჩადის და ფერფლს

მის ზედაპირზე აბნევს. მთლად გაზინთული ამოდის ზევით და ტბორს უყვირის: „გამოუშვი!“ „რამდენი“? – ბუყბუყებს ტბორი. „ყველა!“ – ექვსი ადამიანისნაირი არსება და ერთი კენტავრი ამოდიან ტბორიდან და ტბორიც პატარავდება. ისინი ფილიმსტეს წინ გროვდებიან. „გამომყევით!“ ზურგს შეაქცევს მათ და მიდის. ჯგუფს კენტავრი გამოეყოფა და წინაფეხით ფილიმსტეს ისეთ პანღურს უჭირებს, არშინზე გადააგდებს. ფილიმსტე მსწრაფლ წამოხტება და ხედავს მისკენ სასიკვდილო მუქარით წამოსულ ტბორელებს. ის ვიღაც კვლავ ხარხარებს. ფილიმსტე გარბის, ბრბო მისდევს. დევნა ტყემდე გრძელდება და მორბენლები იმ ცხენოსნებს გადააწყდებიან, საულმა ბორცვზე რომ შენიშნა. ფილიმსტემ იმარჯვა და ეკლიან ბურდებში დურთა თავი. ურთიერთპირისპირ დარჩენილი ცხენოსნები და ბრბო ერთმანეთს დაეტაკნენ. ცხენოსნები მალე პანიკამ მოიცვა, რადგან ვერც მათი ხმლები და ვერც მათი დამბაჩების ტყვიები ტბორელებს ვერას აკლებს, თითქოს ქვადქცეულებთან აქვთ საქმე. ერთ-ერთმა ცხენოსანმა ფილიმსტეს ბუჩქებში მოადინა ზღართანი. ფილიმსტემ მას ხმალი გამოგლიჯა და ბუჩქებიდან გამოვარდა: „დადექით!“ – ხმალი აღმართა მან. ტბორელები სასტიკად გაუსწორდნენ ცხენოსნებს და ახლა ფილიმსტესაკენ გამოსწიეს. „დაგწყვიტავთ ყველას!“ – ხმალს იქნევს ფილიმსტე, მაგრამ მისი არავის ეშინია. უცებ, ხმალწართმეული ცხენოსანი მიეპარა უკან და მათრახი გადაუჭირა. ფილიმსტე ტკივილისგან დაიკლაკნა, მაგრამ მათრახის დანახვამ ტბორელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი მათრახის წინაშე მუხლებზე დაეცნენ და იგივე ანიშნეს აღმუვლებულ ფილიმსტესაც, რომელიც მაშინვე მიხვდა, რომ ტბორში მოზელილები მათრახს ემორჩილებოდნენ და ვიდრე მათრახს მეორედ შემართავდა მოპირდაპირე, ხმალი ისეთი სიძლიერით მოუქნია, ყოფილი ცხენოსნის მოჭრილი თავი ბურთივით ჩავარდა ბრბოში. ფილიმსტემ ხელთ იგდო რა მათრახი, ჰაერში გაატყლაშუნა და დაჩოქილ აკანკალებულ ტბორელებს დაწყნარებული კილოთი უთხრა – „გეყოფათ თამაში, წინ გამიძეხით!“.

15.

ლაზათიანად გამოწყობილი საული დახლის წინ ზის მაღალ სკამზე და ლუდს წრუპავს. თავზე მომცრო სომბრერო ახურავს. „ეი, კავბოი!“ – ზურგზე ხელს მოუტყაპუნებს და ქუდს მოხდის ერთ-ერთი გალეშილი. საული სკამზევე შემოტრიალდება, ქალების უმრავლესობა აღტაცებული ყიჟინით ამხნევებს მას. „შენ, ეი, ჭრელო სათამაშოვ!“ – ჩაუფურთხებს ქუდში და მერე გალეშილი ცდილობს თავზე ჩამოაფხატოს. იმ წამს მას საულის ბარაქიანი მუშტი მოხვდება ყბაში და ბრბოსაკენ გაფრინდება. ჩხუბი დაიწყო და ერთი მიმართულებით მოძრაობას დაემგვანა. საულისაკენ წამოსულნი ეგებიან რა მის მუშტებსა და პანღურებზე, თავის საწყის წერტილებს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უბრუნდებიან. აქა-იქ ლოკალური ჩხუბებიც დაიწყო. როცა დაულეწავ-დაუმტვრეველი აღარაფერი დარჩა, დახლიდარმა მოიფიქრა და დახლს ქვემოდან გამოღებული თოფი დაცალა, რამაც მაშინვე დააწყნარა საზოგადოება. ვიღაც ლამაზმანი საულს ჩაეხვია და უსურვაზივით აეკრო. იგი საულმა ხელში აიტაცა და ერთ-ერთ კარში გააუჩინარა. ამ დროს, პირდაღებულ დახლიდარს ვიღაც მიეპარა და თავზე ღვინით სავსე ბოთლი დააფშვნა. საყოველთაო ჩხუბი ახალი ძალით გაგრძელდა. იქით ოთახში საულმა ქალი ტახტზე წამოაქცია და კაბა აუწია, მაგრამ ოთახში სხვა მამაკაციცაა, რომელიც ტახტისკენ ზურგშექცევით ზის ტრიალა სავარძელში, შავი სათვალე უკეთია და სხვადასხვა თვლიან ბეჭდებით დახუნძლული მარჯვენა ხელის თითებში, აბოლებული სიგარა უჭირავს. იგი სავარძლიანად მოტრიალდება ტახტისაკენ:

– ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

– პირიქით, მგონი ჩვენ შეგიშალეთ ხელი, – გამომწვევად ამბობს საული და ტახტზე ჯდება.

– არა, ღოთოლიას მე ვთხოვე შენთან შევეხვედრებინე, – სქელ კვამლს უშვებს სათვალიანი.

– რა გინდა? – არც თუ მეგობრულად ჰკითხავს საული.

– აი, აქ დაბრძანდით, – მეორე სავარძელზე ანიშნებს სიგა-

რიანი. – მშვიდად მოვისაუბროთ. მე თქვენ ერთ კარგ საქმეს გთავაზობთ!

– გისმენთ! – სავარძელში ჯდება საული.

– მაშ, ასე, ჩემო ძვირფასო საულ. მე და ჩემმა მეუღლემ ღოთოლიამ, ვიცით, რომ შენ იხილე უფლის სასწაული.

– საიდან იცით ამის შესახებ?

– იქიდან! – კაცი თითს ზევით იშვერს, – ჩვენც ის ხალხი ვართ, ვისაც გვიხილავს უფლის სასწაული!

– ბევრი ხართ ასეთები? – უხარია და მშვიდდება საული.

– საკმაოდ და გვინდა შენც მიგიღოთ ჩვენს ძმობაში.

– მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი უფლის, იესო ქრისტეს მონა-მორჩილი ვიქნები ღირსი იმ ძმობის წევრობისა, რომელსაც მისი სახელის განდიდება აქვს განზრახული.

– იესო ქრისტე, ჩემო საულ, ღმერთის შვილია, მაგრამ არა მისი ტოლი, – ეუბნება ქალი.

– და თქვენ გაქვთ ამის დამამტკიცებელი საბუთი სიძვით შობილნო?

– ჩვენ სიძვით შობილნი როდი ვართ, ჩვენ გვყავს ერთი მამა-ღმერთი.

საულმა გაიცინა და თქვა:

– იესომ უთხრა: „ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ გეყვარებოდით, რადგან მე გამოვედი და მოვედი ღვთისაგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა“ (იოანე 8;42)

– ჩვენ გვიყვარს იესო, საულ, – თქვა კაცმა. – ოღონდ მამის ტოლად არ მივიჩნევთ მას.

– ამიტომ გითხარით: თქვენს ცოდვებში დაიხოცებით-მეთქი. რადგან თუ არ იწამებთ რომ მე ვარ, თქვენსავე ცოდვებში დაიხოცებით“ (იოანე 8:24). – უპასუხა საულმა და წამოდგა.

– რატომ აღელდი ასე, საულ? – იკითხა ღოთოლიამ.

– იმიტომ, რომ იესო ქრისტესადმი თქვენებური შეხედულება და დამოკიდებულება აქვს სატანასაც, თუმცა მან იცის, რომ იესო მამის სწორია.

– შენ ეს საიდან იცი? – სიგარა გაკვნიტა აღელვებულმა კაცმა.

– იქიდან! – იცინის და თითს მაღლა იშვერს საული. – მე ის კაცი ვარ, ვისაც უხილავს უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს სასწაული!

– რადგან ეგრეა, ხვალ ჩვენ გიჩვენებთ უფრო დიდ სასწაულს, მე და ღოთოლია წაგიყვანთ ერთ ჩვენს მეგობართან, რომელიც ფლობს წყალს უკვდავებისას!

– ამ წყალს ამოგლეჯილი ენის გამრთელება შეუძლია?

– საკმარისია ერთი ყლუპი და შენი ლინგვისტი ალაპარაკდება, – იცინის კაცი.

– როდის წავალთ მასთან?

– ხვალ, განთიადისას. ახლა კი ვისადილოთ, ჩემო მეგობარო. ღვინოს რომელს ამჯობინებ? ბურგუნდიულს თუ ტოკაურს?

16.

გზად სამნი მიდიან. საული, ღოთოლია და მისი ქმარი. კაცებს თიხის პატარა დოქები მიაქვთ. წინ დიდი, ლამაზი, მაგრამ მოუვლელი სასახლეა დიდი ალაყაფით. ჭიშკარი იღება და სამივენი შედიან. ეზოში დიდი კასრია, რომლიდანაც რეზინის მილით გადმოსული წყლით, ვიღაც ორმოციოდე წლის, სუფთად გაპარსული, დაბალი ტანის, კაფანდარა მამაკაცი რწყავს უბალახო მიწას. იგი უსიტყვოდ ანიშნებს მათ დოქები დადგან და ამ დოქებს ავსებს.

– წაიღეთ და შეასვით მრავალს, – ამბობს იგი.

– გმადლობთ შენ, დიდო! – უჩოქებენ ღოთოლია და მისი ქმარი.

– გმადლობთ! – ამბობს საული და დოქს იღებს.

– ეგრე არა! – ამბობს დამხვდური.

– აბა, როგორ?

– თაყვანისცემით!

– იქნებ, დაგიჩოქო კიდეც, იქნებ, მსუქანი ერკემალიც მომთხოვო შესაწირად? – გაიცინა საულმა.

– საულ, დაიჩოქე, ეს ის არის! – ავიშვიშდნენ კაცი და ქალი.

– ვინ ის?

– დიდი!

– მე კი სახედრის აღკაზმულობა მეგონა, – ხუმრობს საული.

– აჩვენე დიდო ნალურსმნები ხელებზე, – სთხოვს ღოთოლია.

– აჰა, – ხელისგულებს მიუტანს დამხვდური საულს სახესთან, მასზე ნაჩვრეტებია.

– ოინბაზო, ნუთუ ისიც არ იცი, რომ ჩემი უფალი მაჯებით იყო მილურსული ჯვარზე. – ეკითხება საული.

– ძელზე! – უსწორებენ ღოთოლია და მისი ქმარი.

– სადუკეველნო, სატანის მსახურნო! – და გაცეცხლებულმა საულმა კასრზე მიაფშვნა თავისი დოქი და გასასვლელისაკენ შებრუნდა.

– შენ გგონია, ასე ადვილად წახვალ ჩემი სახლიდან? – წინ გადაუდგა მასპინძელი.

– ჩემთან არს ჩემი უფალი და მე ადვილად გძლიე შენ! – საულმა გულზე ხელი ჰკრა და ტალახში გაშალა, თავად გზას დაადგა.

17.

ფილიმსტე ტბორელებს მიერეკება. „ვაი, თქვენ, თუ დავაგვიანეთ! – დროდადრო ამბობს იგი და ტბორელებს იმ სასახლის ეზოში შერეკავს, რომელიც ცოტა ხნის წინ დატოვა საულმა. ცოლ-ქმარი და სახლის პატრონი კაცი ნახშირს წვავენ ეზოში. ფილიმსტესა და მისი კომპანიონების დანახვაზე თითქოსდა „სმენაზე“ გაიჭიმნენ.

– იყო? – კითხულობს სახემოქცეული ფილიმსტე.

– წავიდა უკვე, – ამბობს მასპინძელი.

– ვერ გააჩერე, შე არამზადავ?!

– ვერ გავაჩერე, უდიდესო! ძლიერია! – აღიარა კაცმა.

– და რად დაიგვიანე? – ჰკითხა ღოთოლიამ.

– აბა, რას ვიზამდი, ამათ კინაღამ ისევ მომკლეს! – მათრახი გადაუქნია ტბორელებს ფილიმსტემ.

– თუ გველამდე მიგვასწრეს, დავიღუპებით! – თქვა ფილიმსტემ.

– ვინ გააჩერებს მას უდიდესო? – ჰკითხა მასპინძელმა.

– შენ დოქტორო სანხერიბ, დიდო სადუკეველო, – უბრძანა ფილიმსტემ.

– მე რა უნდა გავაკეთო მის წინააღმდეგ? – დაიზღვია თავი დოქტორმა.

– რა შეგიძლია? აი, წმინდა ნახშირი აქ გაქვს. იმედია არ დაგავიწყდა, რაში იყენებდი მაგას?

– და რომელი უნდა გამოვიძახო?

– ახლა ვისი დროა აღარ გახსოვს? – გველივით ჩაისისინა ფილიმსტემ.

– ლუციფერის, მაგრამ მოვა? – ჩაფიქრდა სანხერიბი.

– მოვა, შენ ხომ ღმერთის ოთხი სახელით დაუძახებ მას?

არ მოვა და შენ გაგაგზავნი მასთან. – თქვა ფილიმსტემ და გაცოფებული კენტავრი მათრახით დააბრუნა ადგილზე. ხედავ ამ მოხდენილ ბიჭებს? ერთი სიტყვა და ლუკმა-ლუკმად დაგგლეჯენ!

– მაგრამ მარტო ვერ შევხვდები მას. – ფეხს ითრევს დოქტორი.

– რატომ? – გაიცინა ლოთოლიამ.

– იქნება მომკლას!

– ესენი იახლე თან! – ლოთოლიაზე და მის ქმარზე ანიშნა ფილიმსტემ.

– მეც ჩემი ბიჭებით შორიახლოს ვიქნები.

– თუ მოკვლა ინება ჩემი, თქვენ ვერას მიშველით, – ხელი ჩაიქნია სანხერიბმა.

– დოქტორო, ნუთუ დაგავიწყდა ვისი წყალობით გიჭირავს მაღალი ადგილი საზოგადოებაში, დადგა დრო, სამაგიერო სამსახური გაგვიწიო! – კატეგორიულად ითხოვს ფილიმსტე.

– ნუთუ სხვაგვარად ვერ შევაჩერებთ მას? – იკითხა დოტორმა იმედგადაწურული ხმით.

– სანხერიბ, სამ დღეში იგი გველთან იქნება, თუ შენ გადაუ-

ლახავ დაბრკოლებად არ იქცევი მისთვის. ახლა ეს ყმაწვილები დამამწყვდევინე სადმე და დანარჩენზე, მერე ვილაპარაკოთ. – მათრახი გაატყლაშუნა ფილიმსტემ და ტბორელები წინ გაირეკა.

18.

საული და ლინგვისტი თეთრი ლეღვის ძირში სხედან და ამავე ხის ნაყოფს მიირთმევენ. ლეღვის ხესთან თეთრი ღრუბელი ჩამოეშვება, რომელსაც საოცარი ბრწყინვალება ახლავს:

– საულ, აკეთე ჩემი საქმეები წუთისოფელში, რადგან შეგიყვარე შენ! – ბრძანებს იგი.

– მუხლებზე დაცემული ლინგვისტი მტრედივით ღუღუნებს.

– რა საქმეები, მამაო! – დაჩოქილ საულს სასოება აწერია სახეზე.

– საულ, გწამს რომ იესო ქრისტეა შენი მხსნელი?

– მწამს, უფალო!

– გწამს, რომ მას შეუძლია განგკურნოს შენც და ნებისმიერი სხვაც ავადმყოფობისა და ნაკლისგან?

– მწამს, უფალო!

– მაშ, რწმენისამებრ მოგეგოთ შენც და შენს მეგობარსაც!

– ამინ!

– საულ, არ ააღმართვინო მათ გველი, მე შენთან ვიქნები. წადი მათთან და განდევნე შიში!

– სად უნდა წავიდე, უფალო?

– მათთან და ჩემით!

საული თვალებს გაახელს, ჩვენება გაქრა.

– მამაო, სად არიან ისინი, სად? – კითხულობს საული.

– საულ, დაჯექი და მისმინე! – ამბობს ლინგვისტი.

– შენ ლაპარაკობ? – ელდა ეცა საულს, – შენ ალაპარაკდი, შენ ამდენ ხანს დუმდი და ახლა ალაპარაკდი?

– საულ, უფლის სასწაული იხილე შენ.

– უფალი ჩემი, ღმერთი ჩემი, – ბუტბუტებს საული.

– უფლისათვის შეუძლებელი არაფერია! – ამბობს ლინგვისტი და მდინარეში ჩადის.

– როგორ მოვიქცე, ძმაო? – ეკითხება სახეზე სასოება აღ-ბეჭდილი საული.

–...მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. ვინაიდან თქვენ გეკუთვნით აღთქმა და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი ღმერთი ჩვენი. (საქ. 2; 38-39). – უპასუხა ლინგვისტმა.

– წყალიც აგერ არის, რაღა მაბრკოლებს რომ მოვინათლო? – იკითხა საულმა.

– თუ მთელი გულით გწამს, შეიძლება. – უთხრა ლინგვისტმა და საულიც სიტყვებით: „მწამს, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა“, – ჩადის წყალში და ლინგვისტი ნათლავს მას იესოს სახელით. შემდეგ კი მასთან ერთად ამოდის წყლიდან და მზეს მიფიცხებული, თავზე დამდგარ სახეგაბრწყინებულ საულს ეუბნება:

– შენი ძველი ცხოვრება შენთან, როგორც ადამიანთან ერთად დაიმარხა. შენ წყალში ჩადი, როგორც ადამიანი და ამოდი, როგორც ღვთისშვილი. ამიერიდან იცხოვრე უფალში და ნუღარ სცოდავ. ახლა ყური მიგდე, ჩემი ბაგეებით სულიწმინდა იღაღადებს. შენ მოისმენ და დაინახავ იმას, რაც მოხდა და მიხვდები, რაც უნდა გააკეთო“.

19.

(ქვემოთ ლინგვისტის თხრობა მოქმედების პარალელურია. საული თითქოს დიდ ეკრანზე უყურებს ყოველივეს).

ლინგვისტი:

– აპი, ხედავ, შენ საულ, როგორ დაეხეტება მოსეს მიერ უფლის ნებით ეგვიპტიდან გამოყვანილი ისრაელიანები უდაბნოში. მოსეს რჯული უკვე მიღებული აქვს სინაის მთაზე. შენ ხედავ უკვე დაბერებულ მოსეს, რომელმაც კადეშთან შეცოდების გამო, აარონთან ერთად აღთქმულ ქვეყანაში შესვლის უფლება დაკარგა. შენ ხედავ მოსეს გვერდით ელიაზარს, აარონის ძეს მღვდელმთავრის სამოსელით. შენ ხედავ ისრაელიანთა ხელმოკლეობას და გესმის მათი საყვედური უფლის მიმართ:

არ არის პური და არც წყალი, შეგვაღონა უყუათო საჭმელმა და აჰა, იხილე უფლის რისხვა, შხამიანი გველები მიუსია ურჩებს და რა ტანჯვით კვდება დაგესლილი ხალხი. აჰა, შენ ხედავ მათ მონანიებას, როგორ ევედრებიან მოსეს: „ვცოდეთ, რომ ვუსაყვედურეთ უფალს და შენ, ილოცე უფლისადმი, რომ მოგვცილდეს გველი. – და ლოცულობს მოხუცი თავის ერის გადასარჩენად. აჰა, უფლის ბრძანებით მოსემ გააკეთებინა სპილენძის გველი, დაამაგრა იგი კეტზე და აღმართა, და ხედავ შენ საულ, შხამით დაგესლილნი უყურებენ ამ გველს და იკურნებიან და ეს გველი მათთვის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ უფლის ნებით და ხედავ შენ, ხუთასი წელი გასულა ამ დღეებიდან, საუკუნეზე ცოტა მეტია დარჩენილი იერუსალიმის დაცემამდე და ხედავ შენ ისრაელიანთა მეფეს, ხუზკია ახაზიას ძეს, რომელმაც დაამსხვრია სპილენძის გველი, რათა კერპის ტოლფასი ხდებოდა იგი“.

ლინგვისტის მონაყოლი სრულდება და ჩვენებაც ქრება.

– რად მიამბე ყველაფერი ეს? – კითხულობს საული.

– როგორც მოსემ აღმართა გველი უდაბნოში, ასევ უნდა ამაღლდეს კაცის ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (იოანე 3:14-15). ბრძანა ჩვენმა მაცხოვარმა ხუზკიას მეფობიდან შვიდასი წლის შემდეგ, – ამბობს ლინგვისტი.

– რად მიამბობ ყოველივე ამას? – კითხვას უმეორებს საული.

– საულ, სატანის მსახურნი ჩვენი ძველი ნაცნობი ფილიმსტეს წინამძღოლობით, დაიძრნენ, რათა სინაის უდაბნოში მოძებნონ მეფე ხუზკიას მიერ დალეწილი სპილენძის გველის ნაშთები და აღმართონ ისევ, რათა სულმოკლე ადამიანები ამით სატანისაკენ მიაქციონ, რამეთუ ხილული გველი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ბევრზე. ამით ისინი სატანას უმზადებენ ტახტს!

მაშ, უნდა ვიჩქაროთ, ლინგვისტო! – ზე წამოიჭრა საული.

– ვილოცოთ და გზას დავადგეთ! – ეუბნება ლინგვისტი.

20.

ბუხარში დანთებული ცეცხლის ალი ანათებს ტახტზე დაფენილ ფუმფულა ქვეშსაგებს, რომელზეც ფილიმსტე თავდავიწყებით ეალერსება ღოთოლიას. შემოდის სანხერიბი სიტყვებით:

– დროა, დიდო!

– ცხენები მზადაა? – ეს უფრო სიტყვის მასალად იკითხა ფილიმსტემ. დოქტორი უხმოდ გაბრუნდა და ეზოში ჩავიდა. აქ ღოთოლიას ქმარი უდგას ცხენებს.

– რატომ მხოლოდ ოთხი? – ცხენებზე ანიშნა სანხერიბმა.

– თავისი ამალა არ მოჰყავს, გადაიფიქრა, – თქვა კაცმა. სასახლიდან ფილიმსტე და ღოთოლია გამოდიან ჩირაღდნებით.

– ეგ არ არის საჭირო, მთვარეც კარგად ანათებს, – ეუბნება დოქტორი. ფილიმსტემ ერთხანს იფიქრა და მერე, ჩირაღდანი ძირს დააგდო. ასე მოიქცა ქალიც. ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ.

ბევრი არ უვლიათ, ერთ დიდ ტაფობს მიადგნენ და ცხენებიდან ჩამოხტნენ.

– აქამდე ფეხითაც მოვიდოდით, – თქვა ღოთოლიამ.

– მე წავალ, იმ გორაკზე ჩავსაფრდები. შენ მას რაც შეიძლება ხმამაღლა ელაპარაკე, მე მსურს ყველაფერი მოვისმინო, – ამბობს ფილიმსტე.

– ეს საშიშია შენი სიცოცხლისათვის, – აფრთხილებს დოქტორი.

– ეჰ, შე ბრიყვო სანხერიბ, ნუთუ გგონია, რომ ვისაც თქვენ ელით, ჩემზე აღმატებულია, – იცინის ფილიმსტე და ცხენი აღვირით მიჰყავს გორაკისაკენ. ველზე სამნი დარჩნენ.

– მომაწოდე წმინდა ნახშირი, – ამბობს სანხერიბი. კაცი აწვდის. დოქტორი ერთ ადგილას ქალს დააყენებს და ქალიდან მარჯვნივ ხუთ ნაბიჯს გადადგამს და იქ კაცს დააყენებს, მერე ქალის მარცხნივ გაზომავს იგივე მანძილს და იქ ჩანთას დადებს. მერე ნახშირით შემოხაზავს ხუთნაბიჯიან რადიუსის წრეს, როცა მორჩება ქალიდან ოთხნახევარ ნაბიჯს გადმოდგამს

ორივე მხარეს და დიდ წრეში შედარებით პატარა წრეს შემოხაზავს. შემდეგ წრეებს ოთხ ნაწილად გაყოფს და წრეებს შორის წერს ღმერთის ოთხ სახელს: „იეჰოვა, ელ შადაი – ამბობს იგი, – ელ-ოჰიმ, ადონაი“. მერე წრის შუაგულში ხატავს სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურებს და გასაღების მსგავს გამოსახულებას: „ესეც სოლომონის გასაღები“, – ამბობს იგი. მერე შავყდიან წიგნს ამოიღებს ჯიბიდან და ფურცლავს. კაცი ასანთს გაჰკრავს და ანათებს. „თითქმის ყველაფერი რიგზეა, – ამბობს დოქტორი, – ახლა მთვარეს შევხედოთ. აი, ეს ღრუბელიც გამოჩნდა, ვარსკვლავთწყობა ემთხვევა და ქარიც ქრის მსუბუქად. აბა, შემოდით წრეში, მომეცით მახვილი“. ქალი გრძელტარიან სწორ ხმალს აწვდის და სანხერიბი იწყებს გამოძახებას, მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე. ერთადერთი, რაც შეიძლება გავარჩიოთ ღმერთის ოთხი სახელია და ბოლოში ბღავილში გადასული ღრიალი: „ლუციფერ!“ თავიდან დოქტორი თბილი ხმით, თითქოს სიმღერით ეძახდა, მაგრამ მერე ხმაში სიცივე შეეპარა და ეტყობა, მუქარაზე გადავიდა. ბოლოს, თითქმის აგონიაში ჩავარდა... უცებ, მტვერი ავარდა უდაბნოში, ქარი გაძლიერდა, მთვარემ დღესავით გააბრწყინა იქაურობა და რაღაც საშინელება, ლომისთავიანი და ბუსფრთებიანი დემონი მოფრინდა, ძირს დაეშვა და ღრიალით წამოვიდა წრისაკენ. სანხერიბმა წრეთაშორის მახვილი ჩაარჭო. „მოდი მახვილთან“, – უბრძანა დემონს. რომელმაც სიცილის მაგვარი ხმები გამოსცა და მივიდა. – ხელი მოკიდე მახვილის ტარს და დაიფიცე, რომ თხოვნას შემისრულებ“. დემონი დაემორჩილა და დაუღრიალა: „რად მიხმე?!“ „სპილენძის გველის ნაშთები სად ვეძებოთ!“ – დემონმა მახვილი ამოთხარა და მიწაზე გეგმასავით რაღაც დახაზა, მერე მახვილი თავის ადგილას დააბრუნა:

– კიდევ რა გინდა?

– არაფერი, წადი!

– არ წავალ! – ახარხარდა დემონი.

– წადი!

– არა!

– ცუდადაა საქმე, – წაიბურტყუნა დოქტორმა და ისევ და იმავე ტონით ალაპარაკდა ჩვენთვის გაუგებარ ენაზე, მაგრამ დემონი ადგილიდან არ დაძრულა და დროდადრო მისი ხარხარი სროლასავით ისმოდა. გორაკზე გადმომდგარმა ფილიმსტემ სიამოვნების ნიშნად ტაში დაუკრა.

– ცუდადაა საქმე, დილამდე უნდა გავძლოთ. – თქვა სანხერიბმა და შიშისგან სახეშეშლილ ღოთოლიასა და მის ქმარს გადახედა.

– წაიყვანე, შენთვის დამითმია სამივე. წაიყვანე, ვიდრე გონს მოსულან! – გადასძახა დემონს აშკარად ნასიამოვნებმა და კმაყოფილმა ფილიმსტემ.

– ოოო, სიამოვნებით. – აღმუვლდა დემონი და წრის გარშემო თავბრუდამხვევი სისწრაფით დაიწყო სრბოლა. სანხერიბი მუხლებზე დაეცა:

– უფალო ჩემო, იესო ქრისტე, დიდება შენს სახელს. შენ ხარ ერთადერთი ცოცხალი და უძლიერესი ღმერთი, ყოველივეს შემქმნელი და პატრონი. შენი ნების გარეშე ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდება ხიდან, მაპატიე შეცოდებანი ჩემი და დამაყენე შენს ნათელ გზაზე, რამეთუ ჯვარზე გაკრულმა ჩემი ცოდვების გამოსასყიდადაც დაღვარე სისხლი“.

დემონის ფრთა მოხვდა თავში და ძირს განერთხმება. დემონი ღოღიალით მიდის, მთვარე ანათებს წრის შუაგულში დაყრილ დახოცილთ და დემონის მიერ დახაზულ გეგმას, რომელსაც გველის ფორმა აქვს. დემონი ფილიმსტესთან მიხანხალდა:

– რა გინდა, შე ბინძურო? – ეცა მას ფილიმსტე და გაიმართა სასტიკი შეტაკება, ძვლების მტვრევა და კბილთა ღრჭენა. ბოლოს, დემონმა წამოაქცია მოწინააღმდეგე და ისეთი თქაფა-თქუფი აუყენა სახეში, რომ ფილიმსტემ სიმწრით იღრიალა:

– რად მცემ, შე წყეულო?!

– შენ თავად ათასგზის წყეულო, რად მიხმე და მომაცდინე, ჩემზე კარგად იცი იმ გველისაკენ მიმავალი გზა. – აჯაჯღანდა დემონი.

– ვიცოდი, მაგრამ წინა სიცოცხლის ჟამს, მე მომკლეს ჩემსა-

ვე ქალაქში, გაუნელებელ ცეცხლში დამწვეს და ფერფლიდან აღვდექი მათ შესაჩერებლად.

– ეგ არ ვიცოდი, – მოუბოდიშა დემონმა, – თანაც სხვა დროს აღარც კი მექნება შენი ცემის შანსი. ახლა იჩქარე, თუ გაგიჭირდა, მე დაგეხმარები, – დემონი მიფრინავს. ინათლა. ფილიმსტე დახოცილებთან ჩადის. „ჩაძაღლებულან!“ – ამბობს და ნახაზს დასცქერის, იმახსოვრებს, მერე ფეხით შლის და სასახლისაკენ დაადგება გზას...

დახოცილებს მზის პირველი სხივი მიადგათ. ანაზდად დოქტორი შეირხა, თვალი გაახილა და ნელ-ნელა წამოდგა. ჯერ დახოცილებს დახედა, მერე ფილიმსტეს ნაკვალევს და თქვა: – „უჰ, შე ძაღლიშვილო! ვნახოთ, ვინ მივა პირველად იქ!..“

21.

ფილიმსტე ტბორელებს მიერეკება უდაბნოში. მათ სხვადასხვა ფორმის მიწის სათხრელი იარაღები მოუმარჯვებიათ. ფილიმსტეს რაღაცით სავსე გუდა ჰკიდია ზურგზე, მეორე მხრიდან მხნე ნაბიჯით მოდიან საული და ლინგვისტი. მათაც ნიჩბები გაუდევთ მხარზე.

მესამე მხრიდან დოქტორი სანხერიბი მოაბიჯებს ბარით ხელში, იგი ეტყობა ყველაზე წინაა, რადგან უდაბნოს გასცდა და წიდოვან (მიწიან) გზას დაადგა. ერთ ადგილას უწყლობით გამხმარ ხეებს შუა შედგა და ერთხანს იფიქრა. მერე, ხეთაგან ცოტა მოშორებით დაიწყო მიწის თხრა.

– ჩქარა, ჩქარა! – ღრიალით მიერეკება ფილიმსტე ტბორელებს.

– ჩქარა, ჩქარა! – აჩქარებს ლინგვისტს საული. გზაზე, მათ შორიახლოს, საფრთხობელასავით დგას შუბ-მომარჯვებული დემონი, რომელსაც ისინი ვერ ამჩნევენ და პირდაპირ მისკენ მიდიან. საფრთხობელა აშკარა კმაყოფილებით ელოდება მათ, ამათ კი ვერ შეუგრძნიათ საფრთხე. უცებ, გზაზე მიმავლებსა და დემონს შორის დიდი ნაპრალი გაჩნდება.

– ეს რაღა საზიზღრობაა ნეტავ? – ამბობს მისავათებული საული.

– ვინაიდან უფალმა გვითხრა თქვენთან ვიქნებიო, ეს აუცილებლად მისი ნიშანია. დავჯდეთ და დაველოდოთ! – ამბობს მშვიდად ლინგვისტი. სხდებიან. საფრთხობელა გაბრაზდა, მაგრამ ნაპრალს იქეთ ვერ გადმოდის. შემდეგ, იქედან აპირებს შუბის ტყორცნას, მაგრამ ამ დროს ციდან ადამიანის სახისა და ფორმის გიგანტური არსება ეშვება, დემონს მხრებში ჩაეჭიდება, მაღლა აიტაცებს და სადღაც გააქროლებს. ნელ-ნელა ივსება ნაპრალი.

ფილიმსტე მიერეკება ტბორელებს.

დოქტორ სანხერიბს მოსასხამი გაუხდია და ისე მუშაობს. იგი პოულობს გველის თავს და დიდხანს დაჰყურებს მას.

– ეტყობა, ეს მართლაც ასე ყოფილა! – ბურტყუნებს იგი და დაღლილ-დაქანცული უმატებს მუშაობის ტემპს. კიდევ იპოვის გველის ნამტვრევებს, მერე გამხმარ ხეებს ამტვრევს, ერთ ადგილას აწყობს და ცეცხლს უკიდებს, რომელიც სწრაფად აბრიალდება. დოქტორი გველის თავსა და დანარჩენ ნაწილებს ცეცხლში ყრის და ბუტბუტებს: „ახლაც აღმართეთ, იქედნეთა ნაშობნო!“

ფილიმსტესა და ტბორელებს გატაცებული საფრთხობელა ციდან დაეცემათ თავზე ღრიალით: „დააგვიანეთ, დააგვიანეთ!“ და იქვე იფშვნება.

– ჩქარა, თქვე ბინძურებო! – ღრიალებს ფილიმსტე, რომელმაც შენიშნა ცეცხლის სვეტი და მის გარშემო მოცეკვავე დოქტორი სანხერიბი. ტბორელებმა მანძილი რამდენიმე ნახტომით დაფარეს და ერთიმეორის მიყოლებით ცეცხლში ჩაცვივდნენ.

ცეცხლი ჩაქრა, ტბორელები გაქრნენ და იმ ადგილას უბინძურესი ტბორი დადგა. დაბნეულ სანხერიბს ფილიმსტე შეეგება და წამში მიახრჩო, შემდეგ ტბორში წელამდე შევიდა და გველის ნაშთებს, რომელთაც ვერ მოასწრეს ცეცხლში გადნობა, დაუწყო ძებნა, ჩაყვინთა კიდეც რამდენჯერმე. თითქმის ყველა

ნაწილი იპოვა და ნაპირზე ამოისროლა. შემდეგ თავადაც ამოვიდა. საკმაოდ შელანძღული გველის თავი ცალკე დადო და მას სხვა ნაწილები მოაწყო, თანდათან მიწაზე გველის ფორმა გამოიკვეთა.

– როგორია? – გადახედა მან ტბორს.

– ნორმალურია, ჩვენ ვძლიეთ მათ, – ბოხი ხმით ამოიბუყბუყა ტბორმა. ფილიმსტემ თავის გუდაში ჩაყარა ნაშთები.

საული და ლინგვისტიც მოვიდნენ, მაგრამ მათი ყურადღება ჯერ დოქტორ სანხერიბის გვამმა მიიპყრო და ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ მკვდარი იყო, ფეხი აღარ მოუცვლიათ.

ფილიმსტემ შენიშნა ისინი, დოქტორის მოსასხამში გახვეული ნივთები ზურგზე მოიგდო.

– რატომ ჩქარობ, ყმაწვილო? – ტკბილი ხმით ჰკითხა საულმა.

ფილიმსტე მათკენ შებრუნდა და მოგონილი გაკვირვებით იკითხა:

– მაინც მომისწარით?

– ნუ დამალავთ ჩვენი დანახვით გამოწვეულ აღტაცებას, ეგ ტომარა ძირს დადეთ, როგორც ვხედავ, მეტად მძიმეა თქვენთვის და მისი თრევა მოგბეზრდათ. – ღიმილით ეუბნება საული. ფილიმსტე უხმოდ აგდებს ძირს მოსასხამს გახვეული ნივთებით.

– ეხლა შემიძლია წავიდე?

– ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან! – თქვა საულმა.

– ბრძანეთ, – თავაზიანად დაეთანხმა ფილიმსტე.

– ვთქვათ და აღგემართათ ეგ გველი, რას მიაღწევდით?

– ჩვენ დავიპყრობდით მსოფლიოს, რამეთუ გველი იგი იქნებოდა ღმერთი კაცობრიობისათვის. ფულსაც კი მისი გამოსახულებით მოჭრიდნენ მხოლოდ!

– და თქვენ გჯერათ ეს ზღაპარი? – ისევ იკითხა საულმა.

– ეს უკვე მეორე შეკითხვაა, – თქვა ფილიმსტემ. – გველი იგი აქვე გაქვთ, მე კი ნება მომეცით ჩემი გუდა წავიღო და გაგეცალოთ.

რაკი პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს, ფილიმსტე მიდის, – აი, ბრიყვები! – ამბობს იგი და უჩინარდება. ლინგვისტი და საული ხის ნამტვრევებს აგროვებენ და დიდ კოცონს აჩაღებენ, დოქტორის მოსასხამს შიგ ჩააბერტყავენ, ამას რა ვუყოთ, არ დავმარხოთ? ესეც ადამიანია. – სანხერიბის გვამზე ანიშნებს საული.

– მაგას რად უნდა დამარხვა, ცოცხალია, – ამბობს ლინგვისტი.

საული მაშინვე დოქტორს ეცემა და შეანჯღრევს, სანხერიბი თვალს გაახელს და წამოჯდება.

– რა ხდება, ლინგვისტო, დღეს? – შემობრუნდება საული და გაკვირვებისგან პირს დააღებს, ლინგვისტი მიწას თხრის ტბორთან და ტბორში ყრის.

– აბა, ვისთვის თხრი მაგ საფლავს?

– ტბორისათვის.

– ტბორს რად უნდა საფლავი?

– რათა იგი დაშრეს და გაქრეს. მოდით, მივაყაროთ მიწა, დრო ცოტა გვაქვს, მიზეზს მერე აგიხსნით.

ჯერ საული, მერე დოქტორიც ეხმარებიან ლინგვისტს და მთელ ტბორს მიწით ამოავსებენ, მერე ღელფებს დააყრიან და მასზე ცეცხლს ააგიზგიზებენ.

– ეს სპილენძის გველი რატომ არ გადნა ნეტავ? – იკითხა საულმა.

– ეს არ არის სპილენძი, ეს გაცილებით უფრო მტკიცე ლითონია. მისი გადნობა არც ისე ადვილია, – ამბობს ცეცხლთან დაჩოქილი ლინგვისტი.

– კი, მაგრამ, გველი ხომ სპილენძისა იყო? – კითხულობს საული.

დოქტორმა ცეცხლს დახედა და თქვა:

– ეს არ არის ის გველი, ეს მისი ასლია.

– გველი ფილიმსტემ წაიღო თან, ჩვენ კი მოსასხამში მისი ასლი ჩაგვიგდო, – მშვიდად თქვა ლინგვისტმა.

– და შენ როდის მიხვდი ამას? – იკითხა საულმა.

– როგორც კი მან მოსასხამი მიწაზე დააგდო, მაშინვე. საულ, გახსოვდეს, ბრძოლის გარეშე ისინი არაფერს დათმობენ, მით უმეტეს იმას, რაც ათიათას სატანაზე უფრო საშიშია ჩვენთვის! – უპასუხა ლინგვისტმა.

– რატომ მაშინვე არ თქვი?

– ამისი მეშინოდა.

– ტბორის, ამ უბადრუკი გუბურასი?

– ეს უბადრუკი გუბურა ფილიმსტეს ძლიერების ერთ-ერთი წყარო იყო.

– მაშ, ჩვენს დანახვაზე რატომ არ გამოიყენა ფილიმსტემ ჩვენს გასანადგურებლად?

– საულ, ძლიერების წყარო, რომელიც მუდამ ჩვენთანაა, ყველაზე აღმატებულია. ამიტომ, მან გადაწყვიტა მშვიდობიანად გაგვცლოდა, მით უმეტეს მთავარი განძი თან მიჰქონდა. ახლა კი როცა ეს მოვსპეთ, შეიძლება მისი დაწევა და დამარცხება.

– მაშ, გავწიოთ, რაღას გელოდებით?

– საჩქარო არაფერია, ის იმ გზით წავიდა, რომლითაც ჩვენ მოვედით. ის ნაპრალი, რომელმაც ჩვენ შეგვაყოვნა, მისთვის გადაულახავია.

– ის ხომ ამოივსო.

– ის ამოივსო ჩვენსა და უფალს შორის, მაგრამ არასდროს ამოივსება უფალსა და მათ შორის.

– და რატომღა გაჩნდა იგი ჩვენსა და უფალს შორის?

– ჩვენს საკეთილდღეოდ და კიდევ ერთი კაცის, დოქტორი სანხერიბის გადასარჩენად.

– ოო, უფალო, რთულია და დიდი შენი საქმეები, – ამბობს საული და სამივენი ფილიმსტეს მიმართულებით მიეშურებიან.

ფილიმსტე ამრეზითა და შიშით დაჰყურებს ნაპრალს.

– ეს აქ საიდან გაჩნდა? ისინი ხომ აქედან მოვიდნენ? ეს უბრალოდ შეუძლებელია! – უკან წამოვა და აქაც ნაპრალი დახვდება. – ეს მეტისმეტია, ეს გზა მე წეღან არ გამოვიარე? – ისევ წინ მიდის, ნაპრალი ადგილზეა. ამ დროს სამეულიც მოადგება. – თქვენ?! – განრისხებული ამბობს ფილიმსტე.

– უძვირფასესო, მომეცი ეგ თოფრა, ადრეც გითხარი მძიმეა შენთვის, – და აქ საული გუდაში ეცა.

ფილიმსტემ, ბუნებრივია, არ დაანება. დაიწყო ჩხუბი. ერთი-ერთზე, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. ბოლოს, იმძლავრა ფილიმსტემ, საული ძირს დაანარცხა, საულმა ქვემოდან შემოხვია ხელები.

– გძლიე თუ არა! – ჩაიღრინა ფილიმსტემ.

– შენ აგრე გგონია? ჩემი მიზანია ასე მყავდე ჩაბღუჯული, შენი აზრით რას აკეთებენ ახლა ჩემი მეგობრები? – გაიცინა დასისხლიანებულმა საულმა.

ფილიმსტემ შეშფოთებით მოხედა და იღრიალა, ლინგვისტი და სანხერიბი წამოპირქვავებულ თოფრას მშვიდად ბერტყავენ ნაპრალში. ფილიმსტე ღრიალით დაუსხლტება საულს და გარბის.

– ყოფილი ტბორისაკენ გაიქცა, – ამბობს დოქტორი.

– მაგრად კი გამალამაზა! – ამბობს საული.

– ეს ბოლო გაბრძოლება იყო, მან დაამთავრა თავისი როლის თამაში! – ამბობს ლინგვისტი და ამატებს: – რამეთუ მისი მიზანი დასამარდა და გაქრა!

– ერთი რამ ვერ გავიგე, – ამბობს საული, – სხვა გველი რომ აღმართონ მაგათ, ნუთუ არ შეიძლება? რაღა მაინცდამაინც ამას ეწირებიან?

– ეს ხომ მოსეს დროინდელია საულ, იგი მრავალნაირად ძვირფასია და ესენი რეკლამის ისეთი ოსტატები არიან, თეთრს შავად მოაჩვენებენ. ისინი ამ გველზე იტყვიან, ღმერთის მოვლინებული ნიშანიაო და მილიონები სპილენძის გველსა და მის მეხოტბეებს ღმერთებად აღიარებენ, რამეთუ როგორც მაცხოვარი ბრძანებს: „ბოროტი და მრუში მოდგმა ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონას ნიშნისა“ (მათე 16; 4). გმადლობ უფალო, რომ მე ამომირჩიე სატანის ვნებებისათვის აღვირის ამოსადებად, – თქვა საულმა.

ფილიმსტემ მიირბინა ნატბორალთან, ნანახმა ჭკუაზე შეშალა იგი, ცეცხლში შევარდა ბღავილით: „სად დაიკარგეთ, იმათ

დაგაშრეს, იმათ გაგაქრეს!“ ტანსაცმელზე ცეცხლმოდებულმა სამეულისაკენ გასწია ღრიალით.

– ეგ არის შენი ბედი, შე წყეულო! მთელი შენი არსებობა ეგეთ გაუნელებელ ცეცხლში იქნები, ჩაუმქრალ ცეცხლში და რაც მეტს იშრომებ შენი ბინძური საქმეებისათვის, მით დიდი იქნება მისი ალი! – მიაფურთხა ლინგვისტმა მას.

– მე ისევ დავბრუნდები, მე ვერ დამამარცხებთ, მე თქვენზე აღმატებული ვარ! – ღრიალით მიიწევს მათკენ ფილიმსტე.

– მომწყინდა ამ არამზადას ლოლიავი, – თქვა დოქტორმა. ცეცხლმოკიდებულ ფილიმსტეს მხრებში ხელი სტაცა და იმ ნაპრალში გადაუძახა, სადაც გველის ნარჩენები გადაყარეს. ფილიმსტე ღრიალით ჩაიკარგა და ნაპრალმაც პირი შეკრა.

– კარგი ბანაობა არ გვაწყენდა! – თქვა საულმა.

– მდინარე კი ასე ახლოსაა, საულ! – მხარზე ხელი დაჰკრა ლინგვისტმა და დაამატა: – უფრო მხიარულადაც ვიქნებით, ერთი წევრიც მოგვემატა.

– მეც მიმიღებთ? – უხარია სანხერიბს.

– ფილიმსტეს ძმაკაცს და ყოფილ სადუკეველს უარს გეტყვით? – სიცილით ეუბნება საული და თვალს ჩაუკრავს.

ლამაზ ოაზისში ეშვებიან, სადაც ლურჯად ლივლივებს ფართო მდინარე. ვიღაც წვერიანი კაცი წყალში ბადით თევზაობს. იქით რამდენიმე მზის აბაზანას იღებს. ირგვლივ სიცოცხლის სურნელება და მზის ათინათები ტრიალებს.

მელოდიის აჩრდილი

1.

ხალხით გაჭედილი დიდი საკონცერტო დარბაზი. სათანადოდ გაწყობილ სცენაზე, როიალთან ადამი ზის და უკრავს ორკესტრთან ერთად. ყველა სუნთქვაშეკრული უსმენს. დარბაზში მჯდომი 20-22 წლის ქალიშვილი, ანა, განსაკუთრებული მღელვარებითაა შეპყრობილი.

2.

ამ კონცერტის მიმდინარეობისას, რომელსაც მთელ ქვეყანაში გადასცემენ, ერთ-ერთ მოკრძალებულ სახლს, რომელსაც ტრაფარეტი „ფსიქიატრიული“ აქვს მიკრული, მთვარის შუქი დასცემია.

40-45 წლის ქალბატონი, ამ საავადმყოფო-პანსიონის მცხოვრები, ელზა ცრემლით სავსე თვალებით უსმენს მუსიკას.

ტიტრი ეკრანზე: 20 წლის წინათ.

ელზა სამშობიარო მაგიდაზე წევს. ექიმები ახვევია.

ექიმი ზაქარია: – ცოტაც ძვირფასო, ცოტაც. აბა, ღრმად ისუნთქე! მიდი, მიდი! გაიჭინთე! ერთიც, ერთიც...

ისმის ახალშობილის ტირილი...

ზაქარია: – ყოჩაღ! აი, რა ლამაზი ბიჭია. გილოცავ, ჩემო კარგო.

ელზას დამშვიდებული სახე ნეტარებას გამოხატავს. ჩვილი გაჰყავთ. ექიმის დამხმარენი ქალთან რჩებიან საჭირო პროცესების ჩასატარებლად. ექიმი მალე ბრუნდება დამწუხრებული სახით.

– ელზა, სამწუხაროდ თქვენი შვილი გარდაიცვალა. ეტყობა, ნაადრევი მშობიარობის ბრალია.

ელზა გონებას კარგავს.

ტიტრი: 20 წლის და 6 თვის წინ

ელზა და მისი მეუღლე.

ელზა როიალზე იმავე მელოდიას უკრავს, რასაც ახლა ადამი საკონცერტო დარბაზში. იქვეა ორიოდე წლის ანაც, რომელიც მამიკოსთან ერთად უსმენს დედიკოს. სრული ოჯახური იდილიაა.

ტიტრი ეკრანზე. ზუსტად 20 წლის წინ

ელზა და მისი მეუღლე მანქანით მიდიან. საჭესთან ელზა ზის.

მეუღლე: – ცოტა ნელა. მოლიპულია გზა.

ელზა: – ამაზე ნელა შეუძლებელია. შობამდე უნდა მივასწროთ, თორემ ჩვენი პატარა გაგვიბრაზდება.

მეუღლე: – მით უმეტეს, შენი დისა და სიძის კომპანიაში მოიწყენდა.

ელზა: – ნეტავ, რატომ არ გიყვარს?

მეუღლე: – ვინ?

ელზა: – ვინ და ვენერა, ჩემი და.

მეუღლე: – ვერ გეტყვი, რაღაცნაირია.

ელზა: – როგორი?

მეუღლე: – ყალბი, თითქოს როლს თამაშობდეს.

ელზა: – ბავშვობაში კი იყო ცოტათი შურიანი, მაგრამ რაც გათხოვდა, მისთვის ცუდი არაფერი შემინიშნავს.

მანქანა მოსახვევში მოსრიალდება და ბოძს შეასკდება. თავგატეხილი და სახესისხლიანი ელზა ამაოდ ცდილობს მეუღლის გონზე მოყვანას.

ტიტრი: ისევ 20 წლის წინ

ელზა სამშობიაროში განადგურებული ადამიანის სახით.

ექიმი ზაქარია: – ელზა, ქალიშვილი გყავს. თავი ხელში აი-

ყვანე. გოგონას უყვარხარ და სჭირდები. ახლა აქ არის, იქნებ ინახულო.

ელზა: – არა, არ შემოუშვათ, არ მინდა ასეთი მნახოს.

ზაქარია: – თქვენი დაც აქაა.

ელზა: – შემოვიდეს.

შემოდის ვენერა, უხეშნაკვთებიანი, ზორბა ქალი და ელზას მიეჭრება: – ჩემო უბედურო, დაო!..

ელზა ვერაფერს ამბობს. ცრემლები ყელში ეჩხირება, ექიმი და ვენერა გამოდიან.

ზაქარია: მძიმე მდგომარეობაშია.

ვენერა: – ვერ გადარჩება?

ზაქარია: – არა, ფიზიკურად ჯანმრთელია, ფსიქოლოგიურად უჭირს.

ვენერა: – იქნებ ფსიქიატრი მოვუყვანოთ ანდა ფსიქიატრიულში გადავიყვანოთ.

ზაქარია: – ჩემი აზრით, მისთვის ახლა საუკეთესო მკურნალი მისი გოგონა იქნება.

ვენერა: – ექიმო, ჩვენ ხომ შევთანხმდით. გოგო მე, ბიჭი – თქვენ, ამიტომ სჯობს ჩემი და ფსიქიატრიულში გადავიყვანოთ. ჩემი მეუღლე იზრუნებს, რომ ის იქ სამუდამოდ დარჩეს.

ზაქარია: – კი შევთანხმდით, მაგრამ ელზას რომ ვუყურებ, ჩემი თავი მეზიზღება!

ვენერა: – მერე რას უყურებ, წადი პოლიციაში და აღიარე, როგორ მოატყუე იგი და ცოცხალი ახალშობილი მკვდრად გამოაცხადე.

ზაქარია: – არა, არა, დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის.

ვენერა: – ამ საქმეს ახლავე მოვაგვარებ. დარეკვა შეიძლება აქედან?

ექიმი ზაქარია: – დიახ, აგერ მობრძანდით.

ვენერა (ტელეფონზე): – რობერტ, როგორ ხარ? ცუდი ამბავი მოხდა. ელზა ცუდად არის. ექიმებმა მისი ფსიქიატრიულში გადაყვანის რეკომენდაცია მომცეს. არა! არა!.. აქედან პირდაპირ იქ უნდა გადავიყვანოთ. შენ დიდი გავლენა გაქვს, მისი დიდი

ხნით იქ გაჩერება არ გაგიჭირდება. ანა? ჩვენ ვიშვილოთ და გავზარდოთ. შვილი არ გვეღირსა და ახლა გვეყოლება. გოგონასათვისაც ასე აჯობებს... რა? ეგ შენი საქმე არ არის! მოკეტე რობერტ! როგორც ვიტყვი, ისე იქნება! ვის რას ვეტყვით? რას და შენი დედიკო მამიკოსთან გაფრინდა ზეცაშიო. გაიგე? ღმერთო, ჩემო, რა რეგვენი და გულჩვილი ხარ... კარგი, მე მივხედავ ყველაფერს.

ტიტრი ეკრანზე – დღევანდელობა
ადამი შესრულებას ამთავრებს დიდი ოვაციები,
სცენა ყვავილებით ივსება.

3.

ადამი თავის სახლში როიალთან ზის და ახალ ნაწარმოებზე მუშაობს. შემოდის ექიმი ზაქარია.

ზაქარია: – ყოჩაღ, ჩემო ბიჭო. ბოლო კონცერტზე შეუდარებელი იყავი, დილით შენმა იმპრესარიომ დარეკა. ევროპის ბევრი ქვეყნის მელომანები აღფრთოვანებას გამოხატავენ შენი მუსიკით და მალე ხანგრძლივი ტურნე გელის. დედაშენი უკვე წავიდა ჟორჟთან შესახვედრად. რატომ დუმხარ, ჩემთვის არაფერი გაქვს სათქმელი?

ადამი: – მადლობა მამა, მაგრამ ახლა ვმუშაობ. მოგვიანებით ვისაუბროთ.

ზაქარია: – კარგი, იმუშავე.

ექიმი პირველ სართულზე ჩამოდის და მეუღლეს ურეკავს მობილურით: – ამალია, რა ხდება. მთელი დილაა, შენს ზარს ამაოდ ველი.

ექიმის მეუღლე დედიშობილა წევს იმპრესარიო ჟორჟთან და ქმარს ისე ესაუბრება: – რაო, ზაქარია, მოგენატრე, ჩემო სიცოცხლე?

ექიმი ზაქარია: – შეხვდი ბატონ ჟორჟს?

ამალია: – დიახ, როგორც ყოველთვის, ახლაც აღტაცებული ვარ მისი განათლებით და ვაჟკაცობით (თან ჟორჟის ვაჟკაცო-

ბის „სიმბოლოსკენ“ გააპარებს ხელს). ასეთი სიხარული და სიამოვნება იშვიათად მიგრძვნია.

ზაქარია: – რაო, ჟორჟმა?

ამალია:Ù- ყველაფერი ათიანშია კვირის თავზე ერთწლიან ტურნეს ვიწყებთ, ადამის გენიალობას უკვე მთელი ევროპა აღიარებს. ეგ წყეული სამუშაო რომ არა, შენც ხომ წამოხვიდოდი ჩვენთან ერთად?

ზაქარია: – ნუ დაივიწყებ, ჩემო ძვირფასო, რომ სწორედ „წყეული სამუშაოს“ წყალობით გახდა ადამი ჩვენი შვილი, თუმცა ამჯერად უნდა გაგახარო.

ამალია: – საინტერესოა რით?

ზაქარია: – ჩემს კლინიკაში უკვე ბევრი გამოცდილი ექიმი მყავს. საქმეს მათ გადავაბარებ და მეც წამოვალ.

ამალია: – ძალიან გამახარე ჩემო ძვირფასო. აბა, კარგად იყავი, გკოცნი (და მართლაც აკოცებს ნეტარებით გაშხლართულ ჟორჟს. თან ტელეფონს გათიშავს) ჟორჟ, ჩემმა რქოსანმაც გადაწყვიტა ევროპაში გამოჯირითება.

ჟორჟი: – ის ჩვენს სიყვარულს ხელს ვერ შეუშლის, ამალია.

ექიმი მეუღლესთან საუბრის შემდეგ მობილურს ჯიბეში იდებს და ქეთის, შინამოსამსახურეს ეძახის: – ქეთი. არ ვისაუზმებ. კლინიკაში გავრბივარ. ადამს ყურადღება მიაქციე, თორემ შიმშილით მოკვდება.

ზაქარია მიდის. ქეთი კი, დიდთვალება და უზარმაზარ სათვალიანი, გამხდარი, ქერა კულულებიანი, შუა ხანს გადაცილებული ქალბატონი ლანგარზე დაწყობილი საუზმით ადამთან ადის.

ქეთი: – ჭამე ჩემო ბიჭო.

ადამი: – ვმუშაობ.

ქეთი: – ფორთოხლის წვენი მაინც დალიე. ხომ გიყვარს?

ადამი: – შენი ხათრით დავლევ.

ისმის ზარის ხმა შემოსასვლელიდან.

ქეთი: – ელოდები ვინმეს?

ადამი: – არა!

ქეთი: – მე მით უმეტეს!

ქეთი ქვემოთ ჩადის და კარს აღებს, ზღურბლზე ანა დგას.

ქეთი: – მობრძანდით.

შემოდის და ეკითხება:

– ადამის ნახვა შეიძლება?

ქეთი: – სხვისთვის არა, მაგრამ შენ ისეთი ლამაზი და საყვარელი ხარ, მობრძანდი!

შეჰყავს და დიდ მისაღებში დივანზე სვამს.

ქეთი: – რა მოგართვა? წვენი, ყავა, ჩაი, მაგარი სასმელი თუ ისაუზმებთ?

ანა: – ისე კეთილი ხართ, უარს ვერაფერზე გეტყვით.

ქეთი: – ფორთოხლის წვენს მოგართმევ. ჩემი რეცეპტითაა მომზადებული და ადამს განსაკუთრებით უყვარს.

შემოაქვს წვენი. ანა მოსვამს.

ანა: – ღვთაებრივია. მსგავსი არაფერი დამილევია. მადლობა.

ქეთი: – ღმერთმა შეგარგოს. ახლა ზემოთ ავალ, ადამი მუშაობს და ნელ-ნელა შევაპარებ, ქვემოთ ულამაზესი ქალიშვილი გელოდება-მეთქი, იქნებ ჩამოვიტყუო.

ქეთი ადამთან ადის. ანა ფორთოხლის წვენს სვამს და თან დარბაზს ათვალიერებს. მისი მზერა ძველ, მაგრამ კარგად მოვლილ როიალს წააწყდება, რომელიც თითქოს ეძახის. ნელა დაიძრა მისკენ. ზემოთ ქეთი და ადამი ჩხუბობენ.

ადამი: – ვმუშაობ, ვერავის შევხვდები, არ მცალია.

ქეთი: – ულამაზესია. ადექი და შეხვდი. მერეც კარგად იმუშავებ.

ადამი: – არ გესმის? ვმუშაობ, ვმუ-შა-ობ!

ქეთი: – შენ სულ მუშაობ. ახლა დაისვენე. ადექი, ჩადი და თუ არ მოგეწონება, ეგ ბებერი როიალი არსად გაგექცევა. ამოდი და ჯღაბნე ეგ ნოტები, ოღონდ ერთხელ შეავლე თვალი.

ადამი: – ღმერთო ჩემო, რა დაგიშავე, რომ ამ შეუგნებელ ქალს გადამკიდე. გამშორდი.

ქეთი: – ფეხს არ მოვიცვლი.

ადამი: – არა?

ქეთი: – ვიდრე არ ადგები და იმ გოგოს არ დაელაპარაკები, ფეხს არ მოვიცვლი.

ოთახში მუსიკის ჰანგები შემოიჭრება. ანა იმ ნაწარმოებს ასრულებს, რომელმაც ფილმის დასაწყისში ფურორი მოახდინა. თანაც, ადამზე ცუდად როდი უკრავს. ადამი ნელ-ნელა მიდის კიბისკენ.

ქეთი: – არ ახლა აწევ უკანალს და არ წახვალ?!

ადამი საჩვენებელ თითს იდებს ტუჩზე, ჩუმად იყავიო, გარინდებული დგას კიბის თავში და ფეხაკრეფით იწყებს ჩასვლას. ქეთი უკან მიჰყვება, მაგრამ სასანთლეს წამოედება და გადმოაგდებს. ანა წამოხტება და განცვიფრებული უყურებს ადამს, რომელიც ტაშს უკრავს და გაბრწყინებული თვალებით უახლოვდება.

ადამი: – არა მარტო კარგად უკრავთ, არამედ, აღმაფრთოვანებელი სილამაზის ხართ.

ანა: – ძალიან მახარებს მაესტრო თქვენი შეფასება. ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა.

ადამი: – თანაც გაცნობის ორიგინალური ხერხი აირჩიეთ.

ანა: – ამას ვერ უარვყოფ.

ადამი: – ველოსიპედისტი რომ ვიყო, ბორბლებზე შედგებოდით?

ანა: – მთლად მახვილგონივრული ვერ იყო, მაგრამ ხუმრობა მომეწონა.

ადამი: – დილანდელი გეგმები თავდაყირა დამიყენეთ, მაგრამ მოხარული ვარ თქვენი გაცნობით. ახლა კი ქეთის საზოგადოებაში გტოვებთ, ბევრი სამუშაო მაქვს.

თავს დაუკრავს და კიბეს აუყვება.

ქეთი: – ადამ, ახლავე მობრუნდი და გოგონას ბოდიში მოუხადე.

ადამი ზემოთ ავიდა: – ქეთი, სტუმარი გააცილე და კარი მაგრად ჩაკეტე.

ქეთი ანას მიუბრუნდა: – მაპატიეთ, ჩემო გოგონა, ის ძალიან უცნაური ბიჭია, თავისებური.

ანა: – არა უშავს, მადლობა თბილი მიღებისთვის.

ქეთი: – ოქროს გული აქვს, მაგრამ ქალიშვილებთან ურთიერთობა არ ეხერხება.

ანა: – გენიოსებს ბევრი უცნაურობა ახასიათებთ. მშვიდობით.

ქეთი: – არა, არა, ასე ნუ წახვალ. ის ასეთი თავისი განსაკუთრებულობის გამო კი არ არის, რაც ნატალის დაშორდა, მის მერე გაველურდა.

ანა: – ნატალის?

ქეთი: – ადამის ბავშვობის მეგობარი იყო, მერე თითქოს შეუყვარდათ ერთმანეთი, ადამიც ისე ბედნიერი იყო, როგორც არასდროს, მაგრამ ნატალის ჩვენს მძღოლთან წაასწრო. ამის შემდეგ ყველა ქალს უფრთხის. ამიტომ ნუ განსჯით, დამიტოვეთ თქვენი ტელეფონის ნომერი.

ანა: – რა საჭიროა?

ქეთი: – ძალიან მომეწონეთ.

ანა: – მადლობა, თუმცა, სჯობდა ადამს მოვწონებოდი.

ქეთი: – ჰოდა, იბრძოლეთ ამისთვის, მე დაგეხმარებით.

ანა: – როგორ?

ქეთი: – ადამიანების გამოცნობა არ მეშლება. ვგრძნობ, შენ ის ხარ, ვინც ჩემს ბიჭს ძალიან შეუყვარდება.

ანა: – არა, არა, უნდა წავიდე.

ქეთი: – ახლა აღელვებული ხარ, ტელეფონის ნომერი ან სახლის მისამართი დამიტოვე. არ მინდა შენი დაკარგვა.

ანა ერთხანს ყოყმანობს, მერე ჩანთიდან ბლოკნოტს იღებს, ტელეფონის ნომერს აძლევს ქეთის და მიდის.

ქეთი: – ღვთისმშობელო მარიამ, შენ დაიფარე ჩემი ბიჭი და შენ ნუგეშს ნუ მოაკლებ.

4.

ექიმი ზაქარია ხელქვეითებთან თათბირს ატარებს. ოცამდე ქალი და კაცი უზის მასიურ მაგიდას.

ზაქარია: – მინდა გაუწყოთ, რომ იმ კვირის ბოლოდან ევროპაში მივდივარ ოჯახთან ერთად. ლამის ორი ათეული წელია ქალაქიდან ფეხი არ გამიდგამს. ოჯახს ყურადღებას ვეღარ ვაქცევ. გადავწყვიტე ჩემს ბიჭს გავყვე ევროპულ გასტროლებზე. სრული ერთი წელი არ დავბრუნდები. კლინიკას ექიმი იოსები უხელმძღვანელებს და მოგიწოდებთ, მას ისევე დაუდგეთ გვერდში, როგორც მე.

შემოდის ოფის-მენეჯერი ქალბატონი და ყურში ეუბნება:

– მოსაცდელში თქვენი დეტექტივი გელოდებათ.

ზაქარია: – მობრძანდეს. თქვენ კი, ჩემო ერთგულო კოლეგებო, წარმატებას გისურვებთ.

ექიმები გადიან, დეტექტივი შემოდის.

ზაქარია: – მობრძანდით. სიგარა და ვისკი ინებეთ.

დეტექტივი: – (ჯდება, აბოლებს და ვისკის მოსვამს) არც კი ვიცი, როგორ გითხრათ ეს ამბავი.

ზაქარია: – ბორის, მე დიდი თანხა გადაგიხადეთ იმაში, რომ თვალი გედევნებინათ ჩემი მეუღლისთვის, ფირზე აღგებეჭდათ მისი ყველა შეხვედრა, ფარული თუ აშკარა, მოგესმინათ მისი ყველა სატელეფონო საუბრისთვის და ახლა არ იცით, რა მითხრათ?

დეტექტივი: – თქვენი დავალება კი შევასრულე, მაგრამ...

ზაქარია: – რა მაგრამ?

დეტექტივი: – ცოლი გღალატობთ, ბატონო!..

ექიმი ლამის გაშრა და პირი ღია დარჩა!

ზაქარია: – ვისთან მღალატობს?

დეტექტივი: – თქვენს მებაღესთან და მძღოლთან, ექიმ იოსებთან, განსაკუთრებით კი ბატონ ჟორჟთან.

ზაქარია: – განსაკუთრებით ეს რაღას ნიშნავს?

დეტექტივი: – თუ დანარჩენ საყვარლებთან ნორმალური, ადამიანური სექსუალური ურთიერთობა აქვს, ჟორჟთან ყველაზე გარყვნილ, უკანასკნელი მეძავივით იქცევა. თანაც, მას-

ზე დაქორწინებას და თქვენს მოშორებას აპირებს, რათა მთელი ქონება ხელში ჩაიგდოს.

ზაქარია: – რით ამტკიცებთ ამას?

დეტექტივი: – ა, ბატონო, ყველაფერი აქ არის ჩაწერილი, ოღონდ მე ნულარ მაყურებინებთ ამ საძაგლობას კიდევ ერთხელ, მომეცით დარჩენილი ფული და წავალ.

ზაქარია: – ფულს მოგცემ, მაგრამ თუ ჩანაწერების ასლი გაქვს და ჩვენს გარდა ვინმე ნახავს, ანდა შემდგომში რომელიმე ჩვენგანისგან ფულის გამოძალვას შეეცდები, თავს წაგაცლი.

დეტექტივი: – რატომ მაკადრებთ, ბატონო? ყველაფრის დავიწყება რომ ვიცი საქმის დამთავრების შემდეგ, ამიტომ ვღირვარ ასე ძვირი!

ზაქარია: – ა, შენ დანარჩენი თანხა, 5000-ს პრემიას გაძლევ.

დეტექტივი: – ეს ჩვენი შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული, თანაც პრემიის აღება იმ საქმეში, რამაც ვერ გაგაბედნიერათ და დაგამწუხრათ, ჩემგან არ იქნება სამართლიანი (ფულის ნაწილს უბრუნებს). კარგად ბრძანდებოდეთ. (ოთახიდან გადის).

ზაქარია თავისი მეუღლის ასრულებულ ეროტიკულ ფანტაზიებს დიდ ეკრანზე უყურებს: – შენი დედაც... ბებერო ბოზო!..

მობილურზე ურეკავს: – ამალია, სად ხარ?

ამალია: – შეხვედრაზე ვარ, ძვირფასო...

ზაქარია: – სულ აღარ ზრუნავ საკუთარ თავზე, ნუთუ არ გღლის ეს გაუთავებელი შეხვედრები?

ამალია: – გმადლობთ, ძვირფასო. შენ ის ერთადერთი და განუმეორებელი ხარ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ჩემს შრომას აფასებს.

ზაქარია: – ორ საათში რესტორან „ორ გედში“ გელი. უკვე შევუკვეთე შენი საყვარელი აღმოსავლური კერძებით დახუნძლული მაგიდა.

ამალია: – მიყვარხარ!

ზაქარია: – იქიდან კი ჩვენს ქალაქგარე ვილაში წავიდეთ და ერთმანეთს განუმეორებელი ღამე ვაჩუქოთ.

ამალია: – საყვარელო, რა რომანტიული ხარ! ვგიჟდები. აბა, შეხვედრამდე...

ზაქარია: – (ტელეფონს თიშავს) ოჰ, შე ძუკნა! ვინ იცის, იქნებ, ახლაც ბინძურ საყვარელთან ერთობი.

მაგიდის უჯრიდან რევოლვერს იღებს. ამოწმებს, დატენილია თუ არა.

5.

ქეთი და ადამი სადილობენ:

– ნუ მიყურებ, როგორც ურჩხულს.

– სწორედ რომ ურჩხული ხარ!

– რა დავაშავე საყვარელო ქეთი?

– არ იცი?

– არა.

– იმ ქალიშვილს რას ერჩოდი?

– მე ვერჩოდი? სახლში შემომივარდა.

– კარგად მოექეცი?

– ეგეთი გოგონები კიდევ ბევრი იქნება ჩემს ცხოვრებაში და რას მიბრძანებ, ყველას ცალ-ცალკე გამოვეკიდო?

– გული მეუბნება, რომ ეს გოგო...

– მორჩი, რა! შენ ნატალიზეც გეუბნებოდა გული, მაგრამ ნაძირალა აღმოჩნდა.

– დამიჯერე შვილო, ეგ სულ სხვაა. იქნებ დაგერეკა, ჰაა?

– ო, რა მზრუნველი ხარ. ალბათ, იმ თავხედზე უკვე მთელი დოსიე შეაგროვე.

– ადამ, ხომ იცი, შენსავით არავინ მიყვარს. შენთვის ცუდს არ მოვინდომებ. იქნებ დაგერეკა და შეხვედროდი.

– ბოდიშიც ხომ არ მოვუხადო?

– არ იქნებოდა ურიგო, ნუთუ ვერ შენიშნე, რა უმწიკვლო და ჰაეროვანი იყო?

ადამი დაფიქრდა. თვალწინ წარმოუდგა ანასთან ურთიერთობის მთელი ეპიზოდი და მოიწყინა:

– კარგი, დავურეკოთ, ოღონდ ერთი პირობით. იმ შენს წყე-

ულ საუზმეს როიალთან აღარ მომიტან და მხოლოდ იმ დროს მაჭმევ, როცა მომშივდება.

– კარგი, ოღონდ დაურეკე და საერთოდ აღარ გაჭმევ.

– აბა, დაიფიცე.

– ვფიცავ.

თან ანას ნომერი აკრიფა და მობილური ადამს მიაწოდა:

– მიდი, ანა...

ადამი: – ანა, ადამი ვარ.

ანა: – დიახ, გისმენ...

ადამი: – მაპატიე ჩემი საქციელი თუ უსაქციელობა, ცოტა გაბრაზებული ვიყავი.

ანა: – უკვე გაპატიე... (ტელეფონს თიშავს)

ადამი: – (ისევ რეკავს) ანა, აღარ გამითიშო.

ანა: – რა გნებავთ?

ადამი: – შენთან შეხვედრა მინდა, ანა.

ანა: – არ მცალია.

ადამი: – მაშინ ხვალ იყოს.

ანა: – ხვალაც დაკავებული ვარ.

ადამი: – აბა, როდის?

ანა: – ჟურნალ „გლობუსის“ რედაქცია იცი?

ადამი: – ვიცი.

ანა: – იმის გვერდზე იტალიური კაფეა, თუ ერთ საათში მოხვალ, იქ ვიქნები.

ადამი: – მოვდივარ! ქეთი, მომეხმარე, ერთ საათში ანას ვხვდები.

6.

ანა და ადამი იტალიური კაფეს წინ ხვდებიან ერთმანეთს. ვაჟი ქალს ქრიზანთემების თაიგულს მიართმევს. კაფეში, მაგიდასთან სხდებიან.

ანა: – მადლობა, რა მშვენიერი თაიგულია.

ადამი: – ქრიზანთემები ძალიან მიყვარს, რაღაც იდუმალებას ატარებს, ოდნავ სევდისმომგვრელია.

ანა: – ბუნდოვნად მახსოვს, მამამ დედას სწორედ ასეთი თაიგული მიართვა ერთხელ, მე კი შოკოლადის ფილა, შავი შოკოლადის.

ადამი: – შოკში მაგდებ.

ანა: – რატომ?

ადამი შავი შოკოლადის ფილას ჯიბიდან იღებს:

– ძალიან მიყვარს, პიჯაკის ჯიბეები ამით მაქვს გამოტენილი. არ ველოდი თუ შენც გიყვარდა. მამა ბუნდოვნად გახსოვს?

ანა: – ჰო, ჩემი მშობლები აღარ არიან.

ადამი ხელზე ხელს დაადებს, ანა არ აიღებს თავის ხელს მაგიდიდან.

ანა: – ორი წლის ვიქნებოდი, როცა ეს მოხდა... ქრიზანთემები, შავი შოკოლადი, აი, ის მელოდია, დილას რომ დავუკარი შენს როიალზე და კიდევ რა... ფოტოსურათები დამრჩა მათი. თუმცა, თუმცა მახსოვს მამას უყვარდა, როცა ყელში ვკოცნიდი, აი, აქ (ყელზე, მარჯვენა მხარეს ხელს მიიდებს) ძარღვი ჰქონდა განასკვული თუ გამობერილი.

ოფიციანტი მოდის.

ადამი: – ყავა შევუკვეთო?

ანა: – ჰო, შოკოლადი ბევრი გვაქვს.

ოფიციანტი მიდის.

ადამი: – მარტო ცხოვრობ?

ანა: – დეიდა და ბიძია მზრდის, მათ მიშვილეს. უნივერსიტეტი დავამთავრე, ახლა ჟურნალ „გლობუსში“ ვმუშაობ.

ადამი: – ეგ ვიცი, წამიკითხავს შენი რეცენზიები. კარგი ჟურნალისტი ხარ. დღეს კი ძალიან ცუდად გამომივიდა. არ ვარ მიჩვეული გოგონებთან ურთიერთობას.

ანა: – ვიცი, იმ საოცარმა ქალმა ყველაფერი მიამბო შენზე.

ადამი: – ჩემმა კეთილმა და ბუზღუნა ქეთიმ.

ანა: – მას ძალიან, ძალიან უყვარხარ. რა ბედნიერი ხარ, რომ ასეთი ადამიანია შენს გვერდით.

ადამი: – ჩემი კეთილი ანგელოზია. რაც თავი მახსოვს, სულ

ჩემს გვერდითაა. დედმამა ძალიან მოუცლელი მყავს, ქეთიმ გამზარდა. სასწავლებლად იტალიაში და რუსეთში რომ ვიყავი, იქაც მახლდა. ერთი ცუდი ის არის, რომ ჩემს კონცერტებს არ ესწრება. მეუბნება არ შემიძლია, ძალიან ვნერვიულობო.

ანა: კარგია, როცა ამდენი საყვარელი ადამიანი გყავს გვერდით და ამდენი თაყვანისმცემელი გახვევია.

ოფიციანტს ყავა მოაქვს და მიდის.

ადამი: – პირდაპირ მითხარი, ინტერვიუს ჩაწერა გინდა?

ანა: – არა, ვიცი, რომ ინტერვიუებს არ იძლევი. ბატონმა ჟორჟმა არაერთხელ გაგვაფრთხილა ამის შესახებ.

ადამი: – ანუ პროფესიულმა ინტერესმა არ მოგიყვანა ჩემს სახლში?

ანა: – არ ვიცი, რამ მომიყვანა. ერთი კია, როცა იმ ნაწარმოებს უკრავ, თვალებს დავხუჭავ ხოლმე, თითქოს ჩემი მშობლები მეალერსებიან. სხვისი შესრულებითაც მომისმენია იგივე, მეც არ ვუკრავ ცუდად ამ მელოდიას, მაგრამ მსგავსი არაფერი დამმართნია. ამიტომ მოვედი შენთან, თითქოს მამასთან და დედასთან მოვედი. (თვალები აუცრემლდა)

ადამი: – მე კი... იდიოტივით მოვიქეცი და ახლაც ცუდად ვიქცევი.

ანა: – ამას გეკითხები არა როგორც ჟურნალისტი და როგორც შენი მუსიკის თაყვანისმცემელი. ყველა კონცერტს რატომ ამთავრებ ამ ნაწარმოებით?

ადამი: – არ ვიცი, რა გითხრა. ეს არავის უკითხავს. არც მე მიფიქრია ამაზე. უბრალოდ, ეს არის ის მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დავუკარი, როცა ნოტების გარჩევა კი არა, წერა-კითხვაც არ ვიცოდი. ასე მგონია, ამ მელოდიასთან ერთად მოვედი ამ ქვეყანაზე, თითქოს დედის მუცლიდან გამომყვა.

ანა: – დედა მუსიკოსია?

ადამი: – არა. მშობლები მუსიკისგან შორს დგანან. დედა ჟორჟს ეხმარება ჩემი კონტრაქტების მოწესრიგებაში, მამა კი კლინიკა „ზაქარია და K“-ს მფლობელია. მუსიკოსები ოჯახში მე და ქეთი ვართ.

ანა: – ქეთი?

ადამი: – როცა მუსიკას ვწერ და მერე ვუკრავ, თუ ქეთი თვალცრემლიანი შემომიტანს წვენს, ვგრძნობ, რომ ახალი ნაწარმოები ხალხს მოეწონება. ქეთი ჩემი ბარომეტრია (მობილური ურეკავს) გისმენ მამა, ქალაქგარეთ დედასთან ერთად აპირებ წასვლას? კარგი, არ მოვიწყენ, ხვალამდე!..

ქეთი: – გაგეხარდა! რაღაც კარგი ამბავი გითხრა?

ადამი: – ანა. თავხედობა რომ გამომეჩინა და მეკითხა, აქედან ჩემთან სახლში წასვლაზე რა აზრის ხარ-მეთქი, გამიბრაზდებოდი?

და: – არა, დაგსჯიდი ჩემი დაუყოვნებლივი პასუხით – მოვდივარ კი არა, მოვფრინავ-მეთქი, ოღონდ ერთი პირობით: შენი სახლი აქედან შორს არ არის. გინდა, ფეხით გავიაროთ?

– კი, სიამოვნებით. აი, ჩემი ხელი.

ხელჩაკიდებულნი მისეირნობენ. გზაში ადამს ბევრი აჩერებს, ზოგი ავტოგრაფს სთხოვს, ზოგი – სურათის გადაღებას, ზოგი – უბრალოდ ეხვევა. შედარებით წყნარ ადგილას მიუყვებიან ქუჩას და უცებ, ერთი სახლიდან ამ წყვილის საყვარელი მუსიკის ხმა ისმის. ვიღაც დალოცვილი დიდი გრძნობით უკრავს, ლამის ადამზე კარგადაც კი. წყვილი ჩერდება და დიდ კარზე გამოკრულ აბრას მიაშტერდება: ფ ს ი ქ ი ა ტ რ ი უ ლ ი.

ადამი ზარს რეკავს. კარი მაშინვე იღება: ზღურბლზე კარისკაცი გამოჩნდება, რომელიც ადამის დანახვაზე გახარებულია:

– თქვენ?

– დიახ... თქვენთან ვინ უკრავს?

– ერთი მოხუცი ქალია, ელზა.

– შეიძლება შევხვდეთ?

– მობრძანდით...

ელზა ძველ პიანინოსთან ზის და უკრავს. ადამი და ანა ჩუმად შედიან და უსმენენ. დაკვრას ამთავრებს და ახალგაზრდე-

ბი ტაშს უკრავენ. ქალი დგება და ნელა შებრუნდება. ახლოს მიდის, აკვირდება და იტყვის:

– მადლობა ღმერთს, ჩემი შვილები მოვიდნენ.

ადამი: – (გაკვირვებული) რა ბრძანეთ?!

ელზა: – მოდით, ჩემო სიცოცხლეებო, ჩემო საყვარელო შვილებო.

ანა: – დამშვიდდით, ქალბატონო.

ელზა: – გიჟი ნუ გგონივართ, მე მართლა თქვენი დედა ვარ! თქვენ და-ძმა ხართ და მიხარია, რომ ერთმანეთი გიპოვნიათ.

კარისკაცი: – ბოდიში ბატონო ადამ, ხომ იცით სადაც იმყოფებით...

ადამი: – ქალბატონი მართალია... ანა, ეს დედაჩვენია. ვგრძნობ, რომ დედაჩვენია (და ელზას ეხვევა, ანაც უერთდებათ ცოტა მოგვიანებით. ოთახში სხვებიც შემოდიან).

7.

ზაქარია და ამალია ქალაქგარეთ, თავიანთ ვილაში საწოლ ოთახში იმყოფებიან. ორივე კარგად მთვრალია.

ამალია: – დიდებული საღამო იყო. ნეტავ, გამაგებინა, რა ბზიკმა გიკბინა. ასეთი დღესასწაული ჩემთვის დიდი ხანია აღარ მოგიწყვია.

ზაქარია: – სტოპ! დღესასწაული ჯერ არ დამთავრებულა. ფინალური მომენტი ჯერ წინ არის.

ამალია: დღეს ძალიან გამოუცნობი და ამაღელვებელი ხარ. ეს კი შენდამი სექსუალურ ლტოლვას კიდევ უფრო მიმძაფრებს.

ზაქარია: – ახლა, ყველაზე მეტად რა გინდა?

ამალია: – შემისრულებ?

ზაქარია: – დღეს სიურპრიზების საღამოა და მთავარი ფინალიც შორს აღარ არის.

ამალია: – გულზე დამადე ხელი, ვგრძნობ, როგორ მითრთის მღელვარებისა და მოუთმენლობისგან. მინდა შენგან განვიცა-

დო, განვიცადო ჯერ არ განცდილი!

ზაქარია: – (ხელში აიტაცებს) მითხარი, დაამთავრე?!

ამალია: – მინდა მცემო, დამკბინო, ტკივილი მომაყენო, უკანასკნელი ბოზივით მიხმარო, ტანსაცმელი შემომახიო, ძირს დამაგდო, წიხლები დამიშინო, დამამცირო!

ზაქარია: – (ძირს დაანარცხებს) როგორც ჟორჟი გექცევა, ისე? იქნებ, უფრო რბილად მირჩევნია ეზოში, მიწაზე, ხის ძირას, როგორც ჩვენი მებაღე გადაგკუზავს ხოლმე?! ან იქნებ, მანქანის კაპოტზე ამიშვერ ფეხებს, როგორც ჩვენს მძღოლს. ჰა, მიდი, აირჩიე, ამ ღამით უსაზღვროდ კეთილი ვარ. გიმეორებ, ამ ღამით! ხვალ დილიდან კი ამ ვილაში ორი გვამი დაიწყებს ლპობას.

ამალია: – (ძირს აგდია გახევებული და თავზარდაცემული) მითვალთვალებდი?!

ზაქარია: – რა მნიშვნელობა აქვს?!

ამალია: – ნუთუ მაგისთვის მომკლავ?

ზაქარია: – უეჭველად. აბა, ამას გაპატიებ?! შეხედე, დატკბი.

ეკრანზე ჩანს ამალია და ჟორჟი როგორ „სიყვარულობენ“.

ამალია: – გააჩერე! გამორთე!

ზაქარია: – რატომ? რისთვის? ღალატი ერთია, მაგრამ ჩემი დაცინვა და რაც მთავარია, თავიდან მოშორება?

ამალია: – Ôგღალატობდი, მაგრამ სულ შენ მიყვარდი. ეგ დანარჩენი კაცები ჩემთვის გასართობი, ჟინის მოსაკლავი თოჯინები იყვნენ და სხვა არაფერი. ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ. შეცდომები და დანაშაულებიც უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს. ჩემს თავს არ ვჩივი, შენზე ვფიქრობ. ნუთუ მომკლავ, ციხეში ჩაგსვამენ, შვილს კარიერას დაუღუპავ, სახელს გაუტეხ!

ზაქარია: – მაშინ გაყრაზე შევიტანოთ განცხადება, ოღონდ ცარიელს გაგიშვებ. საქორწინო ხელშეკრულებით ერთი ცენტის მიღების უფლებაც არ გაქვს.

ამალია: – გაყრა არ მინდა, შიმშილით ხომ არ მოვკვდები?

ზაქარია: – ეს არის შენი სიცოცხლის გადარჩენის ერთდაერთი გზა. არ გაჩქარებ, დილამდე იფიქრე. ახლა კი მშვიდობით, ჩემს კაბინეტში უნდა გავიდე. იმ ჰაერით სუნთქვაც კი არ მინდა, სადაც შენ იქნები. (ოთახიდან გადის)

ამალიამ კარზე ყური მიადო და როცა ნაბიჯების ხმა შორიდან გაისმა, მობილურზე დარეკა: – ჟორჟ, საყვარელო ჟორჟ, სად ხარ?

ჟორჟი: – ქალაქში.

ამალია: – მიშველე! ზაქარიამ ყველაფერი იცის. მოკვლას მიპირებდა, ახლა კი გაყრაზე დამიყოლია. ვერაფერს მივიღებთ ჟორჟ! კვდება ჩვენი ოცნება ტკბილ და თავისუფალ ცხოვრებაზე.

ჟორჟი: – სად ხართ?

ამალია: – ჩვენს ვილაში. აქაურობას შენ კარგად იცნობ, არაერთხელ ვყოფილვართ, საძინებელში ვარ, მეორე სართულზე. ის კი, თავის კაბინეტშია. მოდი ჟორჟ, მიშველე!..

ჟორჟი: – როგორ უნდა გიშველო?

ამალია: – უნდა შეაჩერო!

ჟორჟი: – როგორ, მოვკლა?!

ამალია: – არა, ჟორჟ, ეგ კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა ეს არ მინდა. დიდ ეჭვს გამოიწვევს. მოგვიანებით მოვუღებ ბოლოს. რამე მოიფიქრე, თორემ ვიღუპებით. თან ფრთხილად, შეიარაღებულია!

ამალია საუბარს ამთავრებს და ამბობს:

– ადამისთვის ხომ არ დამერეკა?!

უცებ, კარი იღება და ზურგსუკან ხელებგაკრულ ჟორჟს ზაქარია პანღურით შემოაგდებს.

ამალია: – ჟორჟ?!

ზაქარია (წვრილი ხმით): – მოდი ჟორჟ, მიშველე. აჰა, აქ არის და გიშველოს. არა, ბებერო ბოზო, შენი გამოსწორება არ იქნება. ორივე უნდა მოკვდეთ. როგორ თქვი, მოგვიანებით მოვუღოთ ბოლო?!

ჟორჟი: – შენ სიცოცხლის შენარჩუნებას დამპირდი, თუ ამა-

ლიას წინააღმდეგ თამაშში აგყვებოდი. მეც დაგთანხმდი. ტელეფონზე შენი კარნახით ვპასუხობდი.

ზაქარია: – როდის დამთანხმდი, როცა გაკოჭილი მყავდი სარდაფში და მერე ჩემს კაბინეტში? როცა მოგერიე?!

ჟორჟი: – მომატყუე!

ზაქარია: – ტყუილი ტყუილის წილ! სამაგიეროდ, ეს ბებერი ძუკნა არ მოვატყუე. ამალია, ხომ შეგპირდი ამ ვილაში ორი გვამი ხვალ დილიდან დაიწყებს ლპობას-მეთქი, ჰოდა, გისრულებ.

რევოლვერი ამოიღო.

ამალია: – თანახმა ვარ განქორწინებაზე, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნე.

ჟორჟი: – ჰო, ზაქარია, თანახმა ვართ.

ზაქარია: – არ გადამრიო, მართლა?! ამალია, აჰა, რევოლვერი, მოკალი შენი კურო. ხვალიდან ყველაფერს გაპატიებ, ახალი ცხოვრება დავიწყოთ, დანაშაულს მხოლოდ სისხლი ჩარეცხავს.

ამალია იარაღს გამოართმევს და უყოყმანოდ ესვრის. ჟორჟი დაენარცხება.

ამალია: – შევასრულე შენი ბრძანება!

ზაქარია: – იარაღი მომეცი (ართმევს) ადექი ჟორჟ, ეი, გესმის? ადექი, თორემ ნამდვილი რევოლვერიც მაქვს მეორე ჯიბეში. შენ კი ამალია, მიდი და ხელები გაუხსენი. წადი ჟორჟ, გიშვებ, როგორც ნაბიჭვარს. გაეთრიე. სად არის შენი ნაქები ვაჟკაცობა? ჩაგიფსამს ბიჭო, აბა, სირბილით გაეთრიე.

ჟორჟი გარბის.

ამალია: – მე, მე რა ვქნა?!

ზაქარია: – შენ? შენ შეგიძლია სექსუალური გაკვეთილები ჩამიტარო.

ამალია: – მადლობა ძვირფასო, ამას სიკვდილამდე არ დაგივიწყებ.

ზაქარია (იხდის): – მიდი, შეუდექი...

8.

ტიტრი – ერთი კვირის შემდეგ.

აეროპორტი. ზაქარია, ამალია და ჟორჟი რეგისტრაციის რიგში დგანან. ამალია მობილურით რეკავს, ადრესატი არ პასუხობს.

ზაქარია: – არ დააგვიანებს, მოვა.

ჟორჟი: – მალე ჩასხდომა დაიწყება. ეტყობა, რაღაც მოხდა.

ამალია ნერვიულობისგან ლამის გიჟდება. ადგილს ვერ პოულობს.

ზაქარია: – იქნებ, ქეთიმ იცის რამე?

ამალია: – არც ის პასუხობს.

ჟორჟი: – სხვა რეისით მოგვიწევს გაფრენა.

ამალია: – დააბრუნე ბილეთები, ხვალ გავფრინდეთ.

ზაქარია: – დავბრუნდეთ სახლში, რაღას ელოდები.

9.

მათ სახლში შესასვლელიდან მოყოლებული სულ სანთლებია ანთებული, კიბის მოაჯირებზეც კი. ქეთის თეთრი კაბა ჩაუცვამს, გვერდით კი ორი დიდი ჩემოდანი უდგას.

ამალია: – ქეთი, რა ხდება აქ?

ქეთი დუმს...

ზაქარია: – ტელეფონზე რატომ არ პასუხობდი? (ქეთი დუმს) ხმას გამცემ? (ქეთი ისევ დუმს) იქნებ, ის მაინც მითხრა, ადამზე რამე იცი?

ქეთი: – ყველაფერი, ყველაფერი ვიცი ადამზე, იმაზე მეტიც, ვიდრე თქვენ იცით...

ამალია: – ქეთი, დღეს არ მომწონხარ.

ქეთი: – ამ მხრივ, ბარი-ბარში ვართ. მეც არ არასოდეს მომწონდი.

ზაქარია: – ბიჭი სად არის?

ქეთი: – ადამზე მეკითხები?

ზაქარია: – აბა, სხვა რომელი ბიჭი მყავს?!

ქეთი: – ადამი წავიდა იქ, სადაც აქამდეც უნდა წასულიყო, თავის სახლში...

ამალია: – ეს ქალი ჭკუიდან შეიშალა.

ზაქარია: – მოკეტე ამალია!.. ქეთი, სად არის ადამი?!

ქეთი: – ადამი ელზას ანასთან ერთად დაუბრუნდა. ეს რა გარეწრები ყოფილხართ, ბავშვებს ეგრე როგორ მოექეცით?! ის საცოდავი ქალი რატომ გააუბედურეთ?! თუ სურვილი გაქვს წაგიყვან მათთან, ბავშვებმა ყველაფერი მიამბეს. მათი დეიდა და ბიძა უკვე პოლიციაში არიან. ვიდრე შენც იგივე დაგემართება, სჯობს წამოხვიდე და ელზას ფეხებში ჩაუვარდე და მოინანიო გაუბედურებული ქალისთვის შვილის მოპარვა. მე მათთან მივდივარ!..

ქეთი ჩემოდნებს იღებს და მიდის...

ზაქარია: – სად მიდიხარ ქეთი, შეჩერდი! დაბრუნდი! ღმერთო ჩემო, რა ვქნათ?

ამალია: – მე ვერ ჩამსვამენ, მე არაფერ შუაში ვარ!

ზაქარია: – და გიხარია არა, რაც მე მომელის?! უხ, შენი!!! (გაიწევს მისკენ, ამალია ზემოთ აასწრებს და ოთახში შევარდება, კარს შიგნიდან ჩაკეტავს).

ზაქარია: – გააღე, გააღე შე ძუკნა!

ამალია (ოთახიდან უყვირის): – გაეთრიე, თორემ პოლიციაში ვრეკავ!

ზაქარია: – გააღე, შენი!!!

ამალია: – უკვე დავრეკე!

ზაქარია: – ვერ გადამირჩები!!!

კარს შეამტვრევს და შევარდება. ოთახიდან ორი გასროლის ხმა გაისმა!

10.

ჩანს ფსიქიატრიულის ოთახი, სადაც ელზა თავის შვილებთანაა ჩახუტებული.

ადამი: – ყველაფერი მოვაგვარე, დედა! აღარასოდეს მიგატოვებთ.

ანა: – სულ არ შეცვლილხარ დედიკო, ისევ ისეთი ტკბილი და ლამაზი ხარ.

ელზა: – ღმერთო, ამდენ ხანს რისთვის ვიტანჯებოდი?! ანა, ჩვენი ძველი სახლი გახსოვს?

ანა – არა, ბუნდოვნად. ისიც არ ვიცი სად დგას.

ელზა (დგება): წავიდეთ, ჩვენს სახლში წავიდეთ. იქ ისევ თქვენი მამის სული ტრიალებს. ჩვენი დაბრუნება ძალიან გაეხარდება.

ოთახიდან გამოდიან. ადამის ავტომობილში ჩასხდნენ და ამ დროს სახლს ტაქსი მიადგა. იქიდან ქეთი გადმოვიდა და ჩასაჯდომად მომზადებულ ადამს უკნიდან მოეხვია:

– უჩემოდ ვერსად წახვალ, ვერ დამემალები.

ადამი გადაეხვევა. ანაც და ელზაც გადმოდიან და ქეთის ეხვევიან. მერე კი მანქანაში სხდებიან და მიდიან.

...და ფილმიც იმ ძველი, საყვარელი მუსიკის ფონზე მთავრდება.

2011-2018 წწ. 2 ნოემბერი

მონსტრები

– ასია, შეფი გეძახის, – უთხრა მაღალმა, ზომაზე მეტად გამხდარმა შუახნის ქალმა ქერა, მაღალმკერდა და დიდთვალება ასულს, რომელიც კომპიუტერთან იჯდა.

წამოდგა, აშოლტილი ტანის ოდნავ რხევით შეფის კაბინეტს მიაშურა. მელოტი, სიმპათიური, სიმსუქნეშეპარული შუახნის უფროსი ტელეფონზე საუბრობდა. თავის დაქნევით ანიშნა დამჯდარიყო, მერე მობილურში ჩასძახა – „ერთი წუთით“ და ასიას უთხრა:

– არც ახლა დაიჯერებ? აჰა, შენი დაქალია ხაზზე, იქნებ, მას მაინც... – აქ კი თითქოს სული შეუგუბდა. ტელეფონი მიაწოდა.

– ნია, ხომ მშვიდობაა?.. რაა, ვინ გითხრა?!.. სისულელეს მეუბნები... ზაკი ჩემი ერთგულია... სიგიჟემდე ვუყვარვარ... რა�ა?.. მაგას ვერ ვაკადრებ! ეტყობა, შეგეშალა. – და ტელეფონი პატრონს დაუბრუნა, – ტყუილის და ჭორაობის მოსასმენად დამიძახეთ?

– შენს მიმართ რომ კეთილად არ ვიყო განწყობილი, მაგ თავხედობის გამო სამსახურიდან მიგაბრძანებდი.

– კარგად ვიცი, თქვენი განწყობის შესახებ. ყელში ამოვიდა ამდენი ოინები. ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ. ამ წუთიდან აქ აღარ ვმუშაობ, – და გასვლისას კარი ისე მოიჯახუნა, კედელი კინაღამ ჩამოიშალა.

დაბნეულმა მელოტმა კი ტელეფონში ჩასძახა:

– დაარწმუნე! უკანასკნელ შანსს გაძლევ.

ასია სამუშაო ოთახში შევიდა და ნივთების ჩალაგება დაიწყო. მობილურმა დარეკა...

– გისმენ ნია, ისევ შენ ხარ?.. მღალატობს და შეერგოს, შენ ვინ გეკითხება?! ქმარი მიყვარს და ვუყვარვარ!.. რა?! რას მაჩვენებ, რა თქვი?!.. იცოდე, თუ ცრუობ, ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი უსიამოვნება გელის... კარგი, მითხარი სად ხარ?

ტელეფონი გათიშა და სკამზე მოწყვეტით დაეხეთქა. ხელები სახეზე აიფარა და ატირდა, თუმცა მალე გამოერკვა, ცრემლები მოიწმინდა, სახე გაიწმინდა. ნერვიულობა მხოლოდ ხელების ცახცახზე ეტყობოდა. მერე ლიფტში შევიდა და გარეთ გასულს ნიას წითელი სპორტული მანქანა უკვე ელოდა. ჩაჯდა.

– სად არიან? – ჰკითხა წითელთმიან, ოდნავ დაჭორფლილ სახიან, სასიამოვნო გარეგნობის დაქალს.

– ქალაქგარეთ.

– ქალიც იცანი?

– ვერა. მთელი დღეა უკან დავყვები ორივეს. კიდევ კარგი თვალთახედვის არედან არ გამიქრნენ.

– ნამდვილად ზაკია?

– შემეშლებოდა?

– შეუძლებელია...

– ახლა თავზე რომ დაადგები, მიხვდები, თუ შეუძლებელია...

– ნია, კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, თუ მატყუებ, არასდროს გაპატიებ!..

– ოჰ, ერთი შენს ტვინში ჩამახედა...

მანქანა ტყეში ჩაფლული მდიდრული სახლებიდან ერთ-ერთთან შეჩერდა. ასია მაღალი ბეტონის კედელს მიადგა, იქვე მდგარ ხეზე იოლად აცოცდა და კედლიდან ეზოში რბილად ჩახტა. მოლი გაირბინა და სამსართულიანი სახლის კარი შეაღო. ჰოლი უჩუმრად გაიარა და დარბაზში მოხვდა. იქ კი... სავარძელში შეფი იჯდა და ოთხი მუტრუკი ადგა თავზე.

– წამოეგე ანკესზე, ქალბატონო? – წამოდგა, – სულ ვამბობ, რომ ეჭვიანობა კაცობრიობას დაღუპავს და მაინც ჩამივარდი ხელში!

– მადლობა ღმერთს, ჩემი ქმარი სუფთაა, – შვებით ამოისუნთქა ასიამ და შებრუნდა.

– საით, მეგობარო? – დასცინა შეფმა.

– ეს შენ არ გეხება, იდიოტო!

– ძლივს ჩამივარდი ხელში და ახლა გაგიშვებ?!

– მე კი არა, შენ ჩამივარდი კლანჭებში, შე საცოდავო!.. ვიდრე კეთილი ვარ, არ შემაჩერო!..

– რაღას უყურებთ, ძაღლისშვილებო!!! – იყვირა შეფმა...

– ბიჭებო, – ხელი ასწია ასიამ, – არ ჩაერიოთ, ქვეყნის ჩემპიონი ვარ კონტაქტურ კარატეში და არ მინდა დაგასახიჩროთ.

ოთხ ბრგე ჯანიანს ეს სიტყვები როგორ შეაშინებდა?! ორიოდე წუთში მელოტის თამადობით ყველა მამრი ძირს ეყარა და ტკივილებისგან იგრიხებოდნენ... დარბაზში ზაკი და ნია შემოვიდნენ. კაცმა წამში გადაავლო თვალი იქაურობას, გასაქცევად გამზადებული ნია თმით დაითრია და ხუთეულს მიუწვინა გვერდით, მერე ასია ჩაიხუტა.

– ჭორებს აჰყევი ამოდენა ქალი?!

– შენც ჭორმა და ტყუილმა არ მოგიყვანა?

– მართალია...

– ზაკ, ამ ნაგავს რა ვუყოთ?!

– როგორც კანონმორჩილი მოქალაქე და ამ ქვეყანაში ყველაზე მაგარი დეტექტივი, ვალდებული ვარ პოლიციას გამოვუძახო, – თქვა ზაკმა, რომელიც ნამდვილად შესაფერისი მეწყვილე გახლდათ თავისი მეორე ნახევრის.

– არ გინდათ, ნუ იზამთ! – შეეხვეწა შეფი, – არ გეკადრებათ.

– დუმილის უფლებას, რომელსაც უეჭველია ადვოკატის მოსვლამდე გამოიყენებ, შეგიძლია ახლავეს მიმართო! – უპასუხა ზაკმა.

– ქალბატონო ასია, იქნებ თქვენ ჩაერიოთ?!

– იპოვა მხარდამჭერი!.. შენთვის სჯობს აღარ გამაბრაზო!..

ვიდრე პოლიცია მოვიდოდა ზაკმა მუტრუკებიდან ერთ-ერთი წამოაგდო, – აბა, ვაჟკაც, წინ გამიძეხი!..

ათიოდე წუთში დარბაზში მომხდარის სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული ჩანაწერი ჯიბეში ედო. წივილ-კივილით მოსულმა პოლიციამ დამნაშავეები გაკოჭა.

– კერძო საკუთრებაში შემოჭრა რომ არ დამაბრალოთ, ჩემი პირადობის მოწმობა ნახეთ, – და გამომძიებელს საბუთი ცხვირზე მიაფინა.

– რას ამბობთ, ბატონო ზაკ, – ეწყინა პოლიციელს, – რეგვენები კი არ ვართ, თქვენ ვერ გცნობდეთ. ბოდიშს მოგიხდით და თუ მოგვიყვებით რაც აქ მოხდა, დიდად დაგიმადლებთ...

ცოლ-ქმარი სახლში გვიან დაბრუნდა. ყავას ფუნთუშები დააყოლეს და ლოგინში ჩაწოლილებმა ის იყო ალერსი დაიწყეს, ზაკის მობილური აწკრიალდა.

– ის საშინელი ქალი, ნია რეკავს, – თქვა კაცმა და ტელეფონს უპასუხა:

–...კიდევ რით „გამახარებ“?!

– რა უნდა მაგ გარეწარს? – ჰკითხა ასიამ ზაკს.

– რა და ასია სხვა მამაკაცის საზოგადოებაში შევნიშნეო, – გაეხუმრა ზაკი, – დაუყოვნებლივ სურს ჩვენთან შეხვედრა.

– ანუ გამოუშვეს?!

– ჩვენ ხომ მის შესახებ ჩვენება არ მიგვიცია, ის რეგვენი გამომძიებელიც არ დაინტერესდა, ეტყობა ამ ქალბატონით, – თქვა ზაკმა და ტელეფონში ჩასძახა, – ერთ საათში მოდი.

– ახლა მაგას ვუთიოთ ღამე?! იქნებ უფრო მალე დაგებარებინა, – უსაყვედურა ცოლმა ქმარს, რომელმაც ტელეფონი სადღაც მიაგდო.

– არა, ძვირფასო, ვიდრე დაწყებულ საქმეს არ დავამთავრებ, არავის მოსმენა არ მსურს, – უთხრა ზაკმა და ცოლს ებდღვნა.

ნია ერთ საათში მოვიდა. დაჯდა, ჩანთა ფეხებთან მიაგდო და თქვა:

– აღსარების ჩასაბარებლად მოვედი და თან უნდა გითხრათ, რომ პატიებას არ გთხოვთ და არც ვიმსახურებ.

– უფრო სწორი იქნება, აღსარებას კი არა, ჩვენებას თუ მოგვცემ, რადგან აღსარებას სხვაგან, უფრო შესაფერის ადგილას აბარებენ, – უპასუხა ასიამ.

– რასაც ახლა მოგიყვებით, იმდენად ამაზრზენია და იმდენად წარმოუდგენელი, მრცხვენია, რომ ადამიანი ვარ... ან ვარ კი ადამიანი?!

– ჩემი ხელიდან სიკვდილს იმსახურებ, თუმცა ისეთი არარაობა ხარ, ეგ შხამიანი თავი რომ გველივით გაგიჭეჭყო, ამადაც

არ ღირხარ! – მიაფურთხა ასიამ.

– იქნებ, წყალი მაინც შემომთავაზოთ, – ამოიხვნეშა ნიამ.

– რამე უფრო მაგარი ხომ არ გესიამოვნება?! – ირონიულად ჰკითხა ასიამ. ზაკმა კი წყლით სავსე დიდი ჭიქა მიაწოდა.

– შეიძლება დავიწყო? – იკითხა ნიამ, როცა ჭიქა დაცალა.

– ყურადღებით გისმენთ, – ისევ გაუვსო ჭიქა ზაკმა და ასიას გვერდით მიუჯდა.

* * *

ნია ზღვისპირა ქალაქში დაიბადა. მამამისი ამბერკი, მათემატიკის პედაგოგი იყო. დედა – მავრა, თევზსაჭერი კომპლექსის ბუღალტერი. ცოლ-ქმარმა 50 წელს გადააბიჯა, მაგრამ შვილი არ უჩნდებოდათ. რაღა არ სცადეს, მკურნალობის ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდები და იმედგადაწურულებმა ამ სურვილზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეს. ამბერკი არც ახალგაზრდობაში გახლდათ დიდი კაზანოვა და ქალთა გულთამპყრობელი, მაგრამ, როცა ცოლი ავარიაში მოყვა და ძლივს გადარჩა, საერთოდ შეწყვიტა მასთან სექსუალური ურთიერთობა. მავრა თავის უფროსთან ერთად მივლინებაში მიდიოდა და მანქანით კლდეს შეასკდნენ. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე მგზავრი ალკოჰოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამან ამბერკი მიახვედრა, რომ მას შემდეგ, რაც მისი ცოლი მთავარ ბუღალტრად დააწინაურეს, პატიოსნად აღარ ცხოვრობდა. ამბერკი ამან გაამხეცა, თუმცა დარტყმის მისაყენებლად შესაბამის დროს ეძებდა. დაჩეჩქვილ ცოლს ისე მუყაითად უვლიდა, ყველა ნაცნობი გაკვირვებული იყო. სამ თვეში მავრა ფეხზე დადგა და მუშაობას შეუდგა. ამბერკი გაკვეთილების შემდეგ ცოლს სამსახურში აკითხავდა და სახლში ერთად მიდიოდნენ. ცოლი ამას ყურადღება-მზრუნველობაში უთვლიდა, თუმცა ზოგჯერ დაურეკავდა და სთხოვდა: დღეს არ მოხვიდე, გვიანობამდე უნდა ვიმუშაოთო. ეს ქმარს აცოფებდა. ხვდებოდა, როგორც „მუშაობდა“, მაგრამ ფრთხილობდა. იცოდა, რომ ასე ხელაღებით ვერაფერს დაამტკიცებდა და კიდეც რომ დაემტკიცებინა,

ცოლი მთელ ქონებას შუაზე გაუყოფდა, რადგან მისი საყვარელი ქალაქში გავლენიანი კაცი ბრძანდებოდა და სასამართლო ჯიბეში ეჯდა, არც ამბერკის გაქრობა იყო მისთვის პრობლემა.

თუმცა, „ყოველივე გაცხადდების“ და... ერთ ღამეს მავრა ცუდად გახდა, თავი ასტკივდა, წნევამ აუწია, ოფლმა დაასხა და საშინელი გულისრევა დაეწყო. სასწრაფო დახმარებამ საავადმყოფოში გააქანა. ამბერკიც თან გაჰყვა. დილით კი მკურნალმა ექიმმა ცოლის პალატაში შესულს ხელი ჩამოართვა, გადაეხვია და მიულოცა:

– მომილოცავს ბატონო ამბერკი, ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ!

– რატომ, ბატონო, ასეთი რა ჩავიდინე?

– რას ჰქვია რა ჩაიდინე? სასიკვდილოდ გადადებული ცოლი ისე მოამჯობინე, რომ უკვე სამი თვის ორსულია. ყოჩაღ, რომ ამ ასაკში ეს შეძელი! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ექიმი.

– ეს, ეს... რა... მართალია?! – ენა დაება ელდანაცემ ამბერკის, რომელსაც უკანასკნელი იმედი, რომ ცოლის ღალატი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო, საბოლოოდ გაუქრა.

– მართალია და კაი მაღარიჩიც შენზეა.

ამბერკი საწოლზე მჯდარ, უკვე სახლში წასასვლელად გამზადებულ ცოლს მიუახლოვდა, რომელმაც თვალები დახუჭა მოსალოდნელი რისხვის წინ, მაგრამ... ქმარი მოეხვია, ჩაეხუტა და უთხრა: – მადლობა სიყვარულო ჩემი გაბედნიერებისთვისო.

ცოლ-ქმარი სახლში ტაქსით წავიდა.

„მორჩა, – ფიქრობდა ამბერკი, – წელიწადზე მეტია ერთად არ ვწოლილვართ, შუბლზე და ლოყაზე კოცნით რომ ორსულდებოდნენ, კაცობრიობა დედამიწაზე კი არა, გალაქტიკაში აღარ დაეტეოდა. გასაგებია, ვისგანაც დაორსულდა. მოახლოვდა ამ ძუკნას აღსასრულის დღე!..“

„დამთავრდა, – ფიქრობდა მავრაც, – ჩემი მრუშობის შესახებ უკვე იცის. სულელი არ არის, კარგად ხვდება რომ უკაცოდ ვერ დავორსულდებოდი. არაფერი მითხრა. რატომ? მეგონა იქვე გამისწორებდა ანგარიშს. ალბათ, სახლში მომიწყობს სცენას...“

არავითარი სცენა სახლში არ ყოფილა. პირიქით, ამბერკი ძალიან გახარებული ჩანდა. ცოლს ათმაგი ყურადღებით და სიყვარულით ექცეოდა. სექსუალური ურთიერთობაც კი განაახლა და ისე ბეჯითად და თანამედროვე ატრიბუტიკით, ლამის მავრა მეორე ახალგაზრდობას განიცდიდა. ცოდვის ნაყოფი 20 იანვარს დაიბადა და ნია დაარქვეს... ერთ დილით კი, გაკვეთილზე მყოფ ამბერკის აცნობეს, რომ მავრა მეშვიდე სართულიდან, სამზარეულოს ფანჯრიდან გადახტა... ცოლის დაკრძალვიდან მესამე დღეს ამბერკი სამსახურში გავიდა. ნიას გასაზრდელად კი ძიძა დაიქირავა...

ნიამ თხრობა განაგრძო:

– ვერც კი წარმოიდგენთ, რაც მერე მოხდა, 12 წლის ვიყავი, როცა მამამ გამაუპატიურა. მერე და მერე ამან რეგულარული ხასიათი მიიღო. ვიდრე სკოლას დავამთავრებდი სექსში არსებული მრავალი პოზა მქონდა ათვისებული. არ ვიცი როგორ გითხრათ, მაგრამ თავიდან თითქოს მომწონდა, შემდეგ ვიფიქრე, რომ ახალგაზრდა ბიჭებთან უფრო სასიამოვნო იქნებოდა ამის კეთება. მალე ლამის მთელი კლასის ხასად ვიქეცი. ვგრძნობდი ამბერკი ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა, სულ ავიშვი, აღარც უფროსებზე ვამბობდი უარს, ერთ საღამოს „მამამ“ მითხრა: – ცოტა ხნით გავალ, რესტორნიდან სანოვაგეს მოიტანენ, მაგიდასაც თავად გააწყობენ, შენ მხოლოდ თვალი ადევნეო.

ნახევარ საათში მოიტანეს ყველაფერი და ისეთი სუფრა გააწყვეს, ნერწყვმორეული თავს ძლივს ვიკავებდი. ამბერკიც მალე მოვიდა, მაცივრიდან შამპანური გამოიღო, ის იყო მაგიდას მივუჯექით და კარზე ზარი დარეკეს. გავაღე და შევცბი, ზღურბლთან ჩემი იმჟამინდელი საყვარელი, ქალაქში ყველაზე გავლენიანი და მდიდარი კაცი, ვლად სიგიზმუნდოვიჩი იდგა, ლამის მამაჩემის ასაკის, მაღალი, უხეში კაცი, რომელმაც ყველა საყვარელი ჩამომაცილა და თავის საკუთრებად მთვლიდა.

– მობრძანდით, ბატონო ვლად! – უთხრა ამბერკიმ.

სტუმარი შეცბუნებული ჩანდა, ხელში რაღაც შეხვეული

ეჭირა და როცა სკამზე დაჯდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა და იქვე დადო.

– ბოდიში, სტუმარო, მე და ჩემი ქალიშვილი უთქვენოდ მივუჯექით სუფრას, – შესძახა ამბერკიმ და შამპანური დაასხა.

– ჩემი საყვარელი მეუღლის და გამბედნიერებლის, მავრას გარდაცვალების დღეა და მინდა მისი ხსოვნის საპატივცემულოდ დავლიო.

– უხმოდ დავცალეთ...

– ახლა კი, ღრმად პატივცემულო ვლად სიგიზმუნდოვიჩ, მინდა წარმოგიდგინოთ შენი და მავრას ცოდვის ნაყოფი, თქვენი საერთო ქალიშვილი, შენი სისხლი და ხორცი, დღეს ქალაქში სახელგავარდნილი ძუკნა, შენი პირადი ხასა, ნია... ეს კი დნმ-ის დასკვნა გახლავთ, სადაც აღნიშნულია, რომ ეს მართლა შენი და იმ ძუ მგლის ნაშიერია, – და ამბერკიმ ფურცელი მიუგდო.

ვლადი ქაღალდს დააშტერდა და მძულვარე თვალები მოგვაპყრო.

– ენა ჩაგივარდა, ძაღლისშვილო?! – თვალები გადმოუქაჩა ერთმა მამამ მეორეს, – რქებს რომ მადგამდი იმ ნაბოზარ ქალთან ერთად, იფიქრებდი, რომ სიბერეში ამას მიიღებდი?!

– მავრაც შენ მოკალი, ახლა დავრწმუნდი, რომ შენ მოკალი! – აღმოხდა ვლადს.

– კი, პროფესიონალ მკვლელს მოვაკვლევინე. შენგან მავრასთვის ნაბოძები სამკაულების ფული გადავუხადე. ფანჯრიდან მან გადმოაგდო.

– ყველაფერს გამოვიძიებ, დედას გიტირებ! – აღმოხდა ვლადს და წამოდგომა დააპირა.

– ტყუილად ცდილობ, ვეღარასოდეს ადგები! ყველა მოღალატე და გარეწარი იღებს დამსახურებულ სასჯელს, მეც შენთან ერთად ჩავძაღლდები. ჩემიც და შენი ჭიქებიც, ორივე მოწამლული იყო. შენ კი, საკუთარი მამის საყვარელო, – მიმართა ნიას, – აიღე ეგ დნმ-ს ანალიზი, მაგის საშუალებით ამ არამზადას მთელი ქონება შენ დაგრჩება, როგორც ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს. ამ საცოდავს არასდროს ჰყოლია ცოლ-შვი-

ლი, ეს ბინაც შენ დაგიტოვე. აგერ დევს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი. ყოჩაღ, ამბერკი, მაგარი ფინალი იყო, – აქ კი ენა დაება და მაშინვე სკამზე ჩაძაღლდა.

ვლადი კი ცრემლმორეული და სინანულით სავსე თვალებით მიყურებდა, ვიდრე სამუდამოდ არ დახუჭა თვალები.

ნიამ მეორე ჭიქა წყალიც დაცალა.

– მერე? – იკითხა ატირებულმა ასიამ.

– მერე რა, იმხელა ქონება დამრჩა ორი მამისგან, რამდენიმე მილიონს შეადგენდა. იქ რაღა გამაჩერებდა, დედაქალაქს მოვაშურე... მერე კი ზაკი შემიყვარდა, პირველად შემიყვარდა ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ ზაკს შენ ჰყავდი. ამიტომ ვეცადე თქვენი დაშორება, მაგრამ რით დამთავრდა ჩემი მცდელობა, იცით...

– ახლა რას აპირებ? – ჰკითხა თანაგრძნობით ზაკმა.

– მშვიდობით!.. სხვა ქვეყანაში მივდივარ საცხოვრებლად, გთხოვთ, მუდამ ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ახლა. სიყვარულს ვერაფერი შეედრება. ცუდია, რომ ადამიანებმა დაივიწყეს ეს და მონსტრებად იქცნენ. არ გამაცილოთ, მე წავედი...

მარტოდ დარჩენილი ცოლ-ქმარი გათენებამდე ჩახუტებულები ისხდნენ და დაძინებაც არც კი გახსენებიათ...

2018 წლის 18 აგვისტო,
მარიკუზას დაბადების დღე

როქი

– ნუთუ ასე რეგვენია და ვერაფერს ხვდება? – ჰკითხა შავ პიჯაკში გამოწკეპილმა საშუალო სიმაღლის, კარგად გამელოტებულმა, ნაადრევად სიმსუქნეშეპარულმა ედიმ თავის ქერა პარტნიორს, რომელთანაც ვალსის ნელ რიტმში ირხეოდა.

– ძალიან მენდობა, – გაუცინა სიმპათიურმა, ოცდაათ წელს ცოტათი გადაცილებულმა მინიატურულმა ლამაზმანმა და ისეთი მომაჯადოებელი სილურჯეში გადასული თვალები მიაპყრო, ედი ლამის მიეწება, – ფრთხილად, შენი ცოლი იხედება აქეთ, – ნახევარი ნაბიჯით გაიწია ქალმა.

– იყუროს! ის დღე დაიქცეს, როცა მაგ ფრიგიდულ არსებას შევხვდი.

– სამაგიეროდ, ერთგულია.

– საწოლში კი ნაგავია.

– ჩემი ლეოსავით.

– რა იქნებოდა, შენ ჩემი ცოლი ყოფილიყავი, ლეა კი შენი რქიანი ქმრის? – ამოიოხრა ედიმ.

– არც იოცნებო! შენ იმ სიმდიდრეს ვერ მომცემ, რასაც ჩემი, როგორც ინებე და თქვი, რქიანი ქმარი მაძლევს.

– სამაგიეროდ, იმას გაძლევ, რასაც ის ვერასდროს მოგცემს.

– ნუ თავხედობ. ეგ ადვილი საშოვნელია. იცი, რამდენი ყრია?

– კარგი, ნუ ვიჩხუბებთ, ირა. ხომ შევთანხმდით, რომ ერთად გავაცურებთ.

– ამიტომაც ვძარცვავ, როგორც კი საშუალება მეძლევა.

– ირა, ჩემო საყვარელო, უკვე საკმარისი თანხა დაცინცლე, შეგვიძლია გავიპაროთ და ჩვენს ჭკუაზე ვიცხოვროთ. მინდა დღე და ღამე ერთად ვიყოთ.

– ეგ ფული რომ გაგვითავდება, მერე რა ვქნათ? ხომ იცი, მაგასთან საქორწინო ხელშეკრულება მაკავშირებს და ულუკმაპუროდ დამტოვებს.

– აბა, დარჩენილი ცხოვრება ჯოჯოხეთში გავატაროთ? ჯოჯოხეთი და კუპრი სიკვდილის მერეც მეყოფა! – აღელდა ედი.

– უნდა მოითმინო.

– როდემდე?

– ლეო თავისი ერთ-ერთი გაზეთის გაყიდვას აპირებს ხუთ მილიონად.

– მერე ჩვენ რა?

– ვთხოვე, მილიონი ქეშად მოიტანოს სახლში, მილიონი ჩემი თვალით მინდა ვნახო-მეთქი.

– მერე? – აცმუკდა ედი.

– ამ პარასკევს აპირებს ცნობისმოყვარეობა დამიკმაყოფილოს.

– მოპარავ?

– როგორც კი სახლიდან გავა, ჩემი ფულიანად მოვუსვათ!

– არ გამოვა, ვირთხებივით დაგვიჭერენ.

– აბა, რა ვქნათ? სხვათა შორის, მარტოც შემიძლია წავიდე.

– ეგრე გულისმომკვლელად ნუ ხუმრობ.

– აბა, რა ვქნა? აღარ მინდა მაგ კაცთან ცხოვრება, ბობოქარი სიყვარული მინდა.

– დაწყნარდი ირა, მოვიფიქრებ რამეს. ახლა კი მეუღლეებს მივაშუროთ.

როცა მაგიდას მიუახლოვდნენ, ლეო და ლეა შოპენზე საუბრობდნენ.

– რაო, მეტი საინტერესო ვერაფერი გამონახეთ? – მხიარულად იკითხა ედიმ.

– საყვარელო, – უთხრა ცოლმა, შავთმიანმა, ერთი შეხედვით მოკრძალებულმა, ასკეტური შესახედაობის და ჩაცმულობის ქალბატონმა.

– ლეო გვთავაზობს რამდენიმე დღე შოპენის სამშობლოში გავატაროთ.

– თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თვის ბოლოს გავემგზავროთ, – თქვა შავწვერულვაშა, ცისფერთვალება გოლიათმა ლეომ და ცოლს გადახედა.

– შენი სურვილი ჩემთვის ყოველთვის კანონია, – გაუღიმა ირამ.

– ვაშა, მივდივართ! – ტაში შემოკრა ლეამ, – დიდი ხანია ამაზე ვოცნებობდი! ედი, ხომ არ გვეცეკვა?

– ცოტას დავისვენებ ძვირფასო, – გაუცინა ქმარმა, შამპანური გადაკრა და დაიჯღანა.

– თუ ნებას მომცემ, – წამოდგა ლეო და თავი დაუკრა.

ლეამ გაუღიმა და ხელი გაუწოდა...

– ხედავ, როგორ უხდებიან ერთმანეთს? – თვალი ჩაუკრა ირამ ედის.

– ერთი მაგათიც! – შეიკურთხა კაცმა და მთელი ბოთლი არაყი შეუკვეთა, – მაგ შენი მილიონით საგონებელში ჩამაგდე!..

მთავარი მოვლენები პარასკევიდან განვითარდა. ლეომ მეუღლეს ნატვრა აუხდინა და თეთრ კეისში ჩაწყობილი მილიონი საწოლ ოთახში ჯერ კიდევ ლოგინში მონებივრეს შეუტანა და თავზე გადააყარა. ირამ სიამოვნებისგან და ბედნიერებისგან ლამის ორგაზმი განიცადა. ფულებს კოცნიდა, ყნოსავდა, შიშველი ტანის გრეხვით როკავდა, კუპიურებს ინტიმურ ადგილებზე იგლისავდა. ძალიან მხიარულობდა...

– ნეტავ არ გაგიჟდებოდე! – დატუქსა ქმარმა.

ქალი თითქოს შეცვალესო. ერთ წამით ეიფორიიდან გამოვიდა, დაგრილებული ჭაკივით დაცხრა და მზრუნველი დიასახლისივით დოლარების კეისში ჩაწყობა დაიწყო. რამდენიმე წუთში მორჩა და ქმარს მიუბრუნდა, – არსად წაიღო. მინდა ასე ვეთამაშო ყოველდღე. ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ქვეყნად ყველაზე გასაგიჟებელი ქმარი ხარ! მოდი ჩემთან. მინდა ისე გასიამოვნო და დაგატკბო, როგორც დაიმსახურე!

– საღამოსთვის გადავდოთ ძვირფასო, – არ დანებდა ლეო, – მაგვიანდება. კეისს კი ჩემს სამუშაო კაბინეტში დავდებ მაგიდაზე და საღამოს თამაში სწორედ იქედან დავიწყოთ.

როცა ქმარი გავიდა, ირამ მისი მიმართულებით გადააფურთხა:

– ათას ეშმაკთან წასულხარ, რქიანო პირუტყვო!

მერე მობილური აიღო:

– ედ... ახლავე ჩემთან გაჩნდი, ფული ჩემს ხელშია. პირველივე რეისით მივფრინავთ!..

ამ სატელეფონო საუბრიდან ოთხი საათის შემდეგ ლეოს უზარმაზარი ვილის ალაყაფში ფეშენ ავტომობილი შევიდა. ლეო და ლეა მძღოლს დაემშვიდობნენ და ხელჩაკიდებულნი სახლში შევიდნენ, მისაღებშივე ჩაეხვივნენ ერთმანეთს. ლეომ ქალი აიტაცა, საწოლ ოთახში შეიყვანა და დააცხრა... როცა კულმინაციას მიაღწიეს, მობილურმა შეახსენა თავი, მაგრამ ახლა საუბრის დრო არ იყო...

– გისმენ, – უპასუხა თვალდახუჭულმა ლეომ მომაბეზრებელ ზარს და... ახარხარდა... ტელეფონი კი ხმოვანზე ჩართო:

– მე ვარ საყვარელო, – გაისმა მობილურში ირას მხიარული ხმა.

– სად დაიკარგე? – ჰკითხა ლეომ და ლეას თავზე აკოცა, – სახლში ადრე დავბრუნდი და საწოლში გელოდები. მალე მოხვალ? დილას ხომ შევთანხმდით, ვითამაშოთო?

– დაივიწყე! – უპასუხა ირამ.

– რა დავივიწყო? – მწარედ ჩაიცინა ლეომ.

ირა: – რასაც შეგპირდი, ის დაივიწყე! უკვე ვთამაშობ ჩემს საყვარელ მამაკაცთან.

ლეო: – რას ბოდავ?

ირა: – ყური მიგდე, ძვირფასო! ნუ ბრაზობ, ის მილიონი წამოვიღე და... აღარ მინდა შენთან, განქორწინება გადაწყვიტე. სასადილო მაგიდაზე წერილი დაგიტოვა, ედიკს მივყვები ცოლად. უკვე ხუთი წელია მასთან ვწევარ, იმედია, ამ საცოდავი მილიონისთვის არ გამომეკიდები. შენს სიმდიდრეს ეს ვერაფერს დააკლებს. მე და ედს კი სიკვდილამდე გვეყოფა.

ლეო: – რატომ მომექეცი ასე სასტიკად?

ირა: – არ მიყვარხარ. მხოლოდ სიმდიდრის გამო ვიყავი შენთან. არც მძულხარ, უბრალოდ, გრძნობაც კი არ მქონდა არასდროს შენს მიმართ. ედი მიყვარს.

ლეო: – როგორ არ გრცხვენია, ასე ყველაზე წყალწაღებული მეძავიც კი არ მოიქცეოდა. თუ არ გიყვარდი, მშვიდად გავყროდით ერთმანეთს.

ირა: – საქორწინო კონტრაქტით გყავდი დაბმული, ვერაფერს მივიღებდი.

ლეო: – ლეა, მაინც არ გეცოდებათ?

საუბარში ედი ჩაერთო:

– ლეას შენ გიტოვებ, მეგობარო. უხდებით ერთმანეთს. შვილსაც შენ გიტოვებ, შენი ვერ გააკეთე და ჩემი გაზარდე. აქედან კი ლეამ უპასუხა:

– ეს შენ ვერ გააკეთე იდიოტო! შვილი ლეოსგან მყავს!

ედი: – რაა?!

ლეა: – ნიკი შენი არ არის, ლეოსია. თუ გნებავს, დნმ-ის ანალიზს ფაქსით გამოგიგზავნი!

ირა: – ლეო, ეს სიმართლეა?

ლეო: – დიახ. გაყრაზეც თანახმა ვარ. ღალატზე ღალატით გიპასუხე. როცა ლეამ მითხრა, რომ მის ქმართან მღალატობდი, შენი მოკვლა მინდოდა... თუმცა ამ მშვენიერმა ქალმა დამავიწყა შენი თავი. მასთან ბედნიერი ვიყავი და ვიქნები. ის ჩემი შვილის დედაა და მეორეს უკვე მუცლით ატარებს. შენ კი, უმადურო ბოზო, რა შიშველ-ტიტველიც მოგათრიე, ისეთივეს გიშვებ.

ირა: – მაგრამ მე მილიონი მაქვს, მილიონი შეგაწერე ბრიყვო!

ლეო: – გეგონოს! იქნებ, კეისი გახსნა და ნახო ეგ მილიონი...

როგორც მოსალოდნელი იყო, ორი წუთის მერე იქიდან ლანძღვა-გინება გაისმა, ლეომ ტელეფონი გათიშა და ლეას ჩაეხუტა.

ლეა: – ცარიელი კეისი წაიღეს?

ლეო: – არა, ძველი გაზეთები და ჩემი მონოგრაფია „მილიონის პატიოსნად მოპოვების ხელოვნება“ ჩავუდე...

იქეთ მხარეს კი...

– რეგვენი ხარ, გიჟი და სულელი, – მუშტი მოუღერა ედიმ ირას.

– ეს როგორ მომივიდა? – გაოგნებული იყო ქალი.

– ძველი გაზეთები ვათრიე ამხელა გზაზე? – არ სჯეროდა ედის.

ირა: – ახლა რა გვეშველება?

ედი: – ეგ ჩემი სატკივარი აღარ არის!

ირა: – არა?!

ედი: – როგორც შენ იყავი სიმდიდრისთვის გაიძვერა ქმართან, მეც მისი ფულებისთვის ვწვებოდი შენისთანა მახინჯთან!

ირა: – მე ვარ მახინჯი? შენი სიყვარულის გამო ძვირფასი ადამიანი მივატოვე?!

ედი: – მე კი მზეთუნახავი ცოლი და საყვარელი შვილი.

ირა: – რომელიც ლეომ გაგიკეთა?

აქ კი ედი საყვარელს ეცა და თმით ითრია, ირა დაუსხლტა და კივილით კარისკენ გაიქცა.

– შეჩერდი! – გონს მოვიდა ედი, – ჩემი ბრალია, ბოდიშს გიხდი.

– ხელით შემეხე, ამას არასდროს გაპატიებ!

– თუ გინდა შენც დამარტყი!

– მინდა! – და ირამ ცხვირში ისეთი თხლიშა, ედს ნაპერწკლები გაცვივდა. ქალი კი ლოგინზე დაემხო და აზლუქუნდა...

ედის ტელეფონი აწკრიალდა.

– გისმენ ლეა, ჩემო საყვარელო, – დამტკბარი ხმით ჩასძახა.

...იდგა უხმოდ და უსმენდა. ბოლოს იღმუვლა, ტელეფონი კედელზე მიახეთქა და თავში ხელი შემოირტყა.

– რა იყო? – ჰკითხა ირამ.

– დავიღუპეთ! ლეოს ყველა შენი საკრედიტო ბარათი დაუბლოკავს!

– შე... შეუძლებელია... თუმცა... ასე როგორ გამიმეტა?! სულ ოცი დოლარი მაქვს საფულეში... შენ, შენ გაქვს ფული?!

– ხუთასი, მაგრამ ეს სასტუმროს ხარჯებსაც ვერ აანაზღაურებს.

– აბა, რა ვქნათ?

– უნდა გავიპაროთ.

...და მართლაც გაიპარნენ. სად წავიდნენ ლეომ და ლეამ ვერ გაარკვიეს, არც უცდიათ... რამდენიმე თვეში ქალიშვილი შეეძინათ. დაქორწინდნენ და ბედნიერებს ირა და ედი აღარც გახსენებიათ...

29 სექტემბერი, 2018 წ.

ზაალ ნემსაძე

კუბოს სერენადა

პირველი ეპიზოდი

გასული საუკუნის 60-იანი წლების კინოდარბაზი, სადაც თამბაქოს კვამლი ნისლივით ჩაწოლილა. ფილმ „ემანუელას“ პირველი ვარიანტი მიდის კედელზე გადაჭიმულ თეთრ ტილოზე. ფილმის პერიპეტიებს მაყურებელი დიდი ინტერესით ხვდება და დარბაზში ხელების ფათური, ხვნეშა და კოცნაობაა.

მეორე ეპიზოდი

კინომექანიკოსის ოთახი. ლილიპუტივით დაბალი, წაბლისფერთმიანი დიდთავა მექანიკოსი კინოლენტას აყენებს პროექტორზე და იქვე, ტახტზე არეულ ქვეშაგებში გაშხლართულ ექვსფუთიან ქალბატონს ებუზღუნება – ჩაიცვი და აახვიე აქედან.

ქალი შიშველ ბარძაყებზე ზეწარს გადაიფარებს, სიგარეტს საფერფლეზე დააჭყლიტავს და პასუხობს: – ნოე, რატომ მექცევი ასე უხეშად?

– იმიტომ, რომ ბოზი ხარ, გათახსირებული ბოზი.

– ცდები. ბოზი კი არა, ქმრის უყურადღებობისგან დაჩაგრული ჯან-ღონით სავსე ქალი ვარ, თორემ შენთან რა მომიყვანდა?

კარს ვიღაცა ეჯაჯგურება ნოე საყვარელს ანიშნებს დაიმალეო და კარს აღებს. შემოდის გამხდარი, აწოწილი თეთრკვართიანი მამაკაცი ლუდის ბოთლებით: – მალე მორჩები?

– ნახევარ საათში.

მოსული ტახტზე ჯდება, ორ ბოთლს ხსნის. ნოე პირზე მოიყუდებს და კარს ბოლომდე აღებს. მერე უსიამოვნოდ იჭყანება და:

– წადი რა, ქვემოთ დამელოდე. მეპატრონემ აქ რომ გნახოს, გამაგდებს.

მოსული დგება და კარისკენ მიდის:

– ბარში დაგელოდები, – თან გადის.

ნოე კარს კეტავს და კუთხიდან გამოსულ ქალს ეუბნება: – მეორე კიბით ჩადი. შენი ქმარი კინაღამ თავზე დაგვადგა.

– ოჰ, ეგ რქიანი. ნეტავ როდის ჩაძაღლდება, როდის დავისვენებ მაგ ლოთისგან, – ამბობს ქალი და კარისკენ მიდის.

მესამე ეპიზოდი

ბარი. ნოე და მისი საყვარლის ქმარი ბარმენის მაგიდასთან სხედან გალეშილები და მაღალი სკამებიდან ხან ერთი ჩამოვარდება, ხან მეორე. დარბაზში ისმის უგემოვნო მუსიკა მაღალ დეციბალებში და სოდომ-გომორია...

მეოთხე ეპიზოდი

მთვრალი ნოე ქუჩაში მიბანცალებს და გზის შემოკლების მიზნით სასაფლაოს მიადგება. მთვარის შუქით პირქუში საფლავები თითქმის დღესავითაა განათებული. ნოე ბანცალ-ბანცალით მიიკვლევს გზას და უცებ ახალგათხრილ საფლავში ჩავარდება. ამოსვლას არც ეცდება, გაცვეთილ პიჯაკს გაიხდის, თავქვეშ ამოიდებს და დაიძინებს. ესიამოვნება სიგრილე. ცოტა ხანში მის ახლოს ახალგათხრილ საფლავს სამი ბარნიჩბიანი მოადგება. ორი თხრას იწყებს, ხოლო მესამე ფარანს ანთებს და მომუშავეებს უნათებს. ხმაურზე ნოეს ეღვიძება და გონზე მოსვლის შემდეგ ზემოთკენ მიცოცავს. როცა ახალმოსულების საქმიანობას შეხედავს, შიშისგან და გაოცებისგან, ისევ უკან ვარდება. „ეს ხომ ირმას საფლავია“, – ჩურჩულებს იგი. ახსენდება ულამაზესი ირმა, თეთრ კაბაში გამოკვართული, ქუჩაში მისეირნობს მოხდენილ მამაკაცთან ერთად. გაბურძგნული, შავად მოთხვრილი ნოე ხელის ურიკით ნახშირს ეზი-

დება და ირმას დანახვაზე ჩერდება. აღტაცებით და სიყვარულით შეჰყურებს მის სილამაზეს.

– რაო, მათხოვარო, მოგეწონა? – კითხულობს ირმას თანმხლები, ნოეს ცხვირში ხელს წაავლებს, მერე ქუდს გადაუგდებს და ქუდისკენ გაქცეულს პანღურსაც მიაყოლებს. ნოე წაიქცევა და ცხვირ-პირს გადაიტყავებს.

– ოჰ, რა შეუბრალებელი ხარ! – კისკისებს ირმა და თანამგზავრს ეკვრის.

– ოჰ, როგორ იცინოდი მაშინ ჩემს დამცირებაზე, – ფიქრობს ნოე, – მაგრამ მე მაინც მიყვარდი.

ნოეს სხვა ეპიზოდიც ახსენდება: მდინარის პირას, ხეებს შორის ბალახზე წამოწოლილ ირმას და იმ საზიზღარ კაცს შემთხვევით წაადგა თავს. ისე ეფერებოდნენ ერთმანეთს, ნოე ვერც კი შენიშნეს.

– მაგრამ მე მაშინაც მიყვარდი, – ამბობს ნოე.

ახლა კი ახსენდება, რომ ირმა მოულოდნელად გარდაიცვალა და მის დასაფლავებას შორიდან უყურებდა. როცა მესაფლავენიც წავიდნენ, ირმას საფლავზე დაწვა ყვავილებზე და გვირგვინზე და ღამე გაათენა. ამ საფლავს კი ახლა ვიღაცეები თხრიან. ნოემ ისევ დაიწყო ამოცოცება. მძარცველებს საფლავი უკვე გაუთხრიათ, ერთი საფლავში ჩამძვრალიყო, რაღაცეებს ზემოთ დარჩენილებს აწვდიდა. იქვე კუბოს თავიც ეგდო, ზემოთ მდგომები უკვე მეორე ტომარას ავსებდნენ.

– აუჰ, რამდენი სიმდიდრე ჩაუყოლებიათ, – ისმოდა საფლავიდან.

– არაფერი დატოვო, ოღონდ ჩქარა. თენდება, – ააჩქარა ერთ-ერთმა.

– ამის დედაც, ეს ბეჭედი ვერ წავაძრე!..

– ამოდი და ჩამოვალ.

– არა, მაცალე, – უპასუხა იმან, მერე საცვლის ამარა დარჩენილ მიცვალებულს ცალი ხელი ბეჭდიან თითზე წაავლო, მეორე – მაჯაზე, ფეხი კი მკერდზე მიაბჯინა და ისე მოქაჩა, ლამის თითი წააწყვიტა.

– ვაიმე, აქ სად ვარ! – გაისმა ქალის განწირული კივილი.

– ააა! – ერთდროულად იკივლეს მძარცველებმა და ნოემ, რომელიც ორმოდან ლამის შიშისგან გადარეული ამოფრინდა. ორი „მკვდრის“ ალყაში მოქცეულმა მძარცველებმა თავგამეტებით მოკურცხლეს და რადგან ერთ-ერთი „მკვდარი“ მისდევდათ, უცებ თვალს მიეფარნენ. ნოე შედგა, შეისვენა და ჩაფიქრდა. მერე უკან მიბრუნდა, ფორთხვით მიუახლოვდა ირმას საფლავს, ბარი კარგად მოიმარჯვა და...

– არ დამარტყა, გემუდარები არ დამარტყა, – ხმის კანკალით შეევედრა საცვლების ამარა დარჩენილი ქალი.

– შენ... შენ... ცოცხალი ხარ? – ბარი დაუვარდა ნოეს.

ირმა შიშისგან ლუღლუღებდა და თვალებზე ხელებს იფარებდა, ისევ კაცი მოვიდა გონს.

– მომეცი ხელი, ამოგიყვან, – უთხრა და ძირს გაწოლილმა ხელი გაუწოდა. ირმა ჩაებღაუჭა და... ნოემ ამოყვანის ნაცვლად ზედ ირმაზე გაადინა ზღართანი და თავ-პირი ირმას თეთრ ძუძუებში ჩაუვარდა:

– გამიშვი, არ მინდა, – ყვიროდა ქალი, მაგრამ ნოეს მაგრად ჰყავდა გათანგული... როცა მოამთავრა, ქალი ამოათრია და კაბის ჩაცმაშიც მიეხმარა:

– ახლა თუ აქედან არ მოვკურცხლეთ, თენდება და მთელ ქალაქს შოკში ჩააგდებ, – უთხრა ქალს.

– აქ რა მინდოდა

– ჩქარა, ჩქარა, მერე აგიხსნი!

– სად მიმათრევ?

– ჩემთან!

მეხუთე ეპიზოდი

ნოეს ერთი ციცქნა ოთახი ღარიბული, უწესრიგობის და სიბინძურის ზეიმი.

– ირმა, აქ დარჩი. გავიქცევი და შენს საფლავს დავალაგებ, ვიდრე ვინმე ნახავდეს, – ეუბნება ნოე და კარს გარედან კეტავს.

ირმა კი იხსენებს იმ დილას, როცა საკუთარ მდიდრულ სახლში ჩაის ალუბლით მიირთმევდა, უცებ თითქოს სასულეში რაღაც გადასცდა, ხველა აუტყდა, მერე სული შეუგუბდა. გრძნობა დაკარგა. მერე იხსენებს თავის ბოიფრენდს, მასთან გატარებულ დღეებს და ღამეებს, მშობლებს – ამ ქალაქში ყველაზე მდიდარ ხალხს... ბრუნდება ნოეც საკვებით სავსე ცელოფნის პაკეტებით.

– აი, ეს შენ მოგიტანე, ჩაიცვი, – შეფუთულ ყუთს მიუგდებს ნოე.

ქალი გახსნის შარვალს, მაისურს და ჟაკეტს ამოიღებს, გაშლის და უკმაყოფილო სახეს იღებს, – ამ სიცხეში ეს რად მინდოდა?1

– თუ გინდა არ ჩაიცვა, ჩემგან მაგის ღირსიც არ ხარ! – შეუღრენს ნოე.

კარზე კაკუნია. ნოე საჭვრეტიდან გაიხედავს.

– ჯანდაბა! კარადაში შეძვერი! – და კარს აღებს. ოთახში მისი ექვსფუთიანი საყვარელი შემოდის – სალუტ, ნოე!

– ოჰ, ჩემო ძვირფასო, – ეხვევა ნოე, – ასე აშკარად ჩემთან მოსვლა არ შეიძლება, ჭორიანი ხალხია ირგვლივ.

– მომენატრე, – ხვანჯარში ეცემა ქალი.

– ახლა არა, მეჩქარება... – იგერიებს ნოე, – მაგრამ... ირმა სექსუალურ აქტს კარადის ჭუჭრუტანიდან უყურებს. ნოე და ქალბატონი გვერდიგვერდ წვანან და ზიარად აბოლებენ.

– ახლა გავიქცევი, თორემ ჩემი რქიანი ეჭვს აიღებს, – ეტყვის ქალი და დაჭმუჭნული ტანსაცმლის სწორებით მიდის. ნოე კარს კეტავს. ირმა კარადიდან გამოდის.

– შეგეძლო თავი შეგეკავებინა, – საყვედურობს ნოეს.

– შენც შეგეძლო იქ, ტყეში, – ძველ ცოდვას ახსენებს ნოე, – საჭმლის მომზადება იცი?

– კვერცხის და კარტოფილის შეწვა შემიძლია, – პასუხობს ირმა.

– გაზქურასთან მიდი და შეუდექი. იწყებს საუზმის მომზადებას და ნოეს ეკითხება.

– ახლა რა ვქნათ?

– კარგად უნდა მოვიფიქროთ. ჯერ შოკიდან არც გამოვსულვარ, – პასუხობს ნოე.

– გვინდა თუ არ გვინდა, გავცოცხლდი თუ გავიღვიძე, ეს ფაქტია და ვერ გავექცევით.

– ნუ მებრტყელსიტყვავები თუ ქალი ხარ. რას გავექცევით და რას ვერა, ეს მე მომანდე. ახლა კი მშია.

– კარგი, როგორც გინდა, ჯერჯერობით აქ ვიქნები.

– შენი ნება რომ იყოს, ჩემისთანა მახინჯთან არ გაჩერდებოდი, მაგრამ სხვა გზა არ გაქვს. შენმა საქმრომ უკვე სხვა ნახა, ერთი საათიც არ უგლოვიხარ, მე კი საფლავზე გაგითენე, ამიტომ მაჩუქა ღმერთმა შენი თავი.

– გეყოფა, ოცნებებში ნუ შეტოპავ.

– იყავი აქ, ცოტას დავისვენებ და წავალ მერე სიტუაციის დასაზვერად, – უთხრა ნოემ.

მეექვსე ეპიზოდი

ირმას მამის მრავალსართულიანი ოფისი. დიდ კაბინეტში ირმას მამა მაგიდასთან ზის და ტელეფონზე საუბრობს. კედელზე ჩარჩოში „გარდაცვლილი“ ირმას სურათი ჰკიდია.

– ჰო, დიახ. ოცდაოთხში ველოდები. ბირჟაზე რა ხდება? არა, ამ ეტაპზე არ მაწყობს. მაგდენს ვერ მივიღებთ.

შემოდის ოფისი-მენეჯერი გოგონა:

– თქვენი მეუღლე მობრძანდა.

– შემოვიდეს.

შემოდის.

– როგორ ხარ, ძვირფასო? – ეკითხება ქმარი და ლოყაზე კოცნის.

– ძალიან უბედური ვარ, – პასუხობს ქალი და ჯდება.

– საფლავზე იყავი?

თავს უქნევს და ტირის.

– ხომ გთხოვე, მარტო არ წახვიდე-მეთქი.

ქალი ცხვირსახოცს იფარებს სახეზე... ზღურბლზე „პაპკიანი“ მსუქანი მამაკაცი გამოჩნდება.

– ბოდიშს გიხდით, პარტნიორები მოვიდნენ.

– სათათბირო კაბინეტში შეიყვანე, – პასუხობს.

– სახლში წავალ, – დგება ცოლი.

– კარგი, შუადღისას მოვალ, – ამბობს ქმარი და მალულად იწმენდს ცრემლს.

მეშვიდე ეპიზოდი

არც თუ მოდურად, მაგრამ სუფთად ჩაცმული ნოე ირმას მამის ოფისში შესვლას ცდილობს.

– ეი, სად მიდიხარ? – გაბრაზებული ეკითხება მაღალი, პირქუში ბლანჟეანი კარისკაცი.

– შენი შეფის ნახვა მინდა.

– საშვი.

– არ მაქვს.

– ჩაწერილი ხარ მიღებაზე?

– არა.

– აბა, აქედან მოუსვი!

– ჩამწერე და შევალ.

– ვერ ჩაგწერ, ოფისმენეჯერს დაელაპარაკე.

– თუ არ შემიშვებ, როგორ დაველაპარაკო? ავფრინდე?

– ეგერ ტელეფონი, დაურეკე.

– ნომერი?

– მანდ წერია, ტელეფონის ზემოთ.

ნოე ყურმილს იღებს, ნომერს კრეფს და ჩასძახებს:

– შეფის ნახვა მინდა... რა საკითხზე? რა შენი საქმეა. – და ნომერს ხელმეორედ კრეფს.

– ეი, გოგო აღარ გამითიშო. სამსახურის დაწყება მინდა თქვენთან... რა ვაკანსია?.. ვაკანსია არა, ის არ გინდა?.. ჩემთვის ექნება. შენ მოახსენე და მიმიღებს, ვინ ვარ და ნოე, რომელი ნოე და კიდობნის ნოე... როდი მოვიდე? დავრეკო?.. აბა, ახლა

რა ჩემს ფეხებს ვაკეთებ?.. როდის მოვიდე, მოგვიანებით? ხუთშაბათამდე სამი დღეა... წადი ერთი, თქვენი!..

ყურმილს ანარცხებს.

– რაო, არ გვცალიაო, – დასცინის კარისკაცი.

– შენ ფარშევანგო. ის დღეც მალე დადგება, როცა ამ ოფისის წინ წელში მოკეცილი დამხვდები ქლესური ღიმილით.

– იცი რა, მაწანწალავ, წადი და სადმე ხის ძირას გამოიძინე. იქნებ, ეგეთი რამ სიზმარში ნახო, – ბრაზდება კარისკაცი, – გაიწიე, ხალხი გამოატარე.

– შენი დედაც, – ამბობს ნოე და მიდის.

მერვე ეპიზოდი

ნოეს ბინა.

ნოე: – მამაშენთან მოხვედრის უმოკლესი გზა უნდა მოვნახოთ.

ირმა: – ეს არ არის ძნელი.

ნოე: – უკვე ვცადე, მაგრამ ხუთშაბათისთვის დამიბარეს, თუმცა მამაშენს შევხვდები თუ არა, არ ვიცი.

ირმა: – საღამოს სახლში დარეკე და შეუთანხმდი.

ნოე: – მაგრამ რა ვუთხრა? რატომ მინდა შენი ნახვაო?

ირმა: – დღეს რის თქმას აპირებდი?

ნოე: – ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რამეს მოვახერხებდი.

ირმა: – ყველაფერი პირდაპირ უნდა უთხრა, მამას მიკიბულ-მოკიბული არ უყვარს.

ნოე: – რას გულისხმობ?

ირმა: – გააჩნია, შენ რა გინდა.

ნოე: – ვერ ხვდები?

ირმა: – მამა მდიდარი კაცია, ზღაპრულად მდიდარი. მე კი მისი ერთადერთი შვილი ვარ.

ნოე: – მაგით რისი თქმა გინდა?

ირმა: – გაგამდიდრებს... მთელ თავის ქონებას მოგცემს, თუმცა, მეშინია. სუსტი გული აქვს და ჩემი „გაცოცხლების“ სიხარული შეიძლება ვერც კი გადაიტანოს.

ნოე: – გადაიტანს. ეგეთი ხალხი ყველაფერს გადაიტანს. მაშ, შენი აზრით მილიონების მიღების შანსები მაქვს?

ირმა: – რა დაცინვით საუბრობ, არ გინდა?

ნოე: – იცი რა, ჩემო ლამაზო, შენი თავი ღმერთმა მე მაჩუქა და პირდაპირ გეტყვი, ღმერთის საჩუქარს არ გავყიდი!

ირმა: – მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ თუ ირიბად, შენ გადამარჩინე, შენს მიმართ არავითარი გრძნობა არ მაქვს, გარდა ერთგვარი ზიზღისა, ძალით რომ გამაუპატიურე.

ნოე: – არ გაქვს, არა?

ირმა: – არა.

ნოე: – მაშინ მთელი სიცოცხლე ამ ოთახში მოგიწევს ყოფნა.

ირმა: – როგორ მოახერხებ?

ნოე: – მოვახერხებ და თავსაც შეგაყვარებ.

ირმა: – არასოდეს! ჩემ თვალში მუდამ მურიანი მენახშირე იქნები.

ნოე: – მაშინ მოგკლავ და ისევ საფლავში ჩაგაბრუნებ. ვინმე ეჭვს აიღებს თუ რა?!

ირმა: – აქ ყოფნას, სიკვდილი მირჩევნია. შენ კი აიღე ფული და ამით მოვრჩეთ ყველაფერს.

ნოე: – ო, რა ცივსისხლიანი ნაბოზარი ყოფილხარ.

ირმა: – ეგ შენი საქმე არ არის.

ნოე: – გადაგარჩინე, გაგაცოცხლე. შენი სხეულიც და სულიც მე მეკუთვნის.

ირმა: – არც ერთზე და არც მეორეზე არავითარი უფლება არ გვაქვს.

ნოე: – სწორედაც რომ მაქვს და ამას ახლავე დაგიმტკიცებ.

ირმა მაგიდისკენ გარბის დანის ასაღებად, მაგრამ ნოე წააქცევს, კაბას შემოახევს და ლოგინზე დააგდებს, გულწასულს ეალერსება. როცა მორჩება, ირმას გაკოჭავს ლოგინზევე და პირზე „სკოჩს“ (პლასტირს) ააკრავს. ქალი ნელ-ნელა მოდის გონზე. ნოე პირიდან პლასტირს ხსნის.

ნოე: – თუ კიდევ იყვირებ, მოგკლავ!

ირმა: – არ მომეკარო და არ ვიყვირებ.

ნოე სიგარეტს უკიდებს და ოთახში ნადირივით გადი-გამოდის.

ირმა: – ვიდრე ვინმე მოსულა, დარეკე მამაჩემთან.

ნოე: – ესე იგი, არ შემიყვარებ, გეზიზღები.

ირმა: – არც მეზიზღები და არც მიყვარხარ. ან რატომ უნდა მიყვარდე? შენ სხვა ხარ, მე – სხვა. აიღე ფული. მეც ბედნიერი ვიქნები და შენც, მდიდარი და ბედნიერი გახდები.

ნოე ფიქრობს.

ნოე: – თანახმა ვარ.

ირმა: – ახლავეს დაურეკე.

ნოე: – ახლა ოფისშია.

ირმა: – მისი პირდაპირი ტელეფონი მაქვს, რომელზეც მხოლოდ მე და დედაჩემი ვურეკავთ.

ნოე: – რა ვუთხრა?

ირმა: – უთხარი, რომ ჩემს გამო გინდა მასთან შეხვედრა.

ნოე: – შენ ხომ მკვდარი ხარ?

ირმად – უთხარი, რომ რაღაც ცნობები გაქვს ჩემი გარდაცვალების თაობაზე.

ნოე: – მერე ის პოლიციას დამაყენებს თავზე ჩემივე სახლში. შენ გიპოვნიან, მე კი ჩამაჯენენ და შეიძლება ძალადობისთვის ელექტროსკამზეც დამსვან. არა, ეგეთი ფინალი არ მაწყობს. ვიცი უმოკლესი გზა, როგორ შევხვდე მამაშენს. თუმცა ეს ხვალ იყოს. დღეს კი ჩემო ლამაზო, მინდა უკანასკნელი, მაგრამ დაუვიწყარი საღამო გავატაროთ ერთად. მოდი პირველად და უკანასკნელად იყავი მოწყალე და ჩემი მოყვარული. ვფიცავ, ხვალ ჩაგაბარებ მშობლებს.

ირმა: – რა უნდა გავაკეთო?

ნოე: – არაფერი, ერთად ვივახშმოთ და ღამე ერთად გავატაროთ. მოსულა?

ირმა: – არჩევანი მაქვს?

ნოე: – არა!

ირმა: – მაშინ, თანახმა ვარ!

ნოე: – ჰო, ვითომ მსახიობი ხარ და სცენაზე თამაშობ.

ირმა: – კარგი, შევთანხმდით.

ნოე: – საკვებს და ღვინოს მოვიტან, ხარჯს აღარ მოვერიდები. ხვალ შეიძლება ქალაქის ყველაზე მდიდარი კაცი გავხდე. შენ კი, ძვირფასო, მომიტევე, მაგრამ უნდა დაგაბა გაკოჭილი და პირზე პლასტირი აგაწებო, რომ ჩემი არყოფნის დროს არ იცელქო. ქალებს არ ვენდობი.

მეცხრე ეპიზოდი

ნოეს ოთახი. არცთუ ღარიბული სუფრა. ერთ თავში ნოე ზის, მეორეში – ირმა. ორმოცდაათამდე სანთელი ანთია სხვადასხვა ადგილას. ირმას ნოეს ნაყიდი ჯინსი და მაისური აცვია.

ნოე: – ახლა შეგვიძლია თავისუფლად მოქცევა და ფრთების გაშლა. არავინ შეგვაწუხებს. ყველას ჩამოვუარე და გავაფრთხილე, ქალაქიდან რამდენიმე დღით გავდივარ-მეთქი.

ირმა: – ახლა ისე საყვარლად იქცევი, რომ ოდესღაც ეს საღამო მომენატროს კიდეც.

ნოე: – მაგრამ ჩემს შეყვარებას ვერ შეძლებ.

ირმა: – ნამდვილად ვერ შევძლებ.

ნოე: – არც ვთხოვ, არც ამ ღამით დაგაძალებ რამეს.

ირმა: – არა.

ნოე: – არა, ჩემთვის ესეც საკმარისია.

ირმა: – კარგი.

ნოე: – არც მამაშენის ფული მინდა. თუ გნებავს, კარი ღიაა და წადი.

ირმა: – ახლავე?

ნოე: – კი, ადექი და წადი.

ირმა დგება და კარისკენ მიდის. ნოე მისკენ არც იყურება.

ნოე: – აი, ფული (ფულს მაგიდაზე დებს) ტაქსით წადი. უკვე გვიანია.

ირმა ფულს იღებს და მიდის. კარს ღიას ტოვებს. ნოე ღვინოს სვამს და ამბობს: – ყოჩაღ ნოე, ცუდად არ მოქცეულხარ. მაგარი კაცი ხარ!

მეათე ეპიზოდი

ირმა საკუთარ სახლში, ლოგინში წევს. დედ-მამა თავს დასტრიალებს.

– აი, ასე მოხდა ყველაფერი, – ამთავრებს მოყოლას ირმა, – ახლა კი აქ ვარ, თქვენთან.

– იმ კაცის მისამართი მომეცი, უკვე ჩემი მეორე შვილია, – ეუბნება ბედნიერებისგან სახეგაბადრული მამა და შუბლზე კოცნის.

მეთერთმეტე ეპიზოდი

ნოეს ღარიბულ ფიცრულთან ავტომობილების კოლონა ჩერდება. ირმას მამა დაცვის ორ ჯანიან ბიჭთან ერთად ოთახს მიაშურებს. სანთლები ჩამწვარა და ღია კარში მაგიდასთან, სკამზე ჩაძინებული ნოე ჩანს. ფეხის ხმაზე თავს სწევს.

ირმას მამა: – ნოე შენ ხარ?

ნოე: – მე ვარ.

მოსული უჩოქებს და მუხლებს უკოცნის: – გამაცოცხლე და ცხოვრების აზრი დამიბრუნე. მიმსახურე, როგორც გენებოს.

ნოე მძიმედ წამოდგა:

– არაფერი მინდა და არც არაფერს მივიღებ შენგან.

ირმას მამა: – ჩემი შვილი ხარ, ოქროში ჩაგსვამ, ახლავე წამოდი. აქ როგორ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს?

ნოე: – ჩვენ, უბრალო და ღარიბი ხალხი ასე ვცხოვრობთ.

მამა: – არა შვილო, ეს აღარ გეკადრება. ამ ქალაქში ყველაზე მდიდარ და ღირსეულ ადამიანად გაქცევ.

ნოე: – ცდებით ჩემო ბატონო, ახლა უკვე ისედაც ღირსეულ მოქალაქედ ვთვლი თავს და ამ ქვეყნად ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის. ახლა კი ყველა ღირსეული ადამიანის სადღეგრძელო მინდა თქვენთან ერთად შევსვა.

სვამენ.

მამა: – ჩვენ ახლა წავალთ, მაგრამ ჩემს ყურადღებას დღე-

იდანვე იგრძნობ. ნება მომეცი, გადაგეხვიო, როგორც ჩემს შვილს.

ნოეს გულში ჩაიკრავს და მიდის.

ნოე: – (მიმართავს ერთ-ერთ მცველს) შენ, ვაჟკაც, კარი მიხურე!

მერე მოწყვეტით ეცემა ლოგინზე და იძინებს.

მეთორმეტე ეპიზოდი

ნოე თავის სამუშაო ოთახშია და კინოპროექტორთან ფუსფუსებს. უცებ, კარი იღება და ირმა შემოდის.

ნოე: – შენ?!

ირმა: – მოვედი, ნოე, სულ მოვედი, შენთან მოვედი. მიყვარხარ ნოე, მიყვარხარ!

2011-2018 წწ. 1 ნოემბერი

ზაალ ნემსაძე

ანგელოზები და ნიღბიანები

I.

შემოდგომის პირველი დეკადის ტყე-პარკი. ალაგ-ალაგ უკვე ცვივა ყვითელი ფოთლები. ადრეული დილაა და მორბენლები ძუნძულით, უწესრიგოდ დარბიან, ზოგი საათის ისრის მიმართულებით, ზოგი – საწინააღმდეგოდ. სპორტულ პიჟამოებში და თეთრ ბოტასებში, თავისი ათლეტური ტანით ალექსი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. 28-30 წლის წაბლისფერთმიანს, ცისფერი თვალები და თხელი წვერი უმშვენებს ოდნავ ასკეტურ სახეს. ერთ-ერთ აღმართზე ბუჩქებს მიღმა ხმაური შეაჩერებს. ტოტებს გადასწევს და ქვემოთ, ათიოდე მეტრში, ღელის პირას სამნი ერთს ან სცემენ, ან მოტაცებას უპირებენ. ალექსი შემთხვევის ადგილას ორიოდე ნახტომით გაჩნდება: ერთ-ერთ მოძალადეს მხრებში ხელებს ჩაავლებს და ღელისკენ მოისვრის; მეორეს კისერში ჩასცხებს და გათიშავს. ამასობაში მესამე აზრზე მოდის და დაუყვირებს: – შენ რას ერევი, შენი... და კიდეც მოხვდება ჯერ მუცელში, მერე კეფაში... ის, ვისზედაც ძალადობდნენ, აჩაჩულ სპორტულ სამოსს გაისწორებს, ქუდს მოიხდის და შავი, გრძელი თმა ჩამოეშლება მხრებზე. ქალი კი არა, ულამაზესი ანგელოზია.

– დიდ შარში გაეხვიეთ, ახალგაზრდავ! სასწრაფოდ მოუსვით აქედან! – მიმართავს ალექსს.

ალექსი მაჯაზე დაიხედავს, მანძილმზომს შეამოწმებს.

– თქვენს რჩევას ვერ მივიღებ, კიდევ ოთხი კილომეტრი უნდა ვირბინო.

– ერთ მეტრსაც ვეღარ გაივლი, შენი... ეს ღელეში გადაგდებული დაესხა თავს. ორნი ჯერ გათიშულებია.

– სასწაული, მკვდარი გაცოცხლდა! – ჩაიცინა ალექსმა და თავდამსხმელი ერთი დარტყმით მიუწვინა დუეტს.

– ქალბატონო, ალექსი მქვია, – ხელი გაუწოდა ქალს.

– ინგა, – ხელი ჩამოართვა, – მაგრამ ახლა სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას.

ადიან ზემოთ.

– წავალ მე, – ამბობს ქალი.

– ნახვამდის, – ეუბნება ალექსი.

– ფრთხილად იყავით, თქვენ გამქცევს არ ჰგავხართ. ამათ კი შურისძიების გადადება არ იციან.

– გმადლობთ, ქალბატონო, მხედველობაში მივიღებ, – პასუხობს კაცი და სირბილს აგრძელებს...

ინგა მანქანას ქოქავს და მიდის. თან მობილურზე საუბრობს.

– დენის, სად ეშმაკებში დადიხარ?! ის ახვარი დილით თავს დამესხა და რომ არა შემთხვევით გამოჩენილი ვიღაც მაგარი ტიპი, ალბათ, დამბრიდავდა... რა? გეყო უსაქმობა, შიშით სახლშიც ვერ მივალ. პირდაპირ ოფისში მოეთრიე და არ დააგვიანო...

მრავალსართულიან, ფეშენებელურ ოფისში შედის, სადაც მოწიწებით ხვდებიან და ლიფტში ათიანს აჭერს თითს. კაბინეტში შესულს ორმეტრიანი ათლეტი ხვდება სიტყვებით:

– რას ჰგავხარ?

– დიმიტრიმ და მისმა ხალხმა მათრიეს, სარბენი ბილიკიდან ხევში მისროლეს, ხევის მეორე მხარეს, ზემოთ, მათი მანქანები იდგა.

– შენი გატაცება უნდოდათ?

– არა, მდინარეზე კატარღით სასეირნოდ წამიყვანდნენ, – ირონიულად პასუხობს ინგა, – შენ კი რას აკეთებ? ბიძაჩემი ჩემს დაცვაში გიხდის აუარება ფულს და არა, ვისკის სმაში.

– ქალბატონო, ასე არ მიბრძანე, ვარჯიშის დროს არ დამენახოო?

– აუცილებელი არ არის დამენახო, ისედაც უნდა შეძლო ჩემი დაცვა.

– აჩრდილივით სულ უკან დაგდევ, მეტი რა ვქნა?

– ერთი ასეთი შემთხვევაც და გაგაგდებ, ის ბიჭი რომ არა...

– ის ბიჭი აქაური არაა, ჩამოსულია, – ამბობს დენისი და სიგარეტს უკიდებს.

– ჩააქრე და მოაშორე აქედან!

– კარგი, გარეთ მოვწევ და შემოვალ.

– ჯანდაბას შენი თავი, არც მთლად შტერი ხარ. კიდევ რა ცნობები მოაგროვე მასზე?

– ალექსი ჰქვია.

– ეგ ვიცი, დამშვიდობებისას გამეცნო...

– უცოლოა, მოხუც დიასახლისთან ქირით ცხოვრობს, ბევრ ფულს შოულობს, თუმცა რა ბიზნესით, ვერ გავარკვიეთ. ათ კილომეტრს დარბის ყოველ დილით, ხშირად მოგზაურობს რუსეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების ქალაქებში. საბანკო ანგარიშები აქვს გერმანიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, სადაც სულ მცირე, ორასი მილიონი დოლარი უნდა ჰქონდეს. არ სვამს, არ ეწევა, ღამის კლუბებში არ დადის.

– კიდევ, კიდევ...

– ცოლი არ ჰყავს და დაოჯახებულიც არ ყოფილა. უყვარს ბავშვები და საბავშვო სახლს, ფაქტობრივად, ეგ ინახავს. კაზინოშიც არავის უნახავს. კვირაში ერთხელ დადის ოპერაში დიასახლისთან ერთად და დედასავით ექცევა მას. აი, ეს არის ის, რაც მასზე ვიცით.

– ოპერაში უნდა მომიწყო მასთან შეხვედრა.

– ეგ ადვილია, იქ ხუთშაბათობით დადის, ხვალ მის ან მისი დედობილის გვერდით იჯდებით, გააჩნია როგორ დასხდებიან.

– მოაგვარე, რომ ალექსის გვერდით მოვხვდე. თავი გაანძრიე!

– რა დიდი მოგვარება მაგას უნდა, ორ ბილეთს ვიყიდი.

– და თუ სხვამ დაგასწრო?

– დამასწროს რა, სკამამდე ვერ მიაღწევს, თუმცა ერთი დელიკატური საკითხია...

– თქვი ჩქარა, ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალო, შეხვედრები მაქვს.

– მაგ კაცთან არ შეტოპო, თორემ...

– თორემ, რა?

– ხომ იცი, ღალატს ვერ ვიტანი.

– შენ არაფერს შეგპირებივარ, დაჯერდი იმას, რასაც ღებულობ.

– ინგა, მე ხომ მიყვარხარ.

– მერე რა არის ცუდი მაგაში? ხვალ ალექსის გვერდით უნდა ვიჯდე. გიღალატებ თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს, მიდი, ააცვიე, საფერფლე და ნამწვიც გაიყოლე...

დილაა. იგივე ტყე-პარკში კვლავ იგივე სახეები დარბიან, ინგა არ ჩანს. ალექსი საკმაოდ მაღალ ტემპში დარბის. უცებ ათი დაკუნთული კაცი გამოვარდება ბუჩქებიდან ბეისბოლის ჯოხებით.

– აბა, აქ გაგიხეთქოთ თავი სახალხოდ, თუ წამოგვყვები შეფთან, – ეკითხება ერთი.

– თქვენი დედაც და თქვენი შეფისაც, – ნიკაპში წიხლს ამოსცხებს და კიდეც მოვარდება ოთხი მუტრუკი პისტოლეტებით. ესენი ალექსის ხალხია: – დაყარეთ ეგ ჯოხები, ვიდრე თქვენ უკანალში გაგვიჩრია, – დასძახებს ერთი. დამხვდურები განიარაღდებიან, – გაიხადეთ ტანსაცმელი, თუ არ გინდათ შუბლი გაგიხვრიტოთ, – აგრძელებს იგივე, – ეგრე, ეგრე... არა, ძვირფასებო, ქვევითაც გაიძრეთ, ტრუსებიც მიაყოლეთ. ჩქარა, ნუ ზოზინებთ. შეფ, ერთი ხომ არ გავაგოროთ, რომ დანარჩენებმა დაუჩქარონ? – ეკითხება ალექსს. ცხრავე დედიშობილა დგას, ერთი კვლავ გაბურბუსალებული აგდია.

– რას ჰგავხართ, თქვე მათხოვრებო, – იცინის ოთხეულის მეთაური, – თქვენი ამ სახით გამოჩენა პატიოსანი მორბენლების საზოგადოებაში ყოვლად შეუწყნარებელი ამბავია. აბა, სირბილით ცენტრალური გზისკენ. ტანსაცმელი მანდვე დატოვეთ. თქვენი მეგობარი მოსულიერდება და წამოგიღებთ.

ორიოდ წუთში ცხრა დედიშობილა დარბის ქალაქში, მათ ალექსის ხალხი მანქანით მიჰყვება. შიშვლებს პოლიცია აპატიმრებს, თუმცა ნახევარ საათში მთელი ქვეყანა უყურებს მათ „აღლუმს“, მათ შორის, ინგაც.

– დენის, ესენი დიმიტრის მაგარი ბიჭები არ არიან?

– კი, ისინი არიან. ტარასი აკლიათ, მეთაური. თუმცა აი, ისიც, ეს რა აუკიდია, ნაქურდალია თუ?..

ტარასი ანუ ის, ვინც ალექსის დილას შემოელახა, ცხრა კაცის ტანსაცმლით დატვირთული მირბის იმავე ქუჩაზე, სადაც მისმა თანამებრძოლებმა შიშვლებმა იჯირითეს ცოტა ხნის წინ. მასაც პოლიცია აკავებს, აქვე აჩვენებენ მთავარ შეფს – დიმიტრის, რომელსაც საკუთარ ოფისში დაადეს ხელბორკილები ძალადობის და თავდასხმის ბრალდებით.

– მართლა მაგარი ყოფილა ეგ ნაბიჭვარი, – ამბობს დენისი.

– ვინ ყოფილა მაგარი? – ეკითხება ინგა.

– ეგ შენი ალექსი.

– რა შუაშია?

– თავს მოვიჭრი, თუ ეს ცირკი მაგის დადგმული არ იყოს.

– კარგია. დილას ცირკი, საღამოს ოპერა.

– ინგა, გაფრთხილებ, მაგ ტიპმა არ მოგაჯადოოს, თორემ...

– ფრთხილად მეგობარო, მუქარას ვერ ვიტან.

– ორივეს მოგკლავთ.

– მიდი, აახვიე ბიჭუნა და საქმეს მიხედე...

ოპერის პარტერში ალექსი და ხანშიშესული ქალბატონი სხედან და ფარდის გახსნას ელოდებიან. ინგა (მდიდრულად, თვალისმომჭრელად გამოწყობილი) ალექსის გვერდით ჯდება და თმას შეისწორებს.

– ქალბატონო ინგა, არ ველოდი აქ თუ შეგხვდებოდით, – ფეხზე წამოდგება ალექსი.

ინგაც დგება და ხელს გაუწვდის. ალექსი ხელზე ეამბორება და დიასახლისს გააცნობს, ფარდა იხსნება და...

ამ დღის შემდეგ ინგა და ალექსი ერთად არიან. სეირნობენ, გამოფენებზე და სპექტაკლებზე დადიან, აუზში ბანაობენ და სექსიც უამრავჯერ... და ერთ საღამოს, რესტორანში ვახშმობისას, ვალსის ცეკვისას, ალექსი ინგას წინაშე დაიჩოქებს და საქორწინო ბეჭედს გაუწვდის. ინგაც მუხლებზე ეცემა, ბეჭედს თითზე იკეთებს და კოცნიან ერთმანეთს. მერე ალექსთან მიდიან და ახლა დიასახლისი ულოცავთ ბედნიერებას.

– ვარვარა ტიხომიროვნა, ძალიან ბედნიერი ვარ, – ეუბნება ინგა.

– ქორწილი როდის გაქვთ?

– ათდღიანი საქმე მაქვს შუა ევროპაში, ასე რომ, ორ კვირაში ჩვენს ქორწილში ყველაზე სასურველი სტუმარი იქნებით, – ეხვევა ალექსი დიასახლისს...

ინგა აეროპორტში აცილებს ალექსს და ოფისში ადის. ალექსი მანქანას ქოქავს და მიდის. მობილური ურეკავს და ეუბნებიან, რომ შეხვედრა, რომელზედაც მიფრინავს, აღარ შედგება, რადგან დეტალებია გასარკვევი. ალექსს სახეზე ეტყობა უხარია ეს ამბავი, რადგან ინგასთან განშორება უჭირს. მანქანას მსწრაფლ მოატრიალებს და ოფისის წინ დაამუხრუჭებს... ინგას კაბინეტში შესულს კი ლამის ელდა ეცეს. დედიშობილა ინგა მუხლებზე უზის დენისს და ნეტარებისგან თვალები მიულულავს... ალექსი მიჯნურთ მიუახლოვდება, ინგას ეცემა, მაღლა ასწევს და კედელს შეახეთქებს, დენისს კი მამაკაცურ სიმბოლოზე კედელზე ჩამოკიდებულ, გაშიშვლებულ დაშნას დაჰკრავს და სამუდამო საჭურისად გადააქცევს. მერე კი ლიფტში შედის და... სახლში მისულს ვარვარა ტიხომიროვნა უღებს კარს, რომელიც საკმაოდ შალიფადაა ჩაცმული. ებდღვნება ქალს და იქვე წამოაქცევს მისაღებში... როცა მორჩებიან „საქმეს“, ალექსი ფეხზე დგება:

– ეს რა ჩაიდინე, შე გადარეულო? – ეკითხება აშკარად კმაყოფილი ვარვარა.

ალექსი აბაზანაში შედის, ტანსაცმელს ძირს დაყრის და იბანს. თავს ისაპნავს და სამართებლით თმის ნულზე გადაიპარსავს, მერე საწოლში წვება.

– მიიწი, დამაწვინე, – ეუბნება დიასახლისი.

– გაეთრიე, შე ბებერო ბოზო, – შეაგინებს ალექსი.

ვარვარა უხმოდ გადის, ალექსი კი თვალგახელილი წევს და ინგასთან ყველა გარდასულ დღეს იხსენებს. „დედას გიტირებ“, – ამბობს ბოლოს და გვერდს იცვლის. მობილურზე რეკავს: – ალბერტ, ამაღამ მოვფრინავ, ეს საიდუმლოდ უნდა გავაკეთო. ორ თვეს შენს სახლში ვიცხოვრებ, არავინ დამანახო იქ.

მერე ისევ რეკავს, ტელეფონზე დაცვის ოთხეულის მეთაურის სახე გამოჩნდება:

– მადლობა ღმერთს შეფ! ახლა დაწყნარებული სახე გაქვს, – ეუბნება ალექსს.

– ჰო, მოვინელე უკვე, – პასუხობს.

– საქმეს ჩემი მეგობარი იძიებს.

– ვერსიები...

– დენისი ინგას ძალით გაუპატიურებას შეეცადა და მოახერხა. ქალმა კი დაშნით ასო მოჰკვეთა, ამან კი კედელს შეანარცხა. კარგია რომ ცივა და ხელთათმანები გეკეთა.

– ჩაძაღლდნენ?

– კაცი კი, ინგა ჯერ ცოცხალია, მაგრამ სულ დალეწილია. ვიზრუნოთ, რომ გონზე არ მოვიდეს?

– არა, იცოცხლოს, როგორც ქანცგაცლილმა ძუკნა ძაღლმა. ბიძამისი რას ამბობს?

– დენისის მთელ საგვარეულოს ემუქრება ამოწყვეტით.

– მაგ კაცის გადაკიდება არ ღირს, კარგად გიმუშავია ჩემო ოტო. რაკი მკვლელობის ვერსია უკვე არსებობს, ჩემი გადაკარგვა აუცილებელი არ არის, პირიქით, ეჭვს გამოიწვევს.

– რა გავაკეთო შეფ, ბრძანე.

– პატარა თვითმფრინავი დაიქირავე, რომელიმე მეზობელ ქვეყანაში უნდა გადავფრინდე ამაღამ. ხვალ კი ჩვენი დაცვის ბიჭებიდან ვინმე „გაცნობებს“, რაც იქ მოხდა. ჩვენც უკან დავბრუნდებით. ჩვენმა ბიჭებმა რაც შეიძლება ბევრი ტელევიზია და ჟურნალისტი უნდა დაგვახვიონ, უბედური სასიძოს როლი უნდა გავითამაშო.

– ეგ ადვილია, შეფ, დაგირეკავ...

მეორე დღეს ალექსი აეროპორტში „ჩამოფრინდა“, მთელი მასმედია აეროპორტშივე ხვდება, ალექსი კომენტარს არ აკეთებს და აეროპორტიდან საავადმყოფოში მიემგზავრება. – გულზე ხელდაკრეფილი დგას რეანიმაციის შუშებთან დამწუხრებული სახით და სიკვდილთან მებრძოლ დაბინტულ ყოფილ

საცოლეს გასცქერის. მოდის ინგას ბიძა, ამ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური მაგნატი და საგადასახადო სამსახურის შეფი და თანაგრძნობით გადაეხვევა „სასიძოს“.

– ყველაფერს გავაკეთებ მის გადასარჩენად, – ეუბნება ბიძა.

– ორ კვირაში დაქორწინებას ვაპირებდით, – ლამის ტირის ალექსი.

– ვიცი, ინგაც ისე გახარებული იყო, ბედნიერებისგან ტირო-და.

– ინოკენტი მატვეევიჩ, ის მათხოვარი როგორ მოხვდა ინგა-სთან?

– მე შევურჩიე. ადრე ჩემთან მუშაობდა, თურმე თვალთმაქ-ცი ყოფილა, სამწუხაროა, რომ ჩაძაღლდა, თორემ...

– მართლა სამწუხაროა...

– შენ კი აქ დგომით, ინგას ვერაფრით დაეხმარები წამოდი, ეს დღეები ერთად ვიყოთ და მის გამოჯანმრთელებას დაველო-დოთ.

– დღეს ვიქნები ინოკენტი მატვეევიჩ, იქნებ იგრძნოს მისმა გონებამ და გულმა, რომ აქვე ვარ და ცოტა შვება მიეცეს. ხვალ დილით კი სიამოვნებით მივიღებ ჩემი ინგას გამზრდელი ბიძის მოწვევას და გეახლებით...

...ალექსი მორიდებით შედის ოფისში, რომელსაც „მთავარი საგადასახადო პოლიცია“ აწერია და შეფის კარებს ოფის-მე-ნეჯერი ქალი უღებს, ინოკენტი მატვეევიჩი ხელებგაშლილი ხვდება...

საღამოა. ალექსი რესტორნიდან გამოდის და მანქანით მი-დის. საჭესთან თავად ზის. ასიოდე მეტრი გაიარა და ვიღაც წყვილმა ხელი დაუქნია. ქალს ძუძუთა ბავშვი ჰყავს მკერდზე მიკრული. აჩერებს. ორივენი სხდებიან.

– ბიჭია თუ გოგო? – კითხულობს ალექსი, რომელსაც ბავ-შვები ძალიან უყვარს და ამ დროს, კიდეც მოხვდება კეფაში რკინა, რომელიც მანამდე ჩვრებში იყო შეფუთული და ალექსს ბავშვი ეგონა. ერთი ტიპი მაშინვე წინ გადმოდის, ალექსს გვე-

რდზე გადაათრევს და საჭეს მიუჯდება.

– ამას რა ვუყოთ? – ეკითხება ის, ვინც ქალი გვეგონა.

– ახლავე მივხედავ.

მანქანა მრავალსართულიანი კორპუსის წინ ჩერდება და რაკი კაციშვილის ჭაჭანება არაა ამ ცივ ამინდში, ალექსს ძირს გადმოაგდებენ და მიდიან.

– ნახე, დოლარების გაუხსნელი დასტა, – ეუბნება ერთი გამტაცებელი საჭესთან მჯდომს, – ხომ არ მივაგდოთ მანქანა და მოვუსვათ?

– გაგიჟდი? ათიოდე წუთში ჩემს გარაჟში ვიქნებით და მირჩევ, მოვიშორო მანქანა, რომელიც უამრავი ფული ღირს?..

ძირს გაშოტილი ალექსი სიცოცხლის ნიშან0წყალს არ ამჟღავნებს. და პირდაღმა აგდია. მერე ნელ-ნელა მარჯვენა ხელის თითებს აამოძრავებს და გადმობრუნებას მოახერხებს. წამოჯდება, კეფაზე ხელს მოისვამს და გასისხლიანებულ ხელისგულს დასცქერის. ნელ-ნელა ისევ წამოწვება...

– ვიღაცა მაგარი ტიპი ჩანდა, – ამბობს საჭესთან მჯდომი თავდამსხმელი.

– ჰოდა ეს მანქანა შარად არ გვექცეს. აქ ათიათასი დოლარია. ამდენი ფული სიზმრადაც არ გვინახავს. მივაგდოთ და მოვუსვათ!

– არა, მანქანას ისე დავშლი, რომ...

და ამ დროს იჭექა. მანქანა ჰაერში ავარდა და იქაც რამდენჯერმე აფეთქდა. აფეთქების ხმა გაისმა დანარცხების დროსაც და ქალაქგარეთ, გარაჟების სიახლოვეს ცეცხლის დიდი სვეტი აღიმართა...

– დედა, სადარბაზოსთან ვიღაც გდია, – პატარა გოგომ შესძახა წკრიალა ხმით და დედას ხელი გაუშვა.

– იულკა ფრთხილად, არ მიუახლოვდე, – შესძახა ქალმა და ალექსს თავზე დაადგა, დაიხარა და შეანჯღრია: – სმას უნდა მოუკლო ან თავი დაანებოთ საერთოდ.

– მთვრალი არ ვარ, ქალბატონო, – ძლივს ამოღერღა ალექსმა და წამოჯდა, – თავბრუ დამეხვა და...

– ლოთს ნამდვილად არ ჰგავხართ, ბატონო, მაგრამ ამ ყინვაში უქუდოდ და პიჯაკის ამარა რამ გამოგიყვანათ სახლიდან? – ჰკითხა ქალმა და ადგომაში მიეშველა.

– გამძარცვეს, თავში რაღაც ჩამარტყეს და...

– პოლიციას გამოვუძახებ.

– არა, არ გინდათ, მე თვითონ წავალ იქ, ეს რა შესანიშნავი ბავშვია, თქვენი დაა?

– არა, შვილია. მან დაგინახათ პირველმა.

– მაშ ჩემი გადამრჩენი ანგელოზი ყოფილა, რა გქვია ანგელოზო?

– იულია, იულკა...

– და ჩემთან ამ ღამით ღმერთმა გამოგაგზავნა?

– არა, ბალეტზე დავდივარ და სახლში მოვდიოდი.

– ამ სახლში ცხოვრობ?

– ამ სადარბაზოში. მეოთხე სართულზე, ოროთახიანში დედასთან ერთად.

– აბა, რახან ანკეტის შევსებას მორჩით, ღამე მშვიდობისა უცნობო, – თქვა ქალმა.

– გმადლობთ, ქალბატონო და განსაკუთრებით შენ, ულამაზესო იულკა, – დაემშვიდობა ალექსიც.

დედა-შვილი სადარბაზოს შესასვლელისკენ გაემართა. გოგონამ უკან მოიხედა და იკივლა: – დედა!

ალექსი ნელ-ნელა დაეშვა ძირს და გონება დაკარგა...

...აფეთქებულ მანქანას პოლიციის და სახანძროს მანქანებთან ერთად სასწრაფო სამედიცინო დახმარების რამდენიმე ეკიპაჟიც მისევია. უამრავი ხალხი ირევა. ტელეკამერებიც იქვეა.

– ერთადერთი, რაც გვაქვს შეფ, მანქანის ნომერია. ეტყობა, აფეთქების დროს მოსძვრა, – ეუბნება პოლიციელ-გამომძიებელი თავის უფროსს...

– ეს ხომ ალექსს... მანქანაა? – ამბობს შეფი და ტელეფონზე რეკავს: – ინოკენტი მატვეევიჩ, თქვენი მეგობარი და პარტნიორი ალექსი მანქანაში ააფეთქეს ქალაქგარეთ, გარაჟებთან,

რა? აქ ვარ და მის დანახშირებულ მანქანას ვუყურებ. ვწუხვარ, ჩემო ძვირფასო, რომ ამ ამბის შეტყობინება მე მიხდება. კარგი, კარგი, მოგვიანებით მოგახსენებთ...

ალექსი გონზე მოდის. საწოლში წევს. პირდაპირ სკამზე კი იულია ზის.

– ანგელოზო, ნუთუ უკვე სამოთხეში ვარ და შენ დამფარფატებ თავზე?

– ვაშაა, ცოცხალი ხარ! დედა, დედა... – და ოთახში ქალბატონი შემოდის.

– მადლობა ღმერთს, – ამბობს ალექსის დანახვაზე.

– რა დროა? – კითხულობს ალექსი. თავი გადაბინტული აქვს.

– დილაა, ბატონო, მაგრამ თქვენი ბევრი ლაპარაკი და მით უმეტეს დიდი ხნით ადგომა, არ შეიძლება.

– ნება მიბოძეთ გკითხოთ, რატომ? რა მჭირს?

– მინიმუმ ტვინის ძლიერი შერყევა, თუ მეტი არაფერი.

– ტვინის შერყევა და თან ძლიერი, ძალიან საჭირო იყო ჩემთვის ძვირფასო ქალბატონო... თქვენი სახელი?

– ალა დამიძახეთ.

– ძვირფასო ქალბატონო, ალა, ჩემი სახელი ძალიან ჰგავს თქვენსას.

– ვიცი, ალექსი გქვიათ.

– მე კი იულკა, იულია. კიდევ ერთი „ლ“, რა კარგიან დედა? სამი „ლ“ ერთად ვართ...

– ოო, ეს მართლაც ღირსშესანიშნავი ამბავია, ანგელოზო იულკა, მაგრამ ჩემი სახელი როგორ გაიგეთ?

– ყველა ტელეარხი თქვენს სახელს გაიძახის, ამბობენ, რომ თქვენ აგაფეთქეს ქალაქგარეთ ბიზნესგარჩევების დროს, რომ ორი დღის წინ თქვენს საცოლეს დაესხნენ თავს საკუთარ ოფისში და სიკვდილის პირას მიიყვანეს.

– მე კი ცოცხალი ვარ და ანგელოზების გარემოცვაში ვიმყოფები. ჩემი ტელეფონი სად არის?

– ტელეფონი არ გქონდათ, აგერ, საფულე გედოთ პიჯაკის გულის ჯიბეში, ცხვირსახოცი და აი, ეს ნივთი. „ფლეჟკას“ ეძა-

ხიან მგონი.

– ვინ იცის, ჩემი აქ ყოფნის შესახებ?

– არავინ, მხოლოდ მე და იულკამ. კიდევ კარგი, დღეს შაბათია და ვისვენებთ.

– ჩემო კარგო გოგოებო, საიდუმლოს შენახვა შეგიძლიათ?

– მგონი, კი. შენ რას იტყვი, იულკა?

– შეგვიძლია, ბიძია ალექს.

– ქალბატონებო, იულკა და ალა, მცირე ხნით თქვენთან რომ დავრჩე, გეწყინებათ?

– არა, ბიძია ალექს, სულ დარჩით ჩვენთან, ძალიან გვიყვარხართ.

– იულკა!

– ქალბატონო ალა, ნუ გაუწყრებით, ასეთი წრფელი ხმით და გრძნობით არავის უთქვამს ჩემთვის არასდროს „გვიყვარხარო“. აბა, იულკა, კიდევ გაიმეორე, რაო, რაო?

– ძალიან გვიყვარხართ!

– ვის?

– მე და დედიკოს.

– დედიკოსაც?

– კი, წუხელ რომ გივლიდათ, სულ ტიროდა. ძალიან ეცოდებოდით.

– ჰოდა, მეც ძალიან მიყვარხართ ორივე.

– ღმერთო, დიდებულო, – თქვა ალამ, – ამ სახლში ახლა ორი გიჟი ცხოვრობს.

– რატომ ორი? – იკითხა ალექსმა, – სამი...

– საიდან მოიტანე?

– აი, იმ მესამე გიჟმა გუშინ, საკუთარი ზურგით მიმიყვანა ლიფტამდე და მერე, ამ საწოლამდე.

– ეგ ვინ მოგახსენა?

– თუ ჩვენი, სამი „ლ“-ს მეტმა ჩემი აქ ყოფნის შესახებ არაფერი იცის, ეგრე იქნებოდა.

– მართალი ხარ, ბიძია ალექს, ზუსტად ასე იყო, – ტაში შემოჰკრა იულკამ.

– მართალი ხარ ბიძია ალექს, – გამოაჯავრა დედამ და ენა გამოუყო.

– აგე, მართლა სამი გიჟი ვყოფილვართ, – წამოხტა გოგო და დედას ჩაეხუტა.

ტიტრი ეკრანზე – ორი დღის შემდეგ

საღამოს სახლში მოსულ ალას იულკა კარს უღებს.

– ალექს, სალაპარაკო მაქვს შენთან, – ეუბნება ალა.

– გისმენ, დედოფალო...

სამზარეულოში ჩაის სვამენ. იულკა მისაღებში თამაშობს.

– იცი, რომ კლინიკაში მუშაობის დამთავრების შემდეგ შეფის კაბინეტს მე ვალაგებ?

– ვიცი და გთხოვე კიდეც, რომ ამის საჭიროება არ არსებობს. ფული გაქვს, – შეაწყვეტინებს ალექსი.

– ჰოდა, დღეს იქ შენი სახელი ახსენეს.

– რა? ვინ ახსენა?

– შეფმა და მისმა სტუმარმა.

– აბა, დაწვრილებით მიამბე.

ალა იხსენებს: ვრცელ კაბინეტში ორნი სხედან, წვერებიანი, მელოტი მამაკაცი. აქაურობის ბატონ-პატრონი და ათლეტური აღნაგობის ქერა ახალგაზრდა.

– ბოს, საქმე შესრულებულია, – ამბობს ათლეტი.

– აი, მიიღე, სამუშაოს ბრწყინვალედ გაართვი თავი, – საკრედიტო ბარათს აწვდის მელოტი, – გასამრჯელო იმაზე მეტია, ვიდრე შეგპირდი, იმედია... (ხველა აუტყდება)

– დიახ, გისმენთ.

– იმედია, ენაზე კბილის დაჭერაც გეხერხება ღამურავ! ხომ სწორად გამოვთქვი?

– ბოს, იქ სხვა ადამიანიცაა (უთითებს ალაზე, რომელიც კარადას ალაგებს).

– ეგ ჩემიანია.

– მაშინ ყველაფერი რიგზეა.

– მე გკითხე, ენაზე კბილის დაჭერა გეხერხება?

– ძალიან კარგად, ბატონო ოლეგ. თან სკლეროზიც მაქვს, ჩადენილ გმირობას იმ წამსვე ვივიწყებ.

– ო, ეგ ძვირფასი თვისება გქონია, გამორჩეულიც კი...

– ამიტომ მაფასებს ხალხი.

– ალექსის ოფისში რა ხდება?

– დამწუხრებულია საზოგადოება.

– ერთი მაგათი დედაც!..

– ჩემი უფროსიც ვერ არის ხასიათზე. დაიფიცა პოლიციაზე ადრე მე მოვუღებ ბოლოს ალექსის მკვლელსო, – ჩაიცინა ათლეტმა.

– რა იცის მაგ ნაბიჭვარმა, რომ მკვლელი გვერდით ჰყავს, – იცინის ოლეგიც, – რა ეგონათ, ჩემი ძმის სისხლს შევარჩენდი? თან რა მურდლად დაიღუპა. კლინიკაში რომ შემოიყვანეს, მკვლელის დასახელება მოასწრო და თვალებით მთხოვა სამაგიერო გადაუხადეო. ახლა კი ძმის სულმაც მოისვენა და მეც. მადლობა შენ, ღამურავ!

აქ ალას გახსენება მთავრდება.

– სტუმარს ღამურას ეძახდა? – ჩაიცინა ალექსმა, – ერთი ნოუთბუკი მომაწოდე და ჩემი „ფლეშკა“ მომეცი.

– მერე ჩართულ ნოუთბუკს მოუტრიალებს და ეტყვის: – ეს ჩემი დაცვის ოთხეულია. აქედან რომელი იყო შენი შეფის სტუმარი?

– აი, ეს იყო, კი, ეს იყო ნამდვილად, – დარწმუნებით ამბობს ალა.

– ახლა, ჩემო ალოჩკა, ერთი რამ უნდა გთხოვო. აი, ფული...

– ფული შეინახე, მეც მაქვს.

– მოიცა, ამ ფულით რაღაც-რაღაცეები უნდა იყიდო და გარეგნობა ისე შეიცვალო, მე და იულკას გარდა ვერავინ გიცნოს.

– ეგ ადვილია, სამედიცინო კოლეჯში სწავლისას სცენაზე გამოვდიოდი და ზოგჯერ მამაკაცის როლიც მითამაშია.

– კეთილი. ჩემს ოფისში უნდა მიხვიდე და აი, ეს ახალგაზრდა, ოტო უნდა იკითხო. საიდუმლოდ უნდა უთხრა, რომ ცო-

ცხალი ვარ და დაუყოვნებლივ შემხვდეს. მაპატიე, ასეთ რთულ დავალებას რომ გაძლევ, მაგრამ ამას ჩემთვის შენთვის და იულკასთვის ვაკეთებ...

– რისი თქმა გინდა ამით?

– იმის, რომ ორივე სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ და ჩემი მომავალი თქვენს გარეშე ვერ წარმომიდგენია.

– ხუმრობ?

– ეს არ არის სახუმარო, ჩემს სიყვარულს ორივეს მალე დაგიმტკიცებთ.

– კი, მაგრამ შენ საცოლე გყავს, ნუთუ მომაკვდავ ადამიანს მიატოვებ? იულკას მამამ სწორედ მაშინ მიმატოვა, როცა მეცხრე თვეში ვიყავი, ნუ იზამ ამას, გთხოვ...

– ის ქალბატონი ჩვეულებრივი მეძავია, ოღონდ მაღალი წრის და ის მიიღო, რასაც იმსახურებს. ამას მერე აგიხსნი.

– როდის მერე?

– როცა ყველაფერს მოვრჩები, ჩემო სიხარულო

– მართლა გიჟი ხარ, ალექს!

– მოდი, ჩემთან.

– ახლა?

– ჰო...

– მერე იულკა?

– იულკა ისე უკრავს ფორტეპიანოზე, საღამომდე არ დაამთავრებს.

და მერე სცენა – ერთ სულ და ერთ ხორც...
ტიტრი – მეორე დღეს

თავშეხვეული ალექსი და ოტო გაბაწრულ ღამურას ადგანან თავზე მდიდრულად გაწყობილ ოთახში.

– რამდენი გადაგიხადეს მკვლელობისთვის, ღამურავ?! – ეკითხება ალექსი.

– 50-ს შეპირდნენ, მერე კი 10 პრემია დაუმატეს, – იცინის ოტო.

– 60 ათასი დოლარი გიშოვია, ბიჭო, ღალატის ფასად. კარგა ძვირად შევუფასებივარ იმ ბოზს.

– ის ფული ჩემს ყულაბაშია შეფ, – ამბობს ოტო.

– ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს, ალალი შრომით გაქვს ნაშოვნი.

– რომ არა ის ორი გარეწარი, რომლებმაც გაგძარცვეს, ახლა ცაში იქნებოდი შეფ!

– ეშმაკმა წაგიღოთ ორივე, თქვენ ცაში რა გინდათ, თქვენი ადგილი ჯოჯოხეთშია! – ამბობს ღამურა, – ბატონო ალექს, ამ ნაბიჭვრის მოსმენა არ მინდა, შუბლი გამიხვრიტეთ და მომასვენეთ.

– არა, ღამურა, შენი სიკვდილი არ მინდა, – პასუხობს ოტო, – თუ დამიჯერებ და დამთანხმდები, სიცოცხლესაც შეგინარჩუნებ და ფულის ნაწილსაც დაგიბრუნებ.

– რა უნდა გავაკეთო?

– შენი ნაბოზარი ოლეგის დღის წესრიგი ხომ შესწავლილი გაქვს?

– რაღაცეები კი.

– მაგალითად, სახლიდან რომელ საათზე გამოდის ან ხშირად სად უყვარს ყოფნა.

– გარეთ იშვიათადაა, მით უმეტეს, ცივ ამინდში. ერთი, რასაც არ აცდენს, ჰოკეია. ერთი და იგივე ადგილას ზის, აბონემენტი აქვს.

– კარგი, საკმარისია! შეფ, წავიდეთ!.

– მე მტოვებთ? – კითხულობს ღამურა.

– არა, შეფს მივიყვან და მერე, პირობას შეგისრულებ...

ტიტრი – ერთი საათის შემდეგ
ოტო და ღამურა მანქანაში.

ღამურა: – გამიხსენი ხელები.

ოტო: – მიგიყვან ადგილზე და მერე.

ღამურა: – შორს მივდივართ?

ოტო: – ქალაქგარეთ.

ღამურად – აქეთ რა გვინდა? ჭაობების მეტი არაფერია.

ოტო: – აი, მოვედით კიდეც.

მანქანას აჩერებს. ჩამოდის და ტყვეც ჩამოჰყავს.

ოტო: – ოფისში გითხარი, ფულის ნაწილს დაგიბრუნებ-მეთქი.

ღამურა: – კი, მითხარი...

ოტო – შენი ბინძური ფული არ მინდა, აი, ჩახეთქე, – და კრედიტ-ბარათი კოსტუმის ჯიბეში ჩაუდო.

ოტო: – ახლა კი, იარე.

ღამურა: – კი, მაგრამ ჭაობია.

ოტო: – იარე, თორემ მაგ ბილწ გოგრას გაგიხვრიტავ. – და პისტოლეტს თავზე მიადებს.

ღამურა: – ფეხსაც არ მოვიცვლი, მესროლე, შენი!..

ოტო: – არა, ცოფიანი ძაღლივით უნდა დაგახრჩო აქ.

ღამურა: – შენ მე თავისუფლებას შემპირდი.

ოტო: – შენც ერთგულებას დამპირდი, როცა სამუშაოზე აგიყვანეს, მაგრამ...

ღამურა: – სიტყვას არ შეასრულებ?

ოტო: – შენთან? ფუჰ, შენი!.. შედი-მეთქი!

ღამურა: – არა!

მაშინ ხელს ჰკრავს და ბოლომდე უყურებს, როგორ ჩაყლაპავს ჭაობი.

– ეს ერთი, მეორესაც მალე მოვუვლი.

ტიტრი. სამი დღის შემდეგ
სამი „ლ“ ალას სამზარეულოში ვახშმობს და ტელევიზორს უყურებს.

– დღეს, – აცხადებს დიქტორი, – ჰოკეის მატჩის დროს, ცნობილი მეწარმე და ექიმი ოლეგ მარტიანოვი, საკუთარ ლოჟაში

მოკლეს. სროლის ხმაც კი ვერავინ გაიგონა. ტყვია თავში აქვს მორტყმული.

– ალექს, ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

– ჩვეულებრივად, ჩემო ალა. ახლა ეს სამწუხაროდ, აღარავის უკვირს. წამოდი, ანგელოზო, ვითამაშოთ, – ეუბნება ალექსი იულიას, მერე კი ღამით, ალას ეტყვის: – ამაღამ ერთი კვირით გავქრები, რომ მერე სამუდამოდ დაგიბრუნდეთ შენ და იულკას. ამ ხნის განმავლობაში ეცადე, სულ ერთად იყოთ და სიფრთხილე გამოიჩინოთ...

მეორე დილით მასმედიამ ახალი საქმე „იშოვა“, „მკვდრეთით აღმდგარი“ ალექსი ინოკენტი მატვეევიჩთან ერთად ინტერვიუებს იძლევა და საყოველთაო ყურადღების ცენტრშია: – გამძარცვეს, თავში ჩარტყმით გამაბრუეს. როგორც კი მოვსულიერდი, ინოკენტი მატვეევიჩს დავურეკე და აი, ახლა თქვენს წინაშე ვარ, – ყველასთან იმეორებს იგი.

– სად იყავით ამდენ ხანს? – ეკითხება ერთი მოუსვენარი ჟურნალისტი.

– ჩემს მეგობრებთან, რომლებსაც არ სურთ ვინაობის გამხელა.

– რატომ?

– ეს მათ ჰკითხეთ...

– გავიგე თქვენი საცოლე გამოჯანმრთელდა, ქორწილი მალე გექნებათ?

– ბევრის ცოდნა, მალე დაგაბერებთ.

ტიტრი ეკრანზე – სამი დღის შემდეგ.
ინოკენტის კაბინეტში ინგა და ალექსი სტუმრობენ.

– ალექს, რა იყო საჩქარო? თქვენი გულისთვის თათბირი გადავდე, – უკმაყოფილოა მატვეევიჩი.

– სულ ათიოდე წუთს წაგართმევთ, – ეუბნება ალექსი ღიმილით.

– ინგა, ქორწილის საქმეზე თუ ხართ მოსული, ამის შესახებ

მერეც შეგვეძლო გვემსჯელა.

– არ ვიცი, გადარეულივით წამომიყვანა შენთან.

– რა ქნას, ქორწილი ეჩქარება, – ჩაიცინა ინოკენტიმ.

– ვიდრე საქმეზე გადავალთ, რაღაც მინდა გაჩვენოთ.

ალექსი ტელევიზორს ჩართავს „ფლეშკას“ დაუყენებს და პულტს მოიმარჯვებს: ეკრანზე ინგას და დენისის სასიყვარულო ორგიებია სხვა პარტნიორებთან ერთად...

– ეს რა არის? – სათვალეს მოიხსნის ინოკენტი.

– სათვალე გაიკეთეთ, ბატონო, – ეუბნება ალექსი.

ეკრანზე ინოკენტისა და ინგას ინტიმური სცენა მიდის...

– მონტაჟია, – შეთანხმებულივით იყვირებენ ინგა და ბიძამისი.

– აბა, ამაზე რას იტყვით? – პულტს დააჭერს თითს ალექსი.

აქ კი სოდომის ცოდვაა ასახული ინოკენტი მატვეევიჩსა და მის მძღოლს შორის...

– გამორთე ეგ საზიზღრობა, – აყვირდება ინოკენტი.

– აჰა, პულტი. შენ თვითონ გამორთე. ფლეშკა კი სამახსოვროდ დაიტოვეთ და უყურეთ თქვე პირუტყვებო, თქვენი დანახვაც კი არ მინდა. ასეთი ზნედაცემულობა არც მინახავს და არც გამიგონია. შენ, ქალბატონო ინგა, იმ დღიდან გითვალთვალებდა ჩემი ხალხი, ოპერის დარბაზში რომ შემომეტენე. შენი საცოდავი ბიძაც და შეთავსებით საყვარელიც შენი წყალობით გაება მახეში.

– რამდენი გინდა? რას მოითხოვ სიჩუმისთვის?

– პირველი – უსაფრთხოებას ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

– აკი, ბავშვთა სახლში იზრდებოდი? – ინგა ჩაერია.

– კი, იქ გავიზარდე, მაგრამ მყავს საყვარელი ქალი და ანგელოზი ქალიშვილი. საკმარისია, ვინმე შეგვეხოს და ამ კადრებს მთელი მსოფლიო იხილავს.

– სულ ეს გინდა?

– არასდროს ჩაერიო ჩემს ფინანსურ გარიგებებში და სრული ფინანსური ამნისტია ჩემს ობიექტებს.

– კიდევ?

– ეს აშარი ბოზი დააოკე. ამის ხასიათი ვიცი და თუ ჩემს წინააღმდეგ მის გამომჟღავნებას შეეცდება, ჯოხი შენზე გადატყდება.

– ამის ბოზი დედაც, მე მოვუვლი.

– აბა, სასიამოვნო გართობას გისურვებთ.

– კი, მაგრამ პრესას რა ვუთხრა, ქორწილის ჩაშლის შესახებ? – იკითხა ინგამ.

– ნამდვილ მიზეზს რომ ვერ იტყვი, ცხადია. თქვენ ისეთი გარეწრები ხართ, მოიფიქრებთ პასუხს.

ალექსი მიდის. ოფისიდან გამოდის, მანქანაში ჯდება. საჭესთან ოტო ზის. ალექსი მობილურზე რეკავს:

– ალა, ჩემო საყვარელო, ხუთ წუთში სადარბაზოსთან ვიქნები. შენ და ანგელოზი დამხვდით. მივდივართ... სად მივდივართ? სამხრეთში, ჩემს სამშობლოში. მერე კი ვნახოთ. მთავარია, ერთად ვიყოთ. სამხრეთში რატომ? იქ, ახლა თბილა და იქაური მზე, თურმე ძალიან მოუხდება ჩემს გატეხილ თავს...

2017 წლის ნოემბერი

ზაალ ნემსაძე,
ფიქრია ნემსაძე

ბედნიერება ყოველთვის შესაძლებელია

1.

სიყვითლეშეპარულ უღრან ტყეში თოფის გრიალი გაისმა, რასაც ჩვილის ბღავილი მოჰყვა. ბილიკზე შეიარაღებული მონადირე გამოვიდა და შესძახა:

– ბიჭებო, სადღაც ბავშვია.

– ა, აგერ ჰკიდია ხეზე, – გამოეპასუხა თანმხლები.

– მოიცა, მე ჩამოვხსნი, – უთხრა გაცილებით მაღალმა და ტოტიდან თოკით ჩამოკიდებული შეფუთული, გამყინავი ხმით მტირალის ჩამოხსნა დაიწყო, – რა გაჩხავლებს ჩემო ძვირფასო? შენი ძმა და მეგობარი მოვედი. ახლავე ჩამოგხსნი, ჩათვალე, რომ ას წელს იცოცხლებ.

– ნუ ყბედობ, დროზე მორჩი! – უყვირა პირველად გამოჩენილმა, ჩაფსკვნილმა, წვერიანმა და კუშტსახიანმა.

– აი, ბოს, უკვე მოვრჩი, – და ბავშვით მისკენ დაიძრა.

– მომეცი, – გამოართვა აჩხავლებული და გულზე მიიხუტა. მერე კი ძუნძულით გაუყვა ბილიკს. ორივე უკან მიჰყვა. გზაზე მდგარ უზარმაზარ ჯიპს მიადგნენ. ბავშვიანი უკან მოთავსდა, მხლებელნი კი წინა სალონში.

– ჩქარა, საავადმყოფოში. ცხვირ-პირს დაგამტვრევ, თუ იზოზინებ, – ბრძანა ბავშვიანმა.

ანთებული შუქფარებით და სირენის წივილ-კივილით ჯიპი გზას საშინელი, ზღვარგადასული სისწრაფით გაუდგა.

– ღმერთმა შეისმინა ჩემი ვედრება, ბიჭებო, – თქვა მონადირემ, რომელიც უკვე მიჩუმებულ ჩვილს დასცქეროდა და თოფიც კი ვერ მოეხსნა ამ გაწამაწიაში, – შვილი გამომიგზავნა.

– მართალი ხარ, ბოს, მაგრად გაგიმართლა, – თქვა მძღოლის გვერდით მჯდომმა.

2.

დახვეწილი არქიტექტურული გემოვნებით აშენებული სასახლე ულამაზესი მცენარეებით და აუზებით დამშვენებულ უზარმაზარ, მაღალი ბეტონის ღობით შემოფარგლულ კარმიდამოში დგას. აივანზე ოთხნი უსხედან საუზმით გაწყობილ ანტიკვარულ მაგიდას: სახლის პატრონი, 38-40 წლის ნიკი, მისი ფეხმძიმე მეუღლე ოციოდე წლის მართა და მართას საკმაოდ ახალგაზრდა, ორმოცდაათ წლამდე მშობლები.

– აი, ასე მიპოვა ჩემმა გამზრდელმა. ის ახალი დაქვრივებული იყო და ცოლი აღარც შეურთავს. მთელი ცხოვრება მე მომიძღვნა. უმდიდრესი იყო, მაგრამ სპარტანულად აღმზარდა. ზოგჯერ ისეთ პირობებს მიქმნიდა, თავბედს ვიწყევლიდი, მხოლოდ კაცობაში შესული მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ჩემივე სიკეთისთვის კეთდებოდა. მამობილის აღზრდას წყალობით, შევძელი არაადამიანური განსაცდელების იოლად გადალახვა, ჯარის მოვლის შემდეგ კი, ბედის საძებნელად სრული თავისუფლება მომეცა. იურისტის პროფესია ავირჩიე. ლექციების შემდეგ საცხობში ვმუშაობდი და ამ საქმეში ისე დავოსტატდი, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, ქალაქში ათამდე საკუთარი საცხობი და გასაღების მოქნილი ქსელი მქონდა. უკვე მილიონერი ვიყავი...

ტელეფონი რეკავს.

– გისმენ შოთა, – პასუხობს ნიკი, – ფული აჩუქეთ და გაუშვით... რა? კარგი, ჩამოვდივარ.

– ნიკ, რა ხდება? – ეხუტება მართა.

– სტუმრები გვყავს, თქვენ საუზმე განაგრძეთ, – კოცნის ცოლს და კიბეზე ეშვება.

ჭიშკარს აღებს და გადის. მისი დაცვის გარემოცვაში შუახნის წყვილი დგას, მათი გაცვეთილი, თუმცა სუფთა ტანსაცმელი იმაზე მიუთითებს, რომ სიღარიბის მიუხედავად, ასეთი მდიდრული გარემო არ ეუცხოებათ. ნიკი კი ერთი შეხედვით მიხვდა, რომ საქმე პროფესიონალ ლოთებთან აქვს.

– გისმენთ.

– იქნებ ჯერ მოგვსალმებოდი დიდო უფროსო, – ჩახრინწული ხმით ეუბნება ქალი.

– თუ ეს გაგაბედნიერებთ, მოგესალმებით.

– ჰო, ეგ კარგი, ჩვენც მოგესალმებით, – იხრინწება ქალი.

– რამდენი გინდათ? – ეკითხება ნიკი.

ქალი: – რა?

ნიკი: – რა და ფული, აბა რა?

ქალი: – ფული არ გვინდა.

ნიკი: – აბა?

ქალი: – საუბარი გვინდა.

ნიკი: – რაზე?

ქალი: – ცხადია, ამინდზე არა.

ნიკი: – მობრძანდით ეზოში.

ამ დროს დაცვის უფროსი ჩაერია:

– შეფ, ასე როგორ შეიძლება, ეს მაწანწალები...

ნიკი: – ესენი ჩემი ძველი ნაცნობებია, შოთა. იმაზე მეტს, რაც ამათ გული მატკინეს, ახლა ვეღარაფერს დამიშავებენ.

ქალი: – ხომ გითხარი იურა, გვიცნობს-მეთქი, ყოჩაღ, ნიკ, მაგარი ხარ, იმიტომ გახდი ქვეყანაში ყველაზე მდიდარი კაცი. წამოდი იურა, დაგვპატიჟეს.

შოთა: – მოიცათ, ძვირფასებო, გაჩხრიკეთ.

ნიკი: – არ უნდა, გამოუშვით.

შედიან ეზოში, მართა თავისი ფეხმძიმობის მიუხედავად, ეზოში ჩამოცქრიალდა და ქმარს მიეხუტა.

– ეს ულამაზესი გოგონა მეცნობა, – ამბობს იურა.

– მოიცა, მოიცა, – შუბლს ისრესს ქალი, – ეს ხომ მართაა, ჩვენს კლინიკაში სანიტრად მუშაობდა.

– მართა, ანა და იურია, გახსოვს ესენი?

– მახსოვს. მობრძანდით სახლში.

ანა: – ნიკ, მართა შენი ცოლია?

ნიკი: – დიახ.

ანა: – არჩევანს გიწონებ, ძალიან საყვარელია.

ნიკი: – ძალიან.

კიბეზე ადიან და მართას მშობლებს ეცნობიან. მაგიდასთან სხდებიან.

ნიკი: – ეტყობა, ღმერთს უნდა, რომ დღეს ყველაფერი გაირკვეს, მე მოგიყვებით, მოგიყვებით კი არა, გავაგრძელებ ჩემს ისტორიას. მართას მშობლები პირველად სტუმრობენ ამ სახლში, ჩემო ძვირფასო მართა, მინდა ყველაფერი იცოდე ჩემს შესახებ. ახლა შესაფერისი დროა ამის მოსაყოლად. მაშ ასე, გითხარით, როგორ გავხდი მილიონერი. ამის შემდეგ ხეტიალის მანიამ შემიპყრო და გადავწყვიტე უფრო დიდ ქალაქში მეცადა ბედი. მთელი ჩემი საქმე უახლოეს მეგობარს, შოთას ჩავაბარე. სკოლა და უნივერსიტეტი ერთად დავამთავრეთ და ისე დავძმაკაცდით, სიცოცხლესაც ვანდობდი. შოთას ყველა იცნობთ, დღეს ის უზრუნველყოფს ჩემი და მართას მშვიდ ყოფნას. ჰოდა, დავადე თავი და დიდ ქალაქში ჩავედი. სასტუმროში დავბანაკდი და შესაფერისი ბინის დაქირავება გადავწყვიტე. შემეძლო ჩემი ფულით ამ ქალაქის მთავარი პროსპექტის ბინების, მინიმუმ ოცი პროცენტი მეყიდა, მაგრამ არა, მინდოდა ერთი რიგითი წევრობით დამეწყო ახალი ცხოვრება. გაზეთში (მაშინ ინტერნეტი არ არსებობდა) საჩემო ბინა მოვიხელთე, პატრონს დავურეკე და დანიშნულ დროს, სახლში მივაკითხე. იქ ეს ქალბატონი ანა და მისი დედა – ელისაბედი დამხვდნენ.

3.

ნიკი ლიფტიდან გამოდის. რკინის თეთრ კარს უახლოვდება

ტიტრი: 15 წლის წინათ.

ზარის ღილაკს აჭერს თითს.

კარს ახალგაზრდა, სიმპათიური, ოდნავ ფუნჩულა ქალი აღებს, რომელშიც დღევანდელ ანას ძნელად იცნობთ.

ნიკი: – გამარჯობა, ტელეფონზე თქვენ გესაუბრეთ?

ანა: – დილა მშვიდობისა, დიახ. ნიკი ბრძანდებით?

ნიკი: (თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს).

ანა: – მობრძანდით.

ნიკი: – ეს თქვენ, ქალბატონო.

და ლამაზად შეფუთულ ათიოდე მიხაკს მიართმევს.

ანა: – თქვენ ჩემი გული მოიგეთ, თეთრი მიხაკები ძალიან მიყვარს.

არც თუ მდიდრული ავეჯით, მაგრამ გემოვნებით გაწყობილ ბინაში შუახნის, ძალიან სასიამოვნო შესახედაობის ქალბატონი ზის ძველ პიანინოსთან. ნიკი თავის დაკვრით მიესალმება და ხელზე ეამბორება.

ნიკი: – თოვლიან-ქარიანი ამინდიდან პირდაპირ სამოთხის ფერიებში მოვხვდი. მომიტევეთ ქალბატონო, რომ მხოლოდ ერთი თაიგულით მოვედი. იმედს ვიტოვებ, ამ დანაშაულს მალე გამოვისყიდი.

ანა: – ეს დედაჩემია – ელისაბედი, მე ანა მქვია.

ნიკი: – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

ელისაბედი: – დაბრძანდით, შეგვიძლია ცხელი ჩაით ან ყავით გაგიმასპინძლდეთ.

ნიკი: – გმადლობთ, ჩემთვის თქვენს საზოგადოებაში ყოფნა და თქვენი ცქერა იმხელა ბედნიერებაა, რომ უარს ვამბობ ყველა სასმელზე.

ანა: – ჩვენს ქალაქში საიდან ჩამობრძანდით და რა საქმიანობას ეწევით?

ნიკი: – ვარ 24 წლის, უცოლო. უმაღლესი იურიდიული განათლებით. ჩამოვედი სამხრეთიდან, იქ საკუთარი საცხობი მქონდა, პატარა ქალაქში ბევრ ფულს ვერ იშოვი, ამიტომ აქეთ გამოვეშურე. აქ მინდა ავაწყო ბიზნესი. მშობლები არ მყავს, არც ნათესავები.

ელისაბედი: – ეს როგორ?

ნიკი: – ადამიანმა, ვინც გამზარდა, ტყეში მიპოვა. ერთი წლის წინ კი გარდაიცვალა. აი, ყველაფერი გითხარით.

ელისაბედი: – მე და ანა ექიმები ვართ, მეუღლე ხუთი წლის წინ გარდამეცვალა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვიჭირს ეკონომიურად, ამიტომ გადავწყვიტეთ ბინის გაქირავება.

ანა: – მამამ ორი ბინა დაგვიტოვა, ეს სამოთახიანი და გვერდით, ოროთახიანი. სწორედ მისი გაქირავება გვინდა და თუ მოგეწონებათ და ფასზე შევთანხმდებით, თქვენზე უკეთეს მდგმურს ვერც კი ვინატრებდით.

ნიკი: – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მომეწონება.

ანა და ნიკი ოროთახიანის კარს აღებენ და ათვალიერებენ. როცა სამიანში ბრუნდებიან, სასადილო ოთახში საუზმე გაწყობილი ხვდებათ. ელისაბედი ჩაის ასხამს.

ელისაბედი: – ყავას ახლა ვერ ენდობი, ჩაი კი საუკეთესო გვაქვს. მობრძანდით ნიკ, აი, მანდ დაბრძანდით. რამდენი ხანია მამაკაცი არ შემოსულა ამ ოთახში. ზუსტად ამ ადგილას იჯდა ჩემი მეუღლე.

ნიკი მითითებულ სკამზე ჯდება.

ანა: – დედა, ნიკს ბინა მოეწონა.

ელისაბედი: – ჰოდა, ძალიანაც კარგი, დღესვე გადმოხვალთ?

ნიკი: – დღეს საქმეები მაქვს, ხვალ შუადღეს რომ იყოს?

ანა: – მაშინ, საღამოს. ჩვენ შვიდი საათისთვის ვბრუნდებით პოლიკლინიკიდან.

ნიკი: – შევთანხმდით.

ანა: – ბინას სამას დოლარად ვაქირავებთ, თუმცა შეგვიძლია ცოტა დავაკლოთ.

ნიკი: – არა, იყოს სამასი, ოღონდ ერთი თხოვნა მექნება, საშინაო საქმეები არ მეხერხება, კულინარი კარგი ვარ, მაგრამ რეცხვა და დაგვა-დასუფთავება ჩემი საქმე არ არის, ამიტომ მომიწევს შინამოსამსახურის დაქირავება, რომელიც კვირაში ორჯერ ივლის.

ანა: – არ გინდათ, ოთახსაც დაგილაგებთ და სარეცხსაც მივხედავ.

ნიკი: – დედოფლობის საკადრისი ქალბატონი ბრძანდებით და ასეთ რამეს ვერ გაკადრებთ.

ანა: – შრომას ბავშვობიდან ვარ შეჩვეული, ამიტომ ეს თემა დახურულია.

ნიკი: – მაშინ, ახალ პირობებს გთავაზობთ და თუ არ მიიღებთ, ძალიან მეწყინება. თვეში ოთხას დოლარს გადავიხდი და

მთელ თქვენს კომუნალურ ხარჯებსაც ჩემს თავზე ვიღებ. აი, ასე და ვთვლი, რომ ეს თემაც დახურულია.

ანა: – ეს ძარცვა იქნება ჩვენი მხრიდან.

ნიკი: – ანგელოზებიდან ძარცვაც კი სასიამოვნოა, წელან დამავიწყდა მეკითხა, იმ ბინას ცალკე ნომრიანი ტელეფონი აქვს?

ელისაბედი: – რა თქმა უნდა, რატომ იკითხეთ?

ნიკი: – ტელეფონი ჩემი ძირითადი სამუშაო საშუალებაა და კიდევ ერთი: მინდა მთელი წლის ქირა წინასწარ გადავიხადო.

ანა: – რა გეჩქარებათ?

ნიკი: – ფულის ამბავი ხომ იცით? ხან გაქვს, ხან – არა. ამიტომ, ახლა გადავიხდი და მთელი წელი მშვიდად ვიქნები. (ჯიბიდან საფულეს იღებს და ხსნის)

ნიკი: – აი, აქ 5000 დოლარია, ინებეთ (და ფულს მაგიდაზე დებს). ახლა კი ჩაის დავლევ და უნდა გავიქცე, ბევრი საქმე მაქვს.

4.

ტიტრი: ახლანდელი დრო.

ნიკი: – აი, ასე გავიცანი ანას ოჯახი, თუმცა დედა-შვილს იშვიათად ვხვდებოდი, რადგან იმდენს ვმუშაობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა. ამ ქალაქშიც ერთი პატარა საცხობით დავიწყე, თუმცა მაღალი ხარისხის პიცას, ხაჭაპურს და ორნაირ პურს ვაცხობდი და კლიენტებს ვერ ავუდიოდი. ექვს თვეში ოცდაათზე მეტ საცხობს ვამუშავებდი. გავხსენი რძის პროდუქტების წარმოების დიდი ქარხანა, სამი საკონსერვო ქარხანა და რაც მთავარია, დავითრიე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ალკოჰოლიანი სასმელების უზარმაზარი საწარმო 1500 კაცზე მეტი მუშაობდა ჩემს დაქვემდებარებაში. ყველაფერ ამას კი ჩემი შოთას სახელით ვაკეთებდი, რომელიც ყველაზე მძიმე დროს ჩამოვიყვანე და იმდენად კარგად ხელმძღვანელობდა საქმეს, ნახევარი წლის მერე შემეძლო მხარ-თეძოზე წამოვწოლილიყავი. ჩემი ქონება ამ დროს ლამის ნახევარ მილიარდ დოლარს გაუტოლდა, თუმცა ძველებურად ანასგან ნაქირავებ ბი-

ნაში ვცხოვრობდი და ყველას ეგონა, მხოლოდ ერთი საცხობით ვირჩენდი თავს. თუმცა ერთ დღეს გუბერნატორმა გამომიძახა:

ტიტრი – 15 წლის წინათ.

გუბერნატორი: – კეთილი იყოს შენი მობრძანება, დაჯექი.

ნიკი: – გმადლობთ.

გუბერნატორი: – ხალხს მოსწონს და სიამოვნებით ყიდულობს შენს ნაწარმს. მე ხუთსულიანი ოჯახი მყავს და გუშინ აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი, რაც კი მაცივარში გვაქვს, ხორცპროდუქტების გარდა, შენს საწარმოებშია დამზადებული. ვიცი ისიც, რომ მსოფლიოს ოცდაათამდე ქვეყანასთან გვაქვს ექსპორტ-იმპორტი.

ნიკი: – კი ბატონო, ეგრეა.

გუბერნატორი: – პირდაპირ გეტყვი, მინდა ჩემი მთავარი მრჩეველი გახდე არა მარტო ეკონომიკურ საკითხებში. ჭკვიანმა ხალხმა მითხრა, რომ ამით დიდ სარგებელს მოუტან ყველას.

ნიკი: – მაგრამ ჩემი საქმე?

გუბერნატორი: – ვიცი, რომ შენს ჰოლდინგს უახლესი გარემოცვაც კარგად უძღვება, უამრავი თავისუფალი დრო გაქვს, დრო აქაც ბევრი გექნება. შევხვდებით კვირაში სამჯერ, თუმცა მოლაპარაკებების და ვიზიტების დროს ჩემს გვერდით უნდა იყო: სამაგიეროდ, სრული თავისუფლება გექნება შენს ბიზნესში და ვეღარც საგადასახადო შეგაწუხებს.

ნიკი: – თანახმა ვარ, საგადასახადომ პირდაპირ შეგვჭამა, კიბოსავით აზის მთელ ბიზნესს. თუ მაგათზე გავრცელდება ჩემი ძალაუფლება, დღესვე შევუდგები საქმეს. ერთი თხოვნა მექნება: ამ დანიშვნის შესახებ არ მინდა ბევრმა გაიგოს. მირჩევნია ხალხის თვალში, ისევ ერთი საცხობის პატრონ წვრილ მეწარმედ დავრჩე.

გუბერნატორი: – კი ბატონო, ბინას გუბერნიის კუთვნილ აპარტამენტში გამოგიყოფთ, ხუთვარსკვლავიანია და პროფესიონალი დაცვა აკონტროლებს.

ნიკი: – კარგი, ოღონდ პარალელურად ნაქირავებშიც ვიცხოვრებ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

გუბერნატორი: – ახლა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გამოვუძახებ, სამუშაო კაბინეტს და ბინას ის დაგათვალიერებინებს. დრო ცოტა გვაქვს, ორ კვირაში ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა დამიდო მაგიდაზე.

5.

ტიტრი – ახლანდელი დრო

ნიკი: – ამ დღიდან დაიწყო ჩემი ორმაგი ცხოვრება, ყველა ნაცნობისთვის ისევ საცხობის მეპატრონე ვიყავი, თანამშრომლებიდან მხოლოდ შოთამ იცოდა საიდუმლო. ამასობაში ანიასთან ურთიერთობა, ჩემი მხრიდან, სიყვარულში გადაიზარდა, თუმცა პირველი ნაბიჯი ანამ გადადგა, რომელიც ზამთრის ერთ საღამოს, ახალ წლამდე ათიოდე დღის წინ, ნაქირავებ ბინაში შემოვიდა.

ტიტრი – 15 წლის წინათ.

ანა: – ნიკ, არ გეჩვენება, რომ ძალიან ცივად მექცევი?

ნიკი: – რა?

ანა: – ექვს თვეზე მეტი გავიდა გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და ასეთი უყურადღებობა შენი მხრიდან, უკვე აუტანელია.

ნიკი: – სულაც არ ვთვლი, რომ შენ და ელისაბედს გულგრილად გეპყრობით.

ანა: – უგულო ხარ, როგორ შეგიძლია თქმა – „შენ და ელისაბედს“. ნუთუ განსხვავებას ვერ ხედავ დედასა და ჩემს შორის? ბოლოსდაბოლოს, მე ხომ არ გაკოცებ პირველად და ლოგინში ხომ არ ჩაგიხტები?

ნიკი: – ა, ამას გულისხმობ?

ანა: – აბა სხვას რას? ასეთი ქალი გვერდით გყავდეს, რომელზეც მთელი ქალაქი აფანატებს და არ შეამჩნიო?

ნიკი: – პირველი ნახვიდანვე „შეგამჩნიე“, ისე მომეწონე, ლამის სული გამძვრა.

ანა: – მერე და რა გიშლის ხელს? იქნებ მეც სული მძვრება შენი სიყვარულით.

ნიკი: – ანა, მომისმინე, ყველაფერში მესაკუთრე ვარ, რაც მიყვარს და მეკუთვნის, ვერავის გავუყოფ. თუ სერიოზული ურთიერთობა გსურს, უნდა გითხრა, რომ არათუ ღალატი, არამედ ოდნავი ყურადღება შეგამჩნიე სხვის მიმართ, ყველა ძვალს დაგიმტვრევ.

ანა: – სერიოზულ ურთიერთობაში რას გულისხმობ?

ნიკი: – ერთად ცხოვრების ხანგრძლივად, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება ქორწინებაში გადაიზარდოს.

ანა: – თანახმა ვარ, ვიღებ შენს ულტიმატუმს.

ნიკი: – ეს ულტიმატუმი კი არა, შეთანხმებაა. თან ძალიან სერიოზული. მისი დარღვევა, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს.

ანა: – და შენ თუ მიღალატებ?

ნიკი: – ეს გამორიცხულია და თუ მოხდება, შენს ნასროლ ტყვიას სიამოვნებით შევუშვერ შუბლს.

ანა: – მიყვარხარ, უღალატო სიყვარული ჩემი ოცნება იყო ყოველთვის.

ნიკი: – თუ ამისთვის მზად არ ხარ და ოდნავ მაინც ეჭვობ, მაშინ ისე მოვიქცეთ, როგორც სხვები: ერთი-ორი და ნახვამდის. ორივე მხარე სექსუალურად კმაყოფილია და არავითარი ვალდებულება ურთიერთშორის.

ანა: – არა, პირველი ვარიანტი მაწყობს. ქალი უნდა იყოს – ქალი და არა, სადგურის უნიტაზი.

ტიტრი – ახლანდელი დრო.

ნიკი: ასე დაიწყო ჩვენი ახლო ურთიერთობა, რომელიც დიდ სიყვარულში გადაიზარდა. თუმცა მაინც ვფრთხილობდი და ვასრულებდი ჩემი მამობილის დარიგებას: ვიდრე ადამიანს

ბოლომდე არ გამოცდი, ყველა საიდუმლო არ ანდოო. სწორედ იმან გადამარჩინა ბევრჯერ, როცა ადამიანები მღალატობდნენ. ანასთვის მე ისევ ერთი პატარა საცხობის პატრონად ვრჩებოდი, თუმცა ფინანსურ სიძნელეს აღარ განიცდიდა ეჭვი რომ არ აეღო, ათიათასი დოლარი ჩავურიცხე პირად ანგარიშზე და ვუთხარი, როგორც სურდა, ისე დაეხარჯა. ლამის მთელი წელი ვიცხოვრეთ სრულ იდილიაში. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემმა ფინანსურმა მდგომარეობამ პიკს მიაღწია. ფაქტობრივად, გუბერნატორთან ერთად ვინაწილებდი ძალაუფლებას. ყველაფერი კარგად იყო, წლის ბოლოს ზამთრის ცივ საღამოს, ევროპის ორკვირიანი მივლინებიდან დავბრუნდი. აეროპორტში შოთა დამხვდა და მანქანით გუბერნატორის სახლისკენ გავწიეთ, რათა მისთვის ვიზიტის ანგარიში ჩამებარებინა.

ტიტრი – 14 წლის წინათ.

შოთა საჭესთან ზის, ნიკი გვერდით.

შოთა: – ნიკ, იმედია ყველაფერი კარგად გაქვს.

ნიკი: – არ ვემდური ამ ჩემს ბედს. რაღაც უხასიათოდ მეჩვენები.

შოთა: – არაფერია, გამივლის.

ნიკი: – კარგად გიცნობ, ნუ თვალთმაქცობ.

შოთა: – შენმა ანამ ცელქობა დაიწყო.

ნიკი: – რა?

შოთა: – საყვარელი ჰყავს.

აქ ნიკი საყელოში სწვდა მეგობარს და შოთამ სასწაულებრივად შეძლო ავარიისთვის თავის არიდება.

შოთა: – შენ რა, გაგიჟდი? (და ნიკს სახეში ხეთქავს)

ნიკი: – გთხოვ, კიდევ ერთხელ დამარტყი.

შოთა კიდევ ლეწავს.

ნიკი: – კარგი, საკმარისია.

შოთა: – და ერთიც ხომ არ გნებავს?

ნიკი: – არა, მეყოფა. არა, არ დაქოქო, ვილაპარაკოთ. რა იცი?

შოთა: – ბევრი რამე, ანამ იცის, რომ დღეს ჩამოდიხარ?

ნიკი: – არა, მხოლოდ შენ და გუბერნატორმა იცით.

შოთა: – მაშინ, ხვალ არა და ზეგ, საკუთარი თვალით გაჩვენებ ამას და მის საყვარელს „საქმეში“.

ნიკი: – მოყევი, რაც იცი.

შოთა: – ანა და მისი კოლეგა პოლიკლინიკიდან, კვირაში სამ დღეს, სასტუმრო „სამხრეთის ვარსკვლავში“, 506-ე ნომერში ხვდებიან და ღამეს ერთად ატარებენ. თუ სურვილი გაქვს და გუბერნატორთან ერთი საათი დააგვიანებ, ზეგამდე მოცდა აღარ დაგჭირდება. ახლაც იქ არიან.

ნიკი: – მიმიყვანე იქ.

მანქანა სასტუმროსთან ჩერდება. ბიჭები სასტუმროში შედიან. ღამის მიუხედავად, ჰოლში უამრავი ხალხი ირევა. სასტუმროს თანამშრომელს გაიყოლებენ და ლიფტში შედიან. თანამშრომელი 506-ე ნომრის კარს უღებს და შუქს ანთებს. ნიკის თვალწინ შიშველი სექსის სცენაა გამართული.

ნიკი: – ოჰ, შე ბოზო!

და თმაში სწვდება ანას. ისე გამოქაჩავს, ლამის თავს წააწყვეტს. მერე კი ორჯერ მძლავრად ჩაარტყამს სახეში. უარესად მოექცევა მის საყვარელს, რომლისგანაც ცოტა ხანში, რაღაც უფორმო, სისხლიან ხორცის მასაღა რჩება.

ანა: (მუხლებზე დახოხავს) – ნუ მომკლავ, გემუდარები.

ნიკი წიხლს ჩააზელს სახეში და გადის. შოთა კი სასტუმროს თანამშრომელს ურჩევს სამედიცინო პერსონალს გამოუძახოს. ნიკი და შოთა კიბეებზე ჩამოდიან.

ნიკი: ამაღამ საგუბერნიო ბინაში დავრჩები, ახლა კი გუბერნატორთან.

ტიტრი – ახლანდელი დრო.

ნიკი: – ანა და იური, იმედია ის ღამე სამუდამოდ დაგამახსოვრდათ.

იური: – რა დამავიწყებს, ერთი თვე ვიწექი საავადმყოფოში

და კიდევ ორი, რეაბილიტაციისთვის დამჭირდა.

ანა: – მე ათიოდე კბილს გამოვემშვიდობე და ძლიერი ტვინის შერყევა დამიფიქსირეს, ორი კვირა ვიწექი კლინიკაში, თუმცა თავის ტკივილები დღემდე არ მანებებს თავს.

მართა: – როგორ შეგეძლოთ, ანა, მისი ღალატი. მას ხომ ასე ძალიან უყვარდით?

ანა: – მართალი ხარ, ჩემო ლამაზო, თუმცა ჩემი ღალატით შენ იხეირე, რომ არ მეღალატა, ამ სახლის დიასახლისი ახლა მე ვიქნებოდი.

ნიკი: – არასოდეს! არასოდეს შეადარო შენი ბინძური ცხოვრება ამ ანგელოსს. ბოზი და გათახსირებული ვერასოდეს იქნება ამ სახლის დიასახლისი.

ანა: – ბოდიშს გიხდით.

ნიკი: – თუმცა ანას ეს ღალატი არაფერია იმასთან შედარებით, რაც მან მოგვიანებით ჩაიდინა. კლინიკიდან ორი კვირის შემდეგ სახლში დაბრუნდა. ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა მე ნაქირავებ ბინაში დავხვდი. ჩემთან შეხვედრა ვერ გაბედა, თუმცა შურისძიება გადაწყვიტა. მეორე საღამოს თავისი ორი ბოზანდარა დაქალი დაპატიჟა სახლში ქმრებთან ერთად.

7.

ტიტრი – 14 წლის წინათ.

ტელეფონი რეკავს ნიკის ნაქირავებ ბინაში.

ნიკი: – გისმენთ. საღამო მშვიდობისა, ქალბატონო ელისაბედ, არ მინდა ანას ნახვა. მეზიზღება. ვინ? კარგი, ცოტა ხანში შემოვალ.

ნიკი თავისი ბინიდან გამოდის და ანას კარზე ზარის ღილაკს აწვება. კარს ელისაბედი აღებს – მობრძანდით.

შედის ბინაში. ელისაბედი კი სასტუმრო ოთახში შეუძღვება, სადაც გაწყობილ სუფრას ორი წყვილი უზის. ანა ფანჯარასთან დგას ჩალურჯებული სახით. ნიკი შეჩერდება და სტუმრებს მიესალმება. ისინი დუმილით ხვდებიან.

– ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, – დამცინავად ეუბნება მათ და წასასვლელად შებრუნდება.

– მოიცათ, ყმაწვილო, – ეუბნება ერთ-ერთი მამაკაცი, ათლეტური ტანით და უხეში, მაგრამ სიმპათიური სახის ნაკვთებით.

– დიახ, – შემობრუნდა ნიკი.

– მოქცევის მანერას ვერ შეგიქებთ, – ამბობს მეორე, ოდნავ დაბალი და შესამჩნევად გამელოტებული.

– გისმენთ, – პასუხობს ნიკი.

– პირიქით, ჩვენ გისმენთ.

– ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით-მეთქი, გითხარით, – ირონია გაურია ნიკმა.

– ჩვენ იგივეს ვერ ვიტყვით, – თქვა მელოტმა.

– ეგ ნაკლებად მაინტერესებს, – ისევ შებრუნდა ნიკი.

– გითხარი, მოიცადეთ-მეთქი, – წამოდგა ათლეტური.

– მოვიცადე, მერე?

– ქალების ცემა დიდი ხანია ხელობად გაიხადე? – ეკითხება მაღალი.

– ვის ვესაუბრები?

– ბორისი დამიძახეთ.

– ბატონო ბორის, ქალები არ მიცემია.

ბორისი: – აბა ეს რა არის? (თითით მიუთითა ანაზე).

ნიკი: – მაგ გაურკვეველი წარმოშობის ცხოველზე მეკითხებით?

ბორისი: – რა?

ნიკი: – ეგ ქალი არ არის. ეგ პირუტყვია, გზასაცდენილი ნაბიჭვარი და ბოზი. ასეთები ჩემგან დანდობას ნუ ელიან.

მელოტი: – მოერიე ქალს? იცი, რა გელის ამისთვის?

ნიკი: – შენ თუ იცი რა გელის ბოზის დაცვისთვის?

მელოტი: – იცი, მე ვინ ვარ?

ნიკი: – არა და არც მაინტერესებს.

მელოტი: – ამ ქალაქის პროკურორის თანაშემწე ვარ.

ნიკი: – მხოლოდ თანაშემწე? თუმცა შენთვის ალბათ ეს ჭერია. პროკურორი ვერასოდეს გახდები.

მელოტი: – ბორის ჩააყუდე ეს არამზადა სადაც საჭიროა. უკვე ძალიან მაღიზიანებს.

ნიკი: ეი, თანაშემწევ, აგიხდა ჩემი ნათქვამი. პროკურორობას კი არა, აგერ, ჩემს თვალწინ თანაშემწეობასაც კარგავ.

ბორისი: – რა თქვი?

ნიკი: – ხელების გარეშე ბორია. იქნებ შენი თანამდებობაც მითხრა.

ბორისი: – მე ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილე ვარ და შენი გაფუჭება ჩემთვის აი, ამ არყის დალევაზე უფრო იოლი საქმეა (თან არაყს გადაკრავს).

ნიკი: – მგონი, შენც მალე გაფუჭდები ბორია.

ბორისი: – ოჰ, შე საცხობის ვირთხავ.

და ორი მამაკაცი ნიკს შეება. ზუსტად ნახევარ წუთში თავდამსხმელები ძირს ეყარნენ და მიყენებული ტკივილებისგან იკლაკნებოდნენ.

ნიკი: – კიდევ ერთი ზედმეტი სიტყვა ან მოძრაობა და აგზილავთ ერთმანეთში.

ბორისი: – ანა, ვასილის დაურეკე. მოვიდეს თავისი ბიჭებით.

ანა დგას.

ნიკი: – ანა, რა ჯიუტი ვირივით დაერჭე. მიდი, ბოლომდე გაბოზდი და გათახსირდი. დაურეკე ვასილის და მოათრიე, ბარემ, ყველას ერთად გიხმართ. თქვენ კი ცოლებო, მიხედეთ ქმრებს, სისხლი მაინც მოწმინდეთ.

ამასობაში ანა გადის.

ნიკი: – ქალბატონო ელისაბედ, თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, თქვენც ღებულობთ ამ კომედიაში მონაწილეობას?

ელისაბედი: – ვერ გავიგე შეკითხვა.

ნიკი: – უეჭველია, ესენი ჩემს დასჯას აპირებდნენ. თქვენ ეხმარებოდით თუ გამოგიყენეს? თქვენ რომ არ დაგერეკათ, აქ არ შემოვიდოდი.

ელისაბედი: – არ ვიცოდი, თუ ჩხუბს აპირებდნენ. მითხრეს, რომ შენთან საუბარი უნდოდათ და იმის გარკვევა, ანა რატომ სცემე.

ნიკი: – თქვენ ხომ იცით სიმართლე, არ მოუყევით?

ელისაბედი: – არც კი მომისმინეს. ადრეც გითხარით და გიმეორებთ, ყველაფერი ჩემი შვილის ბრალია. ასეთ კაცს რომ უღალატებ, უნდა ზღო კიდეც. ნიკიმ ყველაფერი მისცა ანას – სიყვარული, სიმდიდრე, სითბო. ერთგული იყო. ამან კი იურასთან სიყვარული გააჩაღა, იმ საცოდავ ნაკაცართან.

ერთ-ერთი ქალბატონი, სანდომიანი და ფუნჩულა, რომელიც ბორისს შველის, ამბობს:

– ქალი ტყუილად არასდროს ღალატობს, ეტყობა ამ ვაჟბატონმა რაღაც დაუშავა ჩვენს ანკას.

ანა (შემოდის): – არა, ალიონა, ნიკს არაფერი დაუშავებია, პირიქით, სრულყოფილ ქალად მაქცია და ნამდვილი ბედნიერება მომიტანა. ჩემი ბრალია.

ალიონა: – არ მჯერა, რაღაც მიზეზი გექნებოდა.

ანა: – ჩემი ბრალია-მეთქი, წყნარი ცხოვრება არ შემიძლია, თავგადასავლები მიყვარს.

მეორე ქალბატონი, რომელიც მუნდშტუკში გარჭობილ სიგარეტს აბოლებდა და ქმრისთვის, პროკურორის თანაშემწისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ნიკისკენ შებრუნდა: – მაგარი კაცი ყოფილხარ, როგორ იოლად გაუსწორდი ამათ. ლოგინშიც ასეთი მხეცი ხარ?

პროკურორის თანაშემწე: – ჰეი, ალა, გააფრინე? უმჯობესია მომხედო, ვიდრე მაგის ასოს სიგრძე არკვიო.

ბორისი: – ეგ ანას ჰკითხე, მაგას ეცოდინება.

ანა: – გითხარით, ქალად ვიგრძენი თავი-მეთქი.

ნიკი: – ანა, თავიდანვე შევთანხმდით, თუ მიღალატებ, ყველა ძვალს დაგამტვრევ-თქო. ამიტომ უარესი წინ გელოდება.

ელისაბედი: – ღირსიც იქნება.

ამ დროს კარზე ზარია.

ანა: – ახლა ვნახავთ, ვის დაუმტვრევენ ძვლებს.

კარისკენ გარბის. სასტუმრო ოთახში ექვსი, შავფორმიანი სპეცრაზმელი შემოდის.

ბორისი: – დააპატიმრეთ ბიჭებო, პოლიციას და პროკურა-

ტურას წინააღმდეგობა გაუწია.

ყველას გასაკვირად, სპეცრაზმის უფროსმა ბორისს ჩაავლო ხელი საყელოში და დაიძახა: – ამათ, ორივეს, ხელბორკილი დაადეთ!

თავად კი ნიკს გამოეჭიმა, მხედრულად მიესალმა და შესძახა – რას გვიბრძანებთ, ბატონო მაიორო?

ნიკი: – თავისუფლად ბიჭებო, წადით და დაისვენეთ. ეს ორი ნაგავი კი აქვე დატოვეთ, ოღონდ ბორკილები მოხსენით. თქვენ კი გაწეული სამსახურისთვის მადლობას მოგახსენებთ.

სპეცრაზმელებმა უხმოდ დატოვეს ბინა.

ელისაბედი: – ასეთ კაცს რომ ქალი ვერ შეირგებს, ის მართლაც პირუტყვია და ალქაჯი. ანა, უკანასკნელი ბოზი და გათახსირებული ხარ, როგორ შეგეძლო სპეცრაზმის გამოძახება? ღუპავდი ამ ოქროს ადამიანს? ნიკ, ძვირფასო, გვაპატიე, ყველას გვაპატიე, გთხოვ.

ნიკი: – კარგი, ასე იყოს, ელისაბედ, თავს ნუ იმცირებთ. თქვენ საპატიებელი არაფერი ჩაგიდენიათ.

ელისაბედთან მიდის, ლოყაზე მოწიწებით კოცნის და სტუმრებს მიუბრუნდება: – თქვენ კი განაგრძეთ, ბიჭებო, ოღონდ სხვა დროს ფრთხილად იყავით. კონტროლზე მეყოლებით და ვაი თქვენ, თუ რამე შეცდომას დაუშვებთ. მშვენიერ ქალბატონებს კი ბოდიშის გიხდით იმ აურზაურისთვის, რაც აქ მოვახდინე. შენ კი ანკა, გულწრფელად გირჩევ და ერთი თვის ვადას გაძლევ, იმ შენს იურას გაჰყევი ცოლად, თორემ დანაპირებს შეგისრულებ. ახლა კი კარგად ბრძანდებოდეთ! სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. დიდი ხანია ასე კარგად, დრო არ გამიტარებია.

8.

ნიკი: – იმ ღამით კიდევ ერთი შეხვედრა მელოდა. როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ და მეც დასაძინებლად გავემზადე, ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა. კარი გავაღე. ანა იყო.

ანა: – რატომ მაიძულებ იურას გავყვე ცოლად?

ნიკი: – იმიტომ, რომ ნახოს და იგრძნოს, რას ნიშნავს, როცა ბოზი, ძუკნა გიწევს გვერდში.

ანა: – იურა ფეხებზე მკიდია, მე რას მივიღებ ამ ქორწინებით?

ნიკი: – შენ? ჩემი საყვარელი გახდები ისევ, ეს ერთგვარი შურისძიება იქნება ჩემი მხრიდან.

ანა: – თანახმა ვარ, თუ შენთან დავბრუნდები, თანახმა ვარ.

ნიკი: – ნუ შეფრთხიალდები. შენ ჩემთვის ძველი და საყვარელი ანა არასდროს იქნები, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც სპეცრაზმი გამოიძახე. ჩვეულებრივი, ოცდოლარიანი პროსტიტუტკა ხარ და ამ ნიხრით გადაგიხდი. ახლა კი აახვიე და ვიდრე იურასთან ერთად საკურთხეველს არ გაივლი, აღარ დამენახო.

ანა მიდის.

ნიკი: – თითქოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. შური ვიძიე და წინ კიდევ ჩემი განცდილის გამო, სრული სულიერი და ფიზიკური დაკმაყოფილება მელოდა, მაგრამ თავს მაინც ვერ ვგრძნობდი კარგად. სინდისმა შემახსენა თავი და ის ღამე თეთრად გამათენებინა მამობილის ერთი ნაცნობი მეტყეევე გამახსენდა. მისი საოცარი ისტორია.

ტიტრი – 25 წლის წინათ.

ლოგინში წვანან და იღვიძებენ. სახლი ტყის პირასაა, ორსართულიანი ხის, ძალიან ლამაზი ეზოც ხის ღობითაა შემოსაზღვრული. ორი ცხენი აბია ფარდულთან და კბილალმასა ძაღლი დინჯად გადი-გამოდის.

– დარია, დაგვთენებია თავზე, – იზმორება 45 წლამდე კაცი და ცოლს შუბლზე კოცნის.

ქალი გვერდს შეიბრუნებს და ძილს აგრძელებს.

ცოტა ხანში თოფაკიდებული კაცი გამოდის და ცხენზე ჯდება. ტყეში ღრმად შედის და გზას ფეხით აგრძელებს, ცხენი უკან მიჰყვება ხმაური შემოესმებათ. ცხენმა კაცზე ადრე იყნოსა საფრთხე და ყურები დაცქვიტა. კაცმა თოფი ჩამოიღო,

მაგრამ გვიან იყო. ვიღაცამ რევოლვერის ლულა მიადო ყურზე და: – არ გაინძრე ვლას, თორემ გაგათავებ!..

ვლასი: – წადი, შენი!..

და წინ, კიდევ თოფის ლულა მიადეს შუბლზე. დანარჩენი კი უცებ მოხდა. ხელები უკან გაუკრეს, ყელზე თოკი მოაბეს და თავისსავე ცხენს გამოაბეს უკან. ცოტა გზა გაიარეს და ყაჩაღებს კიდევ ორი შეემატათ.

ნიკი: – ვლასი ყაჩაღებმა მიუვალ მთაში, თავიანთ სოფელში წაიყვანეს და მონასავით ამუშავებდნენ. ექვსი თვე არაადამიანურ ტანჯვაში იყო. ერთ ღამეს კი სოფელს სახელისუფლებო რაზმი დაესხა, რათა ამათი თავნებობა აღეკვეთათ. არეულობაში და გამაყრუებელ ბათქა-ბუთქში ვლასი საკუთარ ცხენს მოახტა და გააჭენა. სოფლიდან გასვლისას ცხენს ბრმა ტყვია მოხვდა და იმსხვერპლა. ვლასიმ ადამიანივით დაიტირა საყვარელი ცხოველი და ვიდრე გზას დაადგებოდა, უნაგირზე მიბმული პატარა ჩანთა შენიშნა, ჩამოხსნა და გახსნა. ჩანთიდან მთვარის შუქზე ალმას-ბრილიანტებმა შემოანათეს, იქვე ათამდე სხვა პასპორტთან ერთად, მისი პასპორტიც აღმოაჩინა. ვლასმა ქალაქამდე მიაღწია. თავი წესრიგში მოიყვანა, უზარმაზარი ჯიპი იყიდა, ათამდე სხვადასხვა მარკისა და კალიბრის იარაღი ჩადო შიგ და თავისი სოფლისკენ გაემგზავრა. ეჩქარებოდა საყვარელი მეუღლის ნახვა. გზად პატარა ქალაქი უნდა გაევლო და იქ საგზაო რესტორანში შეიარა. ის იყო მაგიდას მიუჯდა და ვიღაც ახმახმა მხარზე დაჰკრა ხელი.

– ვიცოდი, ძაღლის შვილი ვიყო, ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავი. შენ რა მოგკლავს, – აშკარად გახარებული იყო ახმახი.

– ანდრეი, – მეტის თქმა ვეღარ მოახერხა და ახმახს გადაეხვია.

– ერთი ამბავი კი ატყდა, როცა გაქრი, მაგრამ მე მჯეროდა, რომ ამ ქვეყნად ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს. დარიასაც ბევრი ვემუდარე, მოუცადე, ვლასი დაბრუნდება-მეთქი, მაგრამ ყური არ მიგდო.

– სად წავიდა დარია? – ელდა ეცა ვლასს.

– სად წავიდოდა, კაცი მიიყვანა სახლში, ორი თვეც არ მოიცადა.

– რა კაცი, ვინ კაცი?

ანდრეი: – სოფლის ფერშალი, ის ვიგინდარა და მათხოვარი, შენ რა? არ იცოდი?

ვლასი: – ანდრეი, ძმურად გთხოვ, ორი დღე არავის უთხრა, რომ მნახე.

ანდრეი: – კარგი ძმაო, რა პრობლემა!

ვლასი გამოვიდა გარეთ, მანქანა დაქოქა და რატომღაც ადგილობრივ თეატრში მივიდა...

საღამო ხანს წვერ-ულვაშ-ბლანჟე მიწებებული და წითელთმიანი პარიკით „დამშვენებული" ვლასი, საკუთარ კარმიდამოს მიადგა და გრძელი სიგნალი მისცა. დარიას ახალი ქმარი ჭიშკართან მოვიდა. ვლასი მანქანიდან გადმოვიდა.

ვიქტორი: – (ფერშალი) რაშია საქმე?

ვლასი: – (უცნაური ხმით) მომისმინეთ, ბატონო, აქ ბუნებაში სახეტიალოდ ჩამოვედი. თქვენი სახლი და ეზო ძალიან მომეწონა. ტყეც ორ ნაბიჯზეა. თუ კარგად გადავიხდი, შეძლებთ ჩემთვის სასტუმროს მინიმალური პირობების შექმნას?

ვიქტორი: – დღე-ღამეში 300 დოლარი დაგიჯდებათ, თუ ფული გაქვთ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. შეგიძლიათ მანქანა ეზოში შემოიყვანოთ.

ვლასი: – თუ ტყეშიც გამომყვებით, 50 დოლარსაც დაგიმატებთ.

ვიქტორი: – (ჭიშკარს აღებს) დიდი ხნით დარჩებით?

ვლასი: – ათი დღით.

ვიქტორი: – შესანიშნავია.

ვლასმა მანქანა ეზოში შეიყვანა. ვიქტორს ძაღლის საქციელი გაუკვირდა, რომელმაც იმდენი სიყვარული გამოიჩინა ნამდვილი პატრონის მიმართ, რომ კინაღამ გასცა იგი. ვახშამზე ვლასმა უარი თქვა და ზემო სართულში, მისთვის გამოყოფილ ოთახში განმარტოვდა. დაღლილობა მოიმიზეზა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ არ უნდოდა დარიას ეცნო იგი...

შუაღამისას კი, როცა მასპინძლებიც დაწვნენ და გულაღმა გადმობრუნებულ დარიას, ფერშალი ვიქტორი ზემოდან დააწვა და ააკვნესა, ვლასმა მოქმედება დაიწყო. ფრთხილად ჩამოვიდა პირველ სართულზე და საწოლი ოთახის კარი შეაღო, თოფის ლულა დარიაზე ამხედრებულ ვიქტორს კეფაზე მიადო და მეორე ხელით, იქვე კედელზე ჩასმული ღილაკიდან შუქი აანთო. ვინაიდან ხელოვნური თმა და წვერი მოშორებული ჰქონდა, სიამოვნებისგან თვალმიხუჭულს დარიას ისე გაუფართოვდა თვალები, კინაღამ გადმოუცვივდა, ამოიღმუვლა და გაშეშდა. დედიშობილა ვიქტორი კი წამოხტა, აქეთ-იქით დარბოდა, მერე თავით გაანგრია ფანჯარა, მალაყებით გაიარა ეზო, ჭიშკარში ძლივს გაეტია და ტყეში გაუჩინარდა. ვლასიმ კი გაქვავებულ დარიას დახედა: – ჩაძაღლებულა! – ეს თქვა და ეზოში გამოვიდა...

ტიტრი – ახლანდელი დრო.

ნიკი: – იმ ღამით, როცა ანა და მისი მეგობრები გავაბითურე, სწორედ ვლასი გამახსენდა. მეც ისეთივე ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამეუფლა, როგორც ვლასს, რომელმაც საკუთარი კარმიდამო მეორე დღესვე სახელმწიფოს აჩუქა და იმ სოფლიდან სამუდამოდ წავიდა.

მართა ფეხზე ადგა, ნიკს ჩაეხუტა და ცრემლმორეულმა უთხრა: – როგორ დატანჯულხარ ჩემო ძვირფასო, რა გულმა გაუძლო ისეთ განსაცდელს. თქვენ ორს, როგორ შეგეძლოთ ასეთი ღალატის ჩადენა? ღმერთის არ გეშინოდათ? ნიკ, გებრალებოდეს ისინი, ნიკ, აპატიე მათ. ესენი, საცოდავი ადამიანები არიან და იმდენად ცოდვილები, ზიზღზე მეტად შებრალებას იმსახურებენ.

ნიკი: – ანა, ახლა ქალაქში, ჩემს ერთ-ერთ ბინაში წაგიყვანენ. იქ ყველაფერი გექნებათ, რაც საჭიროა. ვიდრე გადავწყვიტავ, როგორ დაგეხმაროთ და მოგაბრუნოთ ცხოვრებისკენ, იქ იცხოვრებთ.

ანა: – დიდი მადლობა, ახლა ვხვდები ნიკ, რატომ გიყვარს თავდავიწყებით მეუღლე, მართლა საოცრებაა ეს გოგო.

ანა და იური ქვემოთ ჩადიან და მანქანაში სხდებიან. მიდიან.

ნიკი: – ჩემო ძვირფასებო, ერთი ხანია, თითქოს ზმანება მაქვს.

სიმამრი: – აბა, როგორ?

ნიკი: – თითქოს ჭიშკარი იღება. ეზოში თეთრი მანქანა შემოდის. კარი იღება და იქედან თეთრებში ჩაცმული ქალი ჩამოდის. რაღაცნაირად შემიტოკდება გული. ვგრძნობ, რომ ის ჩემთვის უძვირფასესი ადამიანია და უცებ, ქრება. ვერ ამიხსნია, რა არის ეს.

ნიკს მობილურზე ურეკავენ.

ნიკი: – ხო, სოფი, მახსოვს იურიდიული სამსახური გამოიძახე მხოლოდ. ერთ საათში მოვალ, კარგი? (ტელეფონს თიშავს). ოფისში მივდივარ, სადილზე არ დამელოდოთ. ოჰ, ეს რა არის? (პიჯაკის ჩაცმისას ჯიბეში კოლოფს პოულობს). მართა, ეს რამ დამავიწყა? ამ ათი დღის წინ გიყიდე, მას შემდეგ ეს პიჯაკი აღარც ჩამიცვამს, ახლა კი შებრუნდი და თვალები მაგრად დახუჭე. აი, ასე! – კოლოფიდან საოცარი, იუველირული დიდოსტატობით შექმნილ ყელსაბამს იღებს და თვალდახუჭულ და ზურგშექცეულ მართას ყელზე უკეთებს და სიდედრს მიმართავს: – არა! ჩემი ცოლი ყველაფერს უხდება, შეხედეთ და დატკბით.

მართა: – მადლობა, ძალიან გამახარე (და ლოყაზე კოცნის).

ნიკი ეზოში ჩადის და მანქანაში ჯდება, უკანა სავარძელზე. გვერდით შოთა უზის, რომელიც მძღოლს გასძახებს – წავედით.

ნიკი: – ჩემს ახლობლებთან წარსული გავიხსენე და თითქოს, გულზე მომეშვა.

შოთა: – ყველაფერი ჩამოკაკლე?

ნიკი: – არა, არის რაღაცეები, რომელიც არ მინდა მართას მოვუყვე, მით უმეტეს, როცა ფეხმძიმედაა.

შოთა: – თუ ელისაბედთან ურთიერთობა გაქვს მხედველობაში, არ ღირს მოყოლა. უბრალოდ, დაივიწყე, მით უმეტეს, ლამის თხუთმეტი წლის წინ იყო.

ნიკი ისევ მოგონებებში ჩაიძირება...

ელისაბედი შედის ნიკთან, რომელიც მაგიდასთან ზის და რაღაც ქაღალდებში იქექება.

ელის: – ჩვენთან რატომ აღარ შემოდიხარ?

ნიკი: – არ მინდა ახალდაქორწინებულთ ხელი შევუშალო.

ელის: – ისინი იშვიათად არიან შინ.

ნიკი: – ბევრი საქმე მაქვს, მითხარით რა გნებავთ?

ელის: – ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით.

ნიკი: – თქვენი ბედი, რომ სისხლის მოყვარული არ ვარ, თორემ ახლა სიძე-ქალიშვილი საფლავში იწვებოდნენ.

ელის: – მაგათზე არ გეუბნები, მე და შენ დავუშვით შეცდომა.

ნიკი: – რას გულისხმობ?

ელის: – არ უნდა დამეთმო შენი თავი ჩემი ბოზანდარა შვილისთვის, მე უფრო შესაფერისი ვიქნებოდი შენთვის.

ნიკი: – ეს არ არის ცუდი იდეა, თან შენ ერთგულიც იქნებოდი.

ელის: – აბა, რა!..

ნიკი: – ეს არც ახლაა გვიან.

და ელისაბედს დაეძგერა.

ელის: – ახლა არა...

ნიკი: – ახლა მინდა მე.

და ერთ სულ, ერთ ხორც... სექსუალური აქტი პირდაპირ მაგიდაზე შესრულდა.

ელის: – უფრო მაგარი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა. ასეთი რამ არავისთან მიგრძვნია.

ნიკი: – ბევრი გყავდა?

ელის: – სულ ოთხი, შენ მეხუთე ხარ, მაგრამ სხვებთან შედარებაც კი არ შეიძლება.

ნიკი: – თუ მოგეწონა, შეგვიძლია საწოლში გავაგრძელოთ.

ელის: – ასე უცებ... შეგიძლია კიდევ?

ნიკი: – შენ არ იცი რამდენჯერ შემიძლია, საწოლი ოთახისკენ ნაბიჯით იარ!

კიდევ ერთხელ ერთ ხორც... მორჩნენ, ლოგინში წვანან.

ელის: – პარასკევ საღამოს კლინიკაში სარვამარტო კორპორატიული გვაქვს, იქნები ჩემს გვერდში?

ნიკი: – უსათუოდ.

ელის: – ჩემისთანა ბებერთან საზოგადოებაში გამოჩენა არ შეგრცხვება?

ნიკი: – პარასკევს ისეთ ფორმაში მოგიყვან, საღამოს სილამაზის დედოფალი იქნები... სად არის კორპორატიული?

ელის: – ქალაქგარეთ, სასტუმრო „ნაძვებში“.

სასტუმრო-რესტორანი „ნაძვები“ ყველა თანამედროვე ატრიბუტითაა აღჭურვილი და ულამაზესი, ერთ ზომაზე გაზრდილი ნაძვების გარემოცვაში მდებარეობს. მხიარულება ახალი დაწყებულია და ხალხის დინება არ წყდება. თანამშრომლები სიხარულის ყიჟინით ხვდებიან ახალი კოლეგების გამოჩენას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თეთრი „როლს-როისი“, რომელიც ზედ საპარადო შესასვლელთან ჩერდება. მძღოლი და წინ მჯდომი მანქანიდან გადმოდიან და გემოვნებით ჩაცმულ ნიკის და ელისაბედს კარს უღებენ. წყვილი ხელმკლავით, ლამის ჩახუტებული შედიან დარბაზში. სხვებმა კი არა, ამ საღამოზე ადრე მოსულმა, ანამ და იურიმაც ვერ იცნეს უცებ ელისაბედი, რომელიც ქალაქის საუკეთესო მოდელიორების, მასაჟისტების, ვიზაჟისტების და მათ მსგავსთა მაღალმა პროფესიონალიზმმა ნამდვილ მზეთუნახავად აქცია და როცა საზოგადოება დარწმუნდა, რომ ეს ეფექტური ქალბატონი, ექიმი ელისაბედი იყო, აყიჟინდა და ტაში დასცხო. ბედნიერებისგან ოდნავ ფეხარეული ელისაბედი ნიკს მიეკრა და ყურში უჩურჩულა – გამაცოცხლე. ამ საღამოსთვის სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები.

ტიტრი – ახლანდელი დრო.

ნიკი: – მაინც მაგარი რეგვენი ვიყავი მაშინ.

შოთად – მართალი ხარ, იმ გათახსირებულ დედა-შვილთან თამაში, კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის.

ნიკი: – რომ არა შენი გამჭრიახობა, მკლავდა ის ბებერი ალქაჯი.

შოთად – დიდხანს ვყოყმანობდი, მეგონა მართლა უყვარდი. მერე ვიფიქრე, ქალია მაინც, თან მისი ყოფილი საყვარელი ძალიან მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს და როცა მაცნობეს, რომ პატიმრობიდან გათავისუფლდა, ლოგიკურ დასკვნამდე მივედი. აუცილებლად მოისურვებდა ყოფილ საყვარელთან შეხვედრას, ამიტომ, დავიწყეთ მისი ტელეფონის მოსმენა. ორიოდე კვირის შემდეგ კი მართლაც დაურეკა ელისაბედს, ამის შემდეგ კი ჩემი ბიჭები თითოეული მათგანის ყველა ნაბიჯს ვაკონტროლებდით.

ნიკი: – მე არ ვიცოდი ამის შესახებ, მხოლოდ ბოლოს დამაყენეთ ფაქტების წინაშე.

ტიტრი – 13 წლის წინათ.

ელისაბედი საკუთარ სამზარეულოში ტრიალებს, სახლის ტელეფონი რეკავს, ყურმილს იღებს და უსმენს.

– რომელი ხარ: მიხეილ, ჩემო ძვირფასო, საიდან გამომეცხადე? არა, მიშა, რა დამავიწყებს შენს თავს?! ჩემი ნამდვილი სიყვარული შენ ხარ... სად მოვიდე? არა, ჩემთან არ შეიძლება... რომ შეგხვდები, გეტყვი... არა, მიშა, კაცი მყავს, ცხოვრება ხომ მინდა? მილიონერი არ არის, მაგრამ ფული საკმარისად აქვს... არა, მიშა, სხვა რამე მინდა, მეზიზღება, ლამის მოგვიკლა ჩვენი ანიჩკა, ისე სცემა... გათხოვდა. ქმარიც ექიმი ჰყავს, იურიჩკა კარგი ბიჭია... სწორედ მაგასთან წაასწრო ამ არამზადამ და ორივე კინაღამ სიკვდილამდე მიიყვანა... სად მოვიდე, ჩემო სიცოცხლევ? ვიცი ეგ კაფე... გადავიცვამ და მოვრბივარ...

შოთა (ნიკს): – შეხვდნენ ერთმანეთს, დიდი გრძნობით მოიკითხეს, ცოტა იტირეს კიდეც.

მიშა: – ახლა საქმეზე. შენს ახალ რჩეულს ნიკი ჰქვია, ხომ? ფულს რითი შოულობს?

ელის: – საცხობი აქვს ჩვენს უბანში, ბუზივით ეხვევიან კლი-

ენტები და კარგად შოულობს.

მიშა: – დახარჯვა უყვარს?

ელის: – ჩემთვის არაფერი ენანება.

მიშა: – თუ ფული აქვს, შევაწერთ.

ელის: – არ შეიწერს, მგონი ორმაგ ცხოვრებას ეწევა. ერთხელ, მაგისგან შეწუხებულმა ანიამ სპეცრაზმი გამოიძახა, მისი ახლობლის მეგობრის მეთაურობით, მაგრამ ნიკს ხელიც არ ახლეს, პირიქით, რას გვიბრძანებთ ბატონო მაიოროო, ასე უთხრეს.

მიშა: – ჩემო ლამაზო, შენს მიშას მაიორები კი არა, პოლკოვნიკები უხტუნებია თავის დაკრულზე, მაგასაც მივხედავთ...

ელის: – მიხედვა კი არა, მისი მოკვლა მინდა. ეს უნდა შეძლო, ის ჩემი მდგმურია და ფული ჩვენ დაგვრჩება. დარწმუნებული ვარ, სახლში აქვს.

მიშა: – რა იცი?

ელის: – სეიფი აქვს? აბა, რად უნდა?

მიშა: – მართალი ხარ, მაგრამ არ იქნებოდა ცუდი, შეგვემოწმებინა.

ელის: – საქმე საქმედ, მაგრამ რა შევუკვეთო?

მიშა: – ახლა არაფერი, ჯერ მოვრჩეთ საქმეებს და მერე... სიფრთხილეა საჭირო. ჯერჯერობით, სატელეფონო კავშირზე გადავიდეთ.

ელის: – მაგრამ მე მინდიხარ, მიშა!..

მიშა: – ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ამიტომ მინდა გითხრა ის საიდუმლო, რომელიც არავისთვის გამინდვია. პატიმრობიდან გაქცევა ვცადე და მესროლეს, ჩემდა სავალალოდ, უადგილო ალაგას მოხვედრილმა ტყვიამ მამაკაცობა დამაკარგვინა.

ელის: – ანუ იმის თქმა გინდა, რომ...

მიშა: – ხო, ჩვენ ვეღარ ვიჟიმავებთ, თუმცა ეს ხომ არ არის მთავარი.

ელის: – აბა, ამის გარეშე რა ოჯახი გვექნება, მიშა?

მიშა: – ქალიშვილი გვყავს, სიძე, შვილიშვილები გვეყოლება, საქმის მეტი რა გვექნება. თუ კაცი მოგინდება, გაიჩინე ვინმე,

წინააღმდეგი არ ვარ, მთავარია, ერთად ვიყოთ. მთავარია, შენი საძულველი ადამიანი გავისტუმროთ საიქიოს, რას იტყვი, თანახმა ხარ?

ელის: – ოცი წელია შენს ჭკუაზე დავდივარ და კიდევ ბევრი წელი ვივლი. შევთანხმდეთ, ახლა კი წავალ და ზარს დაველოდები.

ელისაბედი მიდის. მიშასთან კი მეზობელი მაგიდიდან წამომდგარი ორი ახმახი მიდის.

მიშა: – უკან გაყევით და კარგად დაიმახსოვრეთ, სად წავა და ვის შეხვდება. დღეიდან მაგ ქალის ბინას უთვალთვალეთ, მაგის ყველა ნაბიჯი უნდა ვიცოდეთ.

შოთა (ნიკს): ძალიან მაგარი იყო, ეს ორი მუტრუკი, ელისაბედს უთვალთვალებდა, ჩემი ხალხი კი მათ, თან ტელეფონითაც ვუსმენდით. მოსახდენი კი იმაზე ადრ მოხდა, ვიდრე ვვარაუდობდი.

10.

ელისაბედი და მიშა ქალაქის პარკში ხვდებიან.

მიშა: – გამომართვი, აქ ათი აბია. კარგად გაციებულ, გამაგრილებელ სასმელში ჩააგდებ ერთს, თავისით გაიხსნება ოციოდე წამში. დღეგამოშვებით, საღამოს დაალევინე.

ელის: – მოკლავს?

მიშა: – აბა, რა?! მეათეს რომ დალევს, ერთი კვირის მერე თავს სუსტად იგრძნობს. ქვეყნად არ მოიძებნება ექიმი, რომელიც ნამდვილ დიაგნოზს დაუსვამს. ერთ თვეში მშვიდად ნეტარებაში მიიცვლება, დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.

ელის: – დღესვე დავალევინებ.

მიშა: – აკონტროლე, რომ დალიოს.

ელის: – ათი აბი ნორმაა?

მიშა: – ერთიც რომ დალიოს, მაინც ჩაძაღლდება, მაგრამ რამდენიმე თვე მოგვიწევს მოცდა.

ელის: – არა, არა, ერთი სული მაქვს, როდის გადავუხდი სამაგიეროს ანკას გამწარებისთვის.

მიშა: – ისე, რას ერჩი? ანკამ უღალატა. ეგ კი მაინც კაცურად მოიქცა, გაათხოვა საყვარელზე. მე მოვკვლავდი ორივეს.

ელის: – ეგ რა საუბარია, მიშა? თუ გეცოდება, იქნებ, ხელი ავიღოთ ჩვენს ჩანაფიქრზე, მის ხელში არაფერი მაკლია, თანაც როგორც მამრი, შეუდარებელია.

მიშა: – უკანასკნელი ბოზი ხარ, მაგრამ მიყვარხარ და რა ვქნა? კარგი, მიხედე საქმეს, შეცდომა არ დაუშვა, თორემ ორივეს თავს წაგვაცლიან!..

ერთმანეთს დაშორდნენ და ელისაბედი სახლისკენ გაეშურა, შოთას ბიჭებმა კი პატრონს ყველაფერი მოახსენეს. საღამოს ნიკმა ელისაბედს ჩანთა ჩუმად გაუჩხრიკა და მიშას მოცემული აბები ჩვეულებრივი ვიტამინ-აბებით შეუცვალა. შემდეგი ოცი დღის განმავლობაში, ყოველ მეორე საღამოს ელისაბედი ნიკს ხილის წვენში გარეულ „საწამლავს“ ასმევდა და ბედნიერ დღეს ელოდებოდა. მერე ნიკმა ვითომ სისუსტე იგრძნო და ქალაქის საუკეთესო კლინიკაში დაწვა. ერთ დილით, კლინიკაში ნიკის სანახავად მისულ ელისაბედს უთხრეს, რომ ნიკი გარდაიცვალა. ვითომ დამწუხრებული ელისაბედი გარეთ გავარდა, ტელეფონ-ავტომატს მივარდა და ყურმილში ჩასძახა:

– მიშა, აღსრულდა! ძაღლივით მოკვდა... ახლა გამოვედი კლინიკიდან... სახლში წავალ, გელოდები. სეიფი უნდა გავხსნათ სასწრაფოდ, საჩქაროა, თორემ მაგის საშინელი მძღოლი თუ მოვიდა, მაგის ნივთებთან ერთად სეფისაც წაიღებს. გასაღები? ვიცი, სადაც ინახავს. ამდენს ნუღარ მალაპარაკებ... იჩქარე!..

ელისაბედი სახლში მიდის და პირდაპირ ნიკის ბინაში შედის. ტელევიზორის მაგიდის უჯრიდან სეიფის გასაღებს იღებს და კარზე ზარია. აღებს მიშაა, თავის ორ ახმახთან ერთად.

მიშა: – აბა, როგორაა საქმე?

ელის: – აი, გასაღები, ყველაფერი ჩვენია!..

მიშა: – მომეცი აქ, მე გავაღებ...

და ლამის გამოღლიტავს გასაღებს. აღებს სეფის და თვალებგაფართოებული უყურებს.

მიშა: – აუჰ, რამდენი ფულია, მთელი ცხოვრება შემიძლია მხოლოდ სიამოვნება-გართობაზე ვიფიქრო, ჩანთაში ჩაყარეთ ბიჭებო და დავახვიოთ აქედან!..

ელისაბედი: – მეც რომ წამოვიდე, ეჭვი არავინ აიღოს.

მიშა: – შენ ვიღას სჭირდები, ბებერო ჩათლახო? აქ ეგდე და შენი კურო იგლოვე.

ელის: – რა?! მომატყუე?!

მიშა: – თუ არ გინდა, შენს სიყვარულთან გაგიშვათ, მოკეტე და აქ ეგდე.

ელის: – ხუმრობ?!

მიშა: – მორჩით ბიჭებო? აბა, გავედით! შენ კი მახინჯო, კრინტი არ დაძრა, თორემ დახვრეტას ვერ გადაურჩები. მშვიდობით სამუდამოდ!..

ამ დროს კი კარს შემოანგრევენ და ექვსკაციანი სპეცრაზმი ნიკის ძველი მეგობრის თამადობით, რამდენიმე დათვლაში გაბაწრავს ყველა დამნაშავეს.

უფროსი: – ბატონო ნიკ, მობრძანდით...

ნიკი შემოდის.

მიშა: – აკი ყოველთვის ვასმევდი აბებსო, აკი მოკვდაო? მომატყუე, შენ ბებერო ძუკნავ?!

ელის (ნიკს): – შენ... როგორ გადარჩი?

ნიკი: (სპეცრაზმის უფროსს): – ეს ქალბატონიც დააპატიმრეთ ამ ახვრებთან ერთად!.. ესეც მაგათი ბანდის წევრია!..

ელის: – ნიკ, არა! მეც მომატყუეს, ნიკ, არა! მაპატიე, ნიკ! ჩვენი სიყვარული გაიხსენე ნიკ, მეც მომატყუეს.

ნიკ: – მართლა? შენ ამათზე უარესი ხარ, საწამლავს შენ არ მიყრიდი ჭიქაში?

ელის: – ამათ მაიძულეს1 რა უნდა მექნა, ანას მოკვლით მემუქრებოდნენ.

ნიკი: – ანა ამის ნაბიჭვარია, თავის შვილს კლავდა?

ელის: – შენ არ იცი ნიკ, რა ვერაგი და დაუნდობელი ადამიანია.

ნიკი: – ეს ისეა ადამიანი, როგორც შენ მონაზონი. თქვენნა-

ირები ცოფიანი ძაღლებივით უნდა ჩაკლა, სადაც გადაეყრები.

ელის: – მომისმინე ნიკ...

ნიკი: – გისმენ ელისაბედ, ამ ბინძურთან პირველი შეხვედრის მერე გისმენ და გითვალთვალებ, ყველა შენი ნაბიჯი ვიცი.

ელის: – დედას გიტირებ, ნიკ!.. სასჯელს მოვიხდი და შურს ვიძიებ!..

შოთა: – ჩემს ფეხებს იძიებ. მე ვიზრუნებ, რომ ციხიდან ვერც შენ და ვერც ეს არამზადები ვერასდროს გამოხვიდეთ. იქ უნდა ჩაგაძაღლოთ, თქვენი ადგილი ციხის სასაფლაოზეა, ამას მე გეუბნები, ბებერო ძუკნავ, მე კი ჩემს სიტყვას ყოველთვის ვასრულებ. წაიყვანეთ ბიჭებო, ეს შეშლილები და გახსოვდეთ, დიდ პრემიას მიიღებთ, თუ საპატიმრომდე ცოცხლებს არ მიგიყვანთ.

ელის: – ნიკ, ნიკ, შეგვიბრალე!..

შოთა: – თქვენ შეიბრალეთ ვინმე? წაათრიეთ!

მოგონება მთავრდება...

ნიკი: – ძალიან ცუდად მოვიქეცით.

შოთა: – ეს ცოდვა მე ჩამეთვალოს, იმედი გქონდა, რომ ელისაბედთან მის კუროს საპატიმრო გამოასწორებდა? არა, ჩემო მეგობარო! ამათ მე ერის ნაგავს, ნარჩენებს ვუწოდებ. ნაგვის და ნარჩენების ადგილი კი სანაგვე ყუთშია, ან ამ იურას და ანას რას ელოლიავები?! რქები დაგადგეს და ლამის სიგიჟემდე მიგვიყვანეს. თხუთმეტი წლის მერე გაგიხსენეს. გაგეკითხა როგორც მათხოვრები, ორიოდე გროში მიგეგდო და თავიდან მოგეცილებინა. შენ კი ბინა მიართვი ქალაქის ფეშენებელურ სახლში, მანქანა მძღოლით, საკუთარი ანგარიში ბანკში, რატომ? რისთვის?

ნიკი: – ჩემი ბრალია მაგათი გამათხოვრება.

შოთად – რატომ? დააქორწინე და დაემშვიდობე. ერთ ცემა-ტყეპას დააჯერე, სხვა შენს ადგილზე, ორივეს მოკლავდა, თავად გალოთდნენ და გათახსირდნენ. ექიმებიდან სანიტრამდე ჩამოქვეითდნენ, შენ რა შუაში ხარ?!

ნიკი: – შენ მაინც იცი, როგორ მიყვარდა ანა. ის შემთხვევა რომ არა, ცოლად მოყვანას ვაპირებდი.

შოთად – კიდევ კარგი დროზე მივხვდი, ვინც ბრძანდებოდა. რა, ძველი სიყვარულის ხათრით ახარჯავ ამდენ ფულს? სიბერემ შემოგიტია, ძმაო?!

ნიკი: – როგორ გითხრა, შოთა... ანას გულისთვის არ ვაკეთებ ამას. იურას მიმართ რატომღაც კეთილად განვეწყვე თავიდანვე, პირველი დანახვისთანავე. თითქოს, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანია. ლამის თხუთმეტი წელი არ მენახა, მაგრამ ანაზე უწინ ის ვიცანი და რაღაც სიმშვიდე ვიგრძენი, არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეა...

ამასობაში ოფისის სადგომში შევიდნენ, ნიკი მანქანიდან გადმოვიდა, ნიკი, ორ საათში ზემოთ ამოდი. ახალ საქმეში უნდა ჩაგრთო.

შოთა: – კარგი შეფ, გეახლები.

11.

მაისური დილის მზე დანათის ნიკას კარმიდამოს და ერთობ ღვთიურ სილამაზეს ანიჭებს იშვიათ ხეხილს და ულამაზეს სასახლეს. მართასთან ჩახუტებული ნიკი იღვიძებს და ცხადად ხედავს თეთრი მანქანიდან გადმოსულ თეთრებში ჩაცმულ ქალბატონს. ზმანება რამდენიმე წამში ქრება. მართაც იღვიძებს და ქმარს ნიკაპზე კოცნის, ნიკი კოცნას უბრუნებს და ეუბნება:

– ღმერთო დიდებულო, შენ რომ არ შეგხვედროდი, როგორ უნდა მეცხოვრა?

მართა: – ან მე რა მეშველებოდა უშენოდ?

ნიკი: – შენ სიკეთისკენ და სიცოცხლისკენ შემომაბრუნე.

მართა: – იმიტომ, რომ მიყვარხარ, უზომოდ მიყვარხარ. ბევრჯერ მითქვამს შენთვის, ვიდრე გაგიცნობდი, უკვე იმდენად მიყვარდი, რომ ბევრჯერ დავაპირე როგორღაც შეგხვედროდი, მაგრამ სად შეგწვდებოდი, ჩემთვის ცაში ვარსკვლავივით მიუწვდომელი იყავი.

ნიკი: – (კოცნის) კარგი, გაჩუმდი, სირცხვილისგან ვიწვი, ამას რომ მეუბნები. ახლაც მიკვირს, როგორ შეიძლებოდა შენისთანა მზეთუნახავს და ახალგაზრდას, მე შენზე ორჯერ უფროსი შეგყვარებოდი.

მართა: – როცა ქალაქის ზოოპარკში გნახე ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ერთად, მაშინვე შემიყვარდი. შენი საქციელი შემიყვარდა, შენი დამოკიდებულება შემიყვარდა მშობლების მიერ მიტოვებული პატარების მიმართ. რომ დაგინახე, ორი ცეროდენა გოგონა გყავდა ჩახუტებული და დანარჩენი ოცი ისეთი სიყვარულით შემოგცქეროდნენ, ჩემს თვალში იმ წუთს არ არსებობდა შენზე უფრო ძვირფასი და საყვარელი ადამიანი.

ნიკი: – რატომ არ მოხვედი ჩვენთან. პატარებს ძალიან გაუხარდებოდათ პრინცესას ხილვა.

მართა: – ვერ გავბედე, ვერ ჩავთვალე თავი იმის ღირსად, რომ ასეთ სიკეთის ჩამდენს მივუახლოვდებოდი, მერე კი დიდხანს ვინანე.

ნიკი: – მერე კი გამიმართლა, რომ ავარიაში მოვყევი და შენს კლინიკაში მოვხვდი.

მართა: – ეგ ღამე კოშმარი იყო ჩემთვის.

ტიტრი – ერთი წლის წინათ.

გადაუდებელი სასწრაფო დახმარების კლინიკაში წივილ-კივილით შედის რეანიმობილი. იქედან ლამის მკვდარ ნიკს გამოასვენებენ და საოპერაციოში შეჰყავთ. აქვეა გამწარებული შოთა და ნიკის მეგობრებიც. შოთა ისეა დაბნეული და შეწუხებული, რომ ყველას ეკითხება განურჩევლად: – ჩემი ნიკი ხომ გადარჩება? ხომ კარგად იქნება? გადამირჩინეთ, გეხვეწებით გადამირჩინეთ! ჩემი სიცოცხლე წაიღეთ, ოღონდ გადამირჩინეთ!

ნაოპერაციები რეანიმაციულში გადაჰყავთ...

– გადარჩება? – ბღავის შოთა.

– ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძელო, – ეუბნება ექიმი.

– მე შემიძლია რამის გაკეთება? – ეკითხება შოთა, – ექიმო, ოქრო-ბრილიანტებში ჩაგსვამ, მთელ ჩემს ქონებას მოგცემ და მთელი სიცოცხლე მონად დაგიდგები!

– დამშვიდდი, ჩემო კარგო, იმედია გამოძვრება, – ეუბნება ექიმი.

შოთა გადაეხვევა.

– მართლა? გადარჩენის იმედი არის, ექიმო?

ექიმი მხრებზე ხელს მოუთათუნებს და მიდის. რეანიმაციაში იმ ღამის მართა სანიტრობს, ექიმი და ექთნები ხშირად შედიან ავადმყოფთან. სახეზე აწერიათ, რომ მდგომარეობა ლამის უიმედოა. ბოლოს კი მორიგე ექიმი მედდებს ეტყვის: – მხოლოდ უფლის იმედი დაგვრჩა.

მერე ყველა გადის და მარტო მართა რჩება მომაკვდავთან, მართა მუხლებზე დაეცემა მომაკვდავის საწოლთან და ხელებს აღაპყრობს:

– უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო! დიდება შენს წმინდა სახელს! დიდება შენ, ერთადერთო ჭეშმარიტო ღმერთო, რომლის დაღვრილი სისხლი გვწმენდს ყოველთა ცოდვისაგან! შეგთხოვ, უფალო იესო ქრისტეს სახელით, ყველა დაჩაგრული და გაჭირვებული ადამიანის სახელით, შენ შეეწიე მონას და ფეხის მტვერს შენსას, ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, რომელიც ახლა მძიმე მდგომარეობაშია და როგორც ყოველთვის, მხოლოდ შენი იმედი მაქვს, უფალო! მიეცი ღმერთო მას ძალა, გაუმკლავდეს ამ მძიმე მდგომარეობას, აღუდგინე მას სიცოცხლის ნიშატი და გაუგრძელე ცხოვრების დღენი, რათა სიკეთე აკეთოს შენი შვილებისთვის.

ლოცვის დროს მართა ორივე ხელით ეფერებოდა ნიკის ფეხებს და მისი გრძელი თმებიც ფეხებზე ეფინა. ცრემლები კი ღაპაღუპით სცვიოდა და უცებ გრძნო, როგორ შეინძრა ნიკის ორივე ფეხი... თმები უკან გადაიყარა და მონიტორს შეხედა. სიხარულისგან წამოიკივლა და შესძახა: – დიდება, შენს სახელს

ყოვლადწმინდა სამებაო – მამა, ძეო და სულიწმინდაო. ამინ!

შეშლილივით გავარდა ექიმის კაბინეტისკენ, ლამის მთელი მორიგე მედპერსონალი პალატაში შემოვარდა.

– სასწაული მოხდა, – თქვა ექიმმა და შვებით ამოისუნთქა, – ყველა სასიცოცხლო ფუნქცია აღდგა. გადარჩა! – და მართას მიუბრუნდა: – ყოჩაღ, გოგონავ, კარგი ამბავი გვაცნობე...

როცა გარეთ მყოფ შოთას უთხრეს, რომ ნიკი გადარჩა, სიხარულისგან მალაყებს გადავიდა და შესძახა: – მიმსახურეთ, დღეიდან თქვენთვის ვიცოცხლებ!..

ნიკი... ნიკის კი პირველად თეთრებში ჩაცმული ქალბატონი ესიზმრა, ოღონდაც სახე ვერ გაარჩია. თითქოს ფანჯრიდან შემოვიდა, ნიკს მიუახლოვდა და შუბლზე დაადო ხელი. ნიკს მთელ სხეულში მანამდე უცნობმა, ტკბილმა, გამთანგველმა ჟრუანტელმა დაუარა და იფიქრა – ნუთუ უკვე მოვკვდი?

– ტყუილად ფიქრობ სიკვდილზე, ჩემო უძვირფასესო, – უთხრა ქალბატონმა მოღუღუნე სიყვარულით დამბალი ხმით, – დიდხანს იცოცხლებ, ბევრი შვილები გეყოლება და ბევრ სიკეთეს დათესავ. შენთვის ბედნიერ დღეს, მე ცხადად მოვალ შენთან და შენს საყვარელ ადამიანებთან.

მერე დაიხარა, შუბლზე აკოცა და გაქრა. ამ დროს ნიკის სმენას მისწვდა მართას ლოცვის პირველი სიტყვები და ფეხებზე იგრძნო საოცარი შეხება: თბილი ხელების და ბულულა თმის, ხოლო როცა ცხელი ცრემლის წვეთები დაეცა, თითქოს უკვდავების წყალი აპკურეს...

ერთი კვირის შემდეგ ნიკი ჯანმრთელი და უვნებელი დაუბრუნდა თავის ძველებურ ცხოვრებას და კაბინეტში შოთა იხმო.

12.

ნიკი: – დღის ბოლომდე უნდა გამირკვიო, ყველა იმათი ვინაობა და განსაკუთრებით იმ ქალის, რომელიც ჩემთვის ლოცულობდა.

შოთა: – შეფ, ეტყობა ეჭვი გეპარებათ ჩემს შესაძლებლობებში და არც თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე ხართ

მაღალი შეხედულების. რეანიმაციაში შენი ყოფნის ყოველი წუთი ჩაწერილია. აი, ეს გოგო ლოცულობდა შენთვის.

შოთამ პულტი მიმარჯვა და უზარმაზარ მონიტორზე გამოჩნდა საწოლს მიჯაჭვული ნიკის ფეხებთან დამხობილი გრძელთმიანი ასული, რომელმაც უცებ თავი ასწია, მონიტორს გახედა, პირჯვარი გადაიწერა და პალატიდან გავარდა. ნახევარ წუთში კი პალატა მედპერსონალით აივსო.

ნიკი: – ვინ არის ეს ქალიშვილი?

მონიტორზე მართას დიდი სურათი გამოჩნდა.

შოთა: – ეს არის მართა, სანიტარი. ცხოვრობს კლინიკასთან ახლოს, ოთახნახევრიან ბინაში, მშობლებთან ერთად. დედა ფილოლოგია, მამა კი ფიზიკურ კულტურას ასწავლის კოლეჯში. მართა 19 წლისაა, სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტში აბარებდა, თუმცა უშედეგოდ. მერე კი სანიტრად მოეწყო.

ნიკი: – მან სიცოცხლე მაჩუქა, დღესვე უზრუნველყავი მისი ინსტიტუტში ჩარიცხვა.

შოთად – უკვე უზრუნველვყავი, რექტორი პირადად ეახლა კლინიკაში და სტუდბილეთი გადასცა. თან კლინიკის შეფობას უთხრა, – ჩემი ახლო ნათესავია და ყურადღება არ მოაკლოთო. მარტო ამით არ დავკმაყოფილებულვარ, მისთვის და ოჯახისთვის მშვენიერი სახლიც შევარჩიეთ. თქვენც თუ მოგეწონებათ, შეგვიძლია დღესვე ვიყიდოთ.

ნიკი: – კარგად გიმუშავიათ, მინდა ამ ქალიშვილს შევხვდე.

შოთა: – გელოდებათ.

ნიკი: – ვინ?

შოთა: – მართა...

ნიკი: – სად მელოდება?

შოთა: – ჩემს კაბინეტში. როგორც კი მოგიყვანეთ, მაშინვე მომახსენეს, გელოდებიანო. მართა აღმოჩნდა და შენთან შეხვედრა ითხოვა ერთი წუთით. (გადის და წამში ყვავილების დიდი თაიგულით ბრუნდება) ეს მიართვი.

ნიკი: – კაცი ხარ, შოთა!

შოთამ თავი დაუკრა, კაბინეტიდან გავიდა. ნიკმა კი თაიგული აიღო, დაყნოსა და კარიც გაიღო. მართა შემოვიდა, სამი ნაბიჯი გადადგა ნიკისკენ და გაჩერდა. ნიკი მიუახლოვდა და მის წინ მუხლებზე დაეშვა. მუხლებზე დაეცა მართაც. ნიკს თაიგული ხელიდან გაუვარდა და მართას მოეხვია. მართაც უსურვანივით ჩაეხვია და გაშეშდნენ.

ნიკი: – მთელი სიცოცხლე გელოდებოდი.

მართა: – მიყვარხარ.

ნიკი: – ჩემი სიყვარული ხარ.

მართა: – ნიკ, რა ბედნიერი ვარ!..

(ისევ ნიკი და მართა საწოლში)

ნიკი: – ისევ ისეთი სანატრელი და საყვარელი ხარ ჩემთვის, როგორც მაშინ, პირველად რომ ჩავეხუტეთ ერთმანეთს.

მართა: – ჩემი ასრულებული ოცნება ხარ, ოოჰ, ამასაც როგორ უხარია, მამიკოსთან.

ნიკი: – დაიწყო ხტომიალი?

და ყური მიადო ცოლის მუცელს.

ნიკი: – ნახე, რა დღეშია, ანგრევს იქაურობას.

მართა: – მინდა ბევრი პატარა ნიკი გაგიჩინო.

ნიკი: – და ბევრი მართაც.

მართა: – დღეს დეიდაჩემი ჩამოდის.

ნიკი: – ვიცი.

მართა: – საიდან?

ნიკი: – როცა საქმე დეიდა ბერტას ეხება, შოთამ ყველაფერი იცის. მან თუ იცის, მეც საქმის კურსში ვარ.

მართა: – არც დეიდაჩემია გულგრილი შოთას მიმართ.

ნიკი: – მართა, ხომ არ დავაქორწინოთ ახალგაზრდები? ცხოვრებისეული გამოცდილება არ აკლიათ, ორმოცს გადააბიჯეს.

მართა: – გეხვეწები ნიკ, დღესვე მოვაგვაროთ.

ნიკი: – კარგი, ჩემო სიცოცხლევ (ტელეფონს იღებს) შოთა, გამარჯობა, სად ხარ?...კვირა დილით აეროპორტში რა გინდა? ვინ ჩამოდის? როდის, მითხარი... ხო, ხო, გამახსენდა... რომ წა-

მოიყვან აქეთ, დამირეკე, ღირსეულად უნდა დავხვდეთ... კარგი, აბა!... (ტელეფონს თიშავს) მართა, მზარეულებს უთხარი,- ბერტას საყვარელი კერძები მოამზადონ!..

მართა: – გუშინ საღამოს ვიზრუნე ამისთვის.

ეზოში მანქანა შემოგრიალდება, მძღოლი შოთა ცქვიტად გადმოხტება და მართას დეიდას კარს უღებს. სიმპატიური, აშოლტილი ქალი ლამაზად გადმოდის მანქანიდან და შოთასთან ერთად კიბეს აუყვება. კიბის თავში მართას დედ-მამა დიდი სიყვარულით ხვდება სტუმარს, აივანზე ნიკი გამოდის მეუღლითურთ და სტუმარს ესალმება.

სუფრასთან სხდებიან ყველა, შოთასთან ერთად. სადილობის განმავლობაში შოთა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბერტას, რის გამოც ნიკი და მართა ჩუმად იცინიან. სადილის შემდეგ ნიკი მართას ეუბნება: – საყვარელო, ჩვენი ახლად ნაყიდი წაბლების პარკი არ დავათვალიერებინოთ დეიდას?

მართა: – დიდი სიამოვნებით, მაგრამ დღეს კონსულტაციაზე ვარ ჩაწერილი.

ნიკი: – რა პრობლემაა, ყველა ერთად წავიდეთ. ჩვენ კლინიკაში, დავრჩეთ. შოთა კი ქალბატონ ბერტას გაუწევს მეგზურობას.

შოთა: – თუ ქალბატონი დაღლილი არ არის, ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება.

ბერტა: – დაღლილი არ ვარ, (შოთას მისამართით) ასეთ მეგზურთან ერთად კი უღრან ტყეშიც თვალდახუჭული წავალ.

ცოტა ხანში ოთხივენი მანქანაში სხდებიან და მიდიან. ნიკი და მართა კლინიკასთან ჩამოდიან, მანქანა კი გზას განაგრძობს, კლინიკის წინ მდგარ ცოლ-ქმარს მეორე მანქანა მოაკითხავს. სხდებიან და უკან, სახლში ბრუნდებიან. ჭიშკარს შიგნით შესული მართა ტელეფონზე რეკავს.

– დეიდა, კონსულტაციას მოვრჩით, ახლა ტაქსით ვბრუნდებით სახლში, თქვენ არ იჩქაროთ, პარკიც დაათვალიერეთ და ქალაქიც...

ნიკი: – მგონი, ღმერთის საამებელი საქმე გავაკეთეთ.

საღამოს, ვახშმის შემდეგ ნიკმა შოთა ცალკე გაიხმო.

ნიკი: – რა ქენი?

შოთა: – რომელი საქმის?

ნიკი: – ბერტასთან გამოგივიდა რამე?

შოთა: – არა, ვერაფერი ვუთხარი.

ნიკი: – რას ჰქვია ვერაფერი უთხარი, ბოლო-ბოლო ვაჟკაცი არ ხარ?!

შოთა: – ათ კაცს შემიძლია ვეჩხუბო შიშის და ყოყმანის გარეშე, ქალებიც ბევრი შემიბამს, მაგრამ ბერტასთან არ შემიძლია, ვერ ვბედავ.

ნიკი: – აი, ეგ არის ნამდვილი სიყვარული, ბიჭო!.. ნუთუ ვერ გრძნობ, ქალსაც როგორ უყვარხარ. ლამის დნება შენთვის.

შოთა: – დნება არა, გელანდება რაღაცა.

ნიკი: – რა მელანდება? ქალი თვეში ოთხჯერ ჩამოდის იმხელა გზიდან შენს სანახავად.

შოთა: – თავის ნათესავებთან ჩამოდის, მე რა შუაში ვარ? თან ორი დღით ჩამოდის, რომ ვუყვარდე, აქ დარჩებოდა.

ნიკი: – თვითონ ხომ არ დაგეძგერება პირველად? აგრძნობინე რამე.

შოთა: – არ შემიძლია.

ნიკი: – არ შეგიძლია და არ ყოფილხარ ასეთი ქალის ღირსი.

შოთა: – თავი დამანებე, წავედი.

...მეორე დილით ბერტას აცილებენ, ის შოთას უჯდება მანქანაში და აეროპორტში მიდიან.

შოთა: – კიდევ როდის გვესტუმრებით?

ბერტა: – არ ვიცი, ბევრი საქმე მაქვს, წელს შეიძლება ვეღარ ჩამოვიდე. თუმცა, იქნებ, შობას შევძლო.

შოთა: – შობამდე ნახევარ წელიწადზე მეტია.

ბერტა: – ვიცი.

შოთა: – (აჩერებს მანქანას) არ მინდა, რომ წახვიდე, რომ მიდიხარ, ასე მგონია აღარ ჩამოხვალ...

ბერტა: – და ეს რატომ გაღელვებს?

შოთა: – იმიტომ, რომ შენს გარეშე ცუდად ვარ, სუნთქვაც კი მიჭირს!.. ამის მოთმენა აღარ შემიძლია.

ბერტა: – შოთა, ნუთუ ეს... რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

შოთა: – იმას, რომ მიყვარხარ და მინდა სულ ჩემთან იყო...

და გადმოვიდა შოთა მანქანიდან, გადმოვიდა ბერტაც. მანქანას შემოუარა, შოთასთან მივიდა და თვალებში ჩახედა.

ბერტა: – არასოდეს, არასოდეს წავალ შენგან, სულ შენთან ვიქნები!..

ერთმანეთს გადაეხვივნენ შუა ტრასაზე, სადაც უამრავი მანქანა მიდი-მოდიოდა და ხმოვანი სიგნალებით ესალმებიან ლამაზ წყვილს.

13.

სახლში დაბრუნებულ წყვილს ოჯახი დიდი სიხარულით შეხვდა, ბერტას და შოთას სიყვარულზე განსაკუთრებით მართამ იხალისა. ადგილს ვერ პოულობდა, ხან ერთს და ხან მეორეს ეხვეოდა. დიდებული სადილი გაიშალა შუა დარბაზში და ის იყო მხიარულება ეშხში შევიდა, შუა დარბაზში აღშფოთებული იური შემოვარდა და ყურადღება არც კი მიუქცევია იქ რა ხდებოდა, მთელი ხმით იყვირა: – ანამ მიმატოვა!.

ნიკი წამოიჭრა, იურას ხელი წაავლო მკლავში და გარეთ გაიყვანა.

ნიკი: – რა მოხდა?

იური: – ანამ მიმატოვა!..

ნიკი: – როგორ?

იური: – გუშინ დილით სათევზაოდ წავედი და სახლში დღეს დავბრუნდი, მაგიდაზე წერილი დამხვდა. (და ქაღალდის ნაგლეჯი მიაწოდა)

ნიკი კითხულობს: – აღარ მინდა შენთან, სხვა მიყვარს. საკრედიტო ბარათი მიმაქვს, შენ ნიკი კიდევ მოგცემს.

იური: – ბოზი, გათახსირებული, გაუმაძღარი ძუკნა, ახლა რა ვქნა?

ნიკი: – უნდა დავსაჯოთ! შენ არ ინერვიულო, რა ოხრობად გინდოდა ეგ ქალი, საკუთარ სიყვარულს კიდევ იპოვი, მე დაგეხმარები!..

იური: – ველარავინ დამეხმარება, ჩემი დღეები დათვლილია, თხუთმეტი წელი ერთად ვიყავით, იმდენი გაჭირვება გადავიტანეთ და ახლა, როცა ფუფუნებაში ვცხოვრობდით, როგორ შეეძლო ასე მოქცეულიყო?

ნიკი: – ბოროტი გენები ბობოქრობს მასში, ვინ იყო? რას წარმოადგენდა? ბანდიტის და პროფესიონალი, ცივსისხლიანი ნაბოზარის ნაბიჭვარი იყო.

იური: – აბა, რატომ ეხმარებოდი?

ნიკი: – მე შენ გეხმარებოდი, როგორც კაცი კაცს. ჩემს შეცდომას ვასწორებდი.

იური: – რა შეცდომას?

ნიკი: – ეს მე დაგაქორწინე მასზე და მთელი ცხოვრება ვნანობდი, რომ ასე მწარედ დაგსაჯე. არ გეწყინოს და ის, ვინც ჩემისთანას უღალატებს შენისთანასთან, არც შენთან გაჩერდება.

იური: – მართალი ხარ, ო, რა მართალი ხარ!

ნიკი: – ახლა შემოდი, მაგიდასთან დაჯექი, ჩემს შოთას ბედნიერება მიულოცე.

იური: – მერე რა ვქნა?

ნიკი: – ისევ იმ ბინაში იცხოვრე, მე რომ გაჩუქე. ყველაფერს მოგცემ. თუ ისურვებ, უკეთეს კლინიკაში აღგადგენ ექიმად, იმ არსახსენებელი ქალის მოშორება კარგიც კია შენთვის, სიყვარულს კიდევ იპოვი.

იური: – ის როგორ დავსაჯო?

ნიკი: – საკრედიტო ბარათს დავუბლოკავ სასწრაფოდ და ნახავ, თუ უკან არ მოირბენს.

იური: – მაშინ გავვარდები და ბინის გასაღებს შევცვლი.

ნიკი: – კარგი, ეგრე მოიქეცი, მანქანაც ხომ არ წაუყვანია?

იური: – არა, ეზოს გარეთ გავაჩერე.

ნიკი: – ჩემს ოფისში შეიარე, იქ ყველაფერს მოგცემენ, რაც საჭიროა.

იური: – მადლობა ნიკ, მაპატიე, რომ არ შემიძლია მადლიერება და სიყვარული გამოვხატო.

ნიკი: – არც არის საჭირო...

იური: – ერთი თხოვნა მექნება შენთან, მინდა ჩემს სოფელში წავიდე რამდენიმე დღით, წლებია არ ვყოფილვარ.

ნიკი: – შორს არის?

იური: – საკმაოდ, თვითმფრინავით ოთხი საათი უნდა.

ნიკი: – როდის აპირებ?

იური: – ხვალ ან ზეგ წავალ.

ნიკი: – წადი, დაისვენე, ახლობლებს მიესიყვარულე, ხანდახან დამირეკე და შენი ამბები მომიყევი.

იური: – დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

და ნიკს გადაეხვია.

ნიკი სუფრასთან დაბრუნდა და მართას უჩურჩულა – დაგინახე ჩუმად მითვალთვალებდი.

მართა: – ხო, მიყვარს შენი ყურება და თვალთვალი...

და ლოყაზე აკოცა...

შოთა: – რა ამბავში ხართ, თქვენ, ახალგაზრდებო?!

ნიკი: – ჩვენ შუა ავტომაგისტრალზე მაინც არ ვკოცნაობთ ზოგიერთებივით...

ყველა იცინის, ქეიფი და დროსტარება გრძელდება.

ოთხსაათიანი დამქანცველი ფრენის შემდეგ აეროპორტიდან გამოსული იური ტაქსში ჩაჯდა და გეზი საკუთარი სოფლისკენ აიღო.

იური: – თითქმის 7 წელია აქეთ არ ვყოფილვარ, ოჰ, როგორ მომენატრა ეს გზა, ეს ნაძვები, ეს პატარ-პატარა დასახლებები, აი, ის ეკლესია... თუ ძმა ხარ გამიჩერე, უნდა შევიდე!..

შედის ეკლესიაში, სანთლებს ანთებს და ისევ ტაქსში ჯდება.

ტაქსისტი: – დედაქალაქში მუშაობთ პატივცემულო?

იური: – კი.

ტაქსისტი: – ბედნიერი ყოფილხარ.

იური: – რატომ?

ტაქსისტი: – აბა, სოფელში რაა კარგი?! სულ მუშაობა და მუშაობა, არაყი და კომბოსტოს მწნილი, სული ამოხდება ადამიანს...

იური: – თქვენ სოფელში ცხოვრობთ?

ტაქსისტი: – ეკლესიაში რომ შებრძანდით, იქვე იყო ჩემი სახლი. უკვე ყოფილი სახლი, ამ ორი წლის წინ მივაყიდე და ქალაქში გადავბარგდი ცოლშვილიანად. სოფლისკენ გახედვაც არ მინდა.

იური: – მე კი როგორ მენატრება ყველაფერი ეს...

ტაქსისტი: – შვიდი წელი მაცხოვრე განცხრომაში დედაქალაქში და მერე ვინ იცის, იქნებ მეც მომენატროს.

იური: – რა იცი, რომ განცხრომაში ვცხოვრობ?

ტაქსისტი: – მდიდარი რომ არ იყოთ, ავტობუსს დაელოდებოდით და ტაქსში ოცჯერ მეტს არ გადაიხდიდით.

იური: – ლოგიკურად მსჯელობ, ძმაო. ჩემს სოფელზე რას მეტყვი?

ტაქსისტი: – დიდი ვერაფერი სოფელია, ერთი რაც მომწონს, სკოლა აქვს მაგარი, ხოლო სკოლის დირექტორი ნამდვილი მზეთუნახავია.

იური: – ვიცი, ჩემი თანაკლასელია.

ტაქსისტი: – ცოლშვილიანი ხარ?

იური: – არა!..

ტაქსისტი: – მოიცა, მოიცა, თუ კლარას მოსატაცებლად ჩამოხვედი, არაფერი გამოგივა. სათოფეზე არავის იკარებს, ის კი არა, სხვაგვარად შეხედვასაც ვერავინ უბედავს, ამიტომ არც კი ეცადო!..

იური: – რაღა დროს ჩემი ცოლია, ორმოცის ვხდები.

ტაქსისტი: – მაგას ნუ იტყვი, მაგ ამბავმა ორმოცი და სამოცი არ იცის, აი, ესეც შენი სოფელი. აბა, ძმაო, სად მივიდეთ?

იური: – ეგერ ე, იმ ხიდის იქეთ მარცხნივ შეუხვიე... ახლა აგერ, თეთრ ჭიშკარს ხომ ხედავ, იქ გამიჩერე...

ტაქსისტი: – ფედოსი დეიდას შვილი ხარ? მოიცა, მოიცა, იურა ხარ? მეც არ ვიფიქრე, საიდან მეცნობა-მეთქი?! აბა, გადმოდი, გადმოდი, ვერ მიცანი იურა? ჰა, რა გაკვირვებული მიყურებ?! გენადი ვარ, ბიჭო, მეთევზე პეტრეს შვილი.

იური: – გენა, ძმაო!..

გადაეხვივნენ ერთმანეთს.

გენადი: – ფედოსი, ფედოსი დეიდა. აუუ! დაყრუვდი თუ რა მოგივიდა! ფედოსი დეიდა! გადმოდგი ფეხი, ნახე, ვინ მოგიყვანე!

და მონატრებული დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია...

ფედოსი: – გენა, შემოდი ეზოში, დღეს არსად გაგიშვებ.

გენადი: – რომ გამაგდოთ, ფეხსაც არ მოვიცვლი, ერთ წუთს გავარდები, სასმელს მოვიტან.

იური: – ჩანთებში ყველაფერი მაქვს.

ფედოსი: – სახლი სავსე მაქვს შვილო, გენო, შენ აბანო გაახურე, ჩემს იურას უყვარს. თან ნამგზავრზე მოუხდება, ჩემი ლამაზი რძალი სად არის შვილო, რატომ არ ჩამოვიდა?

იურამ გენადის გახედა და ფედოსის ამ თემაზე სიტყვაც არ დასცდენია... საღამოს, როცა მთვრალმა გენადიმ ხვრინვა ამოუშვა და ორიოდე სტუმარიც წავიდა, იურა დედას ჭურჭლის ალაგებაში მიეშველა, თუმცა ფედოსიმ ეს საქმიანობა უცებ შეწყვიტა, შვილი სკამზე დასვა და გვერდით მიუჯდა.

ფედოსი: – ანა სად არის? რატომ არ ჩამოვიდა?

იური: – ანას დავშორდი.

ფედოსი: – გიღალატა?

იური: – მიღალატა!..

ფედოსი: – თუ გიღალატა, უნდა დაშორებოდი. როგორ გამწარდებოდი, ჩემო ბიჭო!..

იური: – ჩემი მეგობრის დახმარებით და გვერდში დგომით, ძალიან იოლად გადავიტანე ეს განშორება, პირიქით, ახლა უკეთაც ვარ.

ფედოსი: – როგორ ცხოვრობ, შვილო?

იური: – ძალიან კარგად, დიდი ბინა მაქვს ქალაქის ცენტრში, კარგი მანქანა, ბევრი ფული. რომ დავბრუნდები საუკეთესო კლინიკაში ვიწყებ მუშაობას.

ფედოსი: – ყოჩაღ, შვილო, ძალიან მიხარია, მაგრამ იქნებ ცოლი შეგერთო.

იური: – არა დედა, მაგ საკითხზე გთხოვ, არც დამელაპარაკო.

ფედოსი: – ვერ მოვისვენებ, მარტო მგელი ვერ ჩერდება ტყეში, ხვალვე დაველაპარაკები კლარას.

იური: – კლარას?

ფედოსი: – ხო, კლარას, ქალი შენი სიყვარულით დნება რამდენი წელია.

იური: – კაი, რა, დედა, ხუმრობ?!

ფედოსი: – გასულ რვა მარტს ჩემთან მოვიდა, დავსხედით, ცოტა დავლიეთ და შენ გიკითხა. მერე კი პატარა გოგოსავით ატირდა და გამომიტყდა, იუროჩკა ბავშვობიდან მიყვარს და სიკვდილამდე მისი ერთგული ვიქნებიო, სხვა კაცი ვერასოდეს შემეხებაო.

იური: – დედა, მე არ ვარ კლარას ღირსი.

ფედოსი: – რატომ შვილო, ვისზე ნაკლები ხარ?

იური: – შენ ყველაფერი არ იცი, ძვირფასო. ის სიმდიდრე, წეღან რომ რიხით ჩამოგითვალე, ჩემი შრომის ნაყოფი არ არის. დედა, მე ცუდ წრეში მოვხვდი, მე და ანა გალოთებული დავწანწალებდით ქუჩა-ქუჩა და ერთმა დიდმა და კეთილმა კაცმა შეგვიფარა. მან მომცა ყველაფერი, რაც დღეს მაქვს. ის რომ არა, შენი შვილი ახლა სადგურის ლოთი იქნებოდა.

ატირებული იური დედას ჩაეხუტა, რომელიც შვილს ეფერებოდა და ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. ოდნავ დამშვიდდნენ.

ფედოსი: – შვილო, მსურს ვიცოდე ვინ არის ჩვენი გადამრჩენელი.

იური: – კაცი კი არა, ლამის წმინდანია. ობოლია და ყველა დაჩაგრული უყვარს. ცოლიც ნამდვილი ანგელოზია, მსგავსი ხალხი არსად მინახავს დედა, ა, ნახე რა ბიჭია!

და მობილურში ნიკის სურათს აჩვენებს. ფედოსი გახევდება, სახე სიამით გაებადრება და კედელზე დაკიდებულ გადიდებულ სურათს გახედავს. იურიც აქეთ გაიხედავს და აღმოხდება – ღმერთო, ჩემო! სულ ვფიქრობდი, სად მინახავს-მეთქი და ბიძაჩემს ჰგავს, გაჭრილი ვაშლივით. დედა, ჩემი ბიძაშვილია?

ფედოსი: – არა, შვილო, შენი ღვიძლი ძმაა, შენი ტყუპისცალი.

14.

ტიტრი – 40 წლის წინათ.

სოფლის ტბაში გოგონები ბანაობენ, თამაშობენ, ერთმანეთს წყალს ასხამენ. ტბიდან ოციოდე მეტრში ბიჭები ჩამალულან და გოგოების სიშიშვლით ტკბებიან. უცებ, ბიჭებს ვიღაც სახრიანი ახალგაზრდა მიადგება და ჟაპა-ჟუპით აყრის. კისრისტეხით გარბიან და ვაი იმას, ვისაც სახრე მოხვდება.

– თქვე არამზადებო, შინაური და გარეული არ იცით? მე თქვენ გასწავლით, როგორ უთვალთვალოთ მობანავეებს, – ილანძღება მომხდური.

– კარგი რა, არტემ, გეყოფა. მხოლოდ ვუყურებთ, ამისთვის გვკლავ? – ეუბნება მასზე შესამჩნევად უფროსი დაკუნთული ახალგაზრდა.

– ეს იყოს ბოლო შემთხვევა, სხვა დროს ვერ გადამირჩები, – ეუბნება არტემი, – ბედი შენი, რომ ჩემი უფროსი ძმა ხარ და არ ეგების ჩემიდან შენი გალახვა, თორემ...

– კარგი, აღარ ვიზამ! აჰა,. ჩემი ხელი!

არტემი: – ხო, გრიშკა, შევრიგდეთ, მაგრამ შეგრცხვეს, ჯარგამოვლილი კაცი შიშველ გოგოებს უთვალთვალებ?!

გრიგორი: – გპირდები ძმაო, მალე ცოლს შევირთავ და ამგვარ ოინბაზობას მოვრჩები.

მობანავე გოგოებმა დაინახეს, როგორ გამოენთო არტემი ბიჭებს და დიდი ყიჟინა ატეხეს.

– ნახეთ, ჩვენი ფედოსის გულისმპყრობელი რა დღეშია, – თქვა ერთმა ალისფერთმიანმა ტანკენარმა ასულმა.

– ძალიანაც კარგად მოიქცა, მაგათ ჭკუის სწავლება არ აწყენთ, – თქვა გოგოებს შორის ყველაზე ულამაზესმა, შავთმიანმა ფედოსიმ.

– რას ერჩოდა ბიჭებს, გვიყურონ რამდენიც უნდათ, – გაეცინა მესამე გოგოს...

საღამოს ფედოსი და არტემი ერთმანეთს თივის ახლადდადგმულ ზვინთან შეხვდნენ და მთელი ღამე ხვევნა-კოცნაში გაატარეს...

მეორე დღეს ფედოსის ოჯახში არტემის და გრიგორის მშობლები მივიდნენ და მისი ხელი ითხოვეს გრიგორისთვის.

ფედოსი (იურის): – თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ მშობლები ანგარიშს არ მიწევდნენ, მამაჩემმა ქამრით მცემა, დედამ კი თმით მითრია და გრიგორის ძალით გამატანეს. არტემმა ბევრი იჯახირა, მაგრამ ცხრაკლიტულში ვყავდი მშობლებს ჩაკეტილი. ასე გავხდი გრიგორის ცოლი. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ უკვე ფეხმძიმედ ვიყავი და ნამდვილად ვიცოდი მუცლით ჩემი ძვირფასი არტემუშკას ნაყოფს ვატარებდი. მხოლოდ ეს იყო ჩემი ნუგეში, გამწარებული არტემი კი ჯარში წაიყვანეს და მოხალისედ წავიდა ავღანეთში. როცა თქვენ დაიბადეთ, ორ კვირაში ოჯახში მისი გმირულად დაღუპვის ცნობა მოგვივიდა და ერთ თვეში ცინკაში ჩასმული მისი ცხედარიც მივაბარეთ მიწას. რა უნდა მექნა მე უბედურს? ამ ქვეყანასთან მხოლოდ თქვენ, ჩემი შვილები მაკავშირებდით. თუმცა ესეც არ გაგრძელებულა დიდხანს, დედამთილმა შენიშნა, რომ ტყუპებიდან ერთი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა არტემს და პირდაპირ მითხრა, რომ ის სასწრაფოდ უნდა მოეშორებინა. გრიშა მიხვდება, რომ მისი ძმის გაკეთებულია და მეორე შვილსაც დავკარგავო. ვემუდარებდი, თავ-პირს ვიხოკავდი, ვთხოვდი ეს არ გაეკეთებინა, მაგრამ... ერთ დღეს, როცა ქმარი და მამამთილი ქალაქში რამდენიმე დღით გაემგზავრნენ, წყალში ძილის წამალი ჩამიყარა და შენი ძმა მომტაცა. დილით კი მითხრა, რომ ბავშვი ტყეში გადაადგო. სახლიდან გავვარდი, მთელი დღე ტყეში ვიხეტიალე, მერე მოვბრუნდი სახლში, შენც ხომ გინდოდა ჭამა და მოვლა, თუმცა სიმწრისგან რძეც გამიშრა და მაპატიე შვილო, შენი მოფერების უნარიც დავკარგე.

იური: – კაცები რომ დაბრუნდნენ, რა უთხრა?

ფედოსი: – მაშინ სოფელში მეძუძური ბავშვების ხშირი სიკვდილიანობა იყო, ექიმი ჩვენ არ გვყავდა და ფერშალი, კაცებს უთხრა, რომ ტყუპისცალი მოკვდა. იმათაც ბევრი არ უნაღვლიათ, მაგიდაზე არყით სავსე შტოფი დაახვედრა ამ კუდიანმა და იმას მიუსხდნენ... ასე მომპარეს და დამიღუპეს შვილი. დღეს

მე გავცოცხლდი შვილო, რაც უფრო ვაკვირდები მის ფოტოს, უფრო ვრწმუნდები, ის არის, ჩემი ანტონი.

იური: – ნიკი ჰქვია დედა.

ფედოსი: – იყოს ნიკი, მე ანტონი დავარქვი. არკადი სულ ბიჭზე ოცნებობდა და ამბოდა, პირველ ბიჭს ანტონი უნდა დავარქვა, ჩემი გარდაცვლილი მეგობრის სახელი, ხოლო მეორეს იური, გაგარინის საპატივცემულოდო. ახლა ორივე მყავხართ ბიჭებო, ახლა ორივეს ჩაგეხუტებით და მოგეფერებით.

იური: – დედა, ხვალვე წაგიყვან მასთან.

ფედოსი: – სიხარულით წამოვალ შვილო, მისი ამ სახლიდან გასვლის შემდეგ, შავი არ გამიხდია, სოფელში შავ ფედოსიასაც კი მეძახიან ამის გამო. აი, ახლა ეს თეთრი კაბა უნდა ჩავიცვა და ჩემს დაკარგულ შვილს ასე უნდა გამოვეცხადო...

მზით გაბრწყინებულ ნიკის აივანზე დილით საუზმეა გაშლილი და ძველ კამპანიას შოთა და ბერტაც შემატებიან. უცებ, სახლის ჭიშკარი იღება და იურას თეთრი „მერსედესი“ შემოგრიალდება. იურა მანქანას აჩერებს, ჩამოდის, უკანა კარს აღებს და მანქანიდან თეთრებში გამოწყობილი ფედოსი გადმოდის. ნიკი ფეხზე დგება და...

– ეს ნამდვილია? – კითხულობს იგი.

მართა: – ნიკ, ეს ხომ შენი ზმანებაა, ნიკ?

ნიკი: – მართა, დედაჩემი მოვიდა!

და აივნიდან ჩასძახებს – დედა! დედა! დედა!

ფედოსი: – ანტოშკა, შვილო!

როცა პირველმა მღელვარებამ გაიარა და ყველანი დალაგდნენ, იურიმ მანქანას მიაშურა.

– შენ სადღა მიდიხარ, ადამიანო? – ჰკითხა შოთამ.

– საით ძმაო? – მოეხვია ნიკი.

– კლარასთან მივდივარ! – დაბეჭდა იურიმ.

– სად? – იკითხა მართამ.

– კლარასთან!

– წადი შვილო, წადი, შენი ბედნიერების დასაბრუნებლად, – უთხრა ფედოსიმ და მართას ჩაეხუტა.

15 მაისი, 2018 წელი.

ზაალ ნემსაძე,
ფიქრია ნემსაძე

მონათესავე სულები

საშუალოზე მაღალი, გრუზთმიანი, ოდნავ ქერა, სიმპათიური მამაკაცი, პროკურატურის ორსართულიან შენობაში შედის და უახლოვდება კარს წარწერით „გამომძიებელი“... ფრთხილად აკაკუნებს და აღებს. მაგიდის თავში ქალბატონი ზის, რომელიც მაგიდის გვერდზე მიდგმული ორი სკამიდან, ერთ-ერთზე უთითებს და ეტყვის – დაბრძანდით!

კაცი ჯდება, მაგიდაზე მაჯებს დააწყობს და გამომძიებელს შეათვალიერებს. სათვალიანი, შავთმიანი, ჩვეულებრივი, ახალგაზრდობის მეორე პერიოდში მყოფი ქალბატონია. რომ არა მისი მკაცრი გამომეტყველება და სამხედრო წესით ცხოვრების მანერები, სასიამოვნო გარეგნობისაც კია...

გამომძიებელი: – თუ ჩემს დათვალიერებას მორჩით, მითხარით, რატომ მოხვედით?

კაცი: – უკაცრავად, არც კი ვიცი, როგორ დავიწყო სათქმელი...

გამომძიებელი: – ჯერ მოსვლის მიზეზი უნდა მითხრათ.

კაცი: – მოვედი, რომ ჩაგბარდეთ.

გამომძიებელი: რა?

კაცი: – მკვლელობა უნდა ვაღიარო, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია.

გამომძიებელი: რა მკვლელობა? დამცინით? რვა წელია ამ კაბინეტში მსგავსი არ მომისმენია.

კაცი: – ეგ მე არ ვიცი, არც მაინტერესებს და არც მეხება, მაგრამ ორი ადამიანი მოვკალი და ვაღიარებ.

გამომძიებელი: – ერთი უცნაური შეკითხვა უნდა დაგისვა: მოწმე ან მოწმეები გყავთ?

კაცი: – რისი?

გამომძიებელი: – ვინც ამ მკვლელობებს დაგიდასტურებთ?

კაცი: – არა!

გამომძიებელი: – ასეც ვიცოდი.

კაცი: – რა იცოდით?

გამომძიებელი: – დარწმუნებული ხართ, რომ პროკურატურაში უნდა მოსულიყავით? ხომ არ შეგეშალათ?

კაცი: – თქვენ რა, გიჟი გგონივართ? როგორ გაგაგებინოთ, რომ მკვლელი ვარ? ცოლი და მისი საყვარელი მოვკალი.

გამომძიებელი: – როდის?

კაცი: – ორი დღის წინ ცოლი, გუშინ კი...

გამომძიებელი: – კარგი, კარგი... თავიდან მომიყევით ყველაფერი...

კაცი: – ზედ მივასწარი და ორივე ჩავაძაღლე.

გამომძიებელი დიქტოფონს ჩუმად ჩართავს.

გამომძიებელი: – ჯერ ზეპირ ჩვენებას ჩამოგართმევთ, მერე კი წერილობითს.

ტიტრი – 3 წლის წინათ.

მრავალსართულიანი სახლის აივნიდან აშოლტილი, დიდმკერდა, მსხვილკბილებიანი ქერა გოგო იყურება და ჩასძახის:

– მათე, ჩამოვდივარ.

– მალვინა, ასანთი გამოიყოლე თან, – ასძახის ჩვენი ნაცნობი, რომელიც გამომძიებელთან ვნახეთ პირველად. თან ვიღაცის ბომბორა ძაღლს ეფერება.

მალვინა ეზოში ჩამოდის და მათეს უახლოვდება. მათე გადაეხვევა.

მალვინა: – ეჰე, ხალხი აივნებზე გამოეფინა, ახლა საჭორაოდ გამიხადე საქმე.

მათე: – ჩვენ ხომ თითქმის ცოლ-ქმარი ვართ.

მალვინა: – აი ეგ „თითქმის“ არის ჭორაობის საბაბი.

მათე ამას ახლავე მოვუღებ ბოლოს, ამის გაკეთებას დღეს ვაპირებდი რესტორანში, მაგრამ უკეთეს ადგილს ვერც კი ვინატრებდი.

ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, კოლოფიდან ბეჭედი, ცალ მუხ-

ლზე დაეშვა, ბეჭედი ქალს გაუწოდა და უთხრა: – ცოლად გამომყევი!. მალვინამ ბეჭედი თითზე წამოიცვა და გაუღიმა: – თანახმა ვარ!

მათე წამოდგა და გადაეხვია.

აივნებს ტაში მოსწყდა და ყიჟინა: გილოცავთ! გილოცავთ!...

მათე (გამომძიებელს): – ასე შევირთე მალვინა, მე პროფესიით მძღოლი ვარ, ტვირთები გადამაქვს სხვადასხვა ქვეყნებში. თვეში 20-25 დღე გზაში ვარ. მალვინა მედდად მუშაობდა ქალაქის საავადმყოფოში, ქირურგიულ განყოფილებაში. მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი, საკმაოდ უცნაურ ვითარებაში. მეგობარი ქალაქგარეთ ცხოვრობს და სხვა სიკეთეებთან ერთად, რამდენიმე ოჯახი ფუტკარიც ჰყავს. იმ საღამოს მალვინა და მისი დაქალი სკებს შორის გადავარდნილ ბურთს ეძებდნენ და იმდენი მოახერხეს, ნაპოვნი ბურთი ერთ-ერთ სკას მოარტყეს, ფუტკრები კი მხოლოდ მალვინას დაესივნენ. იკივლა შეშინებულმა, არც დავფიქრებულვარ, ფუტკრებდასეული ხელში ავიტაცე, ლამის მთელი ეზო შემოვირბინე და მასთან ერთად აუზში ჩავხტი... რა თქმა უნდა, იმ საღამოს გმირებად ვიქეცით... მერე მთელი წელიწადი ვიარეთ ერთად და მოსახდენიც მოხდა. მალვინა დაფეხმძიმდა. წელიწადი რომ გითხარით, გადავაჭარბე. ჩემი პროფესიის გამო თვეში მხოლოდ ერთი კვირა მქონდა თავისუფალი და ის მთლიანად მალვინას ეკუთვნოდა. რეისში წასული კი სულ ვურეკავდი და მირეკავდა. როცა დაფეხმძიმდა, დიდხანს არ მომიცდია, როგორც კი თავისუფალი კვირა მოვიდა, ხელი ვთხოვე და კარგი, ლამაზი ქორწილიც გადავიხადეთ. შვებულება ავიღეთ და თაფლობის თვე მთებში გავატარეთ. ეს ორივეს დიდი ხნის ოცნება იყო. შემდეგ კი ქალბატონო გამომძიებელო, ულამაზესი ანამარია შეგვეძინა, ჩემი სიყვარული და სიამაყე, რომელიც უდედოდ დარჩა და მალე პატიმარი მამაც ეყოლება.

გამომძიებელი: – ბავშვი ახლა სად არის?

მათე: – ჩემს დას ჩავაბარე.

გამომძიებელი: – გასაგებია... ვგრძნობ, რომ კარგად ვერ ხართ, თუ გნებავთ, ხვალ გავაგრძელოთ.

მათე: – არა, ახლა ყველაფერი რომ არ მოგიყვეთ, შეიძლება ჩემი დაპატიმრება აღარც დაგჭირდეთ.

გამომძიებელი მაჯაზე მოჰკიდებს ხელს და ეტყვის: მაჯისცემა ძალიან არაადეკვატური გაქვთ, იქნებ, რამე დამაწყნარებელი ან...

მათე: – არა, ქალბატონო... თქვენი სახელიც კი არ ვიცი.

გამომძიებელი: – მედეა მქვია.

მათე: – ქალბატონო მედეა, ყველაზე კარგი წამალი ის იქნება, თუ ყველაფერს ბოლომდე მათქმევინებთ. – და თხრობას განაგრძობს.

...მათე თავისი უზარმაზარი მანქანით საწყობებს მიადგება, ეზოში რამდენიმე კაცი ელოდება. მანქანიდან ჩამოხტება და მათ ესალმება.

– სამწუხაროდ, ზეგამდე უნდა გადავდოთ რეისი, – ეუბნება ერთ-ერთი, – ტვირთი ხვალ ჩამოვა. მანქანა აქ დატოვეთ, ხვალ ღამით დავტვირთავთ და ზეგ დილით მზად იქნება ყველაფერი, თქვენს კომპანიას ჩვენ დავუკავშირდებით. გასაგებია?

– კი, ბატონო...

– ა, ეს მიგიყვანთ სახლამდე.

მათე სახლში მიდის. ბინაში არავინაა, სართულის მეზობელს ჰკითხავს, ჩემები სად არიანო?

შუახნის ქალი: – მალვინა მშობლების აგარაკზე წავიდა შვილთან ერთად, ორი დღით დავრჩებიო, მითხრა. გასაღებიც კი დამიტოვა, ყვავილებს წყალი დაუსხიო.

მათემ მეგობარს დაურეკა: – კირილ, შენი მანქანა შეგიძლია მათხოვო? რა? შეიძლება ორი დღით დამჭირდეს... ოქრო ხარ, ოქრო!.. ათ წუთში შენთან ვიქნები.

და ათიოდე წუთში მათე მეგობრის მანქანით გზას გაუდგა.

– ო, რა სიურპრიზს მოვუწყობ ჩემს გოგონებს, – ამბობს იგი, – ხომ არ დავურეკო? არა, თუ დავურეკე, რაღა სიურპრიზი იქნება?

მარკეტში რაღაცეებს იყიდის და აგარაკისკენ გაუტევს. იქ მისული კი სახტად დარჩება, სიმამრის სახლი გამოკეტილია,

არც ეზოში და არც ორსართულიანში ადამიანის ჭაჭანება არაა. ტელეფონზე რეკავს. მალვინას მობილური გამორთული აქვს, მათე გაკვირვებულია. ცოტა ხანში მალვინა ურეკავს.

მალვინა: – შენი ზარია შემოსული, საყვარელო.

მათე: – ხო, გამორთული გქონდა.

მალვინა: – სად ხარ, ძვირფასო?

მათე: – გავცდი უკვე ქალაქს, შენ სად ხარ?

მალვინა: – სად ვიქნები, სახლში...

აქ კი მართლა განცვიფრდა მათე და ძლივს დაიოკა რისხვა:

– ანა-მარია დამალაპარაკე.

მალვინა: – უჰ, სძინავს. მეც დავიძინებ მალე, აბა, კეთილი მგზავრობა, მოუთმენლად გელოდები. – და ტელეფონი გათიშა.

გახევებულმა მათემ კი ტელეფონის დროს დახედა. ღამის 12 საათია, ამ დროს შორიდან მანქანის ანთებული ფარები შენიშნა. ოდნავ შეხტა ამის დანახვაზე, მერე კი მანქანა უკან დაძრა და სიმამრის აგარაკიდან ოციოდე მეტრში გააჩერა. თითქოს იგრძნო, რომ მომავალ მანქანას რაღაც კავშირი ჰქონდა იმ ტყუილთან, რომელიც ასე ურცხვად მიახალა საყვარელმა მეუღლემ...

მომავალი მანქანა სიმამრის ჭიშკართან შედგა, ფარები გამორთო და მძღოლი გადმოვიდა, ხოლო მეორე მხრიდან მისი მალვინა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, ჭიშკრის გარეთ მდგარი ლამპიონი კარგად ანათებდა და მალვინა კი არა, მათემ მისი „მძღოლიც“ იცნო. ის გახლდათ ქირურგი, მალვინას უშუალო უფროსი, მათი ქორწილის თამადა. ბრაზისგან აკანკალებული მათე მოვლენების განვითარებას დაელოდა, წყვილი კი ჩახუტებული შევიდა ჭიშკარში, ისე არხეინად იქცეოდნენ, ეტყობა, კარგად იყვნენ შეჩვეული ამ გარემოსაც და ერთმანეთსაც. სახლში შევიდნენ. მათე უკან მიჰყვა და კარი შეაღო.

– პრეზერვატივი სად გიდევს? – ისე იკითხა მალვინამ, თითქოს, თავის ტკივილის გამაყუჩებელ აბებს ეხებოდა საქმე.

– არ შეიძლება ერთხელ მაინც მომცე პრეზერვატივის გარეშე? – თქვა ქირურგმა უკმაყოფილო ხმით.

– არ შეიძლება, შვილებს მხოლოდ ჩემი ქმრისგან გავაჩენ,

ასე უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით, – უთხრა მალვინამ.

– აგერ მაქვს უკვე, თავის ადგილზეა გაკეთებული, შენ გელოდება, – გამოსძახა კურომ.

– ყოჩაღ, ჩემი ჭკვიანი ბიჭი, – თქვა მთლად გაშიშვლებულმა ქალმა და კაცს დააცხრა...

ოთახში ჯერ იმ წუთას ჩამქრალი შუქი აანთო, მერე კი ექსტაზში შესულ ქირურგს ორჯერ რკინის მუშტი ჩაარტყა თავში და სახეში და გათიშა. სახეშეშლილი მალვინა კედელს მიეკრა და აცახცახდა: – არ მომკლა, მათე, არ მომკლა, მაპატიე მათე!..

– როდის იყო ქალებს ვერჩოდი, ბავშვი სად არის, შე ნაბოზარო?

– მანქანაშია, ბავშვი მანქანაშია.

– რაა?! წლინახევრის ბავშვი მანქანაში დატოვე, შუა ტყეში, ამ შუაღამეს?! მის თავს ვფიცავ, ხელს არ გახლებდი, შვილს წავიყვანდი და ამ საქონელთან დაგტოვებდი, ახლა კი ვაი, შენი გაჩენის დღეს!.. – და დაურთო მალვინას ყბებში და გვერდებში. კბილები ჩაუმტვრია და სისხლი არწყევინა. მერე მის საყვარელს მიუბრუნდა და ლამის ჩაკლა საწოლში... სახლიდან გამოვიდა, დაბანილი ხელები ცხვირსახოცით გაიმშრალა, მანქანიდან ბავშვი ფრთხილად გამოიყვანა და მეგობრის მანქანაში გადაიყვანა. მანქანა ფრთხილად დაძრა და იქაურობას გაშორდა.

– მათე, ორივე მოკალი? – ხმა აუკანკალდა გამომძიებელს.

– არა, ორივე გადარჩა.

– თუ გადარჩნენ, კისერიც უტეხიათ. ცოლის და საყვარლის ცემისთვის პირადად მე, არავის ვიჭერ...

მათე: – მაგრამ მეორე დღეს მათ შეძლეს ადგომა და ქალაქში წამოვიდნენ, ერთ ადგილას წყლის დასალევად შეჩერდნენ. იქ კი ეტყობა მალვინას ნერვებმა უღალატა და გზიდან ცოტა მოშორებით, ოცდათ მეტრიან უფსკრულში გადაიჩეხა. ვინაიდან ჩანთაც თან ჰქონდა, მისი ვინაობა მაშინვე დაადგინეს და გვამის ამოსაცნობად გამომიძახეს. გუშინ კი მთელი დღე ვიდექი და სამძიმარზე მოსულთ, ხელს ვართმევდი... საღამოს ველარ მოვითმინე, გიჟივით გამოვარდი გარეთ და მტკიცედ

გადავწყვიტე, მისი საყვარელიც უკან მიმეყოლებინა. ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ თითქოს ყნოსვით და ინტუიციით მივაგენი მას. ვიფიქრე, რომ თავის საავადმყოფოში იქნებოდა. მივედი იქ, ინსტინქტურად ვმოქმედებდი. ვინაიდან შეყვარებულობის და მალვინასთან ცოლქმრობის პერიოდში საავადმყოფოს ხშირი სტუმარი ვიყავი, არც შიგნით შესვლაში და არც მეოთხე სართულზე ასვლაში პრობლემა არ შემქმნია. ჩემს დანახვაზე დასიებული თავ-პირი მთლად დაუმახინჯდა, ცხოველური ბღავილი აღმოხდა და ფანჯრიდან გადახტა... ეზოში ჩამოვედი, შუაზე გახეთქილ ნაბიჭვარს უკვე თავს დასტრიალებდნენ. საოცარი დაღლილობა და სიმშვიდე ვიგრძენი, სახლში წავედი, შხაპი მივიღე, მაგრამ იმ ლოგინში დაძინება, სადაც იმ ბოზთან ერთად მეძინა, ვერ შევძელი და ჩემს დასთან წავედი, ჩემს ანა-მარიას ჩავეხუტე და ვიგრძენი, რომ დამნაშავე ვიყავი ამ უმანკო არსებასთან, რომელიც დედის გარეშე დავტოვე...

მედეა დიქტოფონს გამორთავს და ეტყვის: – იმ დედის გარეშე, რომელმაც შვილი მანქანაში შუაღამისას მიატოვა იმის გამო, რომ ემრუშა? ფუი, მასეთ დედას! სიკვდილიც კი მცირე სასჯელია მისთვის. მათე, შენ უდანაშაულო ხარ! წადი და შვილს მიხედე! შენს მომავალ ცხოვრებას მიხედე! ერთხელ ამოიღე უიღბლო ბილეთი ამ ცხოვრებაში, მეორედ აუცილებლად გაგიმართლებს. ვერაფერ სათაკილოს შენს საქციელში ვერ ვხედავ. პირიქით, შენი ახლობელი ან მეგობარი რომ ვიყო, ვიამაყებდი. ჩვენებურად რომ ვთქვა, შენი დანაშაულის ნიშნები ამ საქმეში არ იკვეთება!..

მათე: – არაფერია საამაყო, რადგან მიღალატა, ესე იგი მეც ვარ დამნაშავე, თუმცა ვერ ვხვდები, სად დავუშვი შეცდომა.

მედეა: – როცა გათახსირებულ ადამიანს ხვდები, ანგელოზი რომ იყო, მაინც გიღალატებს. თუ იუდას სულიანი შეგხვდა, ვერაფერს გახდები. ეს ვერ დაგამშვიდებს, მაგრამ მეც დიდი ღალატის მსხვერპლი ვარ, ქმარმა, რომელსაც სიყვარულით გავყევი, ჩემი თანამდებობა იმისთვის გამოიყენა, საყვარელთან ერთად გაქცეულიყო საზღვარგარეთ. გადატანილი სტრესის-

გან შვილი დავკარგე. ოთხი თვის ფეხმძიმე ვიყავი. „ვაიბერზე“ მისგან ფოტო მივიღე, სადაც თავის შეყვარებულს იყო ჩახუტებული და ეწერა: „მშვიდობით, სათვალიანო მახინჯო“!.. ჯერ ხუმრობა მეგონა, დავურეკე. უშვერი სიტყვებით მაგინა და მითხრა, გამოგიყენე და მიგატოვეო... მთელი შენი ფულიც და ძვირფასეულობაც შეგაწერე და ფეხებსაც ვეღარ მომჭამო... თანამშრომლებმა გულშემოყრილი მიპოვეს, მუცელიც მაშინ მომწყდა. სიცოცხლეც არ მინდოდა, მაგრამ წამოვდექი. სუსტი ქალი წამოვდექი და გაორმაგებული ბრძოლით და შრომით გავაგრძელე ცხოვრება. შენ კი ძლიერი მამაკაცი ხარ, თან შვილი გყავს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარს. მე კი, როგორც ექიმებმა მითხრეს, ვერასდროს შევძლებ შვილის გაჩენას.

მათე: – დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის, გავითვალისწინებ თქვენს რჩევებს. ერთი თხოვნა კი მაქვს: იქნებ, თქვენი ტელეფონის ნომერი მომცეთ, ხშირად არ შეგაწუხებთ. ზოგჯერ დაგირეკავთ ხოლმე.

მედეა: – ეს ჩემი სავიზიტო ბარათია, გამომართვით...

მათე: – მე ბარათი არ მაქვს, თუ იკადრებთ, ახლა დაგირეკავთ და ამით ჩემი ნომერიც გეცოდინებათ..

...და მათე შვილთან წავიდა. სახლში აღარც მიდიოდა, მუშაობა კი ჩვეულებრივად გააგრძელა. ფულს დას აძლევდა, რომელიც ანამარიას ზრდიდა. ერთხელ, უცხო ქალაქში მყოფს ტელეფონმა დაურეკა, მათემ სატვირთო გზიდან გადაიყვანა, გააჩერა და ტელეფონი აიღო.

– ბატონო!..

– მათე გამარჯობა, ვერ მიცანი?

– ქალბატონო მედეა, თქვენ ხმას ან თქვენს ამაგს რა დამავიწყებს? როგორ ხართ?

– შენგან დავიწყებული. ვინაიდან მთელი თვე არ დაგირეკავს, ვიფიქრე, ეტყობა ყველაფერი კარგად აქვს-მეთქი.

მათე – ნელ-ნელა, მგონი ვბრუნდები ქალბატონო მედეა, თქვენთან დარეკვა ბევრჯერ გადავწყვიტე, მაგრამ მომერიდა. არ მინდოდა ხელი შემეშალა.

მედეა: – ეგ რამ გაფიქრებინა? ჩვენ ხომ მონათესავე სულები ვართ!

მათე: – მონათესავე სულები? რა გემრიელად თქვით, ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ?

მედეა: – ქალაქში ხარ?

მათე: – არა, ქალაქში ზეგ დავბრუნდები...

მედეა: _ რამე კარგი იდეა არ გაქვს?

მათე: – როგორ არ მაქვს, მაგრამ თქვენ მოგეწონებათ?

მედეა: – მომახსენე და ვიმსჯელოთ.

მათე: – რომ შევხვდეთ, სადმე რომ გავიაროთ და ვისაუბროთ?

მედეა: – იდეათა მთელი თაიგული გქონია, რომ ჩამოხვალ, დამირეკე.

მათე6 – კარგი, აუცილებლად დაგირეკავთ.

მედეა: – ერთი თხოვნა მაქვს შენთან.

მათე: – მიბრძანეთ.

მედეა: – თუ კაცი ხარ, თქვენობით საუბარს თავი დაანებე, ასე მგონია ჩემს კურიერს ვესაუბრები.

მათე: – აბა, შენობით გელაპარაკოთ?

მედეა: – მე სულ შენობით მოგმართავ, ვაშავებ რამეს?

...და ქალაქში დაბრუნებულმა მათემ მედეას დაურეკა, შეხვდნენ, ისაუბრეს, ერთად ისეირნეს. ლამის, მთელი ქალაქი მოიარეს. მერე მათე რეისში წავიდა და ერთმანეთს ყოველდღე ურეკავდნენ. რეისიდან ჩამოსვლის პირველსავე პაემანზე მათემ მედეას ანა-მარია გააცნო და პირველივე სასწაული აქ მოხდა – ახლადფეხადგმული პატარა, ქალს ისე შეეთვისა, რომ დაშორებისას „დედა“ დაუძახა. მედეას ცრემლები ჩამოსცვივდა, პატარა გულში ჩაიხუტა და ატირდა. მათე კი ორივეს ჩაეხუტა და...

– ორივე ჩემი ხართ, არასოდეს დავშორდებით! – ესღა წარმოთქვა.

24 მაისი, 2018 წელი,
ბარბარეს დაბადების დღე

სარჩევი

წინათქმა ---------- 3

ზაალ ნემსაძე
სამი დის ზღაპარი ---------- 5

ზაალ ნემსაძე
ტატო ----------37

ზაალ ნემსაძე, ფიქრია ნემსაძე
ლურჯი კონვერტები შვილიშვილისთვის ----------60

ზაალ ნემსაძე
საულ – საულ! ----------76

ზაალ ნემსაძე
მელოდიის აჩრდილი ---------- 122

ზაალ ნემსაძე
მონსტრები ---------- 144

ზაალ ნემსაძე
როქი ---------- 153

ზაალ ნემსაძე
კუბოს სერენადა ---------- 159

ზაალ ნემსაძე
ანგელოზები და ნიღბიანები ---------- 172

ზაალ ნემსაძე, ფიქრია ნემსაძე
ბედნიერება ყოველთვის შესაძლებელია -------- 192

ზაალ ნემსაძე, ფიქრია ნემსაძე
მონათესავე სულები ---------- 239